


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ქართული  
ენების ინსტიტუტი



ნ ა ნ ვ ა რ ი

1915 წ.



Handwritten number: 11,3,4,5,8,8,9



**შინაარსი:** 1) ოტტო ლიპმანი. ფსიხოლოგია ზედაგოგონათვის (თარგმანი) ლ. ბოცვაძე. 2) ქართულები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში—სამ. ცომაია. 3) ბიოქიმიის (გადმოკეთებული) ზ. ჩიჩუა. 4) სასჯელი და სკოლა—სავლელ აბულაძე. 5) სად თავდება გენიოსობა და სად იწყება უზრრობა—ილია ალბაზიშვილი. 6) მასწავლებლის დღიური—პროკლე ტაბიძე. 7) არასოდეს!.. არასოდეს!.. (სადა ლექსი)—იკარი. 8) შეგობარს—ა. ფანცულაია. 9) შემხრის ცხენი (დღიური ტენზორისა)—ილ. ფერაძე. 10) ცას. გუეს—გ. ლეონიძე. 11) ომის გამო—ილია გოგია. 12) სიტუვა—გელა. 13) ჩემი სული №. 14) ზასუხი—ილია გოგია. 15) წყევლა—ლადო გეგეჭკარი. 16) პედაგოგიური სიბეცე თუ ენის ქაფილი, ზასუხად ბ-ნს ზ. ჯაფარიძეს—ლ. ბოცვაძე. 17) რახი გართ (ზასუხად გ. ა-ნს—ტიტო კრიხელი. 18) სახალხო მასწავლებელი ნადეჟდა ტეშელაშვილის ასული. (ნეკროლოგი)—ლადო ბზვანელი. 19) წერილი რედაქციის მიმართ. 20) განცხადებანი.

**დამატება:** ოქმები ქარ. შორის წერაკით. გამაგრებული საზოგადოების წევრთა წლიური კრების, ნოემბრის 16 და 30 1914 წლისა.




**რედაქციას ჰქავს აგენტები შემდეგ ადგილებში:**

კავკავში—ქართული სკოლა დ. მაჭავარიანი. ბაქოში—ალ. ერაზ. გვარამაძისა, მეთ. კაკაბაძე და ილია გოგია. ბანძაში—ესტატე მონიავა. თელავში—ნინო გოგნიანიშვილისა და წერა-კითხვის წიგნის მალაზიაში. გორში—ნინო ანტ. ლომოურის ასული, ყვირილაში—სიმონ ორჯონიკიძე. ჭიათურაში—ი. გომელაური, ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძე, დომ. ოყროშიძე და ლაზ. ხმალაძე. სამტრედიიაში—წ. კ. საზ. კიოსკში. მინა კობალეიშვილი. ხონში—ვლადიმერ ნადარეიშვილი. ახალ-სენაკში—სპ. ენუქიძე. აბაშაში—ვასილ ქობულია, ძველ-სენაკში—პოლ. ლორთქიფანიძე და გ. ბოკერია, ფოთში—მლ. ლ. წულაძე და იასონ ალექსიშვილი. ბათომში—წიგნის მალაზია „განთიადი“ გ. მახარაძე და ტრიფ. ინასარიძე, ლანჩხუთში—პლატონ იმნაძე და კალინიკე ჟღენტე. ახალციხეში—კოტე. გვარამაძე. სიღნაღში—წერა-კით. საზ. განყ. წიგნის მალაზიაში—ი. კრაწაშვილი და „კახეთის ხმის“ რედაქციაში—კ. ტყავაძე. ოზურგეთში—პარმენ თოთიბაძე. სოხუმში—ნიკო ჯანაშია. ჩოხატაურში—ს. თავათრილაძე და ბართლომე მეგრელიძე (ხიდისთავში). ონში—სერგო რუხაძე, განჯაში—ლუკა ხარაძე, სურამში—ნატალია ვაბაშვილისა. სვანეთში—ვარ. ძიძიგური, ზუგდიდში—უფასო სამკითხველოში. როსტოვში—სტ. სვ. ელიაძე. ხაშურში—გ. ნ. იოსელიანი.

# განათლება

(წელიწადი მერვე)



I **ი ა ნ ვ ა რ ი** 1915 წ.

<p>ჟურნალი წლიურად ღირს 4 მან. ნახევარი წლით . . . 3 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 3 მან.</p>	<p>ცალკე ნომ- რის ფასი</p> <hr/> <p>40 კაპ.</p>	<p>ხელის მოწერა მიიღება <b>თბილისში</b> „წერა- კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად- რესით: <b>Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.</b></p>
---	---	---

ოტტო ლიპმანი

## ფსიხოლოგია პედაგოგთათვის

I

დედა აზრი ფსიხოლოგიისა. ფსიხიური კონპენენტები და კომპლექსები. შედეგი ფსიხოლოგიურ ექსპერიმენტებისა. საბეჭეტრისტიკო ლიტერატურა, როგორც წყარო ფსიხოლოგიის შემეცნებისა. დედა აზრი ბავშვის ფსიხოლოგიისა.

**პედაგოგიკა** საპრაქტიკო დისციპლინაა, რომლის დასაბამს უმთავრესად ორი თეორიული მეცნიერება გვაძლევს: ეთიკა და ფსიხოლოგია. საკითხი იმის შესახებ, თუ რა მეცნიერებას უნდა ვასწავლიდეთ, შეიძლება ეთიურის თვალსაზრისითაც იქმნას განხილული ე. ი. იმ თვალსაზრისით, თუ რა საგნები უწყობენ ხელს, რომ ბავშვი ცხოვრებასა და ქვეყნიერებას უფრო გარკვეულად უყურებდეს. შემდეგ, რასაკვირველია, ეთიურია ის საკითხიც, თუ რომელ საზნეობრივო იდეალისკენ მიგვყავს ბავშვი, რა საზნეობრივო თვისე-

ბანი უნდა გავუღვიძოთ მას და შევუნარჩუნოთ.

თუ ამ სახით ეთიკა პედაგოგიკას შინა-არსის არსებითს ნაწილს აძლევს, მაშინ ფსიხოლოგიის საქმეა — მასწავლებლის მხრით შესწავლა ყოველგვარ ფორმებისა და მოწაფეზე ზემოქმედების სახეებისა. თავდაპირველად ფსიხოლოგია ასწავლის პედაგოგს შეიგნოს ის მასალა, რომელთანაც საქმე აქვს და რომელზედაც უნდა იმოქმედოს. რადგანაც ბავშვის სული განსხვავდება მოზრდილთა სულში, ამიტომ პედაგოგიკის საფუძველს უმთავ-



რესად ბავშვის ფსიხოლოგია უნდა შეადგენდეს. პედაგოგიკის ფსიხოლოგიურ საფუძვლის ამ ნაწილს, სტერნის მიხედვით, ჩვენ ვუწოდებთ **ფსიხოგნოსტიკას**. ამის მოპირდაპირვა **ფსიხოტექნიკა**, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სასურველის მხრით ვიმოქმედოთ მასალაზე, რომელსაც მინიჭებული აქვს ესა თუ ის თვისებანი. ფსიხოტექნიკის ნაწილი არის სწავლა გადაცემის შესახებ, ანუ დიდაქტიკა.

ფსიხოლოგიის ობიექტი სული კი არ არის, როგორც მისი სახელი გვიჩვენებს, არამედ სულის **სიცოცხლეა**. საკითხი თუ რა არის განსაკუთრებით სული, ისე მცირედ ეხება ფსიხოლოგიას, როგორც ცოტა საქმე აქვს ფიზიკოსს ნივთიერების შენებასთან. თუ უკანასკნელი საკითხი ეხება ბუნების ფილოსოფიის პრობლემებს, სულის არსებითი მხარის საკითხი მეტაფიზიკას ეკუთვნის. აქ სულის არსებითს მხარეს მხოლოდ უარყოფითი განსაზღვრა მიეცემა. როგორც მატერიალიზმის მოძღვრება გვასწავლის, სული არ არის ცალკე სახე ნივთიერის სუბსტანციისა, სულიერი ცხოვრება არ არის განსაკუთრებითი სახე მოძრაობისა. მაშასადამე ფსიხოლოგია არ არის ფიზიოლოგიის სართი, მატერიალიზმის დამარცხების შემდეგ მას ბუნების მეტყველებასთან ერთად დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს.

მაგრამ ფსიხოლოგია აგრეთვე არც სართია მხოლოდ მეტაფიზიკისა; საბედნიეროდ გაჰქრა ის დრო, როდესაც ესრედ წოდებული ფსიხოლოგები სულის არსებითი მხარის შესახებ განყენებულ მსჯელობით კმაყოფილდებოდნენ. პირიქით, უკვე სამოცი წელია, რაც წარმატებით ცდა სწარმოებს სულიერ ცხოვრების გამოსაკვლევ მეთოდებისა, რომელსაც ბუ-

ნების მეტყველებაშიაც ხმარობენ; ფსიხოლოგიურ ექსპერიმენტების მეთოდები, რომელიც იხელმძღვანელა პირველად ვებერმა და ფებტენერმა, შემდეგ უფრო ვრცლად--ვუნდტმა თავის საექსპერიმენტალო ფსიხოლოგიის ინსტიტუტში ლეიბციგში და მის შემდეგ სხვებმაც, იმდენად სრულია, რომ ახლა ფსიხოლოგიაში დანამდვილებით მუშაობა სრულიად შესაძლებელია—წინააღმდეგ ძველებურ მეცნიერთა, რომელნიც ჭეშმარიტებას ცდის გარეშე განყენებულ აზროვნებით ეძიებდნენ.

ექსპერიმენტალური ფსიხოლოგიის მეთოდები ორი მუხლით მაინც განირჩევა საბუნებისმეტყველო მეთოდებში—სახელდობრ იმაში, რაც ეხება მათს **ობიექტებს** და მათს **შედევებს**.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებას საფუძვლად აქსიომა უძევს, რომ ოდესმე სრულიად განმარტებული და ახსნილი უნდა იქმნეს რთული სხეულების (მაგალითად წყალის) თვისებანი, ატომთა მერყეობით—კომპონენტებით (წყალმზადისა და მჟავზადის). თუ უკანასკნელს სრულიად ცნობილად მივიჩნევთ, ამის გამოყველასთვის **თვალსაჩინო** უნდა გახდეს წყლის ყველა ქიმიური და ფიზიკური თვისებანი. სულ სხვაა ფსიხოლოგიაში. თუ ჩვენ ანალიზს ვუზამთ რომელსამე ფსიხიურ მოვლენას, მაგ. ნების მოქმედებას, განვიხილავთ და აღვწერთ ელემენტებს, რომელთა თვისება სრულიად ცნობილია, ამ აწერილობით მაშინვე ვერავინ მიხვდება, რომ ამ ელემენტთა ჯამმა უნდა მოგვცეს სწორედ ნების მოქმედება. ყოველი რთული ფსიხიური მოვლენა არის არა მხოლოდ ჯამი კომპონენტებისა, არამედ იმის გამო, რომ შეერთდებიან კომპლექსად, უსათუოდ ჩნდებიან

ახალნი თვისებანი, სახელდობრ კომპლექსის თვისებანი, რომელთა დაახლოება კომპენენტთა თვისებებთან არ შეიძლება. ეს ეხება არა მარტო შედარებით ელემენტარულ კომპლექსებს, როგორც არის აზრი და ნების მოქმედება, არამედ მთელს ფსიხიურ ინდივიდუუმს. ჩვენ რომ დანამდვილებით გვცოდნოდა ყველა მისი თვისებანი, მაშინაც მხოლოდ ზერელე **აწერილობა** გვექნებოდა ინდივიდუუმისა, მაგრამ იმის მეცნიერულად **ახსნამდის**, თუ რა შეადგენს სახელდობრ ამა თუ იმ კაცის ინდივიდუალობას, ვერ მივაღწეოთ; ამ გვარის ნიშნებით ჩვენ ვერაოდეს ვერ წარმოვიდგენთ მთელს ადამიანს. **კონპენენტების რაოდენობის სხვადასხვაობას მოჰყვება კომპლექსთა თვისების სხვადასხვაობა.**

საექსპერიმენტალო ფსიხოლოგიის შედეგების სინამდვილითაც მეთოდები განსხვავდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდებში. თუ ხიმიკოსმა **ერთხელ** მოახერხა წყლის ნამდვილი ანალიზი, იგი კმაყოფილია, რადგანაც ბუნებისმეტყველების ობიექტებიც მუდმივია: ერთი გოგირდის სიმჟავეც ისეთია, როგორც მეორე; ნაღული წყალიც რავდენსამე ხანს არ ჰკარგავს თავის შედგენილებას; ყველა ტყვიაც ერთისა და იმავე კანონით მიჰქრის. სხვაა ფსიხოლოგიაში: ერთი კაცი დილით ჩქარა სწავლობს, საღამო ჟამს — ნელა, მეორე კი პირიქით; კაცი ყმაწვილობაში სწრაფად სწავლობს ყველაფერს, ვიდრე მოხუცებულობის დროს. ამიტომ თუ უნდათ ფსიხოლოგიაში იპოვონ საზოგადო კანონები, საჭიროა იგივე ცდა მოახდინონ **არა ერთხელ**, და არ **ერთს ადამიანზე**, არამედ ბევრჯერ და **სხვა და სხვა ადამიანებზე**. მაგრამ ნათქვამი ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ერთი სრულიად

სხვანაირად იჩენს თავს, ვიდრე მეორე; ან პირველი განვითარების პირველ ხანებში, ე. ი. საზოგადო კანონზომიერება საერთოდ თავს არ იჩენს ფსიხოლოგიაში. პირიქით, ამ მხრით გამოკვლეულია, რომ ყველა ნორმალური ადამიანის სულიერი ცხოვრება ყოველთვის, სანამ იგი ნორმალურად არის აღსარებული, ერთსა და იმავე კანონს მისდევს. ყველა ადამიანი ორჯერ წაკითხვით მიცემულ მასალიდან მეტსა სწავლობს, ვიდრე ერთხელ წაკითხვით; მაგრამ რამდენჯერ უნდა წაკითხოს, რომ მთლად ისწავლოს, ეს, რასაკვირველია, სხვა და სხვაგვარია; ე. ი. საზოგადო კანონზომიერება წმინდათ არ გამოიხატება, არამედ სახეშეცვლილად, რასაც კერძო პირის ინდივიდუალობა და მისი იმავე წამს გონებრივი მდგომარეობა ეწოდება. ერთი ვისიმე ექსპერიმენტალურად გამოკვლევის შედეგის რიცხვში შედის: 1. საზოგადო კანონზომიერება. 2. ა) მისი ინდივიდუალური თვისებანი, ბ) მისი ფსიხიური მდგომარეობა იმავე წამს. საერთოდ შეიძლება ვსთქვათ, რომ ორივე უკანასკნელი მიზეზი განსაზღვრავს მიღებულ რიცხვთა ობსოლუტურს სიდიდეს, მაშინ როცა რიცხვთა ერთურთთან შეფარდება გამოხატავს საერთო კანონზომიერებას.

ავხსნით ამას მაგალითით:

სამი ტაეპიანი ლექსის შესწავლას ვუნდები 20 წუთს, იმ შემთხვევაში, თუ მთლად წავიკითხავ და გავიმეორებ ლექსის თითო ტაეპს ბოლომდის მიყოლებით. ოცდა ათი წუთი მჭირდება, თუ თითო ტაეპით შევისწავლი ჯერ პირველს, მერე მეორეს და ბოლოს მესამე ტაეპს და მხოლოდ ამის შემდეგ შევაერთებ ყველა სამ ტაეპს მთლად. ეს ორი რიცხვი 20 და 30, აბსოლუტურად აღებული, სრულიად



არაფერს გვეუბნება. იმათი რაოდენობა დამოკიდებულია ზოგჯერ შესწავლის ნიჭზე, ზოგჯერ გულისყურზე, და ზოგჯერ შესასწავლ მასალის სიძნელეზედაც. თუ შევეუფარდებ ამ ორ რიცხვს ერთმანეთს, მაშინ მივიღებ როგორც საერთო კანონს, რომ მთლიანად შესწავლას უფრო ნაკლები დრო უნდება, ვიდრე ნაწილ-ნაწილად გაზეპირებას. ამ შემთხვევაში უყურადღებოდ რჩება შესწავლის ნიჭი და გულისყური იმისა, ვისზედაც ცდას ახდენენ და აგრეთვე შესასწავლ მასალის სიძნელეც; მხოლოდ ორსავე შემთხვევაში იგულისხმება მათი თანასწორობა. ასეთი გულისხმობის უფლება რომ გვექონდეს, რასაკვირველია, არ შეიძლება თითო-ორიოლა ცდას დაჯერდეთ; საჭიროა ჩამოვაშოროთ მაგ. სავარჯიშოებისა და დალილობის გავლენა ცდის თანდათანობით და შესაფერისი შეცვლით. შემდეგ ექვი რომ არ შეგვეპაროს, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ კანონზომიერებას, რაც დამახასიათებელია ზოგიერთ პიროვნებისა, ცდა უნდა მოვახდინოთ სხვებზედაც.

ექსპერიმენტალურ-ფსიხოლოგიურ გამოკვლევათა შედეგი საზოგადოდ მხოლოდ მაშინ იქნება უმწიკვლო, თუ შემდეგი პირობები იქნება დაკული:

ა) რადგანაც ამტკიცებენ, რომ ადამიანი სხვა და სხვა გარემოებაში სხვა და სხვა გვარად იჩენს თავს, ყოველს გარემოებაში, მაგრამ უსათუოდ ცდის ერთსა და იმეგარს პირობებში უნდა მოხდეს ცდა **მრავალ ჯერ**. მაგრამ საკმაოა, თუ ცდას მოახდენენ ერთსა ან რავდენსამე ადამიანზე.

ბ) რადგანაც ამტკიცებენ, რომ სხვა და სხვა ჯურის ხალხი, მაგალ., ვაჟები და ქალები, მაღალისა და დაბალის სახალხო სკოლის მოწაფეები, სხვა და სხვა ასაკის

პიროვნებანი განსაზღვრულს გარემოებაში სხვა და სხვა გვარად იჩენენ თავს, საჭიროა მოხდეს თანასწორ პირობებში შესაფერი ცდა **მრავალს ადამიანზე, რომელიც ეკუთვნის თვითოეულს ჯგუფს**.

სწორედ ამ მრავალგზით მომხდარსა და გამეორებულს ცდაშია განსხვავება ფსიხოლოგიურსა და ბუნებისმეტყველების სამეცნიერო მეთოდთა შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტალური მეთოდის საშუალებით შეკრებილია აუარებელი ძვირფასი მასალა, ჩვენ ამ მეთოდს ღირსებას დავუკარგავდით, თუ მას ერთად ერთ ხელსაყრელად აღვიარებდით. სხვებზე და თავისთავზე ჩვეულებრივი, არა ექსპერიმენტალური დაკვირვებანიც სერიოზული ყურადღების ღირსია, როგორც საშუალება ფსიხოლოგიური ცოდნის შეძენისა. როგორც თავისთავზე და სხვებზე დაკვირვების საბუთებს შეიცავენ ბიოგრაფიები და სხვა მასალა სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, ნაწარმოები ისეთის გამოჩენილის ფსიხოლოგიებისა, როგორიც იყვნენ შექსპირი, ჰეტე, ზოლა, დოსტოვესკი. ბავშვის ფსიხოლოგია აქაც დიდს საუნჯეს იპოვის. ბევრი რომ არ დავასახელოთ, მოვისვენებთ მხოლოდ რუსსოს, დიკენსს, ჰოტფრიდს, კელლერსა და ოტტო ერნსტს.

ამ საზოგადო შესავალში დავუმატებთ კიდევ რავდენსამე სიტყვას ბავშვის ფსიხოლოგიის არსებითს მხარეს. როგორც ცალკე ნაწილს ფსიხოლოგიისას, მას აქვს არსებობის უფლება იმ ზომის მიხედვით, რა ზომითაც ბავშვის სულიერი ცხოვრება განსხვავდება მოზრდილი სალი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ბევრის მხრით, რასაკვირველია, ეს ასეც არის და შემდეგშიაც ხშირად მივუთითებთ ამ განსხვავებაზე. აქ მხოლოდ მოკლედ დავასახელებთ



იმ სამს ძირითადს სხვა და სხვაობას, რაც არსებობს ბავშვისა და მოზრდილის სულიერს ცხოვრებაში.

ა) ბავშვს **ნაკლები გამოცდილება** აქვს, ნაკლები წარმოდგენა, ნაკლები ცოდნა; მისი ცნებანი შინაარსით ღარიბია, ვიდრე მოზრდილისა. ბავშვს თავის შემაკავებელი წარმოდგენა ნაკლები აქვს, ვიდრე მოზრდილს, რასაც შედეგად მოჰყვება ფანტაზიის დიდი თავისუფლება, შთაფონებისადმი მეტი მიდრეკილება, და აგრეთვე ის გარემოება, რომ ბავშვის საქციელს უმეტესად მიდრეკილების ხასიათი აქვს, ვიდრე ნებისა.

ბ) ბავშვს **სხვა ცნებები** აქვს, ვიდრე მოზრდილს: კერძო წარმოდგენებიდან იგი ჰქმნის სხვა საზოგადო წარმოდგენათა.

გ) განცდათა საგრძნობელი კილო ბავშვს ხშირად სხვანაირი აქვს, ვიდრე მოზრდილს, რაც ერთის მხრით ითვლება იმ განსხვავების შედეგად, რომელიც პირველ მუხლში დავასახელებთ.

ამ გვარის ჩვენებით ბავშვისა და მოზრდილის სულიერი ცხოვრების სხვადასხვაობაზე, რასაკვირველია, იმისი თქმა ადვილია, თითქოს ერთსა და მეორეს შუა სადმე თვალსაჩინო სამზღვარი არსებობდეს. როგორც აქ, ისე შემდეგშიაც, როცა მსჯელობა გვექნება ბავშვის განსაკუთრებულ სულიერ ცხოვრებაზე, ვგულისხმობთ, რაც თავისთავად ცხადია, მხოლოდ იმას, რომ ამგვარი გამოჩვენება მით უფრო ცხადია, რამდენადაც ბავშვი პატარაა; ზრდასთან ერთად ეს განსხვავება თანდათან ჰკარგავს თავის გამჭვირახობას და ამ სახით **თანდათან** ჰქრება. არსებობს სულიერი **განვითარება**, ფსიხოგენეზისი, რომელიც თვითნებობით, შიგნიდან, ზოგჯერ უბრალო ფაქტის წლოვანების მიხედვით, ან გარშემო არსებულთა, ან ცდის გავლენით, ბავშვის სულიერი ცხოვრება თანდათან გარდიქმნება მოზრდილის სულიერ ცხოვრებად.

ლ. ბოცვაძე.

## ქართველები, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში\*)

1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში, რომელიც რუსების მიერ მონათლულია სამა-

მულიშვილო ომის სახელით, ქართველებსაც მიუღიათ მონაწილეობა.

\*) ქვეშ მთავანაილ სიას ქართველ მეომართა, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლის ფრანგ-რუსთა ომში, ჩვენ შემთხვევით წავაწყდით 1911 წლის ბოლოში ქართულ ხელთნაწერების შესწავლის დროს ჰეტროგრაფის საიმპერატორო საჯარო წიგნთსაცავში. სია ჩვენ მასინათვე არ გამოვაქვეყნეთ იმ მოსახრებით, რომ ერთის წლის შემდეგ (ე. ი. 1912 წ.), რადესაც გადაწვეტილი იყო

აღნიშნულ ომის 100 წლის იუბილეს დიდის ამბით გადახდა რუსეთში, მისი გამომხეურება დროზე შეფარდებული და უფრო სასურველი იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ჩვენი განზრახვა სხვა და სხვა პირადი ხასიათის მიზეზებისა გამო ნაჩვენებ დროზე ვერ განხორციელდა. ვკანდიერდებით განხორციელებთ ესლას: გვკონია—კეთილი რამეს ქმნა „лучше поздно, чѣмъ никогда“.



სია იმ ქართველებისა, რომლებიც აღნიშნულ ომში მონაწილეობდენ, შენახულა ხელთნაწერში № 11 მ. საბინინის ხელთნაწერთა კოლექციიდან, რომელიც დაცულია საიმპერატორო საჯარო წიგნთსაცავში პეტროგრადში.

დასახელებულ ხელთნაწერში სულ 152 თაბახია (თეთრ ქალაღისა), ზომით 19,5×15 სანტ. ლამაზ ხელით (მხედრულ ასოებით) დაწერილი და მტკიცე ყდაში შეკრული.

შინაარს ხელთნაწერისა შეადგენს „ნაპოლეონის ლაშქრობის რუსეთსა ზედა და მისი ლტოლვის ისტორია, რომელიც, თანახმად მეფის გიორგი XII-ს ძის ბაგრატის თხოვნისა, უთარგმნია რუსულიდან ქართულად 1823 წელს „პეტერბურგში“ „ინასტრანის კოლეჯის პრეოდჩიკს იოანე რამანიჩს ბაზლიძეს“<sup>1)</sup>.

სია ქართველ მეომართა, თვით მეფის ძის ბაგრატის საკუთარის ხელით დაწერილი, მოთავსებულია ხელთნაწერის ბოლოში (298—303 გვ.).

ხელთნაწერის ბოლოშივე (304 გვ.) არის მოკლე ცნობა ჩერქეზთა სამფლობელოს შესახებ.

სიაში სულ 50 მეომარია ნაჩვენები<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> პეტროგრადის წიგნთსაცავებში მოიპოვებ კიდევ ორი ცალი „ნაპოლეონის ლაშქრობისა რუსეთსა ზეთა“: ერთი სამეცნიერო აკადემიის სახით მუზეუმში (№ 50) და მეორე მეფის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციაში (№ 209), რომელიც დაცულია პეტროგრადის საიმპერ. საჯარო წიგნთსაცავში. სია ქართველ მეომართა ამ ორ ხელთნაწერში არ არის.

<sup>2)</sup> ქართველებთან ერთად სიაში მეფის ძე უჩვენებს თორმეტამდი სომეხს (იხ. №№ 4, 7—9, 20, 23, 34, 37, 41—43) ოსს ლეკს („ლეკ ჭეფთილი“ №№ 26—27), ერთს

მხოლოდ ეს რიცხვი სრული არ უნდა იყოს. სია ქართველ მეომართა მეფის ძეს შეუდგენია არა უადრეს 1823 წლისა, მაშასადამე სამამულიშვილო ომიდან 11 თუ მეტის წლის შემდეგ. ამისთანა შემთხვევაში ადვილად მოსალოდნელია, რომ ავტორს ზოგიერთი მეომრები ვერ მოეგონებოდა. რომ ჩვენი სია სრული არ უნდა იყოს ცხადია რამოდენადმე სიის თვით ტექსტის განხილვიდანაც. ომში მონაწილე ქართველთა თანდათანობით აღნუსხვის დროს ციფრებით ზოგიერთ ციფრების ქვეშ ნაჩვენებია ორი-სამი პირი. საფიქრებელია, რომ ეს „მეორე-მესამე პირები“ ზოგიერთი იმ მეომრებთანაა, რომლებიც პირველად სიის შედგენის დროს დაიწყებია ავტორს და შემდეგ, მოგონებია რა, ჩაუმატებია (აღურიცხველად)<sup>1)</sup>.

ოსს (№ 21). თუ ვინ უნდა იყვნენ აქ ნაჩვენები სომეხები, ოსი, ლეკები და რატომ ისინი ქართველებთან ერთად შეუტანია ავტორს სათვალავში იხ. ქვეშ სიის კერძო ადგილების განმარტების დროს.

<sup>1)</sup> რომ მართლაც ჩვენი სია სრული არ არის უჭკველია სამამულიშვილო ომის შესახებ სხვა საბუთ-წყაროების განხილვიდან. მაგალითად, 1912 წ. გამოვიდა შრამა ა. ახლესტიშევისა: „Двѣнадцатый годъ. Историч. документы собств. канцелярїи генер. А. П. Тормасова. Спб. 1912 г.“ ამ წიგნში სამამულიშვილო ომში მონაწილეთა რიცხვში არიან ნაჩვენები ზოგიერთი ისეთი ქართველები, რომლებიც ჩვენს სიაში არ არიან მოხსენებულნი. 1913 წ. გამოვიდა წიგნაკი „Родословная роспись рода князей Жеваховыхъ (россійская вѣтвь)“. Кіевъ 1914 г. (ავტორი არ არის ნაჩვენები). ამ წიგნაკში არის ნაჩვენები





სია საყურადღებოა ერთის მხრით იმით, რომ გვიჩვენებს—თუ რანაირი განწყობილება სუფევდა რუსის მთავრობის და ახლად შეერთებულ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან<sup>1)</sup> ნებისთ თუ უნებლიეთ<sup>2)</sup> რუსეთში გადასახლებულ ჩვენ თანამემამულეებს შორის და მეორეს მხრით—სია სხვის ჰფენს ზოგიერთ ქართველ გვარების გარუსების ისტორიას: ნაწილი სიაში ნაჩვენებ პირებისა რუსეთში დარჩა და მათი (პირების) შთამომავლობა თანდათან დროთა მსვლელობაში გარუსდა სულიერად და ხორციელადაც<sup>3)</sup>.

სამი ჯვავანიშვილი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ 1812 წლ. ფრანგ-რუსთა ომში და რომლების შესახებ ჩვენს სიაში ცნობები არ არის (იხ. ქვეშ № 6-ის შესახებ შენიშვნა). „მასალებში საქართველოს ისტორიისათვის (1744—1840 წ.წ.)“, რომელიც შეუდგენია ბატონიშვილს დავით გიორგის ძეს და მის ძმებს, არის მოხსენებული ერთი ქართველი, სახელდობრ „ბაქარის ძის იაკობის ძე ჰეტრე“, რომელს მონაწილეობა მიუღია სამამულიშვილო ომში და რომლის შესახებ ჩვენს სიაში სიტყვაც არ არის ნახსენები (იხ. „მასალ. საქართ. ისტორ. შეკრებ. ბატონიშვილის დავით გიორგის ძის და მის ძმებისა“ თბილისი. 1905 წ. გვ. 110. უურნალ „მომამბის“ პრემია 1905 წლისა).

<sup>1)</sup> ვაშობთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, ვინაიდან სიაში ქართლელთ გარდა ნახევრები არიან იმერლები (იხ. №№ 2, 28, 38...), რაჭველი (№ 30), მეგრელი (№ 31). თვითუფლებ ვრცლად იხილე ქვეშ თავ-თავის ადგილს.

<sup>2)</sup> უფრო ნაწილი სიაში ნახევრებ პირების ძალად გადასახლებულნი არიან რუსეთში (იხ. ვრცლად ქვეშ შენიშვნები).

<sup>3)</sup> როგორც ვიცით, ახლა რუსეთში ბევრი

აქ ჩვენ არ შევუდგებით სიის კერძო ადგილების განხილვას. ჩვენ მოვიყვანთ სიას სრულიად მართწერის დაცვით და კერძო ადგილების საკირო განმარტებას ვიზამთ თავ-თავის ადგილას ქვეშ სხოლიებაში.

**სათაური ხელთნაწერისა № 11:**

„ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა ზა და ლტოვაჲ მისი რუსულისაგან თარგმნული ქართულსა“ ეწინაა ზა ინასტრანის კოლედიის პრეოდჩიკის, იოანეს რამანიჩის ბაზლიძის მიერ:<sup>1)</sup>

გარუსებული ქართველი გვარები მოიქმნება. მაკალითად, თავადი ჯვავანიშვილები (КНЯЗЬЯ Жеваховы), თავ. ჩოლოყაშვილები (Кн. Челокаевы), თავ. იაშვილები (Кн. Яшвилъ (?!)), თავ. თურქესტანიშვილები (Кн. Туркестановы), თავ. სუმბათაშვილები (Кн. Сумбатовы), ზედგინიძეები (Зедгинидзевъ (?!)), ფანჩულიძეები (Панчүлидзевъ (?!)... ზოგიერთი ამ გვართაგანი გადასახლდა ან გადასახლეს რუსეთში მეთვრამეტე საუკ. (1723 წ.) ვახტანგ VI-თან ერთად (მაგ. ჯვავანიშვილის გვარიდან, ბიბილურის (იხ. „Родосв. росп. рода Кн. Жеваховых“), ზოგიერთები კი მეცხრამეტე საუკ. დასაწყისში, როდესაც საქართველო საბოლოოდ შეუერთდა რუსეთს (1801 წ.) მაგ. ჩოლოყაშვილის გვარიდან, თამაფილის (იხ. ქვეშ №№ 11, 13) იხ. აგრეთვე А. С. Хахановъ—, „Очерки по ист. грузин. Словесности“. В. Т. Москва. 1901 г. стр. 206—208. (იქვე არის ნახევრები ლიტერატურა ქართველთა ემიგრაციის შესახებ რუსეთში მეთვრამეტე საუკუნეში).

<sup>1)</sup> იოანე ბაზლიძე „პრეოდჩიკად“ იყო ცნობილი, ინასტრანის კოლედიის პრეოდჩიკის უფალ ნადვარნი სოგუტნიკის და კავა-



მე მეფის გიორგის ძემან ბაგრატი 1) ვპოხოვე წიგნისა ამის თარგმანი და თხოვითა ჩემითა თარგმნა ესე ისტორია: წელს: 1823: ხ ქართულის ქკს: ფია: თჳსსა დეკბრსა: 26: სკთ-პეტერბუში“.

**სია ქართველ მეომართა.**

„რომელნიცა ქართჳსლნი დაესწრენ ბრძოლასა ამის შა რუსთა და ჭრანცუც-

ფერის გადერძი ფინჯაფის“ შემდეგ (იხ. „მასაღ. საქ. ისტ. შუკრ. ბატანიშუ. დავ.“ etc. გვ. 147). თუ რამეჲლ ავტორის შრამა ნაშაჲფონის დაშქრობის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ უთარგმნია მას რუსუდიდან ქართულ ჩვენს ხელთნაწერში არ არის ნახვეუნი. უნდა შევნიშნათ, რომ მეცხრამეტე საუკ. პირველ მეოთხედში (მეცამეტე წლიდან) მრავალი ისტორიული მოთხრობა დაიწერა რუსეთში სამამულებიშვილო ომის შესახებ. ერთ-ერთს ამ მოთხრობათაგანს, უეჭველია, სთარგმნიდა ჩვენი ავტორი.

გარდა „ნაშაჲფონის დაშქრობისა რუსეთისა ზედა“ ბაზლიძეს უთარგმნია რუსუდიდან ქართულად სხვა შინაარსის წიგნებიც (იხ., სხვათა შორის, ხელთნაწერი № 175 მეფის ძის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციიდან).

პროფ. (აწ. უკვე აკადემიკოსი) ნ. ი. მარკო სუბინინის ხელთნაწერთა კოლექციის აღწერაში ჩვენ ხელთნაწერის რუსუდიდან მთარგმნელად შევღამით თვლის გაიფხს რექტორს (იხ. „Отчетъ Импер. сиб. Публичн. библиотеки за 1900 г.

1) ბაგრატი, ძე საქართველოს უკანასკნელის მეფის გიორგი XII-სა (1798—1800), თვის ძებე—იოანე და მიხეილთან ერთად გადასახლებულ იქმნა რუსეთში 1801 წელს (იხ. „მასაღები“ etc. გვ. 61). იყო იგი კამერგერად აღექსნდრე პირველის კარზე (იხ. ibid. გვ. 166).

თასა (და იმარხურებოდნენ მხედრობათა შა რუსეთისასა); და აღებასა დიდისა მოსკოვისასა. წელსა 1812-სა და თჳსსა სეკტენბერსა.—2-სა. დღესა ორშაბათსა. ამათნი სახელნი ამის ქჳსმთო აღიწერების.

1. საქართჳსლოს მეფის გიორგის ძე ილია ესე დაესწრა დიდსა ბრძოლაში ბოროდნას და აღმოჩნდა სახელოვნად. ახალი ღვარდიის იეგირის პოლკში იყო აჭკრად 1).—


2. იმერთა მეფის დავითის ძე კოსტანტინე იყო ლეიბ ყაზახისა პოლკში კაპიტნად და მისის იპერატორების დიდებულების ფლიგილ ატუტანტად. ესეცა დაესწრა ამა ბრძოლაში და აღმოჩნდა სახელოვნად. || 2)

(გვ. 299). 3. თავადი პეტრე ძე იოვანესი ბაგრატოვანი ღიანარლოთ შეფი. და მრავალსა აღვილსა სახელოვნად ძლიევა შემო-

1) ილიას, როგორც ბატანიშვილის დავითის და მის ძებების მიერ შეკრებილ მასაღებიდან სჩანს, 17 წლისას მიუღია მონაწილეობა სამამულებიშვილო ომში. „ბრძოლასა მას ბოროდინოს შინა იყო მეფის გიორგის ძე ილია, ერმა წლისა 17, ახლად გამოსული კორპუსით აფიცრად ჯები იეგირის პოლკში და იყო ფრად მხედ“ (იხ. „მასაღ“... გვ. 110).

ეს ილია ცნობილია, როგორც მოქვეყნ. ხელთნაწერები მის ჯექსების მოიქებება მეფის ძის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციისი (№№ 1, 144).

2) კოსტანტინე, ძე იმერთა მეფის დავითისა (1782—1788), სოფლომონ პირველის (1752—1788) მეშვედრის, გადასახლებულ იქმნა ძალად რუსეთში 1904 წ. მთავარ-მართებულ პ. ციციშვილის ბრძანებით („მასაღ“... გვ. 70).



სილი. მოიკლა ჭრანცუცთავან ბოროლი-  
ნისა ბრძოლასა შა.

ხ ამათ გურს ახლა რუსნი უწოდებენ  
კნაზ საქართველოსად. (ესე იგი გრუ-  
ზინსკიედ.)<sup>1)</sup>

ლიანარლ-მაიორი პავლე სერგის ძე  
ძეშლათ ბიბილური. და ახლად წოდებუ-  
ლი ლაშქაროვად. დაკოდით ორისავე  
თელით. დაბრმავდა ბოროდინის ბრძო-  
ლაში.<sup>2)</sup>—

1) პეტრე ბაგრატიონი, რუსის სამსახურის  
ინფანტერიის გენერალი, სამამულიშვილო ომის  
ცნობილი მხედართანია. იგი ბოროდინის  
ბრძოლაში წინამძღვრობდა რუსის ჯარის მარ-  
ცხენა მხარეს და დიდი ნიჭი დაუნარი გამოი-  
ჩინა მტრის მოკერებაში. მის შესახებ „მასა-  
ლებში“ სწერია: „დექს ამს (ე. ი. 26 აგვ.  
1812 წ. დღით ერთმანათს) ფრიად მხნედ  
გამოჩნდა თავადი პეტრე ნაბიშვილი ბაგრა-  
ტიონი დიანარალ შიუი და დაიჭრა ფრიად  
მუხლსა შინა, რომელიცა შემდგომად 17 დღი-  
სა დაჭრისა ამის მოკუდა სეკდემბრის 12-ს  
სოფელსა თავადის გალიცინის ბორის ანდრე-  
ვიჩისას, და დაფლენ მუნვე“ („მასაღ.“...  
გვ. 110). მამა ამა პეტრესა იოანე (ივანე)  
იუო სიძე მეფე ირაკლი II (ჰეფა ცოლად ასუ-  
ლი ირაკლისა თამარ (იხ. „მასაღ.“... გვ. 55.  
შეად. „საღარო ცოდნისა. რუსულ-ქართ.  
ენციკლოპ. ლექსიკ.“ ივ. როსტომაშვილის  
რედაქტ. წ. II (ასო ბ), გვ. 200. თბილ.  
1898 წ. იხ. აგრეთვე „Энциклоп. сло-  
варь“—Брокъ.—Ефрона. т. II-а, ст.  
653—654).

2) ეს პავლე სერგის ძე შვილისშვილი უნ-  
და იუოს 1723 წ. ვახტანგ VI-თან ერთად  
(იმის ამაღლაში) რუსეთში გადასახლებულ ლა-  
ზარე გრიგოლის ძე ბიბილურის (იხ. ЭН-  
цикл. слов.—Брокг.—Ефр. т. XVII,  
стр. 409). რომ რუს აზნაურთა ლაშქარიც

4. თავადი პეტრე იაკობის ძე მანჭვო-  
ზიანი მოიკლა ამავე ბრძოლასა შა კა-  
პიტნად ღვარდიისა<sup>1)</sup>.

თა გვარი წარმოსდგა ქართველ ბიბილურთა  
გვარიდინ ზირდაზირ ნახევებისა „Общий  
гербовникъ-ში всероссийской имп.“  
IV, 140; შეად. „Энцик. слов. Брокъ.  
Ефр. т. XVII, стр. 409, სადაც ვანზე  
В. Р. სწერს: „Лашкаревы—русский  
дворянский родъ, происходящий отъ  
грузинскаго дворянина Лазаря Григо-  
рьевича Библиурова, выѣхавшаго  
въ Россію съ царевичемъ Вахан-  
гомъ, при Петрѣ Великомъ“. ბიბილურ-  
თა გვარის შესახებ იხ. აგრეთვე „საღ. ცოდნ.  
რუს.-ქართ. ენციკ. ლექს.“—ივ. როსტო-  
მაშვი. რედაქტ. წ. II, გვ. 285.

1) სამხეობი ძველ დროიდან დიდ პატივში  
იყვნენ საქართველოში. ისინი ქართველებთან  
ერთად თანასწორის უფლებით იყვნენ აღჭურ-  
ვილნი. ვინცთ, მაგალითად, რომ საქართვე-  
ლოს იერარქთა შორის ჯერ კიდევ მეათე საუ-  
კუნემდე ითვლებოდა „მიტროპოლიტი დიდი-  
სა სამხეთისა“, რომელიც განაკება საქარ-  
თველოში მცხოვრებ სამხეობა-ქალაქადნებლთა  
საეკლესიო საქმეს. რიტხვი სამხეთთა იმდენად  
დიდი უფიდილა ძველს საქართველოში, რომ  
მათთვის რამდენიმე ცალკე საეპისკოპოსო  
კათედრა დაუარსებიათ (იხ. „ქართიკები“...  
თ. უორდანასი. წ. I, გვ. 45—47 („გან-  
კება დარბაზობისა“ და „წესი მირანის  
კურთხევისა“; შეად. „Церк. вѣдомости“  
за 1907 г. № 3, стр. 138, 127 (პროფ.  
მარის მოხსენება რუსეთის მოსალოდნელ საე-  
კლესიო კრების წინასწარ (მოსამზადებელ)  
სხდომებზე).

შეტად დიდ პატივში იყვნენ სამხეობი სა-  
ქართველოში შეთურამეტე ს. შეფენი ირაკლი  
და გიორგი დიდის ურადლებით ექცეოდნენ



5. თავადი რევაზ იოვანეს ძე და ძმა პეტრესი ბაგრატიონი. ესე იყო პოლკოვნიკად <sup>1)</sup>.

6. თავადი ევსტატი ძე თეიმურაზისა ჯავახიშვილი აფიცრად პავლოვგრადცკის გუსრის პოლკში <sup>2)</sup>.

მათ. ხშირად მაშინ სომხები დიდ და ზსუსხსაგებ თანამდებობაზე ინიშნებოდენ,—მაგალითად, (იხ. „მასალ.“ გვ. 21, 28) მხედართმთავრად (ibid. გვ. 37), მედიქად (იხ. ქვეშ შენიშ. № 20-ის). ვიციით ისეთი მაგალითიც, როდესაც სომეხი ქართულ სკოლაში მასწავლებლობდა. კათალიკოსმა ანტონ (I-მა),—სწერენ ავტორნი „მასალების“,—განაწევნა სკოლანი ტფილისს და თელავს ახლისა ფილასოფიითა ბაუმეტი-ტერისა... თვით წვრთიდა ტფილისს სკოლასა შინა მწაფეთა თვისთა და ასწავლა მრავალთა. ხოლო თელავს სკოლასა შინა დაადგინა სომეხთა მღვდელი ტერ-ფილიძე ყათმასაშვილი, ფრიად მეცნიერი და ფილასოფოსი, ვითარცა ძველისა მცოდნე ფილასოფოსის, ეგრეთვე ახლისაცა ფრიად გამოცდილი“ - („მასალ.“ გვ. 12) აქვე უნდა შევნიშნათ, რომ ხშირად წარჩინებული ქართველი გვარები სომეხებს უნათესავდებოდნენ (იხ. А. Цагарели—„свѣд. о помян. груз. письм.“ т. I, в. III, стр. 280 Спб. 1894 г.


სომეხთა მდგომარეობის გამოსარკვევად საქართველოში მეთვრამეტე საუკ. ზედმეტი არ იქნება ვუჩვენოთ იმაზედაც, თუ როგორ 1779 წ. მეფე ირაკლიმ „აჭყარა მრავალნი სომეხნი ერევნის სახანოდან და დასასხლად ყარაისა შინა. და ვინაიდგან მუნ ვერდარა უძღეს ჭყერისა გამო დგომა, აჭყარა და დასასხლდა ავღაბარსა შინა, ტფილისს, გორს, თელავს და სიღნაღს“ (მასალ.“ გვ. 26).

სწორედ ჩვენს სიაში ნახსენები სომეხები (ზოგიერთებზე იხ. ქვეშ თავ თავის ადგილას) წარჩინებულ გვარის ქართველებთან ერთად გადასხლდებოდნენ რუსეთში ან როგორც უკანასკნელთა მსახურნი, ანდა მახლბეული

ნათესავნი. (იხ. Цагарели—„свѣд.“... т. I, в. III, стр. 277) შესაძლებელია ისიც, რომ ზოგიერთი მათგანი, მსგავსად ზოგიერთ ქართველებისა, ძალად გადაესხლებინათ რუსეთში (ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გამოსარკვევად მეთვრამეტე ს. იხ. აკანეთვე Д. Пурцеладзе—„Грузин. дворян. грам.“ Тифл. 1881 г., მასივე—„Грузин. крестьян. грам.“ Тифл. 1882 г. და მასივე „Грузин. церк. гуд-жары“. Тифл. 1881 г. გვერდებს არ ვუჩვენებთ, ვინაიდგან საჭირო საკითხზე აღნიშნულ წიგნებში თითქმის ყოველ მეოთხე-მესუთე გვერდზე მოიძებნება ცნობები).

<sup>1)</sup> იხ. ზევით შენიშ. № 3-სა. მაშინ, როდესაც აქ ნახვენები ძმები რევაზ და პეტრე 1812 წ. რუსეთში რომდენ ფრანგების წინააღმდეგ, საქართველოში მათი ძმა კონსტანტინე მთავარმართებლის მასივზ ზაულინის მარჯვენა ხელი იყო ქართველთა შევიწროებაში. „ესე კონსტანტინე, ძე იოვანე მუხრან ბატონისა, იყო ფრიად ერთგული რუსთა და არა კეთილობისა მოსურნე სახუართა ქართულთა“—სწერენ ავტორნი „მასალების“ (იხ. „მასალ.“ გვ. 102).

<sup>2)</sup> ეს „ევსტატი“ ძალად უნდა ყოფილიყო გადასხლბეული რუსეთში (იხ. „მასალ.“ გვ. 92). გარდა „ევსტატესი“ და სჭირილონისა“, რომელნიც ჩვენს სიაშია ნახსენები (№ 12), სამამულიშვილოთაში კიდევ შემდეგ ჯავახიშვილებს მიუღიათ მონაწილეობა: სემიონ სემიონის ჯავახიშვილს, ივანე სემიონის ჯავახიშვილს და ნიკოლოზ გრიგორის ძე ჯავახიშვილს. ერთი მათგანის გენერალ-მაიორის ივანე სემიონის ჯავახიშვილის სურათი დღემდე დაცულია ზედროგრაფიო სა-



7. თავადი დავით აბი-მელიქოვი ლეიბ გუარდიის გურსკის პოლკოვნიკი <sup>1)</sup>.

8. ამისივე ძმა პეტრე. ამავე პოლკ-ში.

იმპერატორთა საზამთრო სასახლეში 1812 წლის სამამულოშიყოფილ ომში მონაწილეთა სა-ზოტრეტო გალერეაში (იხ. „Родосл. росп. рода кн. Жеваховых“ стр. 7—9). ესლანდელ „რუსის“ თავ. ჟეგანოვების შტო იწყება მეთვრამეტე საუკუნიდან შიო (სემიონ) ჯავახიშვილიდან, რომელიც 1723 წ. ვახთანგ VI-სთან ერთად გადასახლებულა რუსეთში. 1738 წელს ამ შიოსთვის რუსის მთავრობას ზოტრეტის გუბერნიაში, კობელოანის მაზრაში მიუზომავს „სთავადო წილი“ („Род. росп.“ etc. op-cit.)

„ვესტატე“ ჯავახიშვილზე ნათქვამია, რომ ის მსახურებდა „გუსრის ზოტრეტში“. სკი-როდ ვრაცხო შევნიშნოთ, რომ იმპერატორიცა ელისაბედ პეტრეს ასულმან (1751—1761 წ.წ.) ვახთანგთან ერთად რუსეთში გადასახ-ლებულ ქართველთაგან შეადგინა ცალკე „ქარ-თველთა გუსრის ზოტრეტ“ (იხ. „Россія подъ скипетромъ Романовыхъ“. —Подъ редак. проф. П. Н. Жуковича. Спб. 1912 г. стр. 225.)

<sup>1)</sup> აბი-მელიქოვები, რუსეთის ახლანდელ სომეხ თავადების აბამელეკ-ების წინაპარ-ნი, გადასახლებულან საქართველოდან რუსეთში მეთვრამეტე საუკ. (1797 წ.) მათი წინანდე-ლი გვარი აღ-ტურ-სიმონაშვილი ეოთილა. ერთ ამ ტურსიმონაშვილთაგანის ასული ელე-ნე ჭევა ცოლად საქართველოს ტახტის მემ-კვიდრეს, გიორგი VII-ს ძეს დავითს (იხ. Проф. А. А. Цагарели—, „Свѣд. о памяти. груз. письмен.“ т. I, в. III. спб. 1894 г. стр. 280—283, შეად. Цагарели—op. cit.) стр. XXXIII—XXXIV (Введение).

9. ამისივე ძმა ალექსანდრე ამავე პოლკ-ში.

10. ამავე პოლკში თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე ძე გარსევანისა. || (გვ. 300. 11. თავადი ლიანარლი არტი-რელიისა იაშვილი <sup>2)</sup>).

<sup>1)</sup> ეს ალექსანდრე ცნობილი ზოტრეტ ალექ-სანდრე ჭავჭავაძეა. მას ალექსანდრესი თავადი გარსევან ჭავჭავაძე ქართველთა ელხან იყო რუსეთის სამეფო კარზე მეთვრამეტე საუკ. დასასრულს (1783 წლიდან). ალექსანდრე დაიბადა პეტროგრადში 1784(6)წ. 1801 წ. იგი გადასახლდა თბილისში. 1804 წ. მან მონაწილეობა მიიღო კახეთს, ეგრედ წოდებულ, ალავერდობის აჯანყებაში (შუამოხეთ სურდათ მეფის (ირაკლის) ძის ფარნაოზის გამეფება). ამის გამო იგი გადასახლეს ტამ-ბოში, სადაც მან დაჭრა სამი წელი, რომლის შემდეგ კვლავ პეტროგრადში გადასახლდა და სამხედრო სამსახურში შევიდა. 1812 წელს 26 წლის თავადი მონაწილეობას დებულობს სამამულოშიყოფილ ომში. ფრანგების დამარცხე-ბის შემდეგ იგი ხელახლა საქართველოში ბრუნდება, სადაც კვლავ 1832 წ. ქართველ თავადაზნაურთა ცნობილ „შეთქმულობაში“ მიიღო მონაწილეობა („შეთქვენ ქართველნი თავადნი და აზნაურნი, რათა განდგნენ რუს-თაგან და ჭეონ მეფედ ასული თამარ მეფის ძის იულენისა, რომელიც იყო ტფილისისა შინა“ („მასაღ.“ გვ. 182), რის გამო იგი ხელახლა გადასახლებულ იქმნა „ტანბოგისა ქა-ლაქისა შინა თვისისა სახლეულობითა“ („მას.“ გვ. 183) ოთხ-ხუთ წლის შემდეგ თავადი დაბრუნეს საქართველოში. კარდაიცვალა იგი 1846 წ. ქ. თბილისში (იხ. ვრცლად А. С. Хаханашвили—, „Очерки по ист. груз. слов.“ в. IV. Москва. 1907 г. стр. 36—38—47).

<sup>2)</sup> შეიძლება ეს ის იაშვილია, რომელსაც



12. თავადი ლიანარლი სჭირიღონ ჯავახიშვილი მოკუდა ამ დროსა სნეულებითა ქალაქსა ვეგერს<sup>1)</sup>.

13. თავადი ფლორე ჩოლოყაშვილი ძე დურმიშხანისა<sup>2)</sup>.

მონაწილეობა მიუღია იმპერ. ზავსა მოკვლასში (1801 წელს). უერნად „Русский архивъ“-ში 1913 წ. სექტემბრის ნომერში მოთავსებულია: „Воспоминанія М. Леонтѣева о послѣднихъ дняхъ царствованія Императора Павла“.

სტატიაში მოთხრობილია, თუ როგორ დეპრეზადოვინმა და ზუბოვმა (მოთავენი მეფის მოკვლის) დამატროხელეს მეფე სსსსლეში და აიძულეს იგი უარი ეთქვა მეუობაზე, „НО свирѣшый генераль Юшвиль (Яшвиль) вскриваль Зулбву: „князь, полно разговаривать! теперь онъ подпишетъ все, что вы хотите, а завтра головы наши полетятъ на эшафотъ“ и съ сими словами удариль государя табакеркой въ високъ“.

სათქმელია, რომ ეს იაშვილი, მსგავსად აღ. ჭავჭავაძის (იხ. უეგით შენ. № 10-ს) რომ დანაშაული გამოესიდა რუსის მთავრობის წინაშე, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა სამამულიშვილო რში, თუ კი, რსაკვირველია, მასინ ცოცხალი იყო.

1) შეიძლება აქ იგულისხმება კოვრის გუბ. შავკლესის მაზრის სოფ. ვეგერი (Вегеры) (იხ. Энцикл. слов.—Брок.—Ефр. т. V, кн. 10 სთ. В).

2) „მს.“-ში ნიჟენებია, რომ მეფის (გორგი XII-ს) წულებს: „იოვანეს, ბაგრატს და მიხეილს, რომლებიც 1801 წ. ძალად გადასასხლეს რუსეთში, გაყვას, სხვათა შორის, „ჩოლოყაშვილი იოსებ, ცოლის ძმა მეფის ძის ბაგრატისა“ (გვ. 61) „წლარე ჩოლოყა-

14. თავადნი 2-ძმანი თარხნის ტეტის შვილები იორამ და ნიკოლოზი.

15. თავადი ამირჯიბი. ასპან ძე ქაიხოსროსი ფ'დ მამაცი ყმაწვილი. მოიკლა.

16. თავადი მაჩაბელი ბორტის შვილი თეიმურაზ<sup>1)</sup>.

17. საქართველოს სამეფოს კარის დეკანოზის ონისიმეს ძე ზაქარია გუარად იოსელიანი. ფ'დ მამაცი და სახელოვნად გამოჩენილი<sup>2)</sup>.

შეიღზე“ ჩვენ ვერავითარი ცნობა ვერ ვიპოვეთ.

ახლა რუსეთში არიან გარუსებული ჩოლოყაშვილის გვარიდან (князья Челобаевы), მაგალითად ტამბოვის გუბერნიაში. თუ როდის მათი წინაპრები გადასახლდნენ რუსეთში—განსათანგ VI-თან ერთად თუ შემდეგ—დაბეჭდით ბით ვერას ვიტყვით.

1) „მსლ.“-ში ვკითხულობთ: „1810 წ. ტომისისგან დრას შეიპყრეს რუსთა მანაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტისშვილი; მანაბელი ლუარსაბ წარგზავნეს ზერობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა ზერობილად, და შთამოართუქს თავიანთი ემა და მამული და დადგეს სახელმწიფოდ“ (გვ. 92). შეიძლება ჩვენს სიაში ნახსენები თეიმურაზ მანაბელიც ამ ბორტის მანაბელის შვილი იყო და გადასახლებულ იქმნა, ანდა თავის ნებით გადასახლდა (გაყვა მეფის ძეგს, ანდა რომელიმე თავის ნათესავ თავადს, რუსეთში გადასახლებულს) რუსეთში თავის ძმის ლუარსაბის წინედ, ანდა შემდეგ 1812 წლის მეორე ნახევარში, როდესაც, როგორც ვიცით, დაიწყო სამამულიშვილო რში.

2) ეს ზაქარია ბიძა ცნობილ ისტორიკოსის ჰლატონ ეგნატეს ძის იოსელიანისა. ზაქარია ცნობილია ქართულ ლიტერატურაში, როგორც მწერალი—მოთარგმნელი (იხ. ხელთნ. №№ 32, 293 მეფის ძის იოანეს ხელთნაწ.

18. ქართულშიშვილი ზაქარია ძე იოსებისი.

19. ლალიხანისშვილი. თელავის კარის შიოს მღვდლის შვილი იოროთე. მოკჳდა სნეულობითა <sup>1)</sup>.

20. გაბაშვილი იოსებ.

თავადი ბებუთოვი დავით ძე იოსებ მიშკარბაშისა <sup>2)</sup>.

კლექციიდან; იხ. აგრეთვე А. Цагарели — „Свѣд. о памяти груз. письм.“ т. I, в. Ш. стр. II (примѣч.); შკად. „ცხოვრებას მეფე გიორგი მეცამეტისა და საქარ. რუსეთ. შეერთებას“ — ზღ. იოსელიანისა. გამცნ. ზ. ჭიჭინაძისა. თბილ. 1895 წ. (დასაწყისი); სტატია ეპისკ. კირიონისა „Иосеііани—Плат. Игнатъевичъ“ „Правосл. богосл. энциклоп.“ — ში. изд. подъ редакц. проф. Глубоковскаго. Спб. т. VII, стр. 483—488.

<sup>1)</sup> 1801 წ. რუსეთში გადასახლებულ მეფის ძეთ — „იოვანეს, ბაკრატს და მიხეილს“ გაუფლავა სხვათა შორის, „მღვდელი დეკანოზი კარის ზაქარია ლალიხანისშვილი თელაველი“ („მასალ.“ გვ. 61). შესაძლებელია — ჩვენს სიაში ნახსენები მამა-შვილი შიო-იოროთე ამ ზაქარას მახლობელი ნათესავები იყვნენ.

<sup>2)</sup> ბებუთოვის გვარის სომხები დიდ როლს თამაშობდნენ მეფურამეტე საუკ. საქართველოს სამეფოში. ვიცით, სხვათა შორის, რომ თეიმურაზ-ირაკლის მეფობის დროს თბილისის მედიქად იყვნენ თანდათან მამა, შვილი და შვილის შვილი — იშხარ-ბეკ, ვასილი და ივანე ბებუთოვები. ჩვენს სიაში ნახსენები დავით შვილისშვილი (იოსების შვილი) უნდა იყოს ვასილისა. ვასილს ჰყვა ორი ვაჟი: ივანე და იოსები. როგორც ივანე, იოსებიც საქართველოს სამეფოს მხებულ(?) იყო. როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს. იოსებს ებოძა

თავადი ტუსიშვილი ალექსი ძე იოვანესი. კახი. || <sup>1)</sup>

(გვ. 301. 21. სიღამონი ქსნის ხეველი ჭურთელი ოსი <sup>2)</sup>).

22. ფეტვიაშვილი ეგნატე ივანეს ძე.

„ნაღვობის სოვეტიცობა“; ხალხ როცა მან დაამარცხა საქართველოს საზღვრებში შემოსული ეკევნის სარდარი ჰუსეინ კული-ხანი, იმპერატ. ალექსანდრე I-მა დააჯილდოვა იგი პალოკონიკის ჩინით. იოსებს ოთხი შვილი სამხედრო სამსახურში უფლია. მათში განსაკუთრებით ცნობილია ვასილ იოსებიძის ძე, ინფანტერიის სრული გენერალი, რომელიც ერთ დროს (1825—1829 წ.) იმერეთის მართველად იყო (იხ. ვრცლად ბებუთოვის გვარის ისტორია: „სალ. ცოდ. რუს.-ქართ. ენც. ლექს.—ივ. როსტომ. რედაქტ. წ. II, გვ. 254—255).

<sup>1)</sup> ჩვენს სიაში ნახსენები თავადები: ტუსიშვილი ალექსი ძე იოვანესი (№ 20 ბ), გაბაშვილი იოსებ (№ 20 ა), ამირეჯიბი ასპან ძე ქაიხოსროსი (№ 15), თარხნის ტეტის შვილები იორამ და ნიკოლოზ (№ 14), რომლებიც შესახებ ჩვენ ვერაფრითა ცნობები ვერ ვიპოვეთ, უეჭველია, ან თავის ნებით გაუგებდნენ რუსეთში მეფის (ირაკლის და გიორგის) ძეებს, ანდა ძალად გადასახლებულნი არიან საქართველოს რუს მთავრობის მიერ, როგორც არა სამედონი და საეკვო პირნი (შკად. „მასალ.“ გვ. 91—92, 102).

<sup>2)</sup> აქიდან დაწვეული ბოლოში (№ 21—40) ჩამოთვლილი აზნაურ-გლეხები უნდა იყვნენ ზემო ნაჩვენებ მეფის წულების და თავადების (იხ. №№ 1—20) მსახურ-მსახურები. როგორც ვიცით, მსახურ-მსახურების თავისთან უფლა-მოგზაურობის დროსაც — ჩვეულებად იყო საქართველოში (იხ. ა. ხახანაშვილი — „ბატონ-უმბა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“... თბილ. 1890 წ.);



- 23. არლუთაშვილი მოსე ძე შოშიასი.<sup>1)</sup>
- 24. გორელი თაყინაშვილი ივანე.
- 25. გორელი ზაალ ალა ჰაპაშვილი. მოკლეს.

- 26. ლეკ ჰყოფილი—მოსე მირიანისძე. მოკლეს.<sup>1)</sup>
- 27. ლეკ ჰყოფილი მოსე გაბრიელის ძე. მოკლეს.
- 28. იმერელი ლალანის ძე რომანოზ.<sup>2)</sup>

В. Н. Иваненко—„Гражд. управленіе закавказьемъ отъ присоединенія Грузіи до намѣстничества Велик. кн. Михаила Николаевича.—Истор. оч. Тифлисъ 1902 г.).

ხშირად ქართველ მეფეთა და წარჩინებულ თავად-აზნაურთა ამაღაში რსებიც მოიძებნებოდა, რომლებიც ან ტუვედ წაყვანილი იყვნენ ამის დროს, ანდა თავის ნებით გადმოსახლებულნი საქართველოში. „მასალ.“ ვკითხულობთ, რომ 1801 წ. რუსეთში გადასახლებულ მეფის ძეთა—ივანეს ბატონის და მიხეილის ამაღაში, სხვათა შორის, ერია „ისროლის ხეველი ამატურელი რსი რევაზა სუბულური“-ა (გვ. 61; შეად. *ibid.* გვ. 46, სადაც ნახვენებია „დიაკანი ხარების იოვანე რსეოფილი“, რომელიც უწამებიათ სპარსელებს 1795 წ. თბილისის აღებისას).

<sup>1)</sup> ამ გვარის სომხები ხშირად იხსენებინ საქართველოს ისტორიაში. მეთვრამეტე საუკ. დასასრულს ამ გვარიდან გაითქვა სახელი იოსებ არდუთაშვილმა, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო რუსებს კავკასიაში და ამიტომ იმპერატ. ჰავლე I-მა დააჯილდოვა იგი ძმებით და ძმის-წოდებით რუსეთის თავადობის ხარისხით და სახელწოდებით „არდუთაშვილი—მხარგრძელი“ (Аргутинскій—долгорукий) (იხ. „საღ. ცოდ. რუს.-ქარ. ენციკლექს.“—ივ. რსტ. რედ. წ. I, გვ. 146; შეად. სტატია ა. ხახანაშვილის „Иосифъ, арм. архіеписк. изъ родъ груз. князей аргутовыхъ“ . „Правосл. богослов. энциклоп.“—ში თ. VII, стр. 389; შეად. „მასალ.“ გვ. 37—38, 54).

<sup>1)</sup> №№ 26—27.—როგორც რსები, დეკებიც ხშირად ქართველებთან რმეში ტუვედ მოჰყვებოდენ ხოლმე ანდა თავის კეთილ ნებით სახლდებოდნენ საქართველოში, რომელიც მათთვის თანდათან ახალ სამშობლოდ ხდებოდა (იხ. „მასალ.“ გვ. 56—58).

<sup>2)</sup> სიაში ნახვენები იმერლები (№№ 28, 29, 32, 33, 35, 38), რაჭველი (№ 30), მეგრელი (№ 31) შირდაში იმერეთ-რაჭა-სამეგრელოდან არ უნდა იყვნენ გადასახლებულნი. ნამდვილია, იმერეთ-რაჭა-სამეგრელო შეუერთდა რუსეთს სამამულიშვილო რამიდი (იმერეთი 1810 წ., სამეგრელო 1803 წ.), მაგრამ აქიდან გადასახლებულ შირებს რუსეთში ჩვენ ვერ (ანდა მეტად იშვიათად) ვხვდებით. ჩამოთვლილი მეგრელ-იმერლები სწორედ ქართულ თავადებზე მითხრვილ დასავლეთ საქართველოს თავადების ასულების მსახურად გაყოფილი შირებია, რომლებიც ახალ თავის ბატონს რუსეთში გადასახლებისას თან გაუვებოდენ. სხვათა შორის, ვიცით, მაგალითად, რომ ქართლ-კახეთის მეფე ირაკლი II-ს (1744—1762—1798) მესამე მეუღლე დედოფალი დარეჯანი იყო სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანის ასული. ეს დარეჯანი მთავარ-მართებლის შ. ციციშვილის ბრძანებით გადასახლეს რუსეთში 1804 წ. (იხ. „მასალ.“ გვ. 68, 82; შეად. А. Цагарели—„Свѣд. о памяти. грузин. письм.“ т. I, в. III. утр. 284—286). უეჭველია, დარეჯანის მისი ძველი მხლებლები, ახალგაზრდობის მსახურნი, თან გაუვებოდნენ...

კერძოდ რაჭველებზე უნდა შევნიშნოთ კიდევ შემდეგი. 1767 წ. მეფე ირაკლიმ მთე-



- 29. ბეჟან გამყრელიძე.
- 30. სვიმონიკა რაჭველი.
- 31. მეგრელი გამსახურია.
- 32. გრიგოლ კახანაძე.
- 33. იოსებ ჩიკორის ძე.
- 34. ალა აჭრიაშვილი.—ძმა სოლომანასი<sup>1)</sup>.
- 35. ორნი ძმანი კუანჭახაძენი, ძენი ბერუასანნი.
- 36. ფანიაშვილი. ||<sup>2)</sup>

ლი წეება რაჭველ ტყვეთა, რომელიც მდ. იორის ნაპირზე წაართვა ლეკებს (რესტომი, რაჭვის ერისთავი; განუდგა სოლომონს I, იმერეთის მეფეს და მიუსია მას ოსმალები. სოლომონმა მოიწვია ლეკები და მათი შეშვებით დაიმორჩილა ურჩი ერისთავი. ლეკები ამ ომიდან „დიდძალი ალაფითა და ტყვეითა სავსენი უკუნიქნენ თვისად“, „დასახლდა კახეთს სოფელს შალაურს“ („მასალ.“ გვ. 15—16). ადგილი შესაძლებელია, რომ სიაში ნახსენებო რაჭველი ამ ტყვეებთან იყოს (იხ. „მასალ.“ გვ. 61, სადაც ნახსენებია იმერლები, რომლებიც გაუფლათ რუსეთში მეფის ძეთ—იოანე-ბაგრატ-მიხეილს).

1) ერთი ამ გვარიდან, „სომეხი ზურაბა აფრიაშვილი“, ცნობილია მით, რომ მთავარმართებლის ციციშვილის წინაშე დაბეზდა ქვრივი საქართველოს უკანასკნელ მეფის გიორგი XII-სა მარიამ (ციციშვილის ასული), რომ ის ფუძავში იზარება რუსების წინააღმდეგ ამბობების მოსახდენად. ამის გამო დედოფალი 1803 წ. გადასახლეს რუსეთში (იხ. „მასალ.“ გვ. 65).

2) ფანიაშვილები მეფის ირაკლის ძის ფარნაოზის უმები ყოფილან (იხ. А. Цагарели—„Свѣд. о памятн. груз. письм.“ т. I, в. III. стр. 277—278). უეჭველად, ჩვენს სიაში ნახსენებო ფანიაშვილი გაეგებოდა თავის ბატონს რუსეთში გადასახლებისას 1804

- გვ. 302. 37. თომა მალაქელაშვილი, რომელსაც ახლა ეწოდების გუარად შაღბაუთოვ.
- ეიზლარეჯი. 38. ხმალიძე. იმერელი ანდრია ვოგლაშვილი<sup>1)</sup>.
- 39. თულაშვილი.
- 40. ბეჟანოვი.—ზახლიძე ალექსი მოიკლა.

**ყარაბაღის სამფლობელოდამ.**

- 41. ლიანარღ მადათოვი ფედ მამაცი<sup>2)</sup>.
- 42. მელიქ ისაიაშვილი პეტრუსა.
- 43. ერევნელი ვარუჰაშვილი.

წელს, როგორც „მასხური“. „მასალ.“, გვ. 75).

1) რიცხვს 38 წინ უზის „ეიზლარეჯი“. საფიქრებელია, ამ რიცხვ ქვეშ და, შეიძლება, 39 და 41 რიცხვებ ქვეშაც ნახსენებო პირები ეიზლარიდან რუსეთში გადასახლებული ქართველები. როგორც ვიცით, ქართველები საქართველოდან რუსეთში გამგზავრების დროს გზად მოზღრა-ეიზლარში ჩერდებოდნენ. ხშირად ზოგიერთა ამაღში მეოთხი ქართველი აქ ჩნებოდა და სამუდამოდ, ასე რომ ეიზლარ-მოზღრაში ქართველთა მთელი ახალშენი არსებობდა (იხ. „მასალ.“ გვ. 11, 61; შეად. А. Хахановъ—, „Очерки по ист. груз. слов.“ в. III. стр. 276 etc.; А. Цагарели—„Свѣд. о пом. груз. письм. т. I, в. III. стр. LVIII—LVI).

2) ყარაბაგი (ახლანდელ განჯის გუბერნიის შუშის, ჯებრალიის, ჯეჟანშირის და ზანგეზურის მაზრები) მეთურამეტე სუჟ. ბოლოში (1785—7 წლიდან 1796 წლამდე) საქართველოს მეფის მართებლის ქვეშ ითვლებოდა (იხ. „მასალ.“ გვ. 33—34, 47). 1796 წ. „დიდი სიუმილისა გამო მრავალნი განჯა-ყარაბაღელნი აღიყარნენ და დასახლდენ კახეთსა და სხვაგან“ („მასალ.“ გვ. 49).



ბ. ესენი რომელნიცა აღვჰსწერენით იყვნენ სხვათა და სხვათა პოლკთა შა, რუსეთის მხედრობისათა ვა ღვარდიასა შა, ეგრეთჲს არმიათა შა, და ყოველმან ამა ძლიერთა ბრძოლათა შა გან-

ქართველ-უარაბახელოთა შორის შეთვრამეტე საუკ. სშირი მისვლა-მისვლა სუფევდა.

ჩვენს სიაში ნახსენები „დიანხრელ მადათოვი“ ცნობილი სომეხი (უარაბახელი) გენერალი ავერანე გრიგოლის ძე მადათოვი უნდა იყოს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო რუსის მთავრობას ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის ნაწილის შემოერთებაში. ამ მადათოვი „მასალები“ ავტორნი სწერენ: „სიყრმისა უამსა წარსულისა რუსეთს, ემსახურა მუნ მხედრობათა შინა... ესე იყო უმამაცესი დიანხრელი“ (იხ. „მასაღ.“ გვ. 168—169, 143; შეად. გვ. 164). იგი ერთ ხანს უარაბახის მართველად ითვლებოდა (ibid. გვ. 173).

გრძელებულთა ნ-ს თჲს დღეს დასამეფედ სახელოვნად აღმოჩნდნენ. ვა თჲს ნის ქართჲსლთა მამაცობას. რომელნიმე დაიკოდნენ და რომელნიმე მოსწყდნენ. ბ. ტყუილად ამა ბრძოლასა შა არავინ შეპყრობილ არს სიმხნითა თვისითა. საუკუნოდ ჰყოს ღთნ ჰხსენება ამათი. ამინ. მე მეფის გიორგის ძემ ბაგრატი აღვჰსწერე—რათა არა დავიწყებულ იყოს სახელნი მათნი. ||

გვ. 303. ბ. ესე რაჲცა ამა ისტორიასა შა არს მოხსენებული მე ვარ დამსწრე ამისი თვით მოსკოვსა შა. რომელიცა განვედ მე სეკდებრის 1-სა მოსკოვით და წარველ ნიჟნა ნეოგოროდის ქალაქსა შა.—ბ. მოსკოვი აღებულ იქმნა ქრან-კუტთაგან. სეკდებრის 2-სა დღესა ორშაბათსა. შდ შუადღისა.—წელსა 1812-სა. მეფის ძე ბაგრატი“.

სამ. ცომიაი.

# ბილქიშია


(გადმოკეთებული)

## I

ყველაფერი, სწორუპოვარო მკითხველო, ცვალებადია, ყველაფერი მუდამ ფორმას იცვლის, ყოველად ძლიერი ბუნება ამა თუ იმ ნივთიერებას გარდაქმნის და ყოველ წამს ახალ საგნებს აკეთებს. ეს ახალი ნივთიერებანი და საგნები ხელახლად გარდაიქმნება, ხელახლად ბუნება ცვლის მას და ასხვაფერებს. ქვეყანა მუდამუდამს შეუჩერებლად ახლდება, იცვლება. ჩვენს გარშემო ბუნებაში უცვლელი არა რა არს. რასაც ჩვენ ჩვენს გარშემო ვხედავთ, ბუნების ცვალებადობის კანონს

ექვემდებარება, მისი ყურმოჭრილი მონაა და მუდამ იგი მას ემორჩილება. ერთი სიტყვით. ყოველივე ბუნების მიერ გარდაქმნილ ნივთიერებანი დაუსრულებლად ახლდება. ამ რიგათ, ბუნებაში ნივთიერებათა ბრუნვა წარმოებს. იმ ნივთიერებიდან, რასაც ამ წამში ჩვენ ვხედავთ, ახალი ნივთიერება იქმნება, ასე ამ რიგათ, ბუნება დასაბამიდან მომდინარეობს და იგი მუდამუდამს ანგრევს და აშენებს...

ადამიანთა აზრის მისწრაფება იყო და დღესაც არის გარშემო ბუნების გაგება და შესწავლა. მას სურდა და დღესაც ისწრაფვის იგი დანამდვილებით შეესწავ-



ლა და შესწავლას ყველა ის მუდმივი ცვლილება, რაიცა ჩვენს გარშემო ბუნებაში ხდებოდა და ხდება. ბუნება დიდ საიდუმლოებას წარმოადგენს. მას ძლიერ მკიდროდ აქვს დახშული თავისი საიდუმლოების კარები. მის შესწავლას და ამ საიდუმლოების კარების გაღებას ადამიანმა დიდი ენერგია, ძალა, შრომა და ჯაფა შეაღწია. მართალია, ბუნების შესასწავლად ადამიანმა დიდი ნაბიჯი წინ გადადგა, ბევრი მისი საიდუმლოებანი აღმოაჩინა, მაგრამ ჯერ კიდევ იგი სასურველად მაინც ვერ დაიმორჩილა. იგი მას, ვგულისხმობთ, უფრო ფართედ დაიმორჩილებდა, რომ მხოლოდ მარტოდ ბუნებასთან უხდებოდეს ადამიანს ბრძოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ცხოვრებაში მარტოდ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა არ უხდება, რაც, რასაკვირველია, ფრიად აფერხებს მისს შესწავლას და ამ შესწავლის ნაყოფის სათანადო ცხოვრებაში გამოყენებას. მაგრამ მიუხედავად მრავალი სხვა და სხვა დაბრჯოლებათა ჩვენ ყოველ დღე ვტყობილობთ, რომ ბუნებისმეტყველებაში ესა თუ ის ბუნების საიდუმლოებანი აღმოაჩინეს, მას საიდუმლოების ზეწარი ახადეს, მისი მიუვალი კედლები შეანგრის და კედლებს იქით რაც ხდებოდა და ხდება ყველასათვის თვალსაჩინო და აშკარა ჰყვეს...

ჩვენს გარშემო ბუნების ცვალებადობა მეცნიერებმა სამს კათეგორიად გაყვეს: ა) ცვალებადობა, რაიცა სხეულთა შემადგენლობას არ შლის, არ ანგრევს, არ არღვევს, არის მოვლენა **ფიზიკური**, ბ) სხეულთა შინაგანი შედგენილობის დამრღვევი ცვლილება—**ქიმიური**, და გ) სიცოცხლისთან შეკავშირებული ცვალებადობა არის—**ბიოლოგიური**.

ზემონათქვამის წესით მეცნიერება არ

განვითარებულა—იგი პრაქტიკულმა ცხოვრებამ ააღორძინა; ცხოვრებისათვის საჭირო შეიქნა წამლები, სხვა და სხვა საღებავები, სასარგებლო და სახმარი ლითონები, მადნები და სხვა მისთანანი. და აი ამ მოთხოვნილებამ გაზარდა და წინ წასწია მეცნიერება ქიმია, რომლის შემწეობით ჩვენ ვარკვევთ ამა თუ იმ სასარგებლო ნივთიერებათ. სიცოცხლის მეცნიერება—ბიოლოგია-კი განავითარა ექიმობამ, რომლისთვისაც პრაქტიკული მიზნით საჭირო შეიქმნა გარემოცულთ ცხოველთა და მცენარეთა სამეფოს გაგება. ეს ორი მეცნიერება—ქიმია და ბიოლოგია—აღორძინებისათანავე ერთი-მეორეს მკიდროდ დაუკავშირდენ. ექიმობის მოთხოვნილებამ გამოიწვია ნივთიერებათა შემადგენელი ნაწილების ცოდნის საჭიროება. ლავუაზეს აღმოჩენამ სიცოცხლის საიდუმლოებას—სულთქმას—ფარდა ახადდა. მჟავბადის ( $O-16_8$ ) და ნახშირმჟავას ( $CO_2$ ) აღმოჩენამ ცხადჰყო, ადამიანისათვის თუ რატომ არის საჭირო ჰაერი; ამასთანავე სულთქმათა და წვათა საიდუმლოებით მოცული პროცესისი ერთიმეორეს დაუახლოა.

რამდენადაც ეს ორი მეცნიერება განვითარდა და მათი მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, იმდენად ისინი, როგორც ვსთქვით, ერთი მეორეს უფრო და უფრო მკიდროდ შეუკავშირდენ. ამ მეცნიერებათა განვითარებამ აღმოაჩინა და დაბეჯითებით გამოარკვია, რომცხოველთა და ადამიანთა სხეულის შემადგენელ ნაწილებში შედის ბევრი ისეთი ლითონთა ნივთიერებანი, რაიცა არაფრით არ განსხვავდება ბუნებაში ნახული ნივთიერებათაგან. ჯერ მეცნიერთათვის გამოირკვა და შემდგენი ყველასათვის, რომ საზოგადოთ ცოცხალ



ორგანიზმთა სხეული შესდგება იმავე ელემენტებიდან, რაიცა მკვდარი ბუნების ნაწილებშიაც მოიპოვება. ამ ელემენტთა რიცხვი ფრიად შეზღუდულია—**ნახშირბადი** (C.—12,0), **აზოტი** (N.—14,04), **მჟავბადი** (O.—16,0) **წყალბადი** (H.—1,007), **ფოსფორი** (P.—31,03) და **გოგირდი** (S.—32,06) ამასთანავე რამდენიმე ლითონი მარილების სახით,—აი ძირითადი მასალა აუარებელ ორგანიული შეერთებისა, რისგანაც ერთდება სისხლი, ტვინი, ცხოველთა სახსრები (мышцы), მცენარეთა ფესოები, ფოთლები და ნაყოფი...

როგორც მოგეხსენებათ, ქიმიკოსებისა და ბიოლოგების ცდამ და დაკვირვებამ მეცნიერება **ფიზიოლოგია** ძლიერ წინ წასწია და ზღაპრულად გაავითარა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. დიდი ხნის დაკვირვებამ და ცდამ ჩვენ უდაურათ დაგვარწმუნა, რომ **სიცოცხლის პროცესი, რაიცა ორგანიზმში ხდება და განუწყვეტლივ წარმოებს, ქიმიური პროცესისა და მეტი არაფერი.** მცენარეებში გაზთა გაცვლა-გამოცვლა, ნიადაგის აზოტის მათ მიერ მოხმარა, მჟავბადის შთანთქმა, ცხოველთა ორგანიზმში დაჟანგვის (Окисление) პროცესი, მათ წელებში საჭმლის რთული დამუშავება და ის მრავალი გარდაქმნანი, რასაც იქ საჭმელი განიცდის,— ყველა ეს, რასაკვირველია, ძლიერ გადახლართული და ჯერ კიდევ სავსებით გამოურკვეველი პროცესები თავისთავად ქიმიურია. ბევრ ამ პროცესსთავანის, მაგალ., საჭმლის მონელება, ხელოვნურად გამოწვევა შეიძლება პრობირკებში\*) და

\*) **პრობირკა**, ან პრობირის ცილინდრი, არის ცილინდრი ძნელ გასადნობ შუშიდან გაკეთებული, მას სმარობენ ლაბორატორიებში

კოლებში\*). ქიმიურ ლაბორატორიაშიაც ეს პროცესი ისე უცვლელად მოხდება და იწარმოებს, როგორც ცოცხალ ორგანიზმში. ამას აწინდელ მეცნიერთა დაულალავი შრომა კაცობრიობის საკეთილდღეოთ და მათი მრავალი ცდა ამოწმებს. ეს უდაური ქეშმარიტებაა და ჩვენში ეჭვებს არ ჰბადებს. არც ისაა საეჭვო და სადაო, რომ ცოცხალ ორგანიზმში ქიმიური პროცესი ხდება. მაგრამ მეცნიერები დიდხანს ფიქრობდენ, რომ ცოცხალ ორგანიზმის ქიმიური პროცესისა და ლაბორატორიების კოლებში და პრობირკებში ხელოვნურად გამოწვეულ მზგავსს პროცესს შორის პრინციპიალური განსხვავებააო. ხელოვნურად შექმნა იმ ნივთიერებათა, რისგანაც ცოცხალი ორგანიზმი ერთდება და შენდება, წინეთ ფიქრობდენ, მიუწდომელი ოცნებაა, ზღაპრული ამბავია და მეტი არაფერიო. მაგრამ, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ დასაკვებამდე ქიმიამ ეს ყალბი და შემცდარი შეხედულობა გააბათილა და სამუდამოთ გააქარწყლა.

1828 წ. გერმანელმა ქიმიკოსმა ველერმა\* გააკეთა სინტეტიური ნივთიერება, რაიცა ცოცხალ ორგანიზმიდან ნორმალურად მიიღება ხოლმე. ეს ნივთიერება ძუძუმწოვართა შარდის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. ველერის ამ აღმოჩენას ფრიად დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა ჰქონდა. აშკარა გახდა, რომ ორგანიული და არაორგანიული შეერთებანი წარმოსდგება ერთგვარივე ქიმიური ატომთა და მოლეკულთა შეერთებით. მაგრამ ერთად ერთი განსხვავება მხოლოდ

განსაკუთრებით სხვა და სხვა რეაქციის დროს.

\*) **კოლბა** არის შუშის ჭურჭელი, რასაც ქიმიურ ლაბორატორიაში სმარობენ.

შენობათა ნაწილების სირთულეშია. ვე-  
ლერის საყურადღებო აღმოჩენამ სინტე-  
ტიური ქიმია სწრაფად წინ წასწია. მან  
დიდი სამსახური გაუწია ორგანიული შე-  
ერთების ხელოვნურად გაკეთებას ამ ჟა-  
მად, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არის  
ისეთი ქიმიური ნივთიერებათა ჯგუფი,  
რომ ხელოვნურად არ მომზადდეს და გა-  
კეთდეს.

დაახლოებით ამ უკანასკნელი თხუთმე-  
ტიოდე წლის წინეთ სიცოცხლისა და  
მისი პროცესების ცოდნა უფრო გაღრ-  
მავდა, ვიდრე ეს წინეთ იყო. ამას თან  
მოჰყვა ამ ორი დისციპლინის—ქიმიისა და  
ბიოლოგიის—ურთიერთშორის ძლიერ  
მტკიცე შეკავშირება. ექსპერიმენტალურ-  
მა გამოკვლევამ, ერთი მხრით, დაგვიმ-  
ტკიცა, რომ განვითარება და თვით ორ-  
განიზმთა სიცოცხლე დამოკიდებულია  
გარემოცული წრის ქიმიზმზე. მეორე  
მხრით, უჯრედთა ცხოვრების და ცოც-  
ხალ ნივთიერებათა პროტოპლაზმის შე-  
ნებულების გაგებამ გამოარკვია, ამ მიკ-  
როსკოპიულ პაწაწა ცხოველთა ცხოვრე-  
ბის ძირითადი მოვლენანი დამოკიდებუ-  
ლია ფიზიკო-ქიმიურ პროცესზე.

ბუნებისმეტყველების ნაწილი მეცნიე-  
რება „ფიზიოლოგიური ქიმია“ სწავლუ-  
ლობს და იკვლევს ქიმიურ შეერთებას,  
რის დასაწყისი ორგანიზმებშია. იგი დღი-  
თი დღე ვითარდება, უფრო და უფრო  
რთულდება და „ბიოქიმიით“ იქმნება.  
ეს მეცნიერება ფრიად საინტერესო და  
საყურადღებოა, იმის საფუძვლის ცოდნა,  
შესწავლა ცხოვრებაში უაღრესად გამო-  
სადგვია, მაგრამ მაგარი ისაა, რომ იგი  
მოითხოვს სპეციალურ ქიმიურ მომზადე-  
ბას, რაიცა დღევანდელ ღუბჭირ ცხოვ-  
რების პირობებში უმრავლესობისათვის  
ხელმისაწვდომი ვერ არის. ჩვენ მხოლოდ

გვსურს ამ წერილებით მკითხველთა მოკ-  
ლედ გავაცნოთ უკანასკნელ ხანებში  
„ბიოქიმიის“ აღმოჩენანი...

მზის სინათლე არის უმთავრესი წყარო  
სიცოცხლისა. დედამიწაზედ სიცოცხლეს  
ეს სინათლე ანიჭებს, იგი რომ ცხოველ-  
მყოფელია—დიდი ხანია შენიშნულია და  
ყველასათვის ცხადთა-უცხადესია. დიადი  
მნათობი—მზე—გაჯახირებულ დედამიწა-  
ზე გზავნის სხივების სახით მცირე ნაწილს  
ვეებერთელა ენერგიისას, რაიცა ქიმიური  
პროცესით ღორძინდება მის გარეგან  
ნაწილებში, ანუ როგორც ეძახიან, ფო-  
ტოსფერაში. დედამიწაზე გამოგზავნილ  
მზის ენერგიას იჭერს, ითვისებს და ამუ-  
შავებს მცენარეები. ამ მწვანე ლაბორა-  
ტორიის ფოთლებში მზის სხივების გავ-  
ლენით ხდება შეერთების საიდუმლო პრო-  
ცესი წყლისა, ატმოსფერის გაზებისა  
(მჟავბადისა და ნახშირმჟავისა) და მარი-  
ლებისა, რაც ნიადაგიდან ფესოების სა-  
შუალებით ამოაქვს მცენარეებს, მათ ცო-  
ცხალ ნივთიერებაში ხდება სინტეზი შაქ-  
რისა, კრახმალისა, პროტოპლაზმის ცი-  
ლიანი (ნუქლეობი) შეერთება და სხვა.  
მცენარეთა ეს შემოქმედება არის დედა-  
მიწაზე ერთადერთი საფუძველი სიცოც-  
ხლისა!..

მცენარეთა მწვანე ფოთლებში დამუშა-  
ვებული რთული შეერთება უბრალო შე-  
მადგენელ ნაწილებათ ირღვევა და იშ-  
ლება. ამას არღვევს მცენარეები, რომელ-  
თაც არ აქვს მწვანე ნივთიერება, ქლო-  
როფილი. ასევე მოქმედებს ყველა ცხო-  
ველებიც. ჩვენ აღამიანებიც ცხოველ-  
თა სამეფოს ვეკუთვნით, უქლოროფი-  
ლო მცენარეების და ცხოველების როლს  
ვასრულებთ, პირდაპირ თუ არა პირდა-  
პირ მწვანე მცენარეთა ფოთლებში დამუშა-



შავებულ ნივთიერებას ყოველდღე და წამში შემადგენელ ნაწილებათ ვშლით და ვარღვევთ. ვიცო, გვეტყვიან, რომ არიან მტაცებელნი ცხოველნი, რომლებიც არასოდეს მცენარეებით არ იკვებებიან, მაშასადამე, ისინი მცენარეთა და სახელებულ ნივთიერებას ვერ არღვევენ და ვერ შლიანო. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს მტაცებლებიც უქლოროფილო ცხოველთა და მცენარეთა მზგავსად მოქმედებენ, ვინაიდან იტაცებენ და მიირთმევენ ცხოველებს, რომლებიც მცენარეებით იკვებებიან...

მწვანე მცენარეთა სამეფოში საკვირველი სინტეზი \*) დიდხანია მეცნიერებმა იციან. მათთვის აშკარაა, რომ ამ მოქმედების უმთავრესი მონაწილე ქლოროფილია. დიან, მკითხველო, დღეს უდაურ ჰემოზინტებს წარმოადგენს, რომ ამ ჰემოზინტად საკვირველ საქმეს აკეთებს ფოთოლთა მწვანე ნივთიერება—ქლოროფილი,—რაცა უჯრედის პროტოპლაზმაში არის მიკროსკოპიული მარცვლების სახით. ოთხმოციან წლებში აღმოაჩინეს, რომ თავისი თვისებით და ქიმიური შენებულებით (строение) ქლოროფილი ძლიერ უახლოვდება მეტყველთა სისხლის წითელ საღებავ ნივთიერებას—ჰემოგლობინს. მაგრამ მისი მოქმედება კი სულ სხვაა: ჰემოგლობინი მჟავადს და ნახშირმჟავას დროებით უერთდება, თითქოს იგი ამ გაზებით იტვირთება, აძლევს მჟავადს სხეულთა ქსოვილებს, ნახშირმჟავას—კი გარეშე წრეს, ამ დროს ქლოროფილის

\*) სინტეზი ქიმიური—რთული ქიმიური სხეულის შედგენა უფრო უბრალო ნივთიერებიდან, რაცა მისი შემადგენელია.—მაგად., წყაბადის და მჟავადის შეერთებით წყლის (H<sub>2</sub>O) მიღება.

როლი ბევრად რთულია. იგი, ქლოროფილის როლი ბევრად რთულია იგი, ქლოროფილი, სინათლის მონაწილეობით ჰაერის ნახშირმჟავას ანაწილებს მჟავადად და ნახშირბადად; ამ ნახშირბადიდან და წყლიდან ნასესხები წყალბადიდან აშენებს პირველ ყოვლისა შაქარს და სახამებელს, ეს ნივთიერებანი მცენარეთა ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს. ამ სინტეზის შედეგია, რომ ტყეში ადამიანთა ფილტვები მსუბუქად და სასიამოვნოდ სუნთქავს. ტყის ჰაერი მჟავადით არის გაყენთილი და იგი იქ ხანდისხან ოზონის \*) სახითაც მოიპოვება.

ყველა ზემო ნათქვამი დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდის ნახშირმჟავიდან ასეთი სინტეზის გაკეთება კი არავინ იცოდა, ეს მხოლოდ ბუნების საიდუმლოება იყო. შაქარი, სახამებელი და სხვა თუმცაღა შესდგება ნახშირბადიდან, მაგრამ ამ ნივთიერებათ მაინც აქვს გვარიანი რთული ნაწილები, მოლეკული, ვიდრე ნახშირმჟავეს და წყალს. ეს ნივთიერებათა ნაწილები უეცრად არ კეთდება, არამედ იგი გაივლის ხოლმე რამდენსამე ინსტანციას. შემდეგ კი შენდება რთული შენობა. გერმანელმა ქიმიკოსმა მაიერმა ოციოდე წლის წინეთ სთქვა: შესაძლებელია ქლოროფილი ნახშირმჟა-

\*) ოზონი—მრავალჯერ (ზოდიმერულათ) სახეუცვლილი მჟავადაა. ჩვენ მისი მიღება შეგვიძლიან ამ გაზის ელექტრიზაციით. უბრალო მჟავადიდან განსხვავდება ძლიერი, თავისებური სუნით, ჩვეულებრივ ტემპერატურაში ენერგიულად უერთდება მრავალ სხეულს, მხოლოდ უმადლეს ტემპერატურაში იყანგება. ტექსნიკაში საღებავი ნივთიერების დასარდევით ხმარობენ. 1840 წ. შენბეინმა აღმოაჩინა იგი.

ვს პირველად ჰყოფს ნახშირბადის ჟანგათ (CO) და მჟავბადათ, შემდეგ კი წყლის წყალბადათ, მის მჟავბადს ქლოროფილის გავლენით შორდება და უერთდება ნახშირბადის ჟანგს (ეს გაზი საწამლაია) და იძლევა **ფორმალდეჟიდს**, რის ნაწილიც, ექვსჯერ გამეორებული, შაქარს ჰქმნის.\*) თუ ჩვენ მოვიგონებთ, რა არის **ფორმალდეჟიდი**, ზემორე მოყვანილი ბაიერის გიპოტეზა საკვირველება იქმნება. **ფორმალდეჟიდი** ის გაზია, რის შემწეობით **დეზინფექციას** ახდენენ. ამ გაზს წყალში განზავებულს **ფორმალინათ** იცნობს საზოგადოება. მათდა სამწუხაროდ ვინც-კი ფორმალინს ერთხელადაც მაინც გაცნობია, იგი მას დიდხანს ვერ დაივიწყებს. მისი მწვავე სუნი სულთქმას აჩერებს; თვალეზი იცრემლეება და ძლიერ სურდოს იწვევს; იგი საწამლავს, ყოველივე ცოცხალ არსებას ჰკლავს და სიცოცხლეს ასალმებს.—აი ასეთ მის თვისებაზეა დამყარებული მისი დეზინფექციური მნიშვნელობა და ძალა.

ლითონი მაგნის მოქმედებით ფორმალდეჟიდი შაქრად აქციეს. ქიმიკოსმა ვილშტეტერმა (შვეიცარია) დაგვიმტკიცა, ეს ლითონი ყოველთვის ქლოროფილშიაო. ამასთანავე პროფესორი სტოკლანზას ცდამ დაგვარწმუნა, სინათლის ულტრა-იისფერი სხივის გავლენით ნახშირმჟავა და წყალბადი ფორმალდეგადათ შეერთდება და თუ **პატასის (Kalium)** შეერთება არსებობს მაშინაც ფორმალდეჟიდი შაქრად გარდაიქმნება. მაშასადამე, ლაბორატორიის პრობირკებში და კოლბებში, შეიძლება ვიფიქროთ, მოსახერხებელი ყოფილა გა-

მოწვევა იმ პროცესისა, რაიცა მცენარეთა მწვანე ფოთლებში ხდება!..

რადგანაც გაზი ფორმალდეჟიდი საწამლაია, ერთი ჯგუფი მეცნიერებისა ამტკიცებდენ, რომ იგი მცენარეთათვის მავნებელიაო. მაგრამ ეს აზრი გრაფემ გააბათილა. მან დაამტკიცა, რომ გაზის სახით ფორმალდეჟიდი მცენარეთათვის არა თუ მავნებელია, არამედ საზრდოობის წყაროაო. ფორმალდეჟიდის ატმოსფეროში აღმოცენებული მწვანე მცენარეები ნახშირმჟავას მაგივრად ხმარობენ მას. ე. ი. ფორმალდეჟიდს.

ასე აღორძინდა ეგრეთ წოდებული **ფორმალდეჟიდის თეორია**. ამ თეორიის სინამდვილეს ბევრი საბუთები ადასტურებდა. მაგრამ მოგეხსენებათ, ადამიანთა მეცნიერული აზრი ერთს წერტილზე არ ჩერდება, არ იყინება, და აი მეცნიერულმა კრიტიკამ დასახელებული თეორიის საწინააღმდეგოთ დასაბუთებული აზრი წარმოსთქვა: ანგარიშმა ცხადჰყო, რომ სინათლის შემწეობით ნახშირმჟავას ფორმალდეჟიდათ გარდაქმნა და შემდეგ კი ამ უკანასკნელის უფრო რთული ნივთიერებათ — დამოკიდებულია დიდძალი ენერჯიის დახარჯვაზე. ამას ფაქტები ამოწმებს, ამიტომ საეჭვოა, გრაფეს მტკიცების მიუხედავთ, ბუნებას ეს მძიმე და მიხვეულმობხვეული გზა აერჩიოს. ხელოვნურად ფორმალდეჟიდიდან რთული ნივთიერების მიღება პირდაპირ კიდევ ვერ ამტკიცებს, რომ ეს პროცესი ნორმალურ პირობებშიაც ხდება!.. მეცნიერებმა ამ უკანასკნელ ხანებში მეორე თეორია წამოაყენეს. გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მცენარეთა უჯრედში ხშირად და დამოუკიდებლად ჩვენ ვხვდებით **ჰიანქვლის სიმჟავეს** \*).

\*) ფორმალდეჟიდის ქიმიური ფორმულა ასეთია:  $H_2CO=CO$  (ნახშირბადის ჟანგი) +  $H_2$  (წყალბადი);  $6 H_2CO=H_{12}C_6O_6$  (ყურძნის შაქარი).

\*) ამ სიმჟავის ქიმიური ფორმულა ასეთია:  $H_4CO_2$ .



ასეთი ქიმიური პროცესის მსვლელობა მცენარეებში დიდხანსა გვამცნო ერლენ-მეიერმა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი იყო, ნახშირმჟავას გაზიდან ჰიანჰვლის სიმჟავის აღორძინება—წარმოშობა, ვინაიდან ამის მისაღებათ ლაბორატორიის პირობებში დიდი ენერჯია იყო საჭირო,— ამისათვის, მაგ., საჭიროა სუფთა ლითონი, პატასის (Kalium) მონაწილეობა, ან კიდევ ელექტრონთა ძლიერი აპპარატების მოქმედება. რაიმე კატალიზატორის მონაწილეობით, ე. ი. იმ ნივთიერების, რაიცა ქიმიურ პროცესში დამოუკიდებელ მონაწილეობას არ ღებულობს, სრულიადაც ამ დროს არ იცვლება, მაგრამ პროცესს კი ეხმარება და აჩქარებს, და წყალბადის მოქმედებით ნახშირმჟავას მარილებიდან ჰიანჰვლის სიმჟავის მარილების მიღება მოსახერხებელია. ასეთ შემთხვევაში ეგრეთ წოდებულ კატალიტურ ძალას წარმოადგენს პლატინის ჯგუფის ერთ ერთი ლითონთაგანი. კატალიზის საშუალებით ამ უკანასკნელ დროს მიიღეს ბევრი ისეთი სინტეზი, რის შესახებ წინეთ არავინ ფიქრობდა. მას დღეს თეორიულ და პრაქტიკულ ქიმიაში ძლიერ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს \*). ამჟამად, მკითხველი შეგვნიშნავს, მცენარეთა ფოთლებში პლატინთა ლითონების არსებობა წარმოუდგენელი ზღაპარია. ასეთი შენიშვნა, რასაკვირველია, სიმართლეს მოკლებული არაა, მაგრამ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ორგანულ ქვეყანაში კატალიზატორთა როლს ასრულებს ეგრეთ წოდებული ფერმენტები \*).


ვისაც კატალიზის მოფლენა აინტერესებს გურნევთ წაიკითხონ პრფესორი ვ. ი. ანატიევის წიგნი „Химическія явленія въ природѣ. Явленія катализа“.

ეს რთული შეერთება ფრიად მკაცრად გვარჯობს, ბიოქიმიურ რეაქციაში დიდ მნიშვნელოვანია და მისი ქიმიური შედგენილობა ჯერ კიდევ ვერ არის გამოკვლეული. ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმში მრავალი გარდაქმნანი ფერმენტებით არის გამოწვეული. დულილთა ყველა მოვლენა, შაქრის სახამებლად გარდაქმნა და პირიქით, სახამებლის შაქრათ, ცხოველთა საჭმლის სხვა და სხვა ნაწილებათ გახრწნა—ყველა ეს ფერმენტთა შრომაა. ამ საოცარი შეერთებათა განსაკუთრებული თვისებაა, სხვათა შორის, რომ იგი ძლიერი ენერჯიით მოქმედებს და ამავე დროს მისი შედგენილობა არ იცვლება. სულ პაწაწინა ფერმენტის ნაწილს შეუძლია დიდძალი ნივთიერების გარდაქმნა. მაშ, საგულისხმოა, მწვანე მცენარეთა ფოთლებში ფერმენტთა (რაიცა ქლოროფილშია) გავლენით ნახშირმჟავას ჰიანჰვლის სიმჟავით გარდაქმნა; ამ რეაქციისათვის საჭირო წყალბადის მიღება, შეიძლება, ვიფიქროთ, სინათლის სხივის წყალზე გავლენით ხდება. გამოჩენილმა მეცნიერებმა ბერტელომ, კოენმა და სხვებმაც დაამტკიცეს, რომ მზის სინათლეში საკმაოდ არსებულ ულტრა—იისფერი სხივების გავლენით წყლიდან შეიძლება მიღება ამაფეთქებელი გაზის \*\*). ე. ი., მჟავ-

\*) ფერმენტი—ფრგანიული ნივთიერებაა. იგი სხვა ნივთიერებათა დუდილს, სიღამპლეს და სხვ. იწვევს, ამავე დროს თვითონ არ იხრწნება: განსაკუთრებული მოქმედებს, სინცივეში კი ვერ მოქმედებს, სითბო მას აცოცხლებს, სინცივე კი ჰკლავს; ქლორო, კარბოლის სიმჟავე მას შლის და ახრწვეს.

\*\*) ამაფეთქებელი გაზი არის ერთად არეული ორი ტანი (ბუნემუ) წყალბადი და ერთი ტანი მჟავაბადი. თუ ძლიერ განხრწვეს





ბადის და წყალბადის ნარევის. რასაკვირ-  
ველია, სწორუბოვარო მკითხველო, ბუ-  
ნების საიდუმლოების რთული კითხვა  
ამით ვერ გვირგვინდება, მაგრამ, აშკარაა,  
კითხვის გადასაჭრელათ ქიმიამ ამ უკანას-  
კნელ ხანებში ბუნების დახშულ კარებს  
გასაღები მოარგო, მისს საიდუმლოებას,  
ასე თუ ისე, ცოტაოდნათ ფარდა ახადა,  
იმედია, მისს კარებს იგი მალე შეაღებს  
და მომავალში ყველასათვის თვალსაჩინო  
იქნება, რაც იქ ხდება. დიახ, შორს არაა  
დრო, რომ, მეცნიერთა დაულალავი შრო-  
მით, ჩვენ გვეცოდინება მიზეზები, თუ  
როგორ გარდაიქმნება ეს ძლიერ უბრა-  
ლო შეერთება, ნახშირმჟავასა და წყლი-  
სა, რთულ შეერთებათ. ამ კითხვის გა-  
დაჭრა მოახლოებულა, მაგრამ მეორე არა  
ნაკლები საინტერესო კითხვა კი ჯერ-ჯე-  
რობით ფრიად დახლართულია. მეცნიერ-  
თათვის დიდ თვისამტვრევ კითხვას წარ-  
მოადგენს დღეს, თუ როგორ და რა მი-  
ზეზებით წარმოიშობა მცენარეებში სი-  
ცოცხლის უმთავრესი მატარებელი ნივ-  
თიერება—**ცილა**, რისგანაც უჯრედთა  
პროტოპლაზმაში შესდგება. ჩვენ ვიცით,  
რომ მის შემადგენელ ნაწილებში შედის  
აზოტი, რასაც მცენარეები ფესოების სა-  
შუალებით ნიადაგიდან ითვისებენ აზო-  
ტისა და ამონიაკის მარილების სახით.  
ამ მეტად უბრალო ნაწილებიდან, როგორ  
შენდება და ღორძინდება რთული და ვეე-  
ბერთელა ნაწილი ცილა—ეს კი ჩვენთვის  
ცხრა კლიტულშია, თუ შეიძლება ასე  
ვსთქვათ. მაგრამ ამ საიდუმლოების გასა-  
ღებიც ნახულია და ეს,—კი, უნდა ვიგუ-  
ლისხმოთ, ფერმენტთა მონაწილეობაა!..

II

მწვანე მცენარეები ცოცხალი ნივთიე-  
რების და სიცოცხლის შემქმნელია. მცე-  
ნარეთა ფოთლებში მეტად რთული ქი-  
მიური შენობა შენდება. ფრიად გახლარ-  
თული სინტეტიური მეთოდით. ცხოვე-  
ლები და სოკოები ამ რთულ შენობას  
ანგრევენ და თავიანთ სიცოცხლეს ამ  
ნანგრევებზე ამყარებენ და აშენებენ. ცხო-  
ველები რთულ ნივთიერებას ხელახლა  
გარდაქმნიან უბრალო ნაწილებათ—ნახ-  
შირმჟავათ და წყლათ. მცენარეთა ცი-  
ლიანი ნივთიერებანი ცხოველთა სისხლ-  
ხორცად გარდაიქმნება; ორგანიზმში ამ  
ნივთიერებათა ეგრეთ წოდებული „ასსი-  
მილიზაცია“ ჰხდება და სულ სხვა ცილათ  
გარდაიქმნება იგი. ეს მოვლენანი ადამიან-  
მა დიდხანია იცის, მაგრამ ცილას გახრ-  
წნა (разложение) და მისი ქიმიური მექა-  
ნიზმი კი დღემდის საიდუმლოებას წარ-  
მოადგენდა და გამოურკვეველი იყო. ეს  
გამოურკვეველი საიდუმლოება დღეს გერ-  
მანელმა პროფესორმა აბდერგალდენმა  
გამოარკვია. ამის გამოსარკვევად ფიზიო-  
ლოგ აბდერგალდენს, მართალია, გზა  
გაუკაფა მისმა თანამემამულე ქიმიკსმა  
ემილ ფიშერმა, გოფმეისტერმა, ფიშერმა  
და მათთან სხვებმაც გვამცნეს და აგვიხ-  
სნეს ორგანიზმების ამ რთულ შეერთების  
შედგენილობა.

**ცილა არის**, ბატონებო, **სიცოცხლის  
უმთავრესი საფუძველი**; მას აქვს ძლიერ  
რთული და ვეებერთელა ნაწილი—  
მოლეკული. მისი ნაწილის (მოლეკუ-  
ლის) წარმოდგენა ჩვენ ასეთი გვაქვს:  
მრავალი ცალ-ცალკე უფრო უბრალო  
შენებულების ნაწილებიდან შესდგება იგი.  
მთელად აღებული კი წარმოადგენს ერთს  
დიდს მეტად რთულს, ურიცხვათ გადა-

ლი სხეულით ან ელექტრონის ნაპერწკლებით  
ერთად აჩუქდეს ამ ორ გაზს შეკვებისით, იგი  
აინთება, აფეთქდება და წყალი წარმოიშობა.



ხლართულ შენობას. ამ შენობის ნაწილები დაშლა, დაცალკევება, როგორც ქიმიკოსმა ფიშერმა დამტკიცა, ხელოვნურად შესაძლებელია. ამ მისს შემადგენელ ნაწილებს მეცნიერები უწოდებენ **ამინოსიმჟავებს (аминогислоты)**. ეს ამინები, სხვათა შორის, არის ცილიანი ნივთიერებათა გახრწნის ნაყოფი. ორგანიზმები ამ ნაყოფს სიცოცხლეშიაც და სიკვდილის შემდეგაც იძლევა. მკვდარი ორგანიზმის ამინები იწოდება **პრომაინებათ**. ამინების უმდაბლესი წარმომადგენლები უფერული გაზებია, რაიცა იწვის და წყალში ადვილათ განზავდება. უმაღლესი შედგენილობის ამინები მაგარია და წყალში არ განზავდება (**нерастворимы**), სუნი არა აქვს; გაზისა და სითხის მზავეს ამინებს თავისებური სუნი აქვს (მოხარშული კიბოს). ასეთია დაახლოებით ფიზიკური თვისებებ ამინების, ქიმიურ თვისების შესახებ აქ არას ვიტყვით, ვინაიდან შორს წაგვიყვანს. ცილაში ამინოსიმჟავების რიცხვი ორი-სამიდან ათი და მეტია; ჯერჯერობით მათი რიცხვი ოცს უდრის.

ამინოსიმჟავენი უბრალო შეერთებაა. მათი უმრავლესობა ხელოვნურად მიიღეს. ამინორმჟავეთა შეერთებით **უბრალო ცილა** სინტეტიურათ მოამზადეს. მაშასადამე, ცილათა სინტეზის კითხვა ამით გადაწყდა და გამარჯვებაც დაგვირგვინდა. მაგრამ მეცნიერული კითხვების გადაჭრის დროს ხშირად ხდება მარცხი და აქაც მარცხი მოხდა. ხელოვნურად უბრალო ცილას მომზადებამ, როგორც გამოირკვა, ეს ფრიად რთული კითხვა ვერ გადაჭრა და დაგვირგვინა. აღმოჩნდა, რამდენათ რთულია ცილა, იმდენათ ძნელია მისი მიღება ამინოსიმჟავეთა კომბინაციით, მისი სინტეზი ფრიად რთულ ოპერაციას ითხოვს. პრაქტიკული მიზნისათვის ხელოვნურად ცილას მიღება მოუხერხებელი შეიქნა. როცა უბრალო ცილა ხელოვნურად მომზადდა, ზოგიერთები იმედებით აღივსენ და განიზრახეს ხელოვნურად საკმლის მომზადება, მაგრამ იმედები არ გამართლდა... რომ ამინოსიმჟავებიდან ხელოვნურად მომზადდეს საზრდოს რთული ცილა, პრაქტიკულად მაინც მისი გამოყენება სიძვირის გამო მოუხერხებელი იქნება. ეს ხელოვნური ცილა ასჯერ მაინც უძვირესი იქნება ბუნებრივ ცილაზე. მაშ, ხელოვნური საზრდოთი საზრდოობა შეეძლება მხოლოდ და მხოლოდ მილლიონერებს და მილლიარდერებს, უმრავლესობა კი ამით ვერ ისარგებლებს და ამიტომაც მომავალი კაცობრიობის ხელოვნურად გამოკვება ზღაპარი და ოცნებაა. ცილის შენებულების აღმოჩენას, შეიძლება ითქვას, პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ მას კი დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს...

აღამიანთა და ცხოველთა წილები საკმელს ამუშავებს. ამას ასრულებს საკმლის მოსაწვლელი ორგანოები. ერთი მათგანი, შეიძლება ითქვას, საკმელს ფქვავს, მეორე — ქიმიურად ამუშავებს, რომ წილების უჯრედებმა ადვილად შეითვისოს და მიიღოს. ამ დროს საკმელზე მოქმედებს სხვა და სხვა ფერმენტები. ნერწყვი, რაიცა **დიასტაზს** \*) შეიცავს, სახამებელს შაქრად აქცევს და ამ განუზავებელ ნივთიერებას ადვილ განსაზავებელ შაქრად გარდაქმნის. თირკმელთა ნაღველი ქონს ეგრედ წოდებულ ემულზიით (რძის მზავსი) აქცევს და ადვილ შესათვისებლად ხდის. სტომა-

\*) **დიასტაზი**, ნივთიერებაა, რაიცა სხსამებულს დექსტრინად (ქვის მზავსი სხეული) და შაქრად აქცევს. ეს ნივთიერება, სხვათა შორის, ნერწყვში არის.

ქისა და წელეზის ჯირყვლების წვენი ცილიან ნივთიერებას სხვა და სხვა ფერმენტებით ამუშავებს, წელეზის უჯრედების შესათვისებლად ამზადებს და ამასთანავე ცხოველთა საკუთარ ცილად გარდაქმნის. ფიშერის დიადი შრომა გვეუბნება, რომ ცილას ნაყოფი ამინოსიმჟავებია. მაგრამ როცა ცხოველები გასჭრეს, მის წელეზში მოქცეულ საჭმელში ამინოსიმჟავები არ აღმოჩნდა; ამასთანავე არც სისხლში და არც სხეულის სხვა სითხეში ვერ აღმოაჩინეს იგი. ცილიანი შეერთების ამინოსიმჟავებთ დანაწილება, აშკარაა, საჭმლის მონელების წამს, საჭმლის წელეზის უჯრედების შეთვისების დროს ხდება და იმ წამსვე გარდაიქმნება. ამ გარდაქმნის შენიშვნა არ ხერხდება და უბრალო ქიმიურ ანალიზს აღმოჩენა არ ძალუძს. მაგრამ საცა ქიმიური ანალიზი ვერაფერს შრვება, იქ ხანდახან ფიზიოლოგიური ცდა გვეხმარება. და აი აბდერგალდენმა ამ მხრით გენიოსური ცდა მოახდინა. თუ წელეზში, მართლა ცილა თავის უბრალო ნაწილებათ, ამინოსიმჟავებათ იქმნება, აშკარაა, ორგანიზმს შეუძლია იცოცხლოს მაშინაც კი, როცა ცილიან შეერთების ნაცვლად მხოლოდ მარტო ამინოსიმჟავებით ვასაზრდოებთ. აბდერგალდენმა და მისმა შეგირდებმა ეს ცხოველებზე სცადეს. პირველად ამ ცდის ობიექტები ძაღლები აყო. შემდეგ ამ ცდის შედეგები ადამიანზედაც გასინჯეს. ამინოსიმჟავებით გამოკვებულ ძაღლებს სიმძიმე მოემატა, თავს ისინი კარგათ გრძნობდენ. ერთი ლეკვი 21 დღის განმავლობაში ამინოსიმჟავით იკვებებოდა და 309 გრამში სიმძიმე მოიმატა; 17 დღის განმავლობაში ძაღლი მშიერი ამყოფეს, ამ ხნის განმავლობაში 1700 გრამში მოიკლო; ეს ძაღლი 21 დღეს ამინოსიმჟავით იკვებებოდა, ამ ხნის

განმავლობაში მან დანაკარგი სიმძიმე დაიბრუნა და 1400 გრამში მოიმატა. ეს ცხოველზე ნაცადი ცდა ადამიანზე გასინჯეს. აბდერგალდენის ერთი სტუდენტი 15 დღეს ამინოსიმჟავით იკვებებოდა. მას, ბარემც ვსთქვათ, ამ ამინოსიმჟავეს ოყნით აძლევდენ (ამინოსიმჟავე ძლიერ უგემურია, პირიდან ლებინებას იწვევს). ამ ხნის განმავლობაში იგი სიმშლის არ გრძნობდა და სიმძიმითაც მოიმატა. ერთი სიტყვით, პირუტყვზე ნაცადი ცდის შედეგები სავსებით მეტყველმა დაადასტურა. ამას, რასაკვირველია, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ ფრიად გენიოსური ცდის ნაყოფია, რომ დღეს გერმანიაში ერთი ქიმიური ლაბორატორია აბდერგალდენის სისტემით ხორცს ამზადებს. (მას ეწოდება „ერებტონი“).

აბდერგალდენის ცდა ჩვენ გვარწმუნებს, რომ წელეზში ცილა ამინოსიმჟავებთ გარდაიქმნება, ცდა ადასტურებს, ქონი ნაწილდება გლიცერინათ და ქონის სიმჟავებთ, სახამებელი ყურძნის შაქრად გარდაიქმნება და სხვა. თუ საჭმლის ნივთიერების ყველა ნაყოფებს არსებული ნორმალური პროპორციით ერთი მეორეს შეუერთებთ, მას მიუმატებთ იმდენ ამინოსიმჟავებს, რამდენიც ცილაშია, მივიღებთ ნორმალური საჭმლის მზგავს ხელოვნურ საჭმელს. ძირითადი ელემენტებიდან, როგორც ვიცით, სინტეტიურათ მიიღეს ქონისა, გლიცერინისა და ქონის სიმჟავების უბრალო შემადგენელი ნაწილები. ყურძნის შაქარი ფორმალდეჰიდიდან გააკეთეს. ამინოსიმჟავებს და ნუკლეინის \*)

\*) ნუკლეინი, ორგანიული ნივთიერებაა. იგი შეიცავს გოგირდს და ფოსფორს, რაცა უჯრედის ბირთვში (ядро) შედის. იგი ორგანიზმში დეიკოციტებს (თეთრი სისხლის სფსსლები) იწვევს და ბაქტერიების განვითარებას ეწინააღმდეგება.



შეერთებას დღეს ხელოვნურად ლაბორატორიებში ამზადებენ. მაშასადამე, ჩვენ ხელოვნურად შეგვიძლია საჭმლის მომზადება და პირუტყვთა და მეტყველთა ორგანიზმების გამოკვება. მაგრამ მაგარი ისაა, რომ ეს მხოლოდ თეორიულად არის მოსახერხებელი. პრაქტიკულად მას სიძვირის გამო დიდი დაბრკოლება წინ ელოდება. ამ გზით ერთი ლეკვის გამოსაკვებად საჭიროა ვეებერთელა ფაბრიკის გაკეთება. ეს დიდ ხარჯს გამოიწვევს, შედეგები ფრიალ მცირე იქნება და ხარჯს ვერ გაანაღდებს. თვით აბდერგალდენიც ამ ხელოვნურ საჭმელს სკეპტიკურის თვალთ უყურებს. იგი ამბობს: ლაბორატორიის ძაღლები ყველაფერს შეჩვეულია, მაგრამ ხელოვნურად მომზადებული საჭმელი ამ ძაღლებსაც პირიდან ასაქმებდა. ამასთანავე ფიქრობს იგი, ამით ხანგრძლივით საზრდოობა დაარღვევს ათასწლობით გაწესრიგებულ საჭმლის მონელებას; ბევრი ორგანიზმი ცხოველთათვის საჭირო არ იქნება და ვინ იცის რა შედეგები მოჰყვება ამასო. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძველებურად უნდა ვისაზრდოვით. მცენარეები და ცხოველები ადამიანისათვის საზრდოს უკეთეს და უფრო ხელმომჭირნეთ ამზადებს, ვიდრე ქიმიური ლაბორატორია. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ ვხედავთ, რომ **სიცოცხლის ქიმიამ**, ან როგორც ეძახიან „**ბიოქიმიამ**“ საზრდოობის ქიმიზმის გამოსარკვევით ნაბიჯი წინ გადადგა. ახლა ვიცით, რომ ორგანიზმმა ცილა და საჭმლის სხვა შემადგენელი ნაწილები შეითვისოს, საჭიროა პირველყოვლისა ისინი დაირღვეს. რთული ნაწილი პირველად ირღვევა, მშვენიერი შენობა ინგრევა და შემადგენელ ნაწილებათ ნაწილდება, შემდეგ ნანგრევიდან წელების უჯრედები ორგანიზ-

მის მოთხოვნების თანხმით ახალი კლანით სულ ახალ შენობას აგებს და ამეწებს. მაშასადამე, ნივთიერებანი ინგრევა და იშლება, იგი ხელახლა შენდება თანხმით ახალი შენობისა... ჩვენი სისხლის და ხორცის ცილა არის **ჩვენი საკუთარი ცილა**. მართალია, ამ ცილას ჩვენ ვითვისებთ მცენარეებიდან და ცხოველებიდან, მაგრამ მას კი ჩვენი ორგანიზმი ცვლის, ასხვაფერებს, საკუთარ ცილად გარდაქმნის. მისი შენობა სულ სხვაა, ეს მხოლოდ ჩვენი, მართოდ ჩვენი თვისებაა. თვითოეული ორგანიზმი ქიმიური შედგენილობით რაღაც განსაკუთრებულია. იგი წარმოადგენს **ქიმიურ ინდივიდუმს**. ეს სიცოცხლის პროცესის გამოსარკვევით მეტად მნიშვნელოვანია და ამას „**ბიოქიმიის**“ ახალი გამოკვლევანი ამოწმებს.

### III

ამ უკანასკნელი დროის გამოკვლევამ და აღმოჩენამ, როგორც წინა წერილში ვსთქვით, მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ საჭმლის მონელების დროს ცხოველთა ორგანიზმი არ ღებულობს სხვის ცილას იმ სახით, რა სახითაც იგი წელებში შედის. ცილის ნაწილებს იგი არღვევს, ხელ ახლა აშენებს, თავისი საკუთარი ცილას მინაგვარად გადააკეთებს და მხოლოდ შემდეგ მიიღებს და შეითვისებს. ცილა ორგანიზმის სისხლ-ხორცით გარდაიქმნება. იგი მხოლოდ მისი საკუთარი, და არა სხვისი, შეიქმნება. ასეთ დასკვნამდე ფიზიოლოგი აბდერგალდენი მივიდა. თანახმად დასკვნებისა მან წამოაყენა შემდეგი კითხვა: რა მოხდება თუ წელებს გვერდს აუხვევთ და სისხლთა ბრუნვაში სხვის ცილას შევიყვანთ? გარდაიქმნება იგი, თუ უცვლელათ შევა სისხლში? აბდერგალდენმა ამ კითხვების გადასაჭრე-

ლად ცდა მოახდინა, მაგრამ სანამ მის შედეგებს გავიგებდეთ, უადგილო არ იქნება გავიგოთ ი. ი. მეჩნიკოვის გამოკვლევა:

თოთხმეტობდე წლის წინეთ (1900 წ.) ღირსშესანიშნავმა მკვლევარმა მეჩნიკოვმა კურდღელს სისხლში შეუშხაპუნა ხარის „სპერმატოზოიდები“ \*). ცდამ გამოარკვია, რომ სისხლში მუშავდება ეგრეთ წოდებული „ანტისხეულები“. ეს სხეულები ჰკლავს და განაზავებს სისხლში შეშხაპუნებულ გარეშე სხეულებს. კურდღლის ასეთი სისხლის შრატს (Serum), თუ ავიღებთ, იგი მოჰკლავს და განაზავებს მხოლოდ და მხოლოდ ხარის სპერმატოზოიდებს და არა სხვისას. თუ ასეთსავე ცდას ვერძის სპერმატოზოიდებზე მოვახდენთ, შრატი განსაკუთრებით ვერძის სპერმატოზოიდებს განაზავებს. აი ამის მინაგვარი შედეგები ცდის დროს აბდერგალდენმაც მიიღო. სისხლში შეშვებულმა სხვისმა ცილამ გამოიწვია მასში (სისხლში) ფერმენტის მზგავსი ანტისხეულების აღორძინება. ეს ანტისხეულები სხვის ცილას იმწამსვე განაზავებს, გადაამუშავებს და წელების უჯრედებივით მოქმედებს. ცოტა-ცოტაობით სისხლში შეშვებული ცილა განზავდა და საკუთარ ცილად გარდაიქმნა. ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ სისხლში ყოფილა შემონახული ქიმიური მექანიზმი, რაც საპირიების დროს ამოძრავდა და ამოქმედდა. სხვის ცილას სისხლი, მართალია, ასე ეპყრობა, მაგრამ იგი ასევე მოეპყრობა, თუ არა შემთხვევით, სისხლთა ბრუნვაში მოხვედრილ თავისსავე საკუთარ უჯრედს? ასეთი შემთხვევა ხდება ძუძუმწოვართა ორსულობის (ფეხმძიმობა) დროს, როცა ჩანასახი საშოს გვერდებს მიეკვრის განსაკუთრებული ორგანო პლაცენტით (ბავ-

შვის ადგილი, ანუ, როგორც ზენშევიცხიან, ბუდე). ეს ორგანო დედის სისხლის ბრუნვას უერთებს ჩანასახისას. პლაცენტს ხშირად მოწყდება ხოლმე უჯრედი და დედის სისხლთა ბრუნვაში ვარდება. აბდერგალდენის ცდა ამბობს: პლაცენტის უჯრედს სისხლი ეპყრობა, როგორც გარეშე სხეულს, მასში იმწამსვე ვითარდება ანტისხეულები, რაც ამ უჯრედებს განაზავებს. ამ ახალ აღმოჩენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: დღეს მოსახერხებელია სისწორით აღენიშნოთ ცხოველთა და ადამიანთა ორსულობის პირველი საფეხური. როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებსაც ორსულობის მერვე დღეს სისხლში უვითარდება ფერმენტის მზგავსი ანტისხეული. მაშასადამე, მერვე დღეზე მოსახერხებელია ორსულობის გაგება. ამის გასაგებათ აბდერგალდენმა ძლიერ მარტივი მეთოდი შეიმუშავა. პლაცენტის სუფთა ცილის ნივთიერება წინდაწინ უნდა მომზადდეს. პერგამენტის პაწაწა პარკს ავსებენ გასასინჯი სისხლის შრატით (СЫВОРОТКА) და შიგ წინასწარ მომზადებულ პლაცენტის ცილის ნივთიერებას ათავსებენ. პარკს კი წყლიან ჭურჭელში ჩაკიდებენ. თუ შრატში სპეციპიური ანტისხეული არის, ე. ი. თუ იგი არის ორსულის, პლაცენტის ცილა განზავდება და ისეთ ნაყოფებათ გარდაიქცევა, გარდაიქმნება, რომ ადვილად გაეონავს პერგა-

**სპერმა**, თესვია, რასაც მამრის სქესობრივი ორგანოს ჯირვულები გამოიყოფს, შეხებულების, და სხვა დრისაც, იღვრება; მის ანსებით ნაწილს შეადგენს შიგ მცურავი ზაწაწინა მიკროსკოპიული, შეუიარაღებელი თვლით უხილავი, კუდიანი სხეულები, რასაც **სპერმატოზოიდები** ეწოდება. 1667 აღმოაჩინა დანციხის სტუდენტმა ლუი გამომი.




მენტს და გავა წყალში. წყალში კი მისი აღმოჩენა ადვილია. ამისათვის ხმარობენ რეაქტივის „**ნინგიდრინს**“. ამ რეაქტივის შემწვობით იგი იღებება ცისფერათ, თუ რასაკვირველია, შრავი ორსულიდან არის აღებული. ამ აღმოჩენით და მეთოდით მომავალში მედიცინა უფრო ფართოდ ისარგებლებს, დღეს გამოურკვეველ ბევრ ავადმყოფობას გამოარკვევს, შეუმცდარ და უტყუარ დიაგნოზს დასვამს და საწინააღმდეგოთ უებარ საშუალებასაც იხმარს...

ეს ახალი გამოკვლევა ჩვენ გვაცნობს ქიმიის ნივთიერებათა უაღრესად საინტერესო დარგს. ეს ნივთიერება გამოიყოფა სისხლიდან და ორგანიზმის ზოგიერთ განსაკუთრებულ ორგანოებიდან—ჯირკვლებიდან. აბდერგალზენის უკანასკნელ გამოკვლევას დასაწყისი აქვს ბროუნ-სეკარის დაკვირვებაში და ცდაში. 1889 წ. ბროუნსეკარმა გვაუწყა: ადამიანთა თესლის ჯირკვლები, თესლის სხეულებს გარდა, ამუშავებს და აკეთებს ქიმიურ ნივთიერებათ, რაიცა სისხლში შედის და ორგანიზმის ფიზიკურ და სულიერ მოქმედება-მოღვაწეობაზე სხვა და სხვა გავლენას ახდენსო. ეს გამოკვლევა საფუძვლად დაედვა ორგანოების შესწავლას და **ორგანოტერაპიას**. ეს ახალი დარგი სხვა და სხვა ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერების მიერ სწრაფად განვითარდა და დღეს „ბიოქიმიის“ ძლიერ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს. სიცოცხლის ორგანოების მართველ ფაქტორებზე მან ძველი შეხედულობა შესცვალა და ყირამალა დააყენა. ორგანიზმთა შესახებ ასეთი აზრი ტრიალებს: ყოველგვარ მისს მოქმედებას ნერვების სისტემა აწესრიგებს; უთვალავი ნერვების ძაფები ბადესავით გადახლართულ ორგანოებში გადის და სადგურ

თავისა და ხერხემლის ტვინში ერთად გროვდება და ინასკვება. ეს ნერვები შინაგან ორგანოებს ამოქმედებს, თუ საჭიროა მისს მოქმედებას აჩერებს ან აჩქარებს, და მას, ამ რიგათ, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს.

უკანასკნელი გამოკვლევა ამტკიცებს, **ნერვები ქიმიურადაც მოქმედებს**, მას ეს თვისებაც ემჩნევა. სხეულის მრავალ ორგანოთა შორის არის ჯირკვლები, რაშიაც შედის და გამოდის სისხლის მატარებელი მილები (vasa) და ნივთიერებანი. ამ ნივთიერებას გამოყოფს ჯირკვლები; იგი კი დამოუკიდებლად სისხლში შედის; მას ეწოდება **გორმონები**. გორმონების მნიშვნელობა დიდხანს ვერ გაიგეს. მაგრამ ოპერაციის საშუალებით ამ ნივთიერების მოშენებამ დაამტკიცა ორგანოებისათვის მათი ცხოველმყოფელობითი მნიშვნელობა. ასეთ ჯირკვლებს ეკუთვნის **ფარის მზგავსი** (щитовидная) და კისრის წინა ნაწილის ჯირკვლები. ეს ჯირკვლები ადამიანს სასუნთქავ ორგანოს ახლოს აქვს. პირველი ხორხის ქვეშაა, მეორე—ქვემოდ, გულის ფიცრის ზემონაწილის უკან. ფარის მზგავს ჯირკვლებს წინეთ სხვა და სხვა ფუნქციებს აწერდენ, მაგ. ტვინში (თავის) სისხლის მოძრაობას აწესრიგებს, ხმას ანვითარებსო და სხვა. 1859 წ. შიფფერის ცდამ დაამტკიცა ამ ჯირკვლების მოქმედება. გამოიკვია, რომ ამასთანავე ოთხ პატარა ჯირკვლებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჯირკვლებს „**პარათიროიდებს**“ ეძახიან. იგი მოთავსებულია ფარის მზგავს ჯირკვლების უკან. თუ ცხოველებს ოპერაციით პარათიროიდებიანათ ჯირკვლებს მოვაშორებთ, ფილენჯი (судороги) ემართება და ჩქარა კვდება. თუ მხოლოდ ფარის მზგავს ჯირკვლებს ამოვჭრით, პარათიროიდებს დავ



ტოებთ, ცხოველი არ კვდება, მაგრამ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლა ერღვევა. ფარის მზგავსი ჯირყვლები შიფფმა თხის თიკანს ამოჭრა. ოპერაციის ერთი თვის შემდეგ გამოირკვა, თხას ზრდა და განვითარება შეუჩერდა. ოთხი თვის შემდეგ ფეხები და თავის წინა ნაწილი დაუმოკლდა, ბალანი გაურბილდა და გაუგრძელდა, ხელის მოკიდებით იგი ცვივოდა; მისი სხეულის ტემპერატურა დაეცა და სქესობრივი აპპარატის განვითარება შეფერხდა... ძალღზე ასეთმა ოპერაციამ (ბიდიკის ცდა) შემდეგი ნაყოფი გამოიღო: ნააპერაციევი ძალლი დაპატარავდა, დასუსტდა, ფეხები დაუმოკლდა, ბურთის მსგავსათ თავი გადაუკეთდა, ძვლები და სქესობრივი ორგანო არ გაუვითარდა... თუ აღამიანებს ფარის მსგავს ჯირყვლებს მოვაშორებთ (წინეთ ამ ჯირყვლებს ყიყვიანებს აცლიდენ) ზემომოყვანილი ცდის მზგავს შედეგებს მივიღებთ და შევნიშნავთ ძვლებისა და სხვა ორგანოების გაუვითარებლობას. ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს „კრეტინიზმს“ და „იდეოტიზმს“, რაც ევროპის და კავკასიის ზოგიერთ ნაწილებში გავრცელებულია. მაგ. 1908 წ. ავსტრიის სტატისტიკა ამბობს, რომ 100,000 სულ მცხოვრებზე იქ 64 კრეტინი მოდისო...

ორგანიზმს ყველა ეს არა ნორმალური განვითარება ჭეშმარიტად ადასტურებს, რომ სისხლის მატარებელ სისტემაში გორმონებს ფარის მსგავსი ჯირყვლები გამოყოფს; ეს გორმონები აწესრიგებს ორგანოთა და ქსოვილთა მოქმედებას. როცა გორმონების მოქმედება ჩერდება, აღამიანთა ზოგი ორგანიზმი თანხმობას კარგავს, ეს უთანხმოება სხეულის სხვა ორგანოებსაც გადაეცემა და ამ რიგად ორგანიზმთა მოქმედება ირღ-

ვევა, ვითარდება მძიმე ავადმყოფობა; მას აკლდება ნივთიერება, რასაც ფარის მსგავსი ჯირყვლები გამოყოფს. ასეთ შემთხვევაში თავისთავათ იბადება აზრი, რომ ორგანიზმს უნდა დაეხმაროთ და სისხლში დანაკლისი ნივთიერება შეუშვათ და აღვადგინოთ.

1895 წ. გამოირკვა, რომ ფარის მსგავსი ჯირყვლები შეიცავს იოდს. ეს გამოიკვლია ბაუმმა და დამტკიცა, იოდი შეერთებულია ცილიან ნივთიერებასთან და ფარის მსგავს ჯირყვლებში ამ განსხვავებული სახით მოიპოება. იოდის ასეთ შეერთებას ეწოდება „იოდთირინი“. მაშასადამე, ამ ნივთიერების ნაკლებობა ორგანიზმში ავადმყოფობას იწვევს...

კისრის წინა ნაწილის ჯირყვლებსაც თითქმის ფარის მსგავსი ჯირყვლების მნიშვნელობა აქვს. იგიც გორმონს გამოყოფს და აწესრიგებს ძვლების ზრდას, განვითარებას და სხვა. მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობა აქვს **თირკმელთა ზედა ჯირყვლებს**. ეს მისი პატარა ზედნადებია; იგი თირკმელთა ზედა ნაწილზე ძვეს, სისხლის მატარებელი მრავალი მილები (vasa, ციყუძ) აქვს. 1885 წ. ადლისონმა ავადმყოფობა აწერა. ეს ავადმყოფობა მუდამ იწვევს თირკმელთა ზედა ჯირყვლების ცვლილებას და თითქმის ყოველთვის სიკვდილით გვირგვინდება. ამ სნეულებას **ადლისონის** ავადმყოფობას ეძახიან. იგი იწვევს სხვათაშორის გაცვლა-გამოცვლის პროცესის დარღვევას და სხვა. ამ სენს თირკმელთა ზედა ჯირყვლების მოშორებით დაუწყებს წამლობა, მაგრამ დოსტაქრობა და მისი ტენიკა ვერ იყო მაშინ განვითარებული და ოპერაცია ხშირად მარცხით თავდება. დოსტაქრობა და მისი ტენიკა განვითარდა და დადასტურდა, რომ თირკმელთა



ზედა ჯირყვლების მოშორება აუცილებლათ სიკვდილს იწვევს. ამ ჯირყვლები მოშორების შემდეგ ცხოველს სიმძიმე აკლდება, ფეხზე ვერ დგება, გულის მოქმედება უსუსტდება, სხეულის ტემპერატურა კლებულობს, ერთი სიტყვით, ადღისონის ავადმყოფობის ნიშნები ემჩნევა, თირკმელთა ზედა ჯირყვლების ექსტრაქტით ასეთ ცხოველებს წამლობა დაუწყეს და შედეგებიც სასურველი მიიღეს. თირკმელთა ზედა ჯირყვლების ნივთიერება—გორმონი გამოარკვეეს და აღმოაჩინეს. ამ ნივთიერებას უწოდეს „**ადრენალილი**“. იგი ადვილათ კრისტალდება და თანაც რთული ქიმიური შენებულება არ აქვს. შესანიშნავი ისაა, რომ ეს ნივთიერება ხელოვნურათაც მოამზადეს. სინტეტიურათ მომზადებული ნივთიერება (შტოლცემ მოამზადა) ქიმიური შენებულებით და ფიზიოლოგიური მოქმედებით სრულიადაც არ განსხვავდება თირკმელთა ზედა ჯირყვლების ადრენალინიდან. ამ ხელოვნურათ მომზადებულ ნივთიერებას უწოდეს „**სუპარენინი**“. დღეს ექიმები ამ ორ ნივთიერებას ხმარობენ როცა საჭირო არის მილთა (СОУДЪ) გვერდების შემცირება... ცდა ამტკიცებს, რომ ადრენალინი უმთავრესად მოქმედობს ეგრეთწოდებულ სიმპატიური ნევრის სისტემაზე. ადრენალინის შემადგენლობა კარგად ვიცით, მას დღეს ხელოვნურადაც ამზადებს ადამიანი. მაშასადამე, იგი არის გორმონი, რაც ნერვების სისტემის შემწეობით მიღებით სისხლს აწესრიგებს. ზემოთ ნათქვამი ამტკიცებს, ადამიანმა ცდით და დაკვირვებით მეტათ გადახლართული ორგანოთა მის მიერ გამოყოფილი ნივთიერებათა ურთიერთშორის დამოკიდებულება გაიგო.

ჯირყვალთა მზგავსი აღმოჩნდა **ტვი-**


**ნის დამატება (ШПОФИЗЪ).** თუ ამ დამატებას ძაღლს ოპერაციის საშუალებით მოვაშორებთ, მისი ზრდა შეჩერდება, განსაკუთრებით ძვლების ზრდა ძლიერ ნელა იწარმოებს, კბილებს არ მოიცვლის, ორი წყება კბილები ექნება და სქესობრივი აპპარატის განვითარება შეუჩერდება. ამის გამომწვევი მიზეზი-გორმონი აღმოაჩინეს. მას უწოდეს „**გიპოფიზინი**“ ანუ „**პიტუიტრინი**“— ხაერთათ ცდა გვეუბნება, რომ ესეც ადრენალინივით მოქმედებს. ტვინის დამატება ადამიანში ხანდისხან ავადმყოფობას იწვევს...

ამ რიგათ, ცხოველთა და ადამიანთა სხეულის სხვა და სხვა ორგანოების მოქმედებას მთელი ჯგუფი ჯირყვლებისა აწესრიგებს, ეს ჯირყვლები ორგანიზმთა სისხლში მუდამ გორმონებს გამოყოფს. ამით ერთი რიგი ორგანოების მოქმედება ღიზიანდება, მეორეთა—კი ჩერდება. სანამ ეს ქიმიური აპარატი მოქმედობს, იგი საგრძნობელი არაა, მაგრამ საკმაო ორგანიზმში გორმონების გამოყოფა ან შემცირდეს, ან მომრავლდეს, ან სრულიად შეწყდეს, რომ მისი კეთილდღეობა დაირღვევს. ასეთ შემთხვევაში ორგანიზმის ერთათ ერთი ხსნა დარღვეული თანასწორობის ხელოვნურათ აყენება...

#### IV

ორგანიზმში ზემო ნათქვამ ჯირყვლებს გარდა **გორმონებს** სხვა ჯირყვლებიც გამოყოფს ხოლმე. ამ ჯირყვლების დანიშნულება სულ სხვაა. მათ შორის უფუფრო საყურადღებოა სქესობრივი ჯირყვლები და რძის ჯირყვლები (Glanbulae lactis). რძეს დედლის რძის ჯირყვლები იძლევა. მისი გამოყოფა, როგორც რობერტის ცდამ დაამტკიცა გორმონებზეა დამოკიდებული. რობერტმა ნეზე ზღვის ღორს ორივე რძის ჯირყვლები ამოჭრა და ყურზე გაუკე-





თა. ჯირყვლები, რასაკვირველია, შეეზარდა, მაგრამ ნერვებთან დამოკიდებულება დაკარგა. ზღვის ლორი დამაკდა და მიუხედავად ამისა ჯირყვლებმა ზრდა იწყო, მშობიარობის შემდეგ რძე გამოიყო. ეს ფრიად საინტერესო პროცესი და მისი მექანიზმი სტარლინგის ცდამ გამოარკვია. აღმოჩნდა, რომ გორმონებს იძლევა არა კვერცხები და პლაცენტი, არამედ ჩანასახის ქსოვილები. რამდენათ ჩანასახი ვითარდება, იმდენათ გორმონები სისხლში შედის და ჯირყვლებიც დიდდება, მშობიარობის შემდეგ გორმონები ქრება, ჯირყვლების ზრდა შეწყდება და რძეს გამოყოფს. ეს საკვირველი მოვლენა სტალინგმა შემდეგი ცდით დაამტკიცა: „ მან ჩანასახის ქსოვილებიდან ექსტრაქტი მოამზადა. იგი პირუტყვს შეუშხაპუნა, ბერწკურდღელს მისმა მოქმედებამ რძის ჯირყვლები გაუზარდა და რძის გომოსაყოფათ მოამზადა!..

მამრობითი სქესის ჯირყვლები სისხლში გორმონებს გამოყოფს. ეს გორმონები იწვევს სქესობრივ სიმწიფეს, წვერულღვაშის ზრდას, ხმის გამოცვლას და სხვ. ყველასათვის ცხადია, რომ საჭურისებს ეს სქესობრივი ნიშანი არ უფითარდებათ. პროფესორი შტეინახის (ვენა) ხანგრძლივმა დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ გორმონებს ცხოველთა სულიერ მდგომარეობაზე გავლენა აქვს და რთულ მოვლენებს იწვევს.

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ მამალ ბაყაყს, განსაკუთრებით მწვანეს, **სქესობრივი სიმწიფის** დაწყებისათნაჲვე წინა ფეხის ცერზე მოზრდილი მეტეჳი (МОЗОЛЬ) ამოუღის. სქესობრივი აქტის დროს მამალი ბაყაყი დედალის სხეულს წინა ფეხებით მოეხვევა და მოსწურავს. ამ მოხვევას **რეფლექსის ხასიათი აქვს**: ასეთ

დროს ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მამალი ბაყაყი თევზს და შესაფერად სიდიდის უსულო საგნებსაც მოეხვევა. რამდენიმე წლის წინად მამალ ბაყაყს თესლის ჯირყვლები ამოჭრეს, ე. ი. **დასაჭურისეს**. ოპერაციის შემდეგ მეტეჳი არ ამოუვიდა და მოხვევის სურვილი და მისწრაფებაც დაეკარგა. როცა დასაჭურისებულ ბაყაყს მეორე ბაყაყის თესლის ჯირყვლები კანში ჩააკერეს, ან და ეს ჯირყვლები შეუშხაპუნეს, მეტეჳი ამოუვიდა, ნორმალურ მამალ ბაყაყით მოხვევის სურვილი ხელახლა გავლვიდა. ეს მოვლენა შტეინახმა უპირველესად გამოიკვლია. გამოიკვა, როცა დასაჭურისებულ ბაყაყებს შეუშხაპუნეს თესლის ჯირყვლები 88 პროც. 12—24 საათის განმავლობაში მოხვევის სურვილი გავლვიდა, 2—4 დღემდე გაუგრძელდათ და შემდეგ კი ნელ-ნელა ეს სურვილი გაქრა. თუ დროგამოშვებით შეშხაპუნებას გავიმეორებთ, დასაჭურისებულთ მოხვევის სურვილი გაზაფხულის განმავლობაში შერჩებათ. ეს საკვირველი ცდა ადასტურებს: **თესლის ჯირყვლები გორმონებს იძლევა**. გორმონები, აშკარაა, სისხლში მოხვდება და რთულ რეფლექსიურ მოვლენას—მოხვევას იწვევს. მართალია ამას ცდა ამბობს, მაგრამ კითხვა მაინც იბადება: ეს გორმონები განსაკუთრებით რომელ ორგანოზე მოქმედობს? ეს ფრიად რთული რეფლექსები ექვემდებარება ტვინს, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის ნერვის სისტემის ცენტრალურ ორგანოზე მოქმედებს. და აი სწორედ ამ კითხვის გადასაჭრელად შტეინახმა ცდა მოახდინა. მან მოხვევის მდგომარეობაში ნორმალური ბაყაყი აიყვანა, მისი ტვინი საჭურისის შეუშხაპუნა. საჭურისმა მოხვევა დაიწყო, მას ეს სურვილი ისე გაე-



ღვიძა, როგორც თესლის ჯირყვლების შეშხაპუნების დროს; ახლა აიღეს საჭურისი ბაყაყის ტვინი და დასაჭურისებულს შეუშხაპუნეს, მაგრამ მას მოხვევის სურვილი არ აუღოძინდა; როცა ღვიძლიდან და ელენთადან მომზადებული სითხე შეუშხაპუნეს, არც მაშინ გაეღვიძა ეს სურვილი. აშკარაა, სქესობრივ სიმწიფის დროს მამალი ბაყაყის სქესობრივი ჯირყვლები სისხლში გამოყოფენ გორმონებს, რაც ცხოველთა ტვინზე განსაკუთრებით მოქმედობს. სქესობრივი მოქმედების გამოსარკვევად პროფესორი შტეინახი მარტო ბაყაყებით არ დაკმაყოფილდა. მან სხვა ობიექტებიც აიღო. სამი-ექვსი კვირის მამალი ვირთხები დაასაჭურისა. ოპერაციის შემდეგ ვირთხები ვერ განვითარდნენ, ახალგაზრდობა შეინარჩუნეს და სქესობრივი ნიშნებიც არ განუვითარდათ. ასეთ ვირთხებს შტეინახმა ახალგაზრდა სხვა მამალი ვირთხების თესლის ჯირყვლები სხეულში ჩააკერა, როცა ჩანაკერები ჯირყვლები მიეზარდა, სქესობრივი ნიშნებიც განვითარდა, ნორმალურ მამალივით დედლებს დაედევნა და მათთვის სხვა მამლებს ებრძოდნენ. თესლის ასეთი ჯირყვლები მიკროსკოპის საშუალებით გამოიკვლია და აღმოჩნდა, რომ მასში ქრება უჯრედები, რომელიც თესლის სხეულს იძლევა. თესლის ჯირყვალი შესდგება ორი მჭირდოთ შეერთებული ჯირყვლიდან: ერთი იძლევა სქესობრივ უჯრედებს (სპერმატოზოიდებს), მეორე — გორმონებს. ეს გორმონები კი მეორე ხარისხიდან სქესობრივ ნიშნებს იძლევა. იძლევა თუ არა სქესობრივი ჯირყვლები სპეციფიურ გორმონებს? ე. ი. თუ დასაჭურისებულ მამალს მივამყვნიოთ კვერცხებს, გაუვითარდება თუ არა მას დედლის ნიშნები,

პირიქით, თუ დასაჭურისებულ დედალს თესლის ჯირყვლებს მივამყვნიოთ, იგი შეიქნება თუ არა მამალი? აქ დასმული კითხვების გადასაჭრელად ზემო მოყვანილი შტეინახის ცდას მივმართოთ. ახალგაზრდა ვირთხებს და ზღვის ლორებს სათესლე და საკვერცხე ამოჭრეს და დასაჭურისებულ მამლებს — საკვერცხე და დედლებს — სათესლე კანში მიამყვნეს. შედეგები ქვეშაბრტად საოცარია: მამლების 50 პროც. მიმყვნილი საკვერცხე კარგად შეეზარდა, 8—9 თვის და მეტი ხნის განმავლობაშიაც შეუნარჩუნდა; სქესობრივი აპარატი არ განვითარდა, ეს ორგანო დასაჭურისებულ მამლებზე ნაკლებათ განვითარდა. მაშასადამე, კვერცხების მიერ გამოყოფილი გორმონები არ ანვითარებს მამრის სქესობრივ აპარატს. ერთი სიტყვით, ყოველი მხრით უფრო დედლებს დაუახლოვდნენ, ვიდრე საჭურისები. განსაკუთრებით საყურადღებოა „გაფემინებული“ მამლების, როგორც შტეინახი ამბობს, გულის ჯირყვლების განვითარება. ეს ჯირყვლები მათ ძლიერ ეზრდებათ და დედლის ჯირყვლებს უდრის. მიკროსკოპიული შენობა ორთავეს თანასწორი აქვს და რძეს იძლევა. „გაფემინებული“ ზღვის ლორის მამლები გოჭებს ასაზრდოებენ რძით, დედობრივ მფარველობას უწყევენ და ამ ფიზიოლოგიური აქტის დროს დედლის მინაგვარ მოთმინებას, ყურადღებას და სიამოვნებას იჩენენ!.. ეს დედლებათ ქვეული მამლები ყოველის მხრით დედას ემზავსება, ის დედლებს აღარ სდევს, მათდა დასანარჩუნებლად მამლებს აღარ ებრძვის, ხასიათი ეცვლება, ტანის მოყვანილობაც უსხვაფერდება, დედლისას უახლოვდება და მამლები მას სდევნენ, აღბათ, იგი დედალი ჰგონიათ. ამ სას-



წაულებას, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, გორმონები ახდენს. დედათა გორმონების საშუალებით მამრი თითქმის დედრათ გარდაიქცევა!.. მიკროსკოპი აქაც ადასტურებს, რომ კვერცხების ქსოვილებში არც ერთი კვერცხების უჯრედები არ არის. ამის მზგავს ცვლილებას წარმოადგენს დასაჭურისებული დედლები, რომელთაც თესლის ჯირყვლები აქვთ მიმყენილი. ამ ეგრეთ წოდებული „გამასკულინებული“ დედლების ტანის მოყვანილობა მამრისას ემზგავსება, ხასიათი ეცვლება, დედლებს კარგად ატყობენ და მოუშორებლად მისდევენ, მამლებში მეტოქეებს და მოწინააღმდეგებს ხედვენ და დედლის დასანარჩუნებლად მამაცად ებრძვიან. ერთი სიტყვით, ხასიათით მამრებს უახლოვდებიან. მაშასადამე, მამრის გორმონი დედრს თითქმის მამრათ ჰქმნის!..

შტეინახის საოცარი და საკვირველი ცდა ჩვენ ბიოქიმიას გვაცნობს, მის საიდუმლოების გაგებას გვიახლოებს. სიცოცხლის ქიმიის ეს აღმოჩენა გვეუბნება: ჯირყვლებიდან გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებანი, შესაძლებელია, რთული შენობის არაა, იქნებ, იგი ადრენალინით მარტივი შენებულებისაა, ეს ქიმიური ნივთიერება ცხოველთა შინაგან და გარეგან შენებულებაზე მოქმედობს და იწვევს მრავალ რთულ ფსიხიურ რეაქციას... დედობრივი სიყვარული, მისი სათუთი გრძნობები. სიყვარულის ვნებათა დელვა, მისი თანამზგავსი იქვი, ეტყობა, დამოკიდებულია ქიმიურ ნივთიერებაზე და მის რეაქციაზე!..

ვიციტ, სწორუბოვარო მკითხველო, წაიკითხავდით ამა თუ იმ პოეტის მშვენიერ ნაწარმოებს, სადაც იგი „სიყვარულის შხამზე“ მკითხველს ებაასება. აბა, დაუკვირდით ზემო მოყვანილ ზღვის ღორზე ცდას, დაუკვირდით გადედრებუ-

ლი მამრის და გამამრებული დედრის მოქმედებას და ნუ თუ ეს ღირს შესანიშნავი მოვლენა არ გვეუბნება, პოეტის „სიყვარულის შხამი“ რეალურ საფუძველს დებულობს და იქნება გორმონათ, რასაც ჯირყვლები სისხლში გამოყოფს? ცხოვრების ქიმიამი „სიყვარულის ქიმიამი“ ყოფილა!.. არა გვაქვს ჩვენ საბუთი ვიფიქროთ, რომ ცხოველებზე ცდის შედეგები ადამიანებზედაც არ მოხერხდეს. მოგეხსენებათ, ადამიანს აქვს უმაღლესი ფსიხიკა, მაგრამ მათი სიყვარულიც წარმოადგენს რაღაც სტიქიურს, ინსტიქტიურს, საიდანაც მოსულს!..

როგორც ჩვენ დავინახეთ, ამ უკანასკნელი წლების გამოკვლევამ, ერთი მხრით, გავაცნო და გავვიმარტა რთული ცხოვრების მექანიზმის მრავალგვარი პროცესები; ბიოქიმიურმა გამოკვლევამ გვამცნო ცხოველთა და მცენარეთა ნივთიერების შექმნა; რაც უბრალო და მარტივად გვეჩვენებოდა, დღეს რთული და ძლიერ გადახლართულ-გადმოხლართული აღმოჩნდა; რამდენადაც ჭეშმარიტებას სიცოცხლის ქიმიამ მიუახლოვდა, იმდენად იგი გაღრმავდა და მაგარი კედლები გარემოიცვა; ამ ხელის შემშლელ კედლებს იგი თანდათანობით და ნელ-ნელა დაანგრევს და გადალახავს. მეორე მხრით, იგი იკვლევს ორგანიზმთა შინაგან მოქმედებას. ორგანიზმში არსებობს ფრიალ რთული ქიმიური ურთიერთობა, ამ ურთიერთობას სხვა და სხვა გორმონებით და ფერმენტების მზგავსი ნივთიერებით დატვირთული სისხლი მხარს უჭერს; ეს ნივთიერებანი ორგანიზმში საოცარ გარდაქმნას აწარმოებს და ქსოვილებზე მოქმედობს, ანგრევს და ჰქმნის ორგანოებს, და დასასრულს, ნერვის სისტემის შემწეობით ფსიხიკას ძირიანად სცვლის...

ზ. ჩიჩუა.

ცემბერი 1914 წ.

# სასჯელი და სკოლა

წინდელ სკოლაში იხმარება სასჯელი, რომელიც ვნებას აძლევს სწავლა აღზრდის საქმეს, და ამიტომ დაკომბილი და მოსპობილი სასჯელის არსებობა სკოლაში „არ ხსაღია,“ ძველია, და სათავე ადობად, ღრმა წარსულში აქვს, როდესაც ყოველი ურთიერთობა შიშზე იყო დამყარებული. და რისაც გეშინია კაცს, იმას გაუბობი, — სანამდი სასჯელი ღარჩება სკოლაში, როგორც საფთხური, იქ ბავშვები ხადისით არ ივლიან. ბუერი მაგალითია, რომ ბავშვი სკოლაში გაუგზავნიათ, იმას კი ტყეში შეუხვევია, უყურებია კლასის გამოსვლისათვის და მერე სხვა ბავშვებთან ერთად სასკოლო დაბრუნებულა. ზოგან ბავშვები ან საჩუქრის გულისთვის, რომელსაც დედ-მამა ვუბირდობა, ან სასჯელის შიშით მიდიან კლასში რადგანაც მრავალი არა მიმზიდველი მხარე აქვს აწინდელ სკოლას. ყოველ ფენის გადადგმაზე სასჯელი მოელის ბავშვს, დაიგვიანებს — დასჯიან, დაიღაპარაკებს — დასჯიან, გაკვეთილებს ვერ გაიგებს — მაშინაც დასჯიან.

სკოლაში იხმარება მრავალგვარი სასჯელი: უსდილოდ დატოვება, დაჩქება, გარედ გაგდება, ზეზე გაჩერება სხვა და სხვა ვარიადით: ხელების მოჭრა, ხელების მადლა აშვერა; ცუმა ხირ-ხირი: ყბაში გარტყევა, სახრის გადაკვრა, რინის სემევა, ზანღურის ამოკვრა, ყურის აწევა, გაწერამა, დაუვირება და ათასი სხვა.

მასწავლებელი ყოველთვის შეგნებულად არ სჯის ბავშვს, ხშირად ბავშვი უბრალო მსხვერპლია მასწავლებლის ნერვებ-აშლილობის, მოუფიქრებლობის და ცუდ გუნებაზე ყოფნის, ამიტომ იშვიათი არაა სრულიად უდანაშაულო ბავშვის დასჯა, რაც ღრმა უფსკრულს თხრის მასწავლებელსა მოწაფეთა შუა და სი-

ძულვილს იწვევს. მასხოვს ჩემი ბავშვობიდან შემდეგი ამბავი; მასწავლებელმა ეკლესიაზე წავივიანა საგალობად. მე ავად ვიყავი და გული შემინწუნდა, ამიტომ გარედ გამოვიდი და ქვაზე ჩამოვჯექი; გამოვიდა მასწავლებელი და არც კი დამატლა ზასუხი, საშინლად გამარტვა. იმ მასწავლებელზე დღესაც არ მაქვს კაი გული, თუმცა სხვა არა დაუშავების რა ჩემთვის. მერედ კიდევ კლასში ვიჯექი, მასწავლებლად გვავდა ახალგაზრდა სემინარიელი. მე ჩვეულებრივ წენარად რომ ვიჯექი, უკანიდან ერთმა ეშმაკმა ბავშვმა ბაზინის წიწკანა დამიწყო. მე გავმწარდი და ცმუტვა დავიწეე. მიუბრუნდი უკან და ვუთხარი: „თავი დამანებე მეთქი!“ დამინახა მასწავლებელმა და მიუვირა: აქ გამოდიო!“ ცოცხალ-მკვდარი გავიდი და გავჩერდი მასწავლებლის წინ. „გამოაშვირე ხელიო!“ ზირველად ვერ გავიგე, რატაც მითხრა, მერე უფრო იუვირა. გავაშვირე ხელი, მაგრამ უნებურად ძირს ჩამოვიარდა და დავიწეე ტირილი. მასწავლებელმა თავისდა სასახელოდ აღარ გამლახა, მაგრამ ისეთი ჭრილობა კი დაჩინდა ჩემს სუელს, რომ დღესაც არ მაქვს გამთელებული.

ახლა ვაღაპარაკოთ ერთი ახლანდელი სკოლის მოწაფეები, რომელთაც ზასუხი გასცეს შემდეგ კითხვებზე: როდის და რატომ დამსჯა მასწავლებელმა? ყოველთვის ვიყავი დამნაშავე? ახლა როგორ გვრჯის მასწავლებელი?

1. ერთხელ ჩემმა ამხანაგმა იცელქა; ის გაიქცა, მე დავრჩი; ჩვენთან მოვიდა მასწავლებელი, მე ვეგონე და გამლახა; როცა უდანაშაულოთ გამლახავდა ხოლმე მასწავლებელი ისე შემძულდებოდა, რომ თვალის დასანახავად შეზარებოდა.

საქართველოს

2. პირველად მაგიდებზე რა დაგვაჯინეს, მე, მასწავლებელი არ ვიცოდი, რაღაცა იყო და ნამეტანს ვლანარაკობდი. მასწავლებელმა მითხრა: „შენ ბავშვად არ ივარგებ, სულელი გამოხვალ, ჩერჩეტი იქნები!“ ერთხელ გაკვეთილი არ ვიცოდი, მასწავლებელმა იქით გამოიყვანა და უურეში გამაჩერა: „ჭიანი, შე გლახაკო, გაკვეთილის დასწავლა კი შეგიძლია, მაგრამ ჩემი არ გეშინია“.

3. როცა ისტორია არ მეცოდინებოდა, მაშინ მეტყუოდა: დაჯექიო! და მერე, რა მთავილად ჩემს სიახლოვებს: „აღექი ზეზეო!“ და მკითხავდა: „რა გვარი ხარ შენა?“ მაშინ მე მიუუტებდი ჰასუსს. „მადანა რაღაცა გაჭდილია!“ და გამარტყავდა ხოლმე.

4. ერთხელ დამგვიანდა, თურმე ჩემ სუბელურათ უფილია, და რომ გავაღე მარცხენა ხელით კარი და მარჯვენა ფეხი გადმოვადგი, ქუდი მოვიხადე, პირჯვარი დავისწერე, და მინდა ახლა ჩემს ადგილს დაგვადე, მაშინ მითხრა: „სად იყავი ამდენხანსო?“ მოვარდა და გამარტყა. მერე მითხრა: „წადი და დაჯექიო!“

5. მესამეში ჩემი მასწავლებელი იყო B. ერთხელ დაფაზე გამოიყვანა, ციფრს ვსწერდი, შემეშალა, მომივიდა ხელი, მიმარხ-მომარხია, და, რაც ვიცოდი, ყველაფერი დამავიწყდა.

6. B. პირველად არაფრად გვირტყამდა, ორი თვის შემდეგ დაგვიწყო სკოლა. ახლას გვისკვამს შეუბრალებლად. როცა გაკვეთილი არ ვიცოთ, მოგვკლავს და გაგვაცოცხლებს; რომ დავაკლდებით, რაც გაკვეთილს მოგვცემს, თუ არ შევასრულებთ, მოგვკლავს და გაგვაცოცხლებს. ხან რკინას გვისკვამს, ისე, რომ ტვინი სულ აღარ გვაქვს.

7. ჩვენ გვასწავლის B. ის ახას ძალიან გულ-ფიცხი მასწავლებელი. უდანაშაულოსაც ბევრს სჯის და დამნაშავესაც, გაკვეთილებს რომ გვაძლევს, ქართულად არ გვიხსნის და არ ვიცოთ ხოლმე და გვირტყამს ხოლმე

რკინას თავში. ამოცანას რომ მოგვცემს, ვერ ვიგებთ და ამაზედაც გვლახავს. იმიტომ ვერ ვიგებთ, რომ არ გვიხსნის. როცა კლასს დავაკლდებით, გამოგვიითხვას და დაგვკრავს ხოლმე რკინას თავში და დაგვაჯინს. მაგრამ ხანდისხან ჩვენც კი ვართ დამნაშავე.

8. B. საზოგადოდ ასე გვიხსნის გაკვეთილებს, აიღებს წიგნს, წაიკითხავს რომელიმე სტატიას, ახსნის შიგ უცნობ სიტყვებს, შემდეგ ჩვენ გვეტყვის: „წაიკითხეთ, და რაც არ იცოდეთ, მკითხეთ და მე ავიხსნიო!“ შემდეგ დაგვიკითხება და ჩვენი სურვილით გვაძლევს გაკვეთილს; შემდეგისათვის, ვისაც გაკვეთილი არ ეცოდინება, მას სასტიკად დასჯის ხოლმე.

ერთხელ მეზუთე გაკვეთილზე გაღობის დროს ავად გავხდი და მასწავლებლის ნება დაურთველად სახლში წავიდა. მეორე დღეს მასწავლებელი ძალიან გამიწერს, დამაჩოქს და უსადილოდაც დამტოვავს.

9. პირველად გამარტყა, იმიტომ, რომ დამიძახა: აქ მოდიო! და არ ვიცოდი, მე მიძახდა, თუ არა. C-სთან. ორ წელიწადს ვიყავი, დამაჩოქს და უსადილოდ დამტოვავს იმიტომ, რომ კანცელარიასთან ქართულეკიმა ჩამოიარეს, ურეში კამეჩები ეხათ და იმას მივაჩერდით. ამ დროს დანაკვას და კლასში არ წავიდით, აგერ გვიან წავიდით, რომ შეგედით კლასში, მასწავლებელმა გვითხრა: „დაიჩოქეთ და უსადილოდ დარჩებითო!“ ეს მე არ მწეენია, იმიტომ რომ ჩემი ბრალი იყო. ყოველთვის არ ვუფილივარ დამნაშავე. მაგალითად, ერთმა ბავშვმა გამლახა და ვუჩიოვლე, მაგრამ ისევ მე დამტოვავს უსადილოდ და ეს ძალიან მეწეენია.

10. ერთხელ მასწავლებელმა წაგვიყვანა ეკლესიაზე წირვის მოსაურობლად და გზაზე დაგვარია: „ეკლესიაში რომ შეხვიდეთ, მაშინვე წადით და დიაკვნის უკან დადექით, და ისე ჩუმად იყავით, რომ სული არ დაბეროთ



ცხვირიდანო!“ მაგრამ რაი მერე? მასწავლებლის სიტყვამ სულ ტყუილად ჩაიარა. ჩემი ამხანაგები სულ უფველ წამში გარბოდნენ გარედ. როდესაც წირვა გამოვიდა, მღვდელმა დაგვიჩაქა ეკლესიაში ერთს საათს. მერე მასწავლებელმა ზოგი გალახა და ზოგს უური მისწია.

ერთხელ II-ემ გამარტყა ორჯველ; მაშინ დამნაშავე არ ვიყავი, იმიტომ რომ მოწაფეებმა დამიწიეს წვალება. მასწავლებელმა, როგორც გაიგონა რახუნი, მაშინვე გამოვიდა ოთახიდან და გამარტყა; უსადილოთ დამტოვა მაგრამ სასჯელი, ის არ მწიენია, რადგან დამნაშავე ვიყავი.

შემდეგ ჩვენ მასწავლებლად მოვიდა B; ისეთი გლახა დღე დაგვაყენა, რომ მეტი არ შეიძლებოდა; არც ერთ ჩვენგანს მოგვცა კარში გასვლის ნება, არც ტყუილა განძრევის ნება. ერთი რამე ზუტუნი რა გაგონა, ისე დაიფიქრებდა ხოლმე, ასე შეგონა, თუ მთელი კლასი დაინგრეა მეტქი. ბევრი დონისობება ვიხმარე, მაგრამ არაფერი არ გამომადგა. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ გადავსწვიტეთ ხუთმა მოწაფემ, უნდა დაგვენებებია თავი სწავლისთვის. მაგრამ ამ დროს დმერთმა გვისხსნა სატანჯველისგან, ერთხელ გაიღო ოთახის კარები და იმ კარებიდან გამოვიდა ჩვენი მხსნელი და გამოგვიცხადა: „დღეის შემდეგ თქვენი მასწავლებელი იქნება A-ო!“ ისეთ ადრატებაში მოვედით მთელი მოწაფეები, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

11. მას აქეთ, მე რომ კლასში შემოვედი. ბევრი სიმწარე მახსოვს. ზირველად ჩემი მასწავლებელი იყო E. ერთხელ ის აჩვენა ბავშვების ჩხუბის საქმეს და როცა გაიგო უველაფერი, დამნაშავეს გარტყა და მე „ასსას“ დავიძახე. და თქვა: „აქ გამოდიო!“ მე გავიდი და გამარტყა. შემდეგი მასწავლებელი იყო B. იმის რტყევას მე რა მოვი-

ფიქრებ, ტანში გამბუტავს ხოლმე ერთხელ იმან მე გამარტყა, ასე შეგონა, თავი ტანს მომშორდა მეტქი. კიდევ მან დაჩიქა ერთი მოწაფე, ახალი ნაყავდმოთარა, ბავში გაეკვეტა დაფასა და კედელს შუა, ბავშვს გულზე მოუვიდა და წაიქცა. მასწავლებელმა მოკიდა ხელი და გაარბენია ოთახში, იქ „დუხი“ ასხა და წყალი, მერე მისცა ხელში ზური და მზეში დააჯინა. მე იმისი მოქმედება, რომ დავსწერო, ეს ქალადი სულ მოუნდება.

12. A-ს განხილი ჰქონდა კლასში მორიგეობა. მორიგეებს ნება ჰქონდათ ცეკვობის გამო დაესაჯნათ მოწაფეები: უსადილოთ დატოვებინათ, დაჩიქებინათ ან ფეხზე გაეჩერებინათ. გლახა დღე დაგვადგობდა ხოლმე მაშინ, თუ მორიგ მოწაფეს ჩვენი გულის ჯავრი სჭირდა. ის სრულიად უმიზეზოდ გვრჯიდა მაშინ, და თუ არ დავემორჩილებოდით, მასწავლებელთან გვიჩივლებდა. ის ნებას აძლევდა უური მოწაფის ან გაერთეობის ჩვენთვის. მორიგი მოწაფე მოვიდოდა და გულის ჯავრს იურიდა ჩვენზე. მაგრამ როცა ჩვენ გავსდებოდით მორიგეებათ, გლახა დღეს დაგვაყენებდით ხოლმე და გულის ჯავრს ვიურიდით.

თუ ბავშვების დაწერილ ამ სტრიქონებს დაუფიქრებდით, დაგრწმუნდებით, რომ ბევრი დანაშაული მიგვიძღვის ბავშვების წინაშე: მოუფიქრებლობა, მოუთმენლობა, საქციელის მიზეზის გაუთვალისწინებლობა, ცნობის მოუვარეობის გულისთვის დასჯა, გაკვეთილების ცუდი ახსნა და მრავალი სხვა. ამის ნაყოფად რას ვხედავთ აწინდელს სკოლაში? არც ერთს ჩვენს სიტყვას არ აქვს ჯეროვანი გავლენა და ფასი მოწაფეებში. ისინი სცდილობენ ჩვენს მეტს შეწუხებას, მოტყუებას, არ აქვთ ჩვენი ნდობა, არ გვიხსნიან თავის გულის ზასუხებს, რადგან იქ სიუფარული და

ნდობა ვერ იარსებებს, სიღატაკი შიშის გამოეფე-  
ბული.

კომენსკი ამბობდა: დისციპლინის დაცვა  
საჭიროა არა სწავლა-მეცადინეობისთვის, არა-  
მედ უფრო ქვეყნისთვის.<sup>1</sup>“ მას სასჯელი სრუ-  
ლიად საჭიროდ არ მიაჩნდა სწავლაში კოტ-  
ლობისთვის, და საქმის წარსამატებლად, სხვა  
გონიერ საშუალებათ უჩვენებდა მასწავლებლებს.  
სხვა დიდი ზედტვირთვით ამასვე ქადებდნენ,  
მაგრამ აწინდელს სკოლაში მაინც სასჯელი  
იხმარება, ეს იმიტომ, რომ შიში მისცეს  
მწაფეებს და აიძულოს გაკვეთილის უკეთე-  
სად დასწავლა. დავიწყებულია უშინსკის სიტ-  
უვები: „შიშის გრძობა იმითი არის ძნელი,  
რომ გაუგავ ზღუდეს უყენებს სულის მოქმე-  
დებს.“ შიშის დროს გაკვეთილის გაება  
ბავშვს არ შეუძლია. „თუ თვითონ შემაშინე-  
ბული სახე, ამბობს იგივე უშინსკი, იბეჭდე-  
ბა მესხიერებაში, აქედან არ შეიძლება დაგ-  
სკვანათ, რომ მასწავლებელს უვირილითა და  
მუქარით შეუძლიან კარგად დამახსოვროს  
ბავშვს დასასწავლი გაკვეთილი. ბავშვი მტვი-  
ცედ დამახსოვრებს მხოლოდ მასწავლებლის  
გაგულისებულ სახეს, მის შემაშინებელ მი-  
მხმარს და სიტუვებს, და არა გაკვეთილის  
შინაარსს, რათა რომელიმე სახე დრმათ  
ჩაიბეჭდოს. რომელიც უფრო დაირჩილება  
ასეთი სურათების გვერდით. მესხი-  
რებაში, საჭიროა რომ გრძობას სძრა-  
ვდეს თვითონ ეს სახე, ან და ძალიან დახ-  
ლოკებული იყოს გრძობის აღმძვრელ სხვა  
სახესთან, და სულ ერთია, რომელი გრძობ-  
ბა იქნება ეს: შიში, სიგვარული, სიარცხელი,  
თუ გაკვირვება. მაგრამ რა აქვს საერთო მას-  
წავლებლის გაგულისებულ სახეს ლათინურ  
ანბანთან ან სჯულის-მასწავლებლის გაიცხვას  
და მუქარას იესო ქრისტეს ქადებებსთან,  
მის დედა აზრთან. შეიძლება საწინააღმდეგო  
კი ჰქონდეს, მაგრამ საჭიროა ბავშვმა მია-  
ქციოს უკრადლება ამ წინააღმდეგობას, მხო-  
ლოდ არა გვეგონია, ეს იამოს მასწავლებელს.

ის აზრი, ვითომც შიშს ჰქონდეს, განვლენ  
მესხიერების აღძვრას, არის დიდი შეცდო-  
მა. პირქით, შიშის დროს ჰყენ გავიწ-  
ვლება ისიც, რაც კარგად გვასხოს, და სწა-  
ვლის სიტუვები, რომელსაც მუქარა თან მოჰ-  
ყვას, უგულსე უფრო ნაკლებად რჩება მესხი-  
რებაში. და თუ რომელიმე მასწავლებელი აი-  
ძულებს სიმკაცრით მწაფეებს გაკვეთილის  
დასწავლას, ეს არ არის შიშის მოქმედება,  
არამედ იმ რეაქციის მოქმედება, რომელიც  
შიშმა გამოიწვია, მოქმედება ნების დაძლევი-  
სა, რომელიც სტდილობს თავი დააღწიოს  
შიშის ტანჯვებს. აი რატომ მრისხანე მასწა-  
ვლებელი განსხვავებულად მოქმედებს ერთს  
და იმავე კლასის მწაფეებზე, და თუ ერთ-  
ნი მართლაც უკეთ იწყებენ სწავლას, სამაგი-  
როდ, მეორენი, სუსტნი და ნერვები აშლი-  
ლნი, სრულიად თავს ანებებენ სწავლას, მეცა-  
დინეობის დროს იმათ არ შეუძლიანთ უკრა-  
დლება შეანერონ სასწავლო საგანზე, იმათ  
თვალბის წინ ჯიუტად სდგას მასწავლებლის  
მრისხანე სახე და მისგან დამუქრებული სას-  
ჯელი. თავისდათავად შიში პირდაპირ ჰხმავს  
სულის ძალას, ეს გასაცხებლად ემხნევა იმ  
მწაფეებს, რომელთა აღმზრდელი იყო მხო-  
ლოდ ერთი მუდმივი შიში.“

კარგად უნდა დაუგვირდეს უშინსკის სიტ-  
უვებს ის მასწავლებელი, რომელიც სიმკაც-  
რეს უკმევს გუნდრუგს და სტდილობს, რაც  
შეიძლება შუბლი შეიკრას მწაფეებთან, რომ  
მუდამ შიშში და მორჩილებაში იყოლიოს;  
მით უმეტეს, რომ ასეთი პირები განუსაზ-  
ღვრელი უფლებებით აღჭურვილად სთვლიან  
თავს. ამიტომ მწაფემ არ იცის, სდ არის  
საზღვარი მასწავლებლის სიმკაცრისა და რა.  
მელი სასჯელია კიდევ მისთვის ნება დაურ-  
თველი. უშინსკი ამბობს: „შიში ძლიერდება  
საფრთხის განუსაზღვრელობისაგან; ამ შემ-  
თსვევაში ბენი სრულიად სამართლიანად შე-  
ნიშნავს, არაფერი ისე არ ამცირებს და არ




ანდენს ადამიანს, როგორც მონური შიში, სახელდობრ იმიტომ, რომ, მონამ არ იცის, სად აქვს სასწავლო იმისი ბატონის უფლებას, რომელსაც შეუძლიან მას უქნას ეგვალური, იმ დროს, როცა იმ ქვეყნის მოქალაქემ, რომელიც ცხორებს კანონების მიხედვით და არა თვითნებობით, უფლებათვის იცის, თუ რა მოქალის მას“. როცა ასეთ ძველ მისილბასს მოინდომებს მასწავლებელი, მოწაფეები, რათა გადურჩნენ მის რისხვას, უგულდ ღონისძიებას იხმარებენ, გააცურონ იგი. იგივე უშინსკი ამბობს: „შიში არის ეგვალზე უფრო ამოუყვებელი წყარო ბიწიერებისა, რასაც, საუკეთესო დამტკიცებას ჩვენ ვხედავთ იმ დესპოტიურ სახელმწიფოებში, სადაც საფრთხე ერთი კაცის შეუზღუდავლ თვითნებობისა, დამოკლეს მახვილივით ჭიკილია თვითთვეულის თავზე. უშინსკი განაგრძობს: „ღვთის შიში არის სიბრძნის სათავეო, ამბობენ ხელმე ბავშვების შიშის მიტევის მოყვარულნი, მაგრამ რა ბოროტად ხმარობენ ამ დრმა ბიბლიურ თქმულებას ასეთი ზიანი! ამითი ჭეშრავენ ისინი თავის თავ-შეუკავებლობას გულის მოსვლის დროს, თავ-შეუკავებლობას, რომელმაც უნდა ამოშალეს ისინი აღმზრდელთა სიიდან, და უძრავენ ბავშვებს არა ღვთის შიშს, არამედ შიშს მასწავლებლისას, რომლისგანაც წარმოიშობვის სიცრუე, ფარისევლობა, ვერაგობა, სილანჩე შინობა, სულის არარობა და არა სიბრძნე.“

„ფიზიკური მოქმედება უკიდურესი შიშისა, უშინსკის სიტყვით, ზირდაზირ განსაოცარია, ადამიანებს, რომელთაც გაუფლიათ ასეთი წუთები, რამდენიმე საათში უთეთრდებოთ თმა, ურჩებოთ თავის ქნევა და ასაკების კანკალი მთელ სიცოცხლეში. ზოგჯერ ამ გვარ შიშის შედეგად წარმოსდგება ჭკუიდან შეშლა, ბნელა და სევდის ქარები. ძველად შიშს გამოხატავდნენ შედუფას სახით, რომლის ერთი შეხედვა ადამიანს ქვად აქცევდა ხელმე.“

რ უნდა ისწავლოს ბავშვმა, როცა სკოლაში გაძეგებულია სასჯელი და მისი მუდმივი დამყოლი შიში?

ბავშვების უფა-ქცევას უნდა ჭქონდეს დაკიდეტ აქვს დიდი უურადლება მიქცეული თანამედროვე სკოლაში, მაგრამ სწორედ ამ ზნეობის სფეროში შლის სასჯელი თავის საშინელ ფრთებს, და ეგვალზე უფრო თავს-სახინო ხდება მისი უვარვისობა და მანებლობა. სალანდელი სკოლა ბავშვს ბუნებრივ სიმკვირცხლეს მომაკვდინებულ ცოდვად უთვლის, მასწავლებელს ნებს აძლევს. ძალა ინმარცხს ბუნების წინააღმდეგ, რასაც ბავშვის უეტველი დასახინრება მოქვეება: როცა ბავშვს განძრევის ნებს არ აძლევენ, კარში გასვლას უკრძალვენ, მიხედ-მოხედვას უშლიან, ცხადა აქ სხეულის ბუნებრივ განვითარებას ადგილი არ ექნება. ბავშვების მოთხრვნილებანი კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ეგვალური ისეა მოწყობილი, რომ მასწავლებელი გამოდის თვითმზერობლად და მოითხოვს უფელივე ბრძანების ასრულებას. ის სტდილობს, რომ მოწაფემ გამოიჩინოს უცილობელი მორჩილება. ჩვენგან ბავშვობის დროს მოითხოვდნენ მონურ მოჩინლებას, ჩვენც, თითქოს ჯავრის ამოსურელად, მასვე მოვითხოვთ ჩვენი მოწაფეებისგან, გვინდა აღვზარდოთ ჩვენნარი ტანჯვა-წვალებას გამოცდილი ხალხი და თუ ვკრძობთ, რომ აღზრდამ დავამახინჯა, დავგვიშა ზოგეერთი კარგი თვისებანი და გავვივითარა წინააღმდეგნი, არ ვსტდილობთ, სხვა მანინ არ დავამახინჯოთ. ჩვენ გვინდა რომ ჩვენი სიმპატია-ანტიპატით იხელმძღვანელოს ბავშვმა თავის ცხოვრებაში: რაც ჩვენ მოგვწონს—იმასაც მოსწონდეს, რაც გვძულს, იმასაც სძულდეს, ვმიხარულობთ—იმხარულოს, მწუხარებაში ვართ—შესწუხდეს, ამას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ საქმე ჭქონდეს ნამდვილ მასწავლებელთან, უფლად სრულ ადამიანთან, რომელიც სასურველ მა-





გალითად, იდეალად იუფს გამოსადეგი. მაგრამ მასწავლებელთა უმრავლესობა დიდად დაშორებული ვართ ამ იდეალზე. ბევრს მასწავლებელს არც რამე სწამს, არც რასმე ასრულებს, ხშირად თვითონ არის ცუდი ეთოპიკოსი, მოუთმენელი, ამხანაგის შემწუნებელი, ღოთი—და სიტყუდის აღმოფხვრას კი ვითომ სწავლებას მოწყობებში; ესა თუ ის განკარგულება, რომელსაც ის იძლევა, არის შემთხვევითი, რადგანაც ღრმა შინაგანი რწმუნისაგან არ არის წარმოშობილი, ამიტომ რასაც დღეს გობის, ხვალ იმას შეიძლება ქებაც შესახსნ, და ბავშვი, იძულებული ხდება შეუგნებლად, როგორც ბნელაში მოხატინე, დაემოწმოს მის ბანებს. ბავშვს ესმის ერთი მეორის საწინააღმდეგო განკარგულებანი, ვერ ხერდება ერთს რომელსაში აზრზე და გონება ერევა; საკუთარ მსჯელობას მოკლებული დღეს ასე იქცევა, ხვალ ისე, და არ მოეპოვება მას არავითარი ხელმძღვანელი ძაფი. ის შეხედულობა, რომ მასწავლებლის ნებას უპირობოდ დაუმორჩილდეს ბავშვის ნება, იმდენად საფრთხილია, რომ მხოლოდ დიდად განათლებულ ბრძენსა და სპეციალიზაციის კაცს თუ მიეპარება ბავშვი აღსაზრდელად, სხვას არავის. ასეთები კი მასწავლებლებში სამწუხაროდ არავინ მოიძებნება. უგულვან გამჩინილი ზედგოგი იმ აზრს აღიარებს, რომ აღზრდამ უნდა განუვითაროს ადამიანს თანდაყოლილი ძალები სულისა, მასწავლებელი უნდა იუფს არა ბატონი ბუნებისა, არამედ მხოლოდ მისი თანა შემწე. მასწავლებელთა უმრავლესობა კი ასე არ უყურებს საგანს. ბევრისთვის ახლაც სინამდვილეს შეეფერება დობროფიუბოვის ორმოცდაათი წლის წინად დაწერილი სიტყუვები: „ბავშვს არ უნდა ჰქონდეს „საკუთარი ნება—ამბობენ ბრძენთა ბრძენი ზედგოგები—ის ბრძედ უნდა ემორჩილებოდეს მშობელთა, მასწავლებელთა და საერთოდ უფროსთა მოთხოვნებს. მასწავლებლის ბრძანება უნდა წარმოად-

გენდეს მისთვის უმადლეს კანონს, და ასრულებს ხმაიმოულებლივ. უცილობელი მორჩილება, აი უმთავრესი და ერთად ერთი აღზრდის პირობა, აღზრდის უკანასკნელი მიზანი, სახელდობრ, ის არის, რომ ბავშვის უგუნურების აღცილას დაავუნროთ აღმზრდელის გონიერი ნება. მაგრამ თხოულობთ რა ასეთ უცილობელ მორჩილებას, თქვენ, სახელდობრ, სწობთ გონიერ, სწორ და თავისუფალ განვითარებას ბავშვისას.

რა მოჰყვება მერე ასეთ აღზრდას? ამასზე დობროფიუბოვი სწერს. „საკუთარ მსჯელობის და შეხედულობის უქონლობა, მუდმივ უმარყოფილება სულის სიღრმეში, მდუნება და ჭკაშანი მოქმედებაში, ნების სისუსტე, სხვის გავლენის დამორჩილება, საერთოდ პიროვნების დაკარგვა, და ამის გამო ქართუტობა და სიუფლება, თავის მოვალეობის ნაკლებად შეგნება და შეუძლებლობა ცხოვრებაში ახალი რამის შეტანისა, რომელიც იქნებოდა უფრო სრული და განსხვავებული წინად დამუარებული წესებისაგან—აი ის ნობათები, რომელითაც უცილობელი მორჩილება აღზრდის დროს სახეუქრებს ადამიანს და უშვებს მას ცხოვრებასთან საბრძოლველად. „ხოლო რა დიდებულ განვითარებას მიიღებდა ჭკუა—განაკრძობს დობროფიუბოვი—რა ენერჯია რწმენისა დაიბადებოდა ადამიანში და შეუეროდებოდა მთელ მის არსებას, რომის პირველ წლიდანვე დაეჩვიათ იმასზე დაფიქრებას, თუ რას აკეთებს; რომ თვითუელი საქმე გაეკეთებინა ბავშვს იმისი საჭიროებისა და სამართლიანობის შეგნებით; რომ ის შეჩვეულიყო, თავისთავისთვის მიეცა ანგარიში თავის მოქმედებაში დაესრულებისა ის, რაც მოსთხოვეს, არა მბრძანებლის ხათრით, არამედ თვითონ საქმის სამართლიანობაში დარწმუნების გამო. ჰგავს რა ბავშვი გამბედავობას და დამოუკიდებლობას სულისას, უცილობელი მორჩილება მანებლად მოქმედობს გრძობასზე და ნების გან-



ვითარებაზე: „ამიტომ ჩვენ ვთხოვლობთ— დასკვნის დობრადიუბოვი, რათა აღმზრდელები მეტის ზატივისცემით ეკიდებოდნენ ადამიანის ბუნებას და ცდილობდნენ განვითარებას და არა დასშობას შინაგანი ადამიანის თავის მოწაფეებში, და რათა აღმზრდელები ესწრაფოდნენ, შექმნენ ზნეობრივი ადამიანი არა ჩვეულებით, არამედ შეგნებით და რწმენით“.

დობრადიუბოვის სიტყვებს ჩვენი შევსება არ ეჭინვებათ, მხოლოდ რომ გადავხედოთ ჩვენი სკოლის კარ-მიღამოს, უოველ ფეხის გადადგამაზე შუგზდებით ასეთ სურათებს: ატირებული მოწაფე მოდის მასწავლებელთან და ჩივის, ამხანაგმა გამლანაო. მასწავლებელი ბევრს გამოძიებაში არ შედის და სასტიკად სჯის ბრადლებულს; მოწაფემ დაარღვია სინუჲ კლასში, მასწავლებელი გარტყევიით უმასზინძლდება; რამე სხვა შეცდომა მოუვიდა, დაჩქებს ან დადამებადის უსადილოდ დასტოვებს. სად არის აქ განიური ხელმძღვანელობა, კეთილი სიტყვა, შესაფერი დარიგება! ჩირქს ჩირქით ჭხობავს, სისხლს სისხლით ჭხანს, სიძულვილის აღმოფხვრა სიძულვილით უნდა, და ის კი ავიწყდება, რომ „ღვარძლის მთესველი ვერ მომიკის იფქლსა ბასრისა ცელითა!“

ყოფილია ური სკოლა იურკევიჩის, ელნიცკის მირობოლსკის და კომენსკის შირით ჩამოსთვლის მრავალ სასჯელს უოფაქტევის გასასწორებლად, მაგრამ, როგორც ვიცით, ზემო დასახელებულ, რაც ზედაგოგებს ნება დარ-

თულად მიაჩნდათ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ჩვენს სკოლებში იზმარება სულ მტირე დანაშაულობის დრას. ფიზიკურ სასჯელს ეს ზედაგოგებიც, მაგალითად ელნიცკი, გმობენ: „სასჯელს, რომელიც არცხვენს მოწაფეს და ჭვნებს მის სულიერ-ორგანიულ კეთილმდგომარეობას, ადგილი არ უნდა ჭქონდეს სკოლაში „კარგი სკოლის მიზანი— განაგრძობს ელნიცკი—მდგომარეობს სასჯელების რიცხვის და სხვა და სხვაობის გამოვლებაში კი არა, არამედ იმათ შესაძლებელ შემცირებაში მოწაფეებში ზნეობრივი გავლენის გაძლიერებით. ის სკოლა კი არ ასრულებს თავის დანიშნულებას, რომელიც ამრავლებს და წამდა უწუმ მიმართავს სასჯელს, არამედ ის, რომელსაც ისე მიჭყავს საქმე, რომ მოწაფეებს კარგი ხელმძღვანელობის გამო არ სჭირდებათ ხშირად დასჯა, რომ იმათ ერცხინებათ უოველგვარი სასჯელი, როგორც გამომხატველი დასაგმობი საქციელის.“

„ფიზიკური სასჯელი კი არამც და არამც არ უნდა არსობდეს სკოლაში, რადგანაც ეს დაამცირებს ადამიანს, როგორც მოწაფეში, ისე მასწავლებელში—ამბობს იგივე ელნიცკი. ასეა თუ ისე, თუ ყოფილია ური მთავრობაც, სასჯელს მხოლოდ ითმენს სკოლაში, იძულებით უთმობს ადგილს, ცხადია ის მანებელი მოვლენა უოფილა და მისი ხმარებიდან გამოყვანა საჭიროა.“

სავლე აბულაძე.

(დასასრული იქნება)



# სად თავდება გენიოსობა და სად იწეება უაზრობა

წერილი დიმიტრი ო—ჩისა \*)

## I

წილოსოფიურ კრიტიციზმის დამაარსებელი ემ. კანტი (1724—1804) ამბობდა, რომ „გონიერების და უგუნურების შორის ზღვარის აღნიშნვა, მეტად ძნელია“-ო... „ძნელად თუ ერთი ამათვანი დიდხანს გაჩერდეს თავის სფეროში და მეორის საბრძანებელში არ შეიქრას“-ო...

ამ ხუთიოდე წლის წინად გამოიცა გერმანელ მეცხიერის ლ. ლევენფელდის თხზულება. ავტორი საგანგებოდ აგვიწერს რა არის „უგუნურება“ და სრულიად ეთანხმება, ამტკიცებს კენიგსბერგელ ფილოსოფოსის (კანტი) აზრის სიმართლეს.— არ არსებობს ისეთი გენიოსობა, რომელიც ხელთ არ იგდოს უაზრობამაც.

ავტორს სახეში აქვს არა ის პოტოლოგიური უგუნურება, რომელსაც ეწოდების ჭკუის სისუსტე, ანუ ჭკუაზე შეშლილობა, არამედ ნორმალური, საღი უგუნურება, რომელიც ერთის მხრივ ქმნის ისტორიას და მეორეს მხრივ ბრძანებლობს—მმართველია ჩვენი დღევანდელი დღისა.

—

მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ის ცნობები, თუ რა გვარ „უგუნურებას“ ჩაიდენენ ხოლმე თვით გენიოსები. მოგვყავს აქვე ორიოდე მაგალითი.

ყველაზედ მეტად ჩვენ, რა თქმა უნდა, უფრო საკვირვლად მიგვაჩნია, როდესაც

რაიმე უაზრობა სწავლულ კაცისაგან არის ჩადენილი, ე. ი. იმ პირის მიერ, რომელსაც საზოგადოებისაგან ეძლევა ხოლმე განსაკუთრებითი პატენტი ჭკვიანი კაცისა. მართალია გვიკვირს, მაგრამ ეს სწავლულები კი ვაი რა ხშირად გაეგმიან ხოლმე საცოდად, ხათბალა საქმეში!..


ისტორიიდან უეჭველია გახსოვთ რა გვარის შეურაცხყოფით მოექცნენ ქრისტოფორე კოლუმბს სალამანქის უნივერსიტეტის მაშინდელი სწავლულნი გვამნი. კოლუმბი ამტკიცებდა თავის მოხსენებაში, რომ ოკეანოს იქით, დედამიწის ბურთის მეორე მხარეზე უეჭველად უნდა არსებობდეს ხმელეთი, ხალხი და დიდი ქვეყნებიო...

„რაო, რაო!.. მაშ თქვენის აზრით იქაური მცხოვრებნი ყირაზე დგანან და ფეხებ აშვერილები დადიან რაო!..“ დასცინოდა კოლუმბს სწავლულთა კრებული.

აბა ახლა გავიხსენოთ რა მწარე დღეში ჩაადგეს დიდებული გალილეო, როდესაც საბრალო მოხუცი იძულებულ ჰყვეს უარი ეთქვა თავის მოძღვრებაზე, რომ დედამიწა ტრიალებს და თან მზესაც გარს უვლისო. უარი რომ არ განეცხადებინა, ტანჯვა წამება, ინკვიზიცია მოელოდა. ამ შემთხვევაშიაც პროფანები კი არ ბატონობდნენ, არამედ ჰალარა მოსილნი, დაბრძენებულნი გვამნი წიგნებს შეებერებულნი.

მერე რამდენი იყო ამისთანა მაგალითი მეცნიერების ისტორიაში!..

\*) თავისუფალი თარგმანია.



აბა მოვიგონოთ, რამდენი უსიამოვნება განიცადა თუნდ განთქმულმა მეცნიერმა ქიმიის დამაარსებელმა ჯაჯუზემ, რომელმაც აღმოაჩინა ატმოსფერაში (ჰაერში) ორი გაზი, ორი ელემენტი — ჟანგბადი (მუავბადი) და აზოტი. ამ დიდებულმა აღმოჩენამ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია სწავლულთა შორის. სამეცნიერო აკადემიის წევრი ცნობილი ქიმიკოსი ბოჟე მთელის თავის ენერგიით ემხრობოდა ისევ ძველ თეორიას 4-ს ელემენტისას (ჰაერი, წყალი, ცეცხლი და მიწა) და არას გულისთვის ვერ შერიგებოდა იმ საძაველ აზრს, რომ ეს ელემენტები, რომელთაც ორიათასი წელიწადი მეტი მეცნიერები მაგოდ ებღაუჭებოდნენ, უეცრივ ერთს მშვენიერს დღეს, რთულ სხეულებად იქნებოდნენ აღსარებულნი!!..

მაგრამ შემდეგში არც თუ თვით ლავუაზე ასცდა ხათბალას, ვერას გზით ვერ დააჯერეს ეს დიდებული ქიმიკოსი, რომ ცის სივრცეში არსებობენ შეტეორეტიკები. აი სწორედ ამ საგანზე ქიმიის მამამთავარმა ლავუაზემ უშველებელი მოხსენება წარადგინა სამეცნიერო აკადემიაში, სადაც მითომ და დაურღვეველი საბუთებით საშინლად იცავდა პოზიციას, ამტკიცებდა: „ყოვლად შეუძლებელია, რომ ციდან ქვები ცვიოდნენო (ჰაეორითები ანუ მეტეორიტები).—

სახელოვანი იტალიელი ანატომი და ფიზიოლოგი გალვანი (1737—1798), რომელმაც უკვდავ ჰყო თავის სახელი შესანიშნავ აღმოჩენით და თვალსაჩინო ჰყო ყველასათვის კლასიკური გამოცდანი, მასხარად აიგდეს მეცნიერებმა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მეცნიერთა კრებას წარუდგა და აუხსნა რა გავლენაც აქვს ბაყაზე ელექტრონულ ნაკადულს. რადგან ბაყაყის ფეხები ამ დროს მოძრაობაში მო-

დიოდა, ამიტომ დიდებულ გალვანის „გაზაყაყაყის ტანტ-შეისტერია“ უწოდეს.

ავიღოთ ახლა ინგლისის სამეფო საზოგადოება, 1841 წელს მან კატეგორიულად უარჰყო საკრებულოს დარბაზის კედელზე სამახსოვრო ფიცარი მიეკრა გამოჩენილ ფიზიკოსის ჯოულის \*) პატივსაცემად, რომელმაც ესოდენი სამსახური გაუწია მეცნიერებს. იმავე სამეფო საზოგადოებამ უშველებელი ხარხარი ასტეხა, როდესაც ბენიამინ ფრანკლინის (1706—1790) მოხსენება წაიკითხა. დღეს კი ვერც ერთი მეცნიერი უარს ვერ ჰყოფს მუხის სსცდენ იარაღის დიდს სიკეთეს. ასე გასინჯეთ ხსენებულმა საზოგადოებამ ფრანკლინის შრომა, სადაც თავის კვლევაძიებას ანვითარებდა მუხის შესახებ, ეს მოხსენება დაბეჭვდის ღირსადაც არა სცნო თავის ჟურნალში.

გაზით ნანათების გამომგონი ფრანგი ლეპანა იძულებულ იქმნა მოესმინა „ღრმად მოსაზრებული“ დასკვნა სპეციალისტთა კომისიისა, რომელნიც ამტკიცებდნენ: „ყოვლად შეუძლებელია, რომ ლამპარა უზატრუქთ აინთას“—ა...

თავზარდამცემი კოლლეგიური უგუნურება გამოიჩინა სწავლულთა მთელმა კრებამ და აი როგორ. როდესაც ბავა-

\*) ჯოული (James Prescott Joule) ინგლისელი განთქმული ფიზიკოსი (1818—1889) ამაზ გამოიკვლია ელექტრომაგნეტიზმის კანონები, ზოლო 1841 წ. აღმოაჩინა კანონი ფიზიკაში, რამელსაც დღესაც მისი სახელი ეწოდება. მან გამოაქვეყნა 97 სამეცნიერო შრომა. იყო არჩეული წევრად ლონდონის სამეფო საზოგადოებისა, რამელმაც 2 მედალით დააჯილდოვა და პენსიაც დაუნიშნა მთავრობამ—ვიდრე ცოცხადი იყო ჯოული 200 თუმანს აძლევდნენ.

როის მთავრობამ სიტყვა ჩამოაგდო იმის შესახებ, რომ შესძლოა თუ არა რკინის გზა გამოვიყენოთ პრაქტიკულ ცხოვრებაშიო ე. ი. ვიმოგზაუროთო და სხვა. ამის შესახებ სხვათა შორის სთხოვეს შინაგანის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტს გამოეთქვა თავის აზრი, ესკულაპტა კრებამ გადაჭრით უპასუხა, რომ რკინის გზებით მოგზაურობა ხალხის ჯანმრთელობას დიდად ავნებსო.

სწრაფი მოძრაობა ვაგონებისა უექველად გამოიწვევს მოგზაურთა ტვინის შერყევას, გალაცხებას, ხოლო მაყურებელთა შორის ხშირი იქნება ნერვების აშლა, გულის წასვლა, შეწუხება და სხვა ამგვარებით, ამიტომაც, ადამიანის ცოდვაში რომ არ ჩადგეთ, რკინის გზის ღიანდაგი უექველად ორსავე მხრიდან მალლად აფიცრეთ, რომ მაყურებელთა შორის გული არავის შეუწუხდეს, მსხვერპლად არ გახდესო.

არც თუ მეცნიერის არაგოს საბუთები იყო ნაკლებ სასაცილო, რომელიც წინააღმდეგა რკინის გზების გამართვას საფრანგეთში. არაგოს აზრს სხვათა შორის მხარი დაუჭირა გამოჩენილმა სახელმწიფო პირმაც ტიერმა.

აი კიდევ მაგალითი. ცნობილმა საფრანგეთის ფიზიკოსმა ბაბინემ (1794—1872) საშინელი პროტესტი გამოაცხადა, სისულელეც კი უწოდა იმ განზრახვას, როდესაც შეუდგნენ ტრანსატლანტიის კაბელის გამართვას. ბაბინე თავის მოსაზრებას ამყარებდა ელექტრონის ნაკადულის ფიზიკურ თვისებაზე—ყოვლად შეუძლებელია, რომ მაგ სიშორე მანძილზე ტელეგრაფმა გადასცეს რამეო.

რამოდენად სიბეცე და შეუგნებლობა შეუძლია გამოიჩინოს სწავლულმა კაცმა, იმ დროს როდესაც იგი ახალ რამ იღებს

ანუ გამოგონებას შეეფთება, ეს შემდეგი მაგალითიდანაც აშკარად ჩანს ცნობილი ასტრონომი კ. ფლამარიონი აგვიწერს შემდეგს: „ერთხელ მე დავესწარ პარიზის სამეცნიერო აკადემიის წევრთა კრებას. ეს იყო იმ ღირსსახსოვარ დღეს, როდესაც ფიზიკოსი დიუ-მუსელი მეცნიერთა კრებულის წინაშე ედისონის მიერ ახლად გამოგონილ მანქანას, ფონოგრაფის ვითარებას უხსნიდა... დიად, იმ დროს, როდესაც მომართულმა ფონოგრაფმა ადამიანით ლაპარაკი დაიწყო, უცბად წამოხტა ზეზე ერთი უკვდავთა წევრთაგანი, უკვე ხანში შესული მეცნიერი, მთლად გაუღნითილი კლასიკურ აზრებით, ეს მეცნიერი კაცი საშინლად აღელვებული მივარდა ყელში ედისონის წარმომადგენელს და ყვირილი დაუწყო: „რა თავს იგდებ შე რეგვენო ვილაცხხარ!.. მითომ შენ აქ ვინა გგონია? ვინ უნდა მოაღოროს შენმა ვილაც მისანმა მუცლით მეზღაპრემ!?!..“

ეს ხათაბალა დაემართა სახელდობრ monsieur ბუიეს 11 მარტს 1878 წ... მაგრამ ეს კიდევ არაფერი. გაიარა ექვსმა თვემ და იმავე აკადემიის წევრთა მორიგ კრებაზე 30 სექტემბერს ბუიომ განაცხადა: ამ აპპარატის (გრამაფონი) დიდის დაკვირვებისა და გამოცდის შემდეგ, ვალლად ვრაცხ ჩემს თავს მოგახსენოთ, რომ ჩემის ღრმა რწმენით პატივცემულ მეცნიერთა კრებას აქ საქმე აქვს მეტად დახელოვნებულ მისანთან, მუცლით მეზღაპრესთანაო... ყოვლად შეუძლებელია ბატონებო, რომ რაღაც საძაგელმა ლითონმა შესძლოს ადამიანის ღვთიურის ხმით ილაპარაკოს—ამაში ძნელია ვისმე დავეთანხმო“...

დიად, ასეთი ამბები ბევრი მომხდარა, ყველა აქ სად ჩამოვთვალოთ, ახლა საინ-



ტერესია: რითი აიხსნება ასეთი მოვლენა, რომ თვით გენიოსობაც ვერ იხსნის ხოლომე ადამიანს უაზრობის მორვეიდან?..

ლომბროზო იქნებაც მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ გენიოსობის და ჭკუაშემოილობის შორის საზღვარის აღნიშვნა მეტად ძნელი საქმე არისო. თუ ეს ასეა, მაშ უფრო ჭეშმარიტიც იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენ არ ვუწყით, სად თავდება გენიოსობა და სად იწყება უაზრობა...

ილ. აღსანიშნავი.

## II

### Post scriptum \*)

ჩემი პოსტ სკრიპტუმი ის არის, რომ პირველიდგან იყო გონება და გონება იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო გონება იგი. ყოველივე გონების მიერ შეიქმნა და თვინიერ გონებისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა. გონება იგი განხორციელდა და დამკვიდრდა ქმნილებათა შორის...

ხოლო ადამიანი, ვით უნიჭიერესი ღვთის ქმნილება ზეგარდამოთი სიბრძნითა განათლებული, კვლევა-ძიებით დღეს იმას მისწვდა, რომ ბუნებაში მეფობს გონება, რომელსაც მზე დაუდგენია ყოველისავე გამგებლად. ხოლო მზე გამგებლობს სამი მასალით. მისი თანაშემწენი არიან: დედა-მიწა, ჰაერი და წყალი. ბუნებაში ყოველივე სწარმოობს გონების მიერ დაწესებულ მკვიდრ და გადაუვალ კანონებით, რომელთაც ემორჩილება თვით გონება და ყოვლად ძლიერი მზეც თავის თანამშრომლებით.

ხოლო მეცნიერებამ არა ღვთის გარეგნობით, არამედ ღვთივ მონიჭებულ ძალით ათასი საუკუნის ბრძოლისა და შრომის

შემდეგ მიაგნო და ახსნა ბუნების გადაუვალი ძირითადი კანონები, რომელნიც არიან:

1) ყოველი ორგანიზმი (მცენარე და ცხოველი) ცვალებადია, მატერია კი მოუსპობელი...\*)

2) მთლად მსოფლიოში რაც კი რამ მატერია (ნივთიერება) არსებობს ყოვლად მოუსპობელია.

3) დედა-მიწაზე და უსაზღვრო სამყაროს სივრცეზე\*\*) სრულებით არ მოიპოება მარად ჟამს უცვლელი ფორმა და გარდაუქმნელი ფაქტორი.

4) ბუნების ყოველგვარ მოვლენათა შორის სუფევს უეჭველი კავშირი კანონზომიერებით განმტკიცებული.

5) იმავე დროს ბუნების კანონები ფრიად მარტივი არიან: ერთი და იგივე კანონი მმართავს და განაგებს ყოველ გვარ მოვლენას, როგორათაც სრულიად უშუალოდ ესე თუ უუდიდეს და განუსაზღვრელს, თავზარდამცემს (მიწის ნძრევა, ქეჩა-ქუხილი, ქარ-ტყეხილი, ფრთიანა და სხვ.)

6) ბუნების კანონები დამყარებულ არიან მატერიის მარადისობაზე მის მოუსპობელობაზე.

7) ჩვენ ჯერჯერ ვერ გვიბოვია (და ვერც ვიპოვიით) მსოფლიოს შექმნის პირველი საბაბი, დასაბამითი მიზეზთა მიზეზი...

\*) მკაცრითადად მე ვიწინ ექვს ფუთს. შენც მოკვდები, გარდავიცვლები ეს ამოღენი მასდა (მატერია) ნუ თუ მოისპობა?

\*\*) სამყარო ანუ მისი სისტემა მარტო ჩვენი კი არ არი. თვითვეული ვარსკვლავი იგივე მზე არის და თავისთვის ცალკედ მზეობს, მეფობს, სხვა მსოფლიოს უნათებს, ათობს, სიცოცხლის ზრცესს აწარმოებს. ამ უთავალავ მიზეზთა შორის ზოგიერთს ჩვენს მიზეზებად უდიდესია.

\*) წერილის შემდეგ.

8) ის კი ჰეშმარტია, რომ მთლად ხილული და უხილავი მსოფლიო არის კანონზომიერებაზე დამყარებული ქმნილება, რომლის შექმნა და განვითარება სწარმოობდა და აწ სწარმოობს შექმნივის, ფიზიკის და ქიმიის კანონთა ძალით.

9) აწ დაურღვეველი ფაქტია, რომ ჩვენმა დედამიწამ მრავალ ჯერ განიცადა მეტად საშინელი აურ-ზაური და კატასტროფა — ქარტეხილი ვიდრე აღორძინებითი ძალას შეიძენდა და დღევანდელს სახეს მიიღებდა და მასზედ ორგანიზმონი (მცენარე და ცხოველი) შესძლებდნენ აღმოცენებას, სიცოცხლეს, ცხოვრებას. გავიხსენოთ თუნდ ყინულოთა პერიოდები ზოგჯერ 200 ათასი წლობით იყო ხოლმე გაყინული ჩვენი დედამიწა.

10) ბუნებაში კანონ-ზომიერებით ხდება უოველივე ცვლილება.

11) დიდებულ მეცნიერის ნიუტონის კანონი მსოფლიოს თუ სამყაროს ურთიერთ მიმზიდველობა-მისწრაფებისა და აგრეთვე დარჯინის თეორია ცოცხალ არსებათა წარმოშობისა და განვითარებისა (ევოლიუცია)\*) ვერას დროს ვერ აგვიხსნის

\*) სხვა რამეში შეიძლება არ დავთანხმდეთ დიდებულ ნატურალისტს დარჯინს (მაგ. აღმანის წინაპარი არ იყო შამუნი), მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჭეშმარიტად განათლებული კაცი, რომელიც უარს ჰყოფდაც დარჯინის ევოლუციონურ თეორიას. არამც თუ დღევანდელი, მომამავალი ბიოლოგიაც დარჩება იმავე ევოლუციონურ ბიოლოგიათ. დარჯინის მოძღვრებას ახალი ერა შექმნა არა მხოლოდ ბიოლოგიაში, არამედ მთელს კაცობრიობის ჭკუა-გონება მსჯელობის ისტორიაში — სოციალური მეცნიერებაში, ანტროპოლოგიაში, პსიქოლოგიაში, ეთიკა და სხვ. გარდაიქმნენ და კვლავ გარდაიქმნებიან თანხმად ევოლუციონიზმისა.

ქვეყნიერების შექმნის დასაბამს, ჰარვეი მიზეზს — მაგალითად საიდან იშვა ის ნისლი და რამ, ვისმა თითმა შემოატრიალა იგი ნისლი, რომელიც შემდეგში მზეთიქცა?

12) მაგრამ მეცნიერება ყოვლად დაურღვეველად-კი შემდეგს მოწმობს და ამტკიცებს: მიმდინარეობა მსოფლიოს ბრუნვისა ვისიმე, მატერიალის გარეშე მყოფის, ქეიფზე კი არ ხდება და ერთის ვისიმე თვითნებობით, უნიანობით კი არ სწარმოობს, არამედ ქვეყნიერების საქმეთა ვითარებას, სამყაროს ბრუნვას განაგებენ მარტოდ და მხოლოდ ბუნების უურუველნი ძალები და კანონები თვით მატერიის თვისებასთან განუყრელად დაკავშირებული ჰიროზანა.

13) ამ გვარად, მატერიალური\*) და მე-

\*) უმეტესად თავზარდაშეშეშის (ამბობს კოლბი) ის გარემოება, რომ ჯერ დღესაც ზოგიერთა ვაუბატონები ბორცვად სარგებლობენ და საშინლად ამახინჯებენ ორ მნიშვნელოვან სიტყვას: „მატერიალიზმი“. ამ გატაცების გამო დარჯინი საშინლად შენიშნავს: „მე მტონი ძნელი სულაც არ არის აღმანაშა შეიგნოს, რომ განკიცხვის დონის ეთიკურ ანუ უნებობივ მატერიალიზმს სერთო სრულებით არაფერი აქვს ჩვენს სამეცნიერო ანუ ბუნების-ფილოსოფიის მატერიალიზმთან. ჰიროქით ერთი მეორეს სრულებით ეწინააღმდეგება.

ზნაქტიკული — მატერიალური ტენდენცია, გაცხადებული მისწრაფება მატერიალურ (ნივთიერ) ბედნიერებისადმი, საშინელი სურვილი სრულის ფუფუნებით ცხოვრებისა და უადრესი სიტკბოების განცდა, განცხრომა, საიდანაც უეჭველად გამომდინარებს უნებობივ განწყობას, გადაგვარება, უოველივე ეს სისასძლე უგულავზე მეტად კავრცელებულია საზოგადოე-



ქანიკური მიზეზები და ძალნი ქმნიან დე-  
დამიწახედ და უსაზღვრო სამყაროს სივრ-  
ცეში ყველა იმ ცვლილებებს, რომელნიც  
ასე ძლიერად გვაკვირვებენ, თავზარს  
გვცემენ.

და ბოლოს **გ. ფრ. კოლბი**\*) ვისი  
აზრებითაც მე აქ ვსარგებლობ, ასე ათა-  
ვებს:

„თავის დროს **ნიუტონმა**ც კი განიცადა  
შეჭირვება არამთუ კლერიკატურასაგან,  
არამედ მეცნიერთაგანაც.

ღიალ, როდესაც **ნიუტონმა**\*\*) თავისი

ბის სწორედ იმ წრეში, რომელიც მადლად  
დადადებს საწმუნოებაზე და სახვეწებლად  
გამაჰკვთ თავისი ღვთისნიერება. აი სწორედ  
ესენი სრულებითაც არ იცნობენ ბუნებას და  
მისს თვისებებს. მაშასადამე ვერც შეუძლიათ  
რამე ფილასოფიური-მატერიალური სჯა და  
შეგნება იქნინოს ბუნების ვითარებაზე.

წინააღმდეგ ამისა ფილასოფ-მატერიალის-  
ტები ეთიკურ მატერიალიზმს ძლიერ ნაკლებ  
აქცევენ უურადლებას.“

\*) გერმან-ფრანგის კოლბი (Kold), 1800  
—1884—სტატისტიკი, ზუბლიცისტი და  
დემოკრატიული პოლიტიკური მოღვაწე (იხ.  
მისი „Исторія челоѳической культуры“  
რუსულად ნათარგმნია 1896 წ.

\*\*) ისააკი **ნიუტონი** ინგლისელი განთქმუ-  
ლი მატემატიკოსი და ფიზიკოსი (1643—  
1727) დაიბადა სოფელ უულტონში. სწავ-  
ლა დაიწყო აქვე სოფლის სკოლაში, მერე  
სამაქალაქო სკოლაში მიაბარეს, მაგრამ უსად-  
სრობის გამო დათხოვნილ იქმნა სკოლიდან.  
მეორედ დაქვრივებულ დედას ძლიერ გაუხარ-  
და შვილის დაბრუნება სოფელში (დამეხმა-  
რება), მაგრამ ნიუტონმა მანერ მიაღწია

დიდებული კანონი გამოაქვეყნა, ამ ახალ-  
მა აღმოჩენამ ძლიერ გააწიწმატა იმ გვა-  
რი გენიოსი ადამიანიც-კი, როგორც  
იყო **ლეიბნიცი**.

ლეიბნიცი\*) წინააღმდეგ ნიუტონის  
კანონს უმთავრესად იმიტომ, რომ ახალი  
აღმოჩენა მითამ ძირითად არღვევდა  
ბუნებრივ რელიგიას და უარს ჰყოფდა  
ღვთის მეტყველებას!..

ილ. ალხ.

უნივერსიტეტამდი (კემბრიჯის). უკვდავ იქმნა  
თავის თხუზულებით „Philosophiae naturalis  
principia mathematica“ (ლენდონი 1687).  
სამ წიგნათ. მთავარი ნაწილი პირველი წიგ-  
ნისა არის დიდებული თეორია საყოველთაო  
ურთიერთ მიმზიდველობა-მისწრაფებისა მსო-  
ფლიოში, რომლითაც ნიუტონის სახელი უკვ-  
დავ იქმნა სამარადისოდ.

\*) გოტფრიდ-ვილჰელმ **ლეიბნიცი** უფ-  
ლად გენიოსი, რომლის ბადალი არ მოინახე-  
ბა კაცობრიობის მთელს ისტორიაში, დაიბა-  
და ლეიპციგში 1646 წ. 1 ივლისს. იგი  
იყო დიდებული ფილასოფოსი, იმავე დროს  
გამოჩენილი მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ის-  
ტორიკოსი, ღვთის მეტყველი, იურისტი  
და დიპლომატი.

მართლაც და რა დაუფიქრებელი კაცი ამ  
ბუმბეკაზ მეცნიერთა ტუინის თვისებას, მათს  
მოღვაწეობას, რომელთა ვერც შეუძლებელ ვართ  
ხამელთ მათთა ტვირთვად!.. ჭო და სდაც,  
ეს ჭკუის გიგანტებიც-კი მთავარდებინა ხელ-  
მე საარაკო შეცდომაში, რაღა გასაკვირ-  
ველია, რომ ჩვენისთანა მომავლადვის ორ-  
დინარულმა ჭკუამ ზოგჯერაც უაზროდ მარა-  
დოქსალურ სამეფოში გადაუხვიოს!..

ილ. ალხ.



# მასწავლებლის დღიური

## 15 ენკენისთვე.

**რ**ა საშინლად მოსწყინდება კაცს ამ სოფელში... კარგა ხანია რაც აქა ვარ მასწავლებლად: ზოგიერთ სოფელელებს კიდევ ვიცნობ, მაგრამ მაინც აქაურობას ვერ შევეჩვიე. გავათავებ გაკვეთილებს, ვისადილებ და შემდეგ ვარ დაყუდებულ ბერივით ჩემს ოთახში. გადმოვიღებ წიგნს და ვიკითხავ... მომწყინდება კითხვა, მინდა ვესაუბრო კოცხალ არსებას, მაგრამ აბა სად არის? გამოვდივარ გარეთ: ხრიოკი მთები, ეგერ-აგერ ქოხები და შორს, სადღაც საყდრის გუმბათი... არავინ მოსჩანს; მხოლოდ ხანდისხან ჩამოვივლის მეზობლის პატარა ბიჭი, მიტროფანე. ერთდ-ერთი ჩემი მეგობარი ამ უცხო სოფელში.

- გამარჯვება შენი!
- გაგიმარჯოს.
- საით მიბრძანდება, ბატონო მიტროფანე, თქვენი ბრწყინვალეობა?
- აგელ მივდივალ სათამასოთ.
- ჩამოუხვდეთ აქეთ, შე კაი კაცო, ჩვენებურად ვიმუსაიფოთ.
- ლავქნა, ღმერთმანი სათამასოთ მივდივალ, ალა მცალია!—მეუბნება პატარა მიტროფანე და მირბის. აბა ეხლა ვისლა გინდა დაელაპარაკო? ერთი ადამიანი მაინც იყოს, რომ „ფიქრი ანდო, გრძნობა შენი გაუზიარო“. ეხლა ნათლად მაქვს წარმოდგენილი ტანჯვა დიდებული მგოსნისა, რომელსაც ბედმა წარმოათქმევინა: „ნუ ვინ იტყვის ობდობისა ვაყბას! ნუ ვინ ჩივის თავის უთვისტომობას! საბრადღა მხადრთ სუჯი ობდობა...“

მართალია, მაგრამ მე მაინც წამალს ვიშოვი... ვეცდები სხვასაც გაუზიარო ჩემი ფიქრები. ვინ იქნება ეს სხვა? ვინა და, ჩემი დღიური, რომელსაც ამ დღიდან, აზრათა მაქვს ვემუსაიფო...

ადამიანი დღითი-დღე იცვლება: დღევანდელი „მე“ არა ჰგავს გუშინდელს, შარშანდელს და შარშანწინდელს. მაშ, გადავიღებ ქალღმერთს ჩემს მოქმედებას, ფიქრს, აზრს, რომ ჩემმა მომავალმა „მე“-მ პასუხის გებაში მისცეს დღევანდელი და თავისი პირ-უთვნელი მსჯავრი გამოიტანოს.

## 2 ღვინთობისთვე.

როგორც იქნა მოვრჩი ბავშვების თხზულებების გასწორებას... თემა ასეთი ჰქონდათ: „საყურადღებო შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში“. საინტერესოა ასეთი თემა: ჯერ ერთი, რომ ბავშვი აზროვნებას, ფიქრს და თავის აზრის ქალღმერთს გადასცემს ეჩვევა; მეორე, მასწავლებელს შემთხვევა ეძლევა ნათლად წარმოიდგინოს: თუ როგორ წრეში, მღგომარეობაში იღებს ფორმას სული პატარა სოფელელ გლეხ-კაცისა.

ორი დღეა, რაც ვასწორებ ამ რვეულს. რამდენი სისულელეა ალაგ-ალაგ ჩემ პატარა მწერალთა ნაწარმოებებში; მაგრამ სამაგიეროთ ზოგან რამდენი ჩამაფიქრებელი, მწუხარების და უნუგეშობის აღმძვრელი ადგილებია შიგ. აი, ერთი ავტორთაგანი რანაირათ მოგვითხრობს თავის ცხოვრების ღირს-შესანიშნავ ამბავს.



საქართველოს  
ქრონიკალი

„ს. ნ — ში სცოვრობს ჩემი ბიძა (დე-  
დით). ბიძამ გიორგობა იცის და ჩვენსას  
მოვიდა დღეობაზე დასაპატიებლათ.  
„უსათუოთ უნდა დამეპატიოო“ — თხზრა  
მამა ჩემს — „თორემ სამულამოთ დაგემდუ-  
რებო. მამაც დაჰპირდა და გიორგობას  
მე, მამაჩემი და დედა გავემგზავრეთ ბი-  
ძასას. მე მაშინ ათი წლის ვიყავი, ძალი-  
ან მიხაროდა და სულ სირბილ-სირბილით  
მივდიოდი. სადილათ რომ დავჯექით, შე-  
იქნა სიმღერა და ღვინის სმა ჩაის ჭიქე-  
ბით... ყველანი სვამდენ; მეც რალაც ნა-  
წერმა ამიწია და ვიფიქრე; ესენი ამდენ  
ღვინოს სმენ და მხიარულათ არიან. მო-  
დი მეც დავიწყებ სმას, ცოტ-ცოტას შე-  
ვეჩვიე და შემდეგ კარგი მსმელი შევიქ-  
ნები-მეთქი. როდესაც სხვები ლაპარაკს ან  
სიმღერას გააბამდენ, მე ჩუმთ ავიღებდი  
საღვინე ჭიქას და ვსვამდი... თან და  
თან მხიარულება მემატებოდა. ხუთი ჭი-  
ქა რომ დავლიე, რალაც ყელში მომადგა.  
გავადე პირი და როგორც კოკიდგან წყა-  
ლი გადმოგიქცევია, ისე წამომივიდა პი-  
რიდგან ღვინო და სუფრაზედ დაიქცა.  
„არიქა გეიყვანეთ, დაგვბილწა ხალხიო  
— „დაიყვირეს აქეთ-იქიდგან, მტაცეს  
ხელი და გარეთ გამათრიეს. იმ დღეს დე-  
დაჩემიც გავაწვალე და მე სიტყვით არ  
ითქმის იმდენი ტანჯვა გამოვიარე. სირ-  
ცხვილით დავიწვები, რომ გამახსენდება  
ეს ამბავი. მას მერე არ დავმთვრალვარ  
და ღმერთმაც ნუ დამათროს.“

ახლა ყური დაუგდეთ მეორეს:

„მე ობოლი ვარ; მამა ჩემი რომ მო-  
მკვდარიყო, მე ორი წლის ვყოფილიყავი.  
მას მერე სულ ჩემ უფროს ძმასთან ვარ.  
ჩვენ ერთი ქცევა ყანა გვაქვს, რომელ-  
საც „გაბოლიეს სოულს ვეძახით. ერთ ზა-  
ფხულს! როცა მე შვიდი წლისა ვიყავი, მე  
და ჩემმა ძმამ წავიყვანეთ ჩვენი „წაბუ-

ლია“ ყანაში და წავედით. ყანაში რომ  
მოვედით, ერთ ჩვენ ხესთან მეზობლის  
ძროხა იყო მიბმული. „ჰო! ეს ერთი მა-  
გის პატრონი უნდა ავაწრილოო.“ —  
სთქვა ჩემმა ძმამ. შემდეგ გაუშვა წაბულა  
ჩვენ ყანაში და თითონაც მიანტვრ-მოამ-  
ტვრია სიმინდები. მე გაკვირვებული უყუ-  
რებდი. როცა ძროხა კარგათ გაძდა, დაი-  
ჭირა და სხვაგან წაიყვანა. მე მითხრა:  
„ბიჭიკო, აუშვი მაგი ძროხაო.“ მე მაინც  
გაშტერებული ვიყავი: „რას დაგილია  
ღლაღვივით პირი-მიყვირა ჩემმა ძმამ-არ გეს-  
მის, მოხსენი ხიდგან ძროხა და ყანა-  
ში შემოდენე.“ მეც ასე მოვიქეცი. პა-  
ტარა ხნის შემდეგ დაიჭირა ეს სხვისი ძროხა  
და გააბა ყვირილი და გინება. ყვირილ-  
ზედ მოვიდა ძროხის პატრონი. ჩემი ძმა  
მივარდა იმას: შე მ—ლო, ეს ძროხა რომ  
მიგებამს აქ და აუშვია, რად დამაქციე  
და ამომადგე კაციო.“ ბევრსხანს ილაპა-  
რაკეს. ჩემმა ძმამ ძროხა არ დაანება. რას  
იზამდა ის კაცი? მოიყვანა ხელოსანი,  
დააფასებინა ზარალი და გადაიხანდა სამი  
მანეთი. იმ დღიდგან ეს ამბავი გულში  
მაქვს: რას ვერჩოდი იმ კაცს, რომ ტყუ-  
ილი მოუგონეთ და სამი მანეთ გადავახ-  
დინეთ? მეც ცოდვა ჩავიდინე: თუმცაღა  
გამლახავდენ, მაგრამ მაინც მართალი  
უნდა მეთქვა. როცა გავიზდები, სამ მა-  
ნეთს როგორ ვერ ვიშოვი? უსათუოთ  
გადაუხდი იმ კაცს.“

კითხულობ ამ სტრიქონებს და გული  
ნალველით გევესება, სწუხარ და გებრალება  
ეს პატარა ადამიანები, რომელთაც ბედ-  
მა სიცოცხლის გაზაფხულზედ ასეთ წრე-  
ებში ყოფნა არგუნა. მართალია, ავტო-  
რები ამ ორ თხზულებებისა გრძნობენ  
თავიანთ ცუდ საქციელს, მაგრამ ეს ხომ  
შემთხვევითა; ისიც შეიძლება, რომ ასეთ-  
მა საქციელმა ზოგიერთების სულზედ ცუ-

დათ იმოქმედოს: ბოროტების გზაზედ და-  
აყენოს და მთელს სიცოცხლეში სიცუ-  
ლის მეტი არა აფიქრებინოს რა. მაგა-  
ლითს ხომ დიდი გავლენა აქვს ბავშვებ-  
ზედ?

მაშ, რა უნდა ვქნათ?

როცა ოთხმოცი წლის გიოტე, სარე-  
კულზედ იწვა და ელოდა უკანასკნელ  
წუთს ხმა მალლა წამოიძახა: „მეტი სინა-  
თლე“. დიახ, მეტი გონებრივი სინათლე,  
მეტი ზნეობრივი სინათლე! აი, სად არის  
ხსნა!

## 20 ღვინობისთვე

დღეს თუმცაღა კვირაა, მაგრამ ბავშვები  
მაინც დაბარებული მყავს, მინდა რამე  
წაუკითხო. უფროს განყოფილების მოწა-  
ფეები ყველანი მოვიდნენ. ხალხს თავი  
ბლომით მოუყრია პატარა ღუქნის წინ,  
რომელიც შკოლასთან ახლოს არის, აქა-  
იქ ქალებიც მოსჩანან. როგორც ეტყობა,  
ღუქანში ბანქოს თამაშია.

—კოლია! წადი, ხალხს უთხარი მასწა-  
ვლებელს წიგნის წაკითხვა უნდა და  
გთხოვთ შკოლაში მობრძანდითქო. ბავშვი  
წავიდა. მე კი გული მიძგერს. არ ვიცი  
წამოვლენ თუ არა? ოხ! რა გულით მინდა  
რომ მოვიდნენ. აი კიდევ წამოვიდა ერ-  
თი... სხვებიც მოჰყვებიან. წარმოდგენილი  
მაქვს როგორ ბრაზდება ეხლა მეღუქნე.  
მე ჩემს ოთახში ვარ. საკლასო ოთახი  
ხალხით ივსება. ხმები მესმის: „რას წა-  
გვიკითხავს, ძმაო, ჩემი ამბავი და გაჭირ-  
ვება ჩემზედ უფრო, აბა, ვინ იცის?“ ხმა  
ვიცანი, თეოფილეა. კლასის ოთახის კა-  
რები შევადე და ხალხს მივესალმე. „ბა-  
ტონებო—დავიწყე აკანკალებულის ხმით  
—სანამ კითხვას დავიწყებდე, არ შემიძლია  
ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ერთ გარემო-

ებაზედ. ეს გახლავთ ჩვენი, მასწავლებლის  
და ხალხის დაშორება, ერთმანეთთან მი-  
უკარებლობა, ერთმანეთის ჭირის და  
ლხინის გაუზიარებლობა: თქვენ ისე მი-  
ცქერიტ როგორც მოხელეს, მწერალს,  
არ მეკარებით: მე თითქოს მისთვის მოუფ-  
სულიყო აქ, რომ გაგფცქენათ, ფული და-  
გტყუოთ. შემცდარი აზრია. არა, მე  
იმიტომ მოვედი, რომ თქვენი შვი-  
ლები ადამიანებათ გავხადო: გონება,  
გაუნათლო და ზნეობით ავამაღლო. მე  
იმიტომ მოვედი, რომ სანთელი ავანთო  
და ბნელაში გზაზედ სიარული გაგიაღვი-  
ლოთ. მაშ, ვიცნათ ეხლა ერთმანეთი, გა-  
დაუხსნათ ერთი მეორეს გული და შიგ  
ჩავიხედოთ. საჭიროების დროს გთხოვთ  
მობრძანდეთ. მე მოხარული ვიქნები, თუ  
ვინმეს რამეში დავეხმარები და ხელს გა-  
უწოდებ...“

სიტყვა გავათავე და ხალხს გადავხედე;  
უმრავლესობის სახეზე ღიმი შევამჩნიე.  
მედუქნე კი მოღრუბლული მიცქეროდა:  
„ჰა, გწყინს, გეთაყვა, ბანქოს თამაში  
რომ შეგიშალო?“—გავიფიქრე, და კითხვა  
დავიწყე. ხალხი სულ განაბული მისმენდა.  
განა შეიძლება გლესს „გოგია უი-  
შვილს“ უკითხავდე და არ მოგისმინოს,  
გოგიას და მის ცოლიშვილის ცოდვით  
არ დაიწვას? გოგია-მისი ძმა არის, მისი  
სისხლ-ხორცია და როდესაც მისი სურა-  
თი ნახეს, უცბათ იცვენეს... „ოოხ“-ერთ-  
ბაშათ აღმოხდა გულიდგან ყველას, რო-  
ცა კითხვა გავათავე. სამი-ოთხი ქალი  
ცრემლსაც იწმენდა. „ტუბილათ დაგა-  
ბეროს, შვილო, ღმრთმა“. —ილოცებოდ-  
ნენ ქალები.—აი ღმრთმა აკურთხოს შე-  
ნი მშობლები“—გაისმოდა აქა-იქ გლესე-  
ბის ხმა... მე კი ვიხსენიებდი იმ ადამიანს,  
რომელმაც, თავისი წითელი სისხლით და



უძლურ ნერვებით დასწერა ეს მოთხრობა. ვიხსენიებდი და უძღვნიდი გულითად მალობას.

ხალხი თან და თან იზღვება. ჩემს თავში კი ნათლად იხატება ნეკრასოვის სიტყვები: „Съйте разумное, доброе, съйте!“

კარგი დღე არის დღევანდელი დღე ჩემთვის. აწი ვეცდები ყოველი უქმე უკითხო ხალხს სასარგებლო წიგნები.

## 5 გიორგობისთვე

„ძვირფასო შვილო!“

„ვისურვებ შენს კარგათ ყოფნას და მაცხოვარს ვთხოვ შენს ბედნიერებას. სხვა, შვილო, ასე დავიწყება როგორ იქნება, გენაცვალოს დედა შენი! ამდენი ხანია ფული არ გამოგიგზავნია... ყანები გასათოხნია და მუშა უნდა ვიქირაოთ. სასიმიდე უნდა გადავიტანოთ, გლახა ადგილას არის. მე კიდევ რაღაც ავით ვარ და ექიმობა მინდა. შვილო, იმიზე გადაგყევით და გადაგატანეთ თავი, რომ მერე მომხედოვენ და მიპატრონებენ თქვა, თორემ არც ისე გავიწვალედი თავს. ჩვენ მუცელს რომ უყუროთ, შვილო, შექმით ასი მანეთიც შეიქმება დღეში... უნდა მიხედო მტერს-მოყვარეს... შენი დედა...“

დედა ჩემი მისაყვედურებს; თითქოს მის ვაჟს თითო თუმანი ჰქონდეს დღეში... ჩემი ჯამაგირი კი ოცდაათი მანეთია... ამაზე მეტი დაციწვა და მასხარათ აგდება განათლებისა კიდევ იქნება? ლაქია, ნოქარი, დარაჯი მეტი უზრუნველ-ყოფილია, ვინემ მასწავლებელი. ოცდაათი მანეთით თავი უნდა შეინახო, ტანისამოსი უნდა იყიდო, გაზეთი უნდა გამოიწერო, ოჯახს უნდა მიხედო და სხვა... აი ერთი თვის ჩემი გასავალი: ქალაქში მგზავრო-

ბა 4 მანეთი; პალტო 20 მან. ხარჯი 10 მან. ქორწილში თავზე გადასადები 1 მან. 50 კაპ. სულ. 35 მან. 50 კაპ. ხუთ მანეთ ნახევარი დეფიციტი მეორე თვის შემოსავლიდან უნდა შეივსოს. მეორე თვის ჯამაგირიდან ფენსაცმელები უნდა ვიყიდო, გაზეთი უნდა გამოვიწერო, სახლში ფული უნდა გავგზავნო. ამას კიდევ შესანახი ფული მოუმატეთ და დარწმუნდებით, რომ მეორე თვეშიაც ჩემი ფინანსები იმავე მდგომარეობაში იქნება. ამის შემდეგ კიდევ ამბობენ, რომ მომზადებული მასწავლებლები აღარა გყვავს, რომ ჩვენი შკოლები ეცემიანო და სხ... თუ მასწავლებელი თავის სულიერ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, თუ მას ტანთ არ აცვია, კუჭი შიმშილით უხმება, აბა, როგორ შეიძლება შკოლაში კმაყოფილების ატმოსფერის შექმნას? ის დაღვრემილია, მწუხარეა და ეს დაღვრემილობა, მწუხარება როგორც ელექტრონი ისე გადადის მოწაფეებზე და მეფდება შკოლაში უხალისობა, მოწყენილობა...

ვთქვით, გაუწყრა ღმერთი მასწავლებელს და ცოლი შეერთო. მერე და რით იცხოვროს, ცოლი რით არჩინოს, შვილები რით გამოზარდოს? ეხ, ვინ ფიქრობს ამაზე? მასწავლებლო! ეცადე ბავშვები რიგიანათ აღზარდო: მიაჩვიე ისინი პატიოსნებას, ზრდილობას, ასწავლე წერა-კითხვა, წაუძეხი და დაეხმარე ხალხს, იბრძოლე მთელი ძალ-ღონით სიბნელესთან, მაგრამ იცოდე პატარაი და დაკმაყოფილდი: ცოტ-ცოტა სკამე, ტანთსაცმელს გაუფრთხილდი. ერთი სიტყვით, „ერთგულათ სწიე ჰაპანი შენი, უსიხარულოთ დალიე დღენი.“

დედა ჩემი კი მწერს: „ჩვენ მუცელს რომ უყუროთ, შვილო, შექმით ასი მანეთიც შეიქმება დღეშიო.“

10 ქრისტეშობისთვის.

ერთი გარემოება ძალიან მაფიქრებს: ველარ იცნობს კაცი ისე გამოიცივალა წელს ჩემი მოწაფე ქალი ნინო. შარშან საუცხოვრით სწავლობდა, სამაგალითო ყოფა ქცევისა იყო. ეხლა კი ხასიათი გაუფუჭდა, სულ ბუზღუნებს. საკმარისია ვინმე გულუბრყვილოთ იხუმროს, რომ მან თავის თავზედ მიიღოს და მთელი დღე დაღვრემილი იჯდეს. სულ-წასული მოელის გაკვეთილის გათავებას და როდესაც ათი, თუთხმეტი წუთით გაკვეთილი გაგრძელდება, ის საშინლათ დაიღმიჯება. მაშინ მის სახეზე იხატება დაღლილობა, წყენა, გულის-მოსვლა. მე ეს შეუქმნეველი არ მრჩება, თუმცა ნინო ყოველთვის სცდილობს არ შეიმჩნიოს და სახის გამომეტყველება შესცვალოს. ვატყობ მოწაფეები საშინლათ ეჯავრება. ახლოს არავის იკარებს და განუწყვეტლივ ფიქრობს, ოცნებობს.. დღეს გეოგრაფიის გაკვეთილს ვხსნიდი. ნათლათ ვატყობდი, რომ ის სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. გაკვეთილის ხსნა შევწყვიტე და ვთხოვე რაც ავხსენი გაემეორებინა. ის გაშტერებული იდგა და ხმას არ იღებდა, დანარჩენი მოწაფეები კი ყველა ხელს იშვერდა და მთხოვდენ მეკითხა. მეწყინა... საშინლათ მეწყინა: „ნინო! არა გრცხვენია? დაჯექი!“ უთხარი გულ-მოსულმა და გაკვეთილის ხსნა განვაგრძე. არ გაუვლია ათ წუთს, საშინელი ისტერიული ქვითინი შემომესმა... ნინო ტიროდა... ღმერთო! ეს რა უბედურებაა, რა მიზეზი ამ ბავშვის ასე გარდაქმნისა... ნინო ეხლა ცამეტის წლის იქნება... მოზრდილი ქალი, ასე რომ თხუტმეტი წლის გეგონება. წამიკითხავს, ბავშვი როდესაც სქესობრივად მწიფდება, ხასიათი ეცვლება და სწავლისადმი ინტერესიც ეკარგებაო. შეიძლება

ესეც იყოს... გუშინ წინ ხელში ყაზბეგის თხზულებანი დაუნახე, ეტყობა რომ მანებს კითხულობს... მაშ, ეხლა მეტი სიფრთხილეა საჭირო.

13 თებერვალი.

ჩვენი შკოლის გამგე მღვდელი დღეს გვესტუმრა. დიდი ენერჯის პატრონია, მაგრამ ეს „დისციპლინა“ ნამეტანი შპეყვარებია. მოძღვარი ძალიან აქებს ერთს, ჯარის კაცად ნამყოფს მასწავლებელს: „ჰო ის ძალიანი მასწავლებელი იყო. ბავშვები ჯარის-კაცებივით ჰყავდა დაზრდილი. ახლოს ვერ გვეკარებოდნენ. გზაზე როგორც კი დაინახავდნენ ვინმე მოხელეს ან ნასწავლს გაჩერდებოდნენ სწორეთ; ხელებს ძირს დაუშვებდნენ და თავს დაუკრავდნენ; Прелестъ! Любо было смотреть! გაკვეთილის დროს განძრევას გაბედავდნენ? კბილებს არ დააგლეჯდა მაშინვე!“... ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა. ეტყობა „ნასწავლებშიაც“ ბევრია ისეთები, რომლებიც შესტრფიან იმ სანტურელ დროს, როდესაც ბავშვებს როზგით უსივებდნენ ტანს. ეხ! მოძღვარო, ჩვენ შორის ხილია ჩატეხილი და ჩვენ ერთმანეთისას ვერაფერს გავიგებთ. მე მაგ დისციპლინამ სული ამომართვა, მე მაგ დისციპლინამ დამტანჯა და გამაწვალა: მასწავლებლებისაგან მეგობრული სიტყვა არ მღირსებია. მე ისინი მძაგდნენ, მეზიზღებოდნენ და საწყალი დედა მებრალებოდა, თორემ, გაკვეთილებს ჩემს დღეში არ დავისწავლიდი და შკოლაშიაც ერთ საათს არ მოვიცდიდი. მეც ისე უნდა ვეზიზღებოდე ჩემს მოწაფეებს? ისე უნდა სძაგდეთ მათ შკოლაში გატარებული დრო, როგორც მე მძაგს? არა, მე მაგას ვერ ვიზამ!

მაპატიე ღირსო მამაო, მაგრამ მაგ სა-



კითხზე მე სულ სხვა შეხედულობა მაქვს. მშრალი, მექანიკური დისციპლინა სულს, ამალღების ნაცვლათ, ამდაბლებს, ღუპავს. ის ისე ხრის, ისე ღუნავს მოწაფის ნებას როგორც ძლიერი ქარი სუსტ ღერწმის ღეროს. თქვენ არ იფიქროთ, რომ მე დისციპლინის წინააღმდეგი ვიყო. არა, მე მომხრე ვარ დისციპლინისა, მაგრამ დისციპლინის თავისუფალის და ნამდვილის. იგი შიშზე კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ პატივის ცემის გრძობაზე და წესრიგის საჭიროების შეგნებაზე. მოწაფის დასჯას ისე უნდა ერიდებოდეს ნამდვილი პედაგოგი, როგორც რაღაცა საშინელებას. დასჯა ბოროტების დამთესია მოწაფის სულში. ის მოწაფეს კი არ ასწორებს, არამედ რყვნის, აჩვენებს მას, გულში დაიხვიოს მტრობა და საჭიროების დროს მიმართოს იმავე იარაღს, რაც მასწავლებელმა მასზე იხმარა: ბრალიანს და უბრალოს მუშტი-კრივით გაუმასპინძლდეს. და ჩვენ, მტრობა კი არა, სიყვარული უნდა გაუღვიძოთ მოწაფეებს, რადგან დიდებული მოციქული ამბობს: „ენას-ლა თუ კაცთასა და ანგელოსთასა ვიტყვოდე, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს; ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრიან, გინა წინწილი რომელი, ჰხმობედ. და მაქუნდესლათუ წინასწარ-მეტყულება და უწყოდე ყოველი საიდუმლო, და ყოველი მეცნიერება, მაქუნდესლათუ ყოველივე სარწმუნეობა, ვიდრე მთათაც ცვალებადმდე, და სიყუარული თუ არა მაქუნდეს; არავე რა ვარ და შელათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი, და მივსცნე ხორცი ჩემნი დარაწულად, და სიყუარული არა მაქუნდეს; არა რავე სარგებელ-არს ჩემდა. სიყუარული სულგრძელ არს და ტკბილ, სიყუარულსა არა ბურნ სიყუარულნნ, არა მალღ-

ონ, არ განლაღის, არა სარცხვი-ნელ იქმნს, არა ეძიებნ თვისასა, არა განჰრისხნის, არამედ შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარიან ქეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ერავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არა სადა დავარდების, გინათუ წინასწარ-მეტყულებანი განაჰქარდენ, ანუ თუ ენანი დავესცხრენ, გინათუ მეცნიერებანი განაჰქარდენ.“ (მ. კორინთელთა ეპისტოლე პავლესე XIII, -1—9)...

კარგ მასწავლებლისთვის დიდათ საჭირო არცაა მოწაფის დასჯა... თქვენ გიყვართ ვინმე, პატივსცემთ მას. განა როდისმე აზრათ მოგივათ მას აწყენინოთ? განა ერთი უკმაყოფილების ნაოჭიც მის შუბლზე თქვენ არ ჩაგიფაქრებთ, არ შეგაწუხებთ? ასევე დაემართებათ მოწაფეებსაც, თუ მას მასწავლებელის სიყვარული აქვთ: მისი გულის მოსვლა, გაჯავრება, მათთვის უსაშინლესი სასჯელი იქნება... მახსოვს, სადღაც წავიკითხე ეს ამბავი!

ამერიკის ერთ შკოლაში წესათ იყო მიღებული, ბავშვი არ დავსაჯათ და მართო დარიგებით ემოქმედნათ. სწავლა წესიერათ მიდიოდა. მაგრამ ერთმა მოწაფემ ყოველივე არივ-დარია. დიდ სიამოვნებას გრძობდა, როდესაც ამხანაგებს აწვალებდა. არავითარმა დარიგებამ არ გასჭრა... ჩავარდა საგონებელში პროფესორი. ერთხელ ჩაფიქრებული შევიდა ის შკოლაში და მოუსვენარი ბავშვი გამოიძახა: „დჯორდჯი, მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ დიდ სიამოვნებას და ბედნიერებას განიცდი, როდესაც სხვებს აწუხებ, ჩვენი მიზინია ყველა კმაყოფილი იყვეს; ჩვენ გვინდა რომ შენც ბედნიერი იყო, ამიტომ ვთხოვ, ნუ გამაწუხებ. აიღე ეს სახაზავი და როგორც შეგიძლიან ისე დამარტყი ხელზე.“ ბავშვმა შეუშფოთებ-



ლათ, გულგრილათ აიღო სახაზავი და პროფესორს ხელზე დაარტყა. „ჰმ, შე კაი კაცო, ეს რა დარტყმაა! აბა, აიღე კიდევ და უფრო ძლიერათ დამარტყი.“ ბავშვმა ხელ-მეორეთ უფრო ძლიერათ დაარტყა. სხვა ბავშვები კი წამოცვივდნენ, დაიწყეს ტირილი, წივილ-კივილი. პროფესორმა მესამეჯერაც გაუშვირა ხელი.. აქ ბავშვმა ველარ მოითმინა, შეტორტმანდა, სახაზავი ხელიდგან გაუვარდა და საშინელი ღრიალი მოართო. ამ დღიდგან ეს ბავშვი გადასხვაფერდა. სხვის წყენას ჭირივით ერიდებოდა და პროფესორის დარიგებას უცვლელათ ასრულებდა.

ეხლა კი დროა ჩემს დღიურს თავი დავანებო. აგერ თორმეტი საათია. უ! როგორ ხრუტუნებს ეს ჩემი ამხანაგი. უთუოთ საშინელ სიზმრებსა ხედავს.

8 მარტი

გაზაფხულდა... უმატა მზემ სიცხოველეს: სულ მალე, მალე ყველაფერი ამწვანდება, აყვავილდება და მთელი ბუნება მოირთვება ისე, ვით ლამაზი პატარძალი...

გლეხები სამუშაოთ გადიან; მეც გადავწყვიტე ჩემს შკოლასთან პატარა ბოსტნის გაკეთება. დღეს მოვატანინე ბარები და მიწის ბარვა დავიწყეთ. რა მხიარულათ შეუდგნენ საქმეს ბავშვები. „ბატონო, ეხლა მე ვბარავ“-მეხვეწებიან აქეთ-იქიდგან; მაგრამ არ იქნება, პირველი რიგი არ ანებებს ბარებს სხვებს: პატარა შალიკო წურბელასავით მიაჩინდა ბარის ტარს და აღარ ეშვება. გამვლელ-გამომვლელები გაჩერდებიან, უცქერიან. უცქერიან პატარა მუშებს და ღიმილით თავიანთ საქმეებისკენ მიეშურებიან. „მასწავლებლო, ვარდები დავრგათ“, წამოიძა-

ხა ერთმა;“ „მე მოვიტან“-მეც... „მეც“ წამოიძახა რამდენმამე ხმამ. „ჩვენ, ბატონო, მწვანილის თესლებს მოვიტანთ“-დაიძახეს სხვებმა... მხიარულათ მუშაობენ... რა ჩქარა მიდის საქმე წინ, როდესაც ბევრი ხელი ერთად შეერთდება... მალე, სულ მალე, ჩვენც გვექნება ბოსტანი. კიდევში მოწაფეებს ვარდებს დავარგვევინებ; შიგნით დავკვალაგ და მწვანილს დავთესავ...

ვდგევარ და ვაცქერდები ამ მხიარულ ბავშვთა სახეებს, რომელნიც შესცინიან მზეს, გაზაფხულს, ცხოვრებას... ოხი ნეტამც დიდხანს იქნებოდეთ ასე მხიარულათ, დიდხანს ვერ მოგტაცებდეთ ცხოვრება იმ ნეტარებასა და უმანკობას, რომლებითაც ბუნებას თქვენ ასე უხვათ დაუჯილდოვებინართ.

22 აპრილი.

დღეს ჩემი მოწაფეებისთვის დღესასწაული იყო: ყველა მასწავლებლებმა, მოწაფეებთან ერთად სურათები გადავიღეთ. საუცხოვოთ გამოწყობილიყვნენ ბავშვები: კოსტას ახალი ჩექმები ჩაუცვამს, ნიკოს მამის მოვერცხლილი ქამარი შემოურტყამს წელზე, ბესო კი წულა-მესტებში გამოწყობილა. სახეებზე სიხარულის ღიმი უთამაშებდათ; მხოლოდ, სურათების გადაღების დროს ზოგიერთებმა მოიწყინეს. ყველას უნდოდა ამდგარი გადახატულიყო და დაჯდომა არავინმოინდომა. მაგრამ აი, გადილოფოტოგრაფმა სურათი. ბავშვები წამოიშალნენ, გააკეთეს წრე და შემოსძახეს: „ოდელა-დელა, დელა, ნანი-ნანა, აღსდევ, თამარ-დედოფალო!“ და გაშალა ხელი პატარა ანდრომ. რა სიცოცხლით უსობდა ფეხებს, რა ციბრუტივით ტრიალობდა. მართლაც, რომ

„Хороши вы, дѣтства свѣтлые года,—



Вась не позабудешь никогда!  
Нѣтъ у нихъ заботы, не печалить  
слезы  
Игры, смѣхъ, забавы—лучшія ихъ  
грёзы.“

თამაში დაიშალა... მხიარულათ წავიდ-  
წამოვიდნენ მოწაფეები... დადუმდა ჩვენი  
შკოლა და ჩვეულებრივათ მომინახულეს  
ფიქრებმა...

აი გაივლის თვეები, წლები და ბოლო  
მოეღება ჩემს სიცოცხლესაც. სოფლის  
ეკლესიის გალავანში უბრალო თლილი  
ქვა აღნიშნავს, რომ მე ოდესღაც მასწავ-  
ლებლათ ვყოფილვარ და ამა და ამ წელს  
„წიაღთა შინა აბრამისათა“ განმისვენია.  
თამაშ-ცელქობით დაქანცული ბავშვები  
ანდა დარბაისელი მოხუცები ჩამოჯდები-  
ან ჩემსაფლავის ქვაზედ და საუბარს გამა-  
რთავენ... ამავე დროს, შორს სადღაც,  
ქობის წინ ზის მოხუცი და მისჩერებია  
ჩამავალ მზეს.

—ბაბუა, ბაბუა, აი მე რა ვნახე!—ამ  
სიტყვებით მოიბრუნეს მოხუცთან პატარა  
წ—ნ წლის ბიჭი.

—ეგ, ბაბუა, ჩემი სურათია.

—რას ამბობ, ბაბუა, აქ მოხუცებული  
არავინაა. აბა მითხარი ვის აქვს აქ თე-  
თრი წვერები? მოტყუება გინდა განა?  
თვალები მეცა მაქვს....

„ეხ“ ამოიხიბრებს მოხუცი.

—ერთხელ მეც ვიყავი პატარა, ჩემო  
ბიჭიკო! მაშინ შკოლაში დავდიოდი. ეს  
მე ვარ... ეს ჩემი მასწავლებელია-ღმერ-  
თმა აცხონოს საწყალი

ბავშვი გაშტერებული შესცქერის, არა  
სჯერა! მოხუცი კი ხარბათ აცქერდება  
სურათს; აგონდება თავის სიყმაწვილედ,  
მოწაფეობა; ვაგონდება მე, როგორც მი-  
სი მასწავლებელი და ნაღვლიანათ, მწუ-  
ხარეთ აქნევს თავს, თითქოს! უხმობს


განვილო დროს. უხმობს სიყმაწვილედ და  
ბედნიერებას.

### 3 მაისი

რა მშვენიერი ღამეა... ფანჯარა გაღე-  
ბული მაქვს და მთვარე თავისუფლათ მე-  
აღერსება. ხშირათ ნელი ნიავიც შემოს-  
რიალდება, ააშრიალებს გაზეთის ფურ-  
ცელს, რომელიც ფარდის მაგივრობას  
მიწევს, სწვდება ჩემს ლამპარს და ააკან-  
კალებს. ღმერთო! რა მშვენიერი ღამეა  
და ამდროს, ვინ იცის, რამდენი ადამიანი  
იტანჯება ამ შენს თვალუწვდენელ ქვე-  
ყანაში... აი სიმღერაც მოისმის... რა ნა-  
ღვლიანი და მწუხარება! ძმაო! ნეტა რამ  
დაგისერა ეს გული? ჩუ!.. როგორ არა-  
კრაკებს ამ ხმას ეგ დალოცვილის შვილი-  
ნამღვილი ექსტაზშია და თვის ნაღველს  
სიმღერაში აქსოვს. მინდა ვიყო ეხლა  
მოცარტი, ან შოპენი... გადავიღო ქა-  
ლაღლზე ეს ცოცხალი გულის ნაგლეჯე-  
ბი და ჩემს სამშობლოს მივთავაზო... მი-  
დის გლეხი და მწუხარეთ მილიდინებს...  
თან და თან ჰქრება მისი ხმა... მთვარე  
კი, თითქოს აქ არაფერიაო, ისე დაჰყუ-  
რებს დედამიწას.

„ყმაწვილებო! ყოველ ადამიანს შეუძ-  
ლიან დაეხმაროს თავის სამშობლოს. მარ-  
თალია, საერთოდ ყველა თქვენგანი შეი-  
ძლება დიდებული მგოსანი, ორატორი  
ან და მუსიკოსი ვერ იქნეს, მაგრამ ქვე-  
ყნისათვის რაიმე კარგის გაკეთება ყველას  
შეუძლიანთ,“—გვითხრა მოხუცებულმა მას-  
წავლებელმა. ეს სიტყვები ეხლა გამახსენ-  
და, როდესაც მოცარტი და შოპენი ვახ-  
სენე. განა მასწავლებელს ცოტა რაიმეს  
გაკეთება შეუძლიან? განა ჩვენ სამშობლო-  
ში სამკალი ცოტაა? მაგრამ ჩვენ მაინც  
„აი ი“ს ძახილს ვერ გავცილებივართ.  
ავილოთ თუ გინდ ზეპირ-სიტყვაობას შე-





კრება. რამდენი მარგალიტია გაბნეული ხალხში, რაოდენ ძვირფას საუნჯეს ინახავს ჩვენი მიწა-წყალი და ყველა ესენი დროთა სვლამ უნდა გააქროს, გაანიავოს.

— ბავშვებო! ლექსების, ზღაპრის და შაირების შეკრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მწერლობისთვის. მოდი, ჩვენც შეუდგეთ ამ საქმეს! მიდით მოხუცებულებთან, მწყემსებთან, მესაზანდრებთან, მოაყოლეთ ამბები და ჩასწერეთ. ვინც ბევრს ჩასწერს და მომიტანს, იმას უეჭველათ დავასაჩუქრებ.— გამოუცხადე დღეს მე-IV და V განყოფილების მოწაფეებს. შემპირდნენ... ვნახოთ!..

30 მაისი

გამოცდები გავათავეთ. რვა მოწაფემ დაასრულა ჩვენი შკოლა და დღეს უკანასკნელი დღე იყო მათი ჩვენ შკოლაში ყოფნისა, დილას ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. გამახსენდა, დედა იმ დღეს, როდესაც მე და ჩემი ძმა სასწავლებელში უნდა გავესტუმრებინეთ, ყოველთვის ცუდს ხასიათზე იყო; ან ჭიქა გაუტყდებოდა, ან საინი; ან ქვაბს წააქცევდა და სულ დაღვრემილი დადიოდა. დედის გულს ენანებოდა ორი ვაჟის მოცილებმა; მეც მენანება ჩემი მოწაფეების მოშორება. საწყლები! ვინ იცის, რას უმზადებს იმათ ცხოვრება? „ბატონო სურათები დაგვირიგე,“-მხიარულათ შეუბნება თვალ-ჭრელა სერგო. „ჯერ დაბალ განყოფილების მოსაფეებს გაუშვებთ და მერე დაგვირიგებთ“-ვეუბნები მე და ოთახში შევდივარ. თვალ-ჭრელა, ცმუტურა სერგო! რამდენს ვიციინოდი, როდესაც ამახანაგები სალოკ თითებს გადააჯვარდინებდნენ, გაუჩერებდნენ და ეტყოდნენ: „არ გამთვალოო“; ის კი სიცილით კვდებოდა. უნცროს განყოფილების მოწაფეები გაუშვით. მე ჩემი ამხანაგი და მა-

სწავლებელი ქალი შევედით უფროს განყოფილების მოწაფეებთან. ბავშვებო, — დავიწყე ნადვლიანი ხმით-უკანასკნელათ გესაუბრებით; ვინ იცის რა ნაირად დავაშორებს ცხოვრება, ამიტომ მიინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ დამშვიდობების წინ... ორი წელიწადი ერთად გავატარეთ, ორი წელიწადი ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით. ამ ხნის განმავლობაში მართალია ბევრჯელ ერთმანეთისთვის გვიწყენებია, ერთმანეთი გავგიჯავრებია, მაგრამ, ვგონობ გულში სიყვარული გქვონდა და პატივს-ვსცემდით ერთი მეორეს. კი, ჩემო ბატონო! — გამაწყვეტინეს სიტყვა. — მაშ, თუ ეს ასეა, ნურც აწი დავივიწყებთ ერთი — ერთმანეთს, გქვონდეს ერთმანეთის სიყვარული ისე, როგორც აქამდის, მაგრამ იცით, ბავშვებო, როდის გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი? მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ იმას არ დაივიწყებთ, რაც მე გასწავლეთ... რა მდგომარეობაშია ცუდ უნდა იყოთ, პატიოსნება ყველაფერს გერჩიოთ. ნუ მიეჩვევით ლოთობას, ბანქოს თამაშს, სიცრუის თქმას. იზურნეთ თვით-განვითარებაზე; მიჰყევით ხელი წიგნების და გაზეთების კითხვას; და როდესაც ბოროტება გულში გავიგლით და ცუდი განზრახვა დაებატრონება თქვენს არსებას, იმ დროს გამიხსენეთ მე, გაიხსენეთ ჩემი სიყვარული და პატივისცემა; მაშინ შემეძლება მეც იმისი თქმა: „მართალია ვიშრომე, მაგრამ მაღლობა ღმერთს აღამიანები დავზარდე მეთქი“. ეხლა კი მშვიდობით!... „მშვიდობით მასწავლებლო!“ — ერთხმად აღმოხდა ყველას გულიდან. ჩუმათ დაურიგე სურათები ბავშვებს და ჩემს ოთახში შევედი. პირ-აღმა წამოვწყვიტახტხედ და ჭერს მივატყერდი.

რა მალე გადის წლები! მართალი უთ-

ქვამს, ვინცა სთქვა: „საუკუნე რბის ვით ერთი წამი; კაცის ცხოვრება არს ერთი წუთი...“ შესრულდა ამ დღიდგან ოცდახუთი წელი. ნეტა რად გაქრა ჩემი კობტაობა? მხრებში მოვიკუზე, წვერი და თმა გამითეთრდა. ზამთრის ძველ პალატოში, ჩემი დამტვრეული ქოლგით ვესტუმრე ჩვენ დედა-ქალაქ თბილისს. საზარლათ დაუკრეკია კბილები ჩემს წაღებს: ზევით თუ იცქირება და დასცინის ქულს, რომელსაც ცხვირი განზედ მოქცევია. მივდივარ გოლოვინის ქუჩაზე. ამ ზღვა ხალხში ერთი ნაცნობიც არა მყავს. მაგრამ აი ვიდაც ორი ახალგაზდა გაჩერდა, ერთს მათგანს უნივერსიტეტის ნიშანიც აქვს; იცინიან. ბიჭოს! რა თავხედები ყოფილან. „ბატონო აბესალომ! ველარ გვიცანიით?“ — „თევდორე! სანდრო!“ — წამოვიძახე, გადავხვიე და ერთმანეთი ჩავკოცნეთ. ეს ორი ახალგაზდა ჩემი მოწაფეები გამოდგნენ.

— თევდორე ეს რა ნიშანია, ნუ თუ უნივერსიტეტი გაათავე? — შევეკითხე, როცა სული მოვიტყვი.

— დიახ, გავათავე ორი წელიწადია და დოცენტათ ვარ მოსკოვის უნივერსიტეტში...

— შენა, სანდრო, რასა იქ?

— მე სემინარია დავამთავრე და მდივ-

ნათა ვარ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, მაგრამ ვერსად ვერაფერს გავხდი; ხომ იცით უფულო რაც კაცი არის ჩვენს ბედ-კრულ დროში...

— ეს! წუწუნს თავი დავანებოთ, ჩემო სანდრო! მითხარი: რას შვრებიან სერგო, კონსტანტინე?

— სერგო მასწავლებლათ არის, კონსტანტინემ კი ვაჭრობას მიჰყო ხელი და დიდძალი ქონებაც შეიძინა. ეხლა აზრათა აქვს დაეხმაროს უმაღლეს საწავლებელში მოსწავლე ახალ გაზრდობას და გამოსცეს ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებები, სწორეთ ისე როგორც ბროკავლზ-ეფრონის გამოცემებია. „მართალია— მითხრა — ბევრი ხარჯი სჭირია დაწვავებთო, მაგრამ ეს საქმე მაინც სახელოვნათ უნდა დავამთავროო“.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭო! — თვალ—ცრემლიანმა წამოვიძახე.

„კაცო, ამდენი ძილი გავგონილა. გაიღვიძე!“ — მეუბნება ამხანაგი და ძალზე მანჯღრევს. ვიღვიძებ... გონზე ვერ მოვსულვარ... „ღმერთმაც ჰქნას, ღმერთმაც ჰქნას!..“ — გაშტერებული ვამბობ, ამხანაგი კი გაკვირვებული შემომცქერის.

პროკლე ტაბიძე.



# არასოდეს!.. არასოდეს!..

(სადა ლექსი)

მე მარტო ვარ და გარს შემომხვევია  
ჟინჯლიანი ნისლი... ჟინჯლიანი ნისლი  
შემომხვევია გარს და მიყურსებს სულს...  
მინესტიანებს გულს...

ჰაერი თანდათან მძიმდება... ნოტიოვ-  
დება...

შემოდგომის ფოთლებიც ჰკვებიან...  
იხრწებიან...

აგერ!.. სული განუტევა უკანასკნელ  
სუნ-მიღებულმა ყვავილმა. საბრალო!..  
ისე უჩუმრად განუტევა სული, რომ იღუ-  
მლობასაც კი არა გაუგია რა.

პაწაწა ბედურა როგორა ჰფართხალობს,  
როგორ ებრძვის სიცივეს. რა იცის, რომ  
მალე გაუელვებს სიკვდილის ცელი, მალე  
დაიკარგება სიკვდილის მწუხრში...

აგერ, აგერ, უყურეთ ტბის კიდეს  
მდგომ—მთვარესავით სნეულს ქალს—  
წნორების ყლორტი მოუტეხნია, სათითა-  
ოდ სწყვეტს ყვითელს ფოთლებს და იძა-  
ხის:

—...მოვა... არ მოვა... მოვა... არ  
მოვა... მოვა...

მოვა, მოვა—აღტაცებით ამბობს იგი,  
რაკი უკანასკნელი ფოთოლი ხელთ შეჰრ-  
ჩა და სასოებით გაიყურება ბალის კარე-  
ბისკენ.

...ოო, როდენს სასოებას გამოსთქვა-  
მენ მისი თვალები...

— ის მოვა, მოვა. ის არ შეიძლება  
არ მოვიდეს—ამბობს იგი ტირიფების  
გაშიშვლებულ კენწეროების საპასუხოდ,  
რომელნიც ისე თრთიან, ისეთს სისინს  
აჟღერებენ ქარის ბედითს ქნარზე, თით-  
ქოს ჰელონთა მოირას წინასწარმეტყვე-  
ლება ისმოდეს:

— აარა... არ მოვა!..

— მოვა, მოვა მეთქი—დაჟინებით იმე-  
ორებს ქალი და იგონებს თვისი სიყვარუ-  
ლის გარიჟრაჟს, როდესაც მიჯნურმა  
პირველად გაუღიმა...

მისი ღიმილი...

იგი ზომ მკვდარსაც ააოცნებებდა...

იგონებს იმ ღიმილს და მის თვალებში  
იფურჩქნება სიზმარი...

ოქროს სიზმარი...

უყურებ ოცნებარს ქალწულს და მა-  
გონდება მგონის ლექსი:

„Счастливь лишь тотъ,  
Кому въ осень холодную  
Грезятся ласки весны!“

ჰეშმარიტად ბედნიერია.

მართალია ვიცი, ძალიან კარგად ვიცი,  
რომ საბრალო ქალს მალე ეუფლება ტბის  
ტალღების ქვეშ მიძინებული ოფელიას  
შავი ოცნება,—მაგრამ მაინც შევნატრი.  
ბედნიერია...

მე კი შეუპყრივარ მაჯლაჯუნასავით  
საშინელს კაეშანს...

ჩემი სულის წიაღიდან დიდი ხანია რაც  
გაიხიზნენ ოცნების ფერიები.

მარტოდ-მარტო ვარ დაცალიერებული  
გულით... დაავადებული სულით...

მარტო ვარ ნოტიო ჰაერით გარემო-  
ცული და მგონია ვწევარ კუბოში...

მე მგონია ვწევარ სამარეში და ზედ  
დამწოლია მძიმე ლოდი...

და როგორც მიცვალებულს—აღარავინ  
მომიგონებს, არავინ მოვა ჩემთან...

ვის რად უნდა სნეული სული, გამო-  
ფიტული გული...



მარტო ვარ, მარტო და შეფიქვი ცივს,  
ჟინჯლიანს ნისლს...

— ნისლო, სნეულო ნისლო, მარქვი,  
გამაგებინე, განა ვერ ვიხილავ გაზაფხულს,  
განა ერთხელ მაინც ვერ ვიხილავ ოქრო-  
ფროთოვანს გარიჟრაჟს?..

— არასოდეს, არასოდეს—თავ-ზარ დამ-  
ცემად მიპასუხებს ფრთა-ცრემლიანი ნის-  
ლი...

— ნისლო, ჩემს გულსავით ნესტიანო  
ნისლო, ნუ თუ ერთხელ, ერთხელ მაინც  
ვერ მოვისმენ ლაჟვარდოვანს სიმღერას?

მე ხომ არ ვიცი რაა სიმღერა.

— არასოდეს, არასოდეს—მიბედილებს  
ლაღადისს პირტუქსი ნისლი...

ჭალარა ჟამი კი მიიზლაზნება... მიიზ-  
ლაზნება... მიიზლაზნება...

შუა-ღამე დას-დასად ჰშლის მოცახცახე  
ჩრდილებს...

ცივი ნასლიც უფრო მძიმდება, ნო-  
ტიოვდება და ერთხმოდანად იმეორებს  
უუსაშინელესს სიტყვებს:

არასოდეს... არასოდეს...

არასოდეს...

იკარი.

## მეგობარს

საით წავიდე? ნუ თუ არ მეყო  
რაღაც ვიეულე, ვიმარტოხელე?

ო, მეგობარო, მით მანუგეშე—  
სიმართლის მხარე დამისახელე!

მიჩვენე მხარე, სადაც სიმშვიდის  
ლამპარი ღვივის, აღარ ჩამქრალა,  
სადაც ძმა ძმისგან არ იჩაგრება,  
შურსა, სიძულვილს არა აქვს ძალა!..

მიჩვენე მხარე, სად ადამის ძის  
გლოვა-წყევის ხმა აღარ ისმოდეს,  
სად მისგან ყოფნა სანატრი იყოს,  
ძირმწარ-სამსალა აღარ ისმოდეს...

ყოველმხრით დრტვინვა, კვნესა, ვაება,  
ყოველგან მეფობს ღამე შავ-ბნელი;

წუთი სოფლისა სულთამხუთავად  
თავს დაწოლია სევდა მჩაგვრელი...

ირგვლივ ტირილი: ყორნისგან იქ, შორს  
დედას ეკორტნის ნუგეში შვილი,  
აქ მის გულმკერდზე შიმშილისაგან  
სულსა ლევს, კვდება უმანკო ჩვილი...

რით მანუგეშებ ამ დროს, გულმოკლულს?  
დღეს მეც მდის თვალთ ცრემლები მწარე.  
როცა მტრობასა, შურის ძიებას  
თავსა დააღწევს მშობელი მხარე,

როს გამეფდება ქვეყნად სიმართლე,  
არ მოირწყეება სისხლის ღვრით ველი,  
ო, მეგობარო, მხოლოდ იმ დროსა  
მო, სანუგეშოდ მომეცი ხელი!

ა. ფანცულაია.



# მეომრის ცხენი

(დიმიტრი ტენზინის)

ვის ყრუ ჭიხვინი მოისმის მინდვრად?  
ის არს მეომრის ცხენი ერთგული...  
სჩანს, მიატოვა ბრძოლისა ველი  
და მიქრის სადღაც გამალებული.  
შავი კისრიდამ სისხლი ჩამოწვეთს;  
გასავლელი აქვს დიდი მანძილი...  
იქ კი, სანგრებთან, პატრონი კვდება,  
ბრძოლისა ველზე მკერდში დაჭრილი...  
მიფრინავს ცხენი გიჟურის ლტოლვით,  
ამაყად მალლა თავ-აშვერილი,  
უკან მოსჩხავის შავი ყორანი  
და კვალდაკვალ სდევს მგლისა ყმუილი.  
ყორანო! ცხენსა ვერ დაეწევი...  
დაინახა მან ნაცნობი თხრილი...  
იქვე ახლოა იმის სოფელიც,  
სადაც იგია შობილ-აღზრდილი.  
ნაცნობ ჭიშკართან იწყო ჭიხვინი,  
რა იქ მიიჭრა ცხენი დაღლილი,  
გამოიხედა გონივრულ თვალით  
და მოკვდა უკვე ღონე მიხდილი.

აღასრულა მან პირნათლად ვალი:  
აუწყა ოჯახს ომის ამბავი,  
რომ მის პატრონი მედგრად იბრძოდა  
და სამშობლოსთვის გასწირა თავი.  
მიეყრნო ცხენის სისხლით სვრის ფაფარს  
მეომრის დედა მუხლოთ მოკვეთილი,  
მაგრამ მის ცოლი, ჯერ ახალგაზრდა,  
კარგა ხანს იღვა ხმა-გაკმენდილი...  
თმენას ჩვეული, ჯანღონით სავსე,  
ღიბს გაუძღვებს ამ განსაცდელსა!..  
მადლობას სწირავს ერთგულსა ცხენსა,  
სასურველ ამბის მახარებელსა...  
— „იძინე ბრძოლის ველზე, მხედარო,  
ამოეფარე ცივ სამარესა...  
მე კი ჩავიკლავ გულში ბოდმასა,  
არვის შევჩივლებ შავბედს მწარესა.  
მიხვდი, მხედარო, რომ მეცა ვწირავ  
რაც კი რამ ძაღმიძს ჩემსა მამულსა:  
მთავარსა ძალას ჩემის სიცოცხლის  
და უკანასკნელს ჩემს სიყვარულსა!“

ილ. ფერაძე.

## მ ა ს

ცავ, თუ ვერ გამხდი უკვდავს მარადა,  
ქვეყნად დამსახე მითხარ მა, რადა?

თუ ვერ იფრენდა ლტოლვათა რაში  
სიცოცხლე ფუჭი მინდა ლა რაში?

მაშ, მომეცალე და მომერიდე,  
მეფე ვარ თავის! მაშ მომე რიდე!..

ს. შატაბაძე.

## მ შ ლ ს

სიცოცხლე სდევნის სევდის აჩრდილსა,  
სიცოცხლე სდევნის არაბობას.  
აღავსებს იგი ქვეყნის სიღრმესა  
და გულში აჩენს სხვა და სხვაობას...  
სიცოცხლე მიწის გვირგვინი არის  
და არად ვარგა ყველა უსულო.  
სიცოცხლე მხოლოდ ნეტარებას,  
მაშ რაღას ჰაჩივი საბრალო გულო!..

გ. ლეონიძე.



# ომის გამო

ზარბაზნების ქექა-გრგვინვა  
და შრაპნელთა მოძახილი,  
ტყვიის მფრქვევთა ცეცხლის წვიმა,  
გაბასრული ხმალ-მახვილი,  
განგმირულთა ოხვრა-გმინვა,  
გარს სიკვდილის შავი ჩრდილი  
და სამარე სიცოცხლისა  
ბნელ უფსკრულად გადაშლილი.  
ზღვა უმანკო კაცთა სისხლის  
და მთა მკვდრების: ხორცის, ძვლების;  
გარს ყიალი მტაცებელთა, —  
ყორანთ გუნდი, ხროვა მგლები!..  
ზარი, ზათქი, გლოვა, დრტვინვა!..  
ეგ სურათი ამაზრზენი,  
შენ, სიცოცხლის მოტრფიალე, —  
ადამის ძევ, რად შეჰქმენი!..

ბოროტებით შეპყრობილი  
ვერა გრძნობ და ვერა ხელავ,  
რომ შენსავე უბედობას  
შენივ ხელით შენვე სქედავ!  
დღეს მშობელი შობილს სტირის  
და შობილი კიდევ მშობელს, —  
ჯოჯოხეთის ცეცხლის ალი  
მოდებია წუთის სოფელს!..  
შენც, უგნური ტაშის ცემით  
ეგები მოძმის მკვლელსა;  
უკვდავების გვირგვინს უწნავ  
ვინც კაცთ სისხლში იბანს ხელსა!  
... და ჰა, წითლად შეიღება  
ნაზ სიცოცხლის წმინდა წყარო.  
... ადამის ძევ! ღვთის მსგავსთ სისხლ  
შენ როდემდის უნდა ღვარო!..

\* \* \*

მე-კი არ მრწამს, რომ წყვდიადმა  
დღე დაჰბადოს, დღე ნათელი;  
ტარტაროზმა შვას ამ ქვეყნად  
თვით მესია — ქრისტე მხსნელი!  
ვერ ვიწამებ, ვერა, ვერა, —  
გულს არა სწამს, ჰკვას არ სჯერა,  
რომ შავს სიკვდილს სიცოცხლისთვის  
ყოფნის ცეცხლი შთაებერა!..  
ბრიყვი მარქვით თუნდ თავხედი, —  
სანუკვარი ქვეყნის ბედი  
მე არა მრწამს რისხვითა და  
ბოროტებით განაჰქედი!...

ზარბაზნების ქექა-გრგვინვა  
და შრაპნელთა მოძახილი,  
მომაკვდავთა ოხვრა, — გმინვა,  
გარს სიკვდილის შავი ჩრდილი.  
ზღვა უძირო ცრემლთ და სისხლის  
და მთა მკვდრების: ხორცის, ძვლების,  
გარს ყიალი მტაცებელთა:  
ყორანთ გუნდი, ხროვა მგლები;  
ქვრივ ოხერთა გლოვა, დრტვინვა, —  
ეგ სურათი ამაზრზენი  
შენ, არსებავ — „ღვთაებრივო“, —  
ადამის ძევ, რად შეჰქმენი!!!..

ილია გოგია.



# ს ი ტ ყ ვ ა

(ძღვანად ჩემს დას ან—ს)

**რ**ოს მცურავ გემის მძლე იალქანი  
ბობოქარ ზღვაზე შუა ტყდებოდა,—  
და ჩემი ლტოლვის ფრთა ნაღვლიანი—  
წყრომის მორევში გული კრთებოდა,—  
—მაშინ, ვით სხივი მაცოცხლებელი,  
ვით შვება წყლულის მოფრინდებოდი,  
მოფრინდებოდი, ვით დღის ფრინველი  
და სანუგეშო სიტყვას მეტყუოდი!..

შენ იყავ მაშინ იგი ფრინველი,  
ვისგან იმედი ხშირად მსმენია,  
ქამსა მძიმესა შვების მომგვრელი,  
შენი ხმა ტკბილი გულს ჩამრჩენია!..  
ყოფნის სამოსელს სხივიც დაერთო,  
ახალ მეგობარს სჭვრეტ და უცინი,  
რომ საიმედო ფოთლებით მორათო,  
შენი ცხოვრების ტურფა გვირგვინი!..

გელა.

ასტკახანი

## ჩემი სული!

**მ**აიგულად მსურს მოგიძღვნა დატანჯული ჩემი სული,  
მარგალიტად ყელსაბამის—ჩემი გული, ჩემი გული!  
გეფიცები, თუ გულიდან განაიქარვე უღარდელად,  
ლოდს შევუკვეთ, ქვის ცივ ლოდსა ჩემს საფლავზე დასადგმელად!  
ვაი, მაშინ შენთვის ტანჯულ, ვაი მაშინ შენზე მზრუნავს,  
ნისლი ჩანთქავს და ვარამი წელში მოხრის და მოღუნავს!—  
და თუ ასე მოიქმედე, მაინც ასე ჰქენი მერე...  
ლონდი ჩემი მოსვენებას აღარ მოგცემს, დამიჯერე!  
დოსტაქარიც ვერ გიშველის, დოსტაქარიც ვერას გარგებს,  
გეფიცები,—ჩემი გრძნობა შენს გონებას აწ განაგებს!  
გელი და დღეს თუ არ მოხველ, გელი და დღეს თუ ვერ გნახე,  
კნობა ჩემი შენ იკითხე, მთლად დაკნობა მაშინ ნახე!  
ორბს საწიწკნად არ ვეყოფი, მთის მწვერვალზე დაგდებული,  
იფარფატებს მაინც კიდევე შენს გარშემო ჩემი სული!

# პასუხი

უმოქმედობის ღრმა მორევში ჩაუკეფე თანა;  
უხლავ გასთხარეთ მნებრებო, ჩემთვის საფლავი  
და ტკბილის ხმებით მიგაღობეთ მუხ „სულთა-თანა“!  
ფარხმალ აურიღმა უკუუგდე ბრძოლის ველი  
და შევეთანხმე, შევეუერთდი აჩრახბას!.. \*)

ლადო გეგეჭკორი.

მესაფლავენი ჩვენ არ ვყოფილვართ,  
არც მეღავითნე მკვდრის საფლავთანა;  
ცოცხალს სამარე, რომ გაგითხაროთ  
და გიგალობოთ მუხ „სულთა-თანა“!

განა არ ვიცით,—ჩვენს ბეჩავ ყოფნას  
თან დაჰყოლია ნაღველი მწარე,  
მაგრამ გარეცხავს განა ამ ნაღველს  
უიმედობის ცრემლი მღულარე?

განა არ ვიცით,—ყოველი წუთი  
საჯოჯოხეთო ცეცხლის მკვესია,  
მაგრამ მერწმუნე,—სრული არ ყოფნა  
თვით ჯოჯოხეთზეც უარესია!..

დღეს თუმცა ნათელს ჭეშმარიტების  
შავი სუღარა გადაჰფენია,  
მაგრამ მყობადში დასძლევეს სიბნელეს  
აღამიანის მკვეთრი გენია!..

კაცთა გენიის შემოქმედება:  
უკვდავი სული—ღვთაების ფთილა,  
რაც განუხსაზღვრელ ჟამთა დენაში  
ბრძოლის ქარცეცხლით გამოკვეთილა.—

მაღალ სწრაფვათა იდეალები:  
სარწმუნოება, სხვა და სხვა ღმერთი,  
ხელოვნება და მეცნიერება  
თუნდა სამოთხე, ან ჯოჯოხეთი,—

რითიც ამაყობს კაცობრიობა  
და თავი მოაქვს ქვეყნის გვირგვინად,  
განა იმედით ბრძოლამ არ შობა  
მაძებარ სულთა შვებად და ღბინად?

მხოლოდ იმედით აღამიანი  
ბუნების მეფედ მირონ-ცხებულა,—  
ხოლო-კი ჟამსა სასოწარკვეთის,  
იმედით ქმნილიც დანაცრებულა!

და ჩვენც ამ რწმენით მყობადისაკენ  
სისხლნარევ ოფლით ხიდეს ვაშენებთ  
და ამ შრომის ველს ვინც ზურგს აჩვენებს,  
ფურთხს შევთავაზებთ და შევაჩვენებთ!..

და მოგიწოდებთ მოძმესა ჩვენსა,  
კვლავ ბრძოლის ველად, ბრძოლის ჰანგე-  
და შავს წუთებშიც,—უიმედობის [ბით  
მესაფლავედ-ლა გამოგადგებით!..

თუმც დუხჭირია წუთის სოფელი,  
თუმც მუხთალია შავ ბედის ქროლა,  
მაგრამ მით უფრო სანუკვარია  
მომავლისათვის მედგარი ბრძოლა...

გრწამდეს,—ოდესმე მკვდრეთით აღს-  
დღეს დაცემული ჭეშმარიტება [დგება  
და მაშინ ვითა მისთვის მებრძოლის—  
შენი სახელიც უკვდავ იქმნება!..

\*) უძღვნის ბაქოს ქარ. სკოლის მასწავლე-  
ბელთ. „განათლება“ 1914 წ. № X.

ილია გოგია.





# ფყველა

ვწყველი იმ დღეს, იმ დღეს, ოდეს დაგინახე, გაგიცანი!  
ვწყველი იმ ბაღს, იმ ბაღს, სადაც თაიგული დაგიწანი!  
ვწყველი, გესმის, ნიავს მთიდან მიმორხევით მონაქროლსა,  
ვწყველი, რადგან ვარდის კუნწზე კვლავ ის აშრობს ნამის ბროლსა!

დაგინახე,—შემხვდი, შეგხვდი, გაგიცანი, მომეწონე!  
დაგინახე,—და არ ვიცი მყისვე მე რად დაგემონე!  
დაგინახე,—და არ ვიცი რად დავკარგე მოთმინება...  
დაგინახე,—და ეს გულმა ალბად ასე თვით ინება!

შემიყვარდი ისე, ოვგორც უყვარს თაფლი უყვარს ფუტკარს!  
შემიყვარდი... და ეს ფიქრი, ჩემი ფიქრი შენ გივლის გარს!  
შემიყვარდი... და არ ვიცი რატომ მოხდა, რატომ ასე...  
შემიყვარდი... და სავსებით მთელ სიცოცხლედ შეგაფასე!

შენ-კი გძულვარ, გატყობ გძულვარ, არ გინდივარ და მაძაგებ!  
შენ-კი გძულვარ... და არ ვიცი ჩემს აზრ-გრძნობას რად განაგებ!  
შენ-კი გძულვარ, გძულვარ ისე, ვით ლამურას დღის სინათლე!  
შენ-კი გძულვარ, ვგრძნობ, რომ გძულვარ... სიმართლეა ეს, სიმართლე!

და დღეს ვწყველი იმ დღეს, ოდეს დაგინახე, გაგიცანი!  
და დღეს ვწყველი იმ ბაღს, სადაც თაიგული დაგიწანი!  
და დღეს ვწყველი, ვწყველი გესმის ნიავს მთიდან მონაქროლსა!  
და დღეს ვწყველი ჩემ თვალთაგან ჩამონაწვეთ ცრემლს ობოლსა!

ლადო გეგეჭკორი.

ბაქო.



# ჰედაგოგიური სიბეცე თუ ენის ქავილი

პასუხად ბ-ნს პ. ჯაფარიძეს.

„ვინც სსსნავი უკუდმართად  
მრუდად ჭხნას და ჭთესას, ჭფარცხოს,  
ის შე ჰურსა ნუღარ მსჭმევს,  
რაც იმ ფეჭვილით გამოცხხოს“.

დ. გურამიშვილი.

ბ-ნი პ. ჯაფარიძე გაზეთ „შადრევანის“ ფურცლებზე ისეთი საკითხების გამო გვეკამათება, რომ დუმილი და პასუხის გაუცემლობა უსათუოდ დანაშაულობად ჩაგვეთვლება. მისი წერილები ამ სათაურით „ბ. ბოცვაძის „მცირე განმარტების“ გამო“ ნაწილ-ნაწილად იბეჭდება გაზეთ „შადრევანში“ და, როგორც წერილიდან სჩანს, მისი ავტორი ბევრს რასმე გვპირდება, მისი აზრით საგულისხმოს და ხელისხელ საგოგმანებელს. ჩვენ გვჯერა ბეჭდური სიტყვის მნიშვნელობა და, რადგანაც შესაძლებელია დაბეჭდილმა ზოგი გულუბრიყვილო მკითხველი შეცდომაშიც შეიყვანოს და დაიჯეროს ყველა ის, რაც გაზეთში იბეჭდება, იძულებული ვარ მტყუანს ტყუილის კარებამდის მივყვე და ვამხილო, რომ „გაუსინჯავსა სიტყვასა ჩხავილი ჰსჯობან ტურისა“.

ჩემი „მცირე განმარტება“ რომელიც დაბეჭდილი იყო გაზეთ „ახალი აზრის“ № 94-ში, გამოიწვია ბ-ნის პ. ჯაფარიძის მიერ ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების წლიურს კრებაზე წარმოთქმულმა და გაზეთ „ახალი აზრის“ № 90-ში დაბეჭდილმა სიტყვებმა—განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნების შესახებ. აი ბ-ნი ჯაფარიძის სიტყვები, რომელიც გაზეთ „ახალ აზრს“ აქვს დაბეჭდილი და, როგორც ვიცით, დღემდის ბ-ნს ჯაფარიძეს

შიგ შესწორება არ შეუტანია, რომ მისი სიტყვები გაზეთმა დაშახინჯებულად დაბეჭდა: „ჯაფარიძე, იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები მეტად სუსტია თანამედროვე პედაგოგთა სახელმძღვანელოებთან შედარებით. „დედაენას“ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ უფრო მეტი ნაკლი გოგებაშვილის რუსულ სახელმძღვანელოს აქვს. „დედაენის“ მესამედი სამღვთო სჯულს შეიცვავს, „რუსკოე სლოვო“ კრიტიკასაც ვერ უძლებს. კარგია მხოლოდ რომ მასალა ამ სახელმძღვანელოსი, „დედაენიდანაა“ ამოღებული, მარა რუსული ენა ამ წიგნში შეუწყნარებელია. სხვაგან ყოველთვის შეაქვთ ასეთს სახელმძღვანელოებში შესწორებანი, მაგალითად უშინსკის სახელმძღვანელოს ასახელებს და საჭიროა ამგვარადვე მოვიქცეთ ჩვენ, რადგან ეს იქნება მხოლოდ განსვენებულის პატივისცემა“ და სხ. (იხ. „ახალი აზრი“ № 90 დეკემბრის 9). ახლა-კი ბ-ნი ჯაფარიძე, ჩვენდა საპასუხოდ, სწერს გაზეთ „შადრევანში“ (იხ. № 3) „საზოგადო კრებაზე მე ის კი არ მითქვამს, უშინსკის სახელმძღვანელოს ასწორებენ და ისე სცემენთქო. (ეს სცემენთქო, მშვენიერი ქართულია!) მე ვთქვი; რუსეთს ყავდა (თუ ჰყავდა) შესანიშნავი პედაგოგი, მაგრამ მის შემდეგ მარტო მისი სახელმძღვანელოთი (?) არ კმაყოფილ-

დებიან, ბევრი ახალი უფრო დროს შესაფერის სახელმძღვანელოები (?) იცემა თქო. (იცემათქო არც ამ ქართულს უშავსრა?!). მასთან დავსძინე, როცა ეს უშინსკის შეურაცყოფა და დავიწყება არ არისო. (ერიჰა! დავსძინე არ არისო—არ მოგწონთ?!). ამით მე ვასაბუთებდი ახალ სახელმძღვანელოების საჭიროებას“.

ეს აბლა-უბლა ქრელი ქართული იმიტომ დასჭირდა ბ-ნს ჯაფარიძეს, რომ ეთქვა უშინსკის წიგნების გასწორებაზე მე არ მითქვამს რა და „ახალი აზრი“ შემეცდარ ცნობებს იძლევაო. ეს მაშინ მოაგონდა, როცა ქურდი თხლეზე დაიჭირეს. მაგრამ ეს საკითხი არც ჩვენთვის და არც მკითხველ საზოგადოებისთვის საინტერესო არ არის. საქმე ის არის, თუ რა პედაგოგიური ალლო და რავგარი კრიტიკის ნიჭი გამოიჩინა ჩვენმა მოკამათემ, რომელიც ისე გაკადნიერებულა, რომ თეთრს შავში ვერ არჩევს, არამც თუ უფრო ფართოდ შეხედოს ყოველგვარს საკითხსა და სამართლიანად ასწონ-დასწონის იგი. უშინსკის წიგნები მართლა დიდი განძი იყო თავის დროს, მაგრამ არც უნაკლო. ამას თვითონ ავტორიც გრძნობდა, მაგრამ არ დასცალდა სიცოცხლეშივე განებორციელებინა ის გეგმა, რომელიც მან ბოლოს შეიმუშავა. უშინსკის შემდეგ ბევრმა შეადგინა სახელმძღვანელო წიგნები, ზოგმა რიგიანადაც, მაგრამ ამ წიგნებში, როგორც ერთი პედაგოგიმწერალი ჩეხოვი ამბობს „არც ერთი არ არის, რომელიც მწყობრობით და თავისი გეგმის ღრმა-მოაზრებით, პედაგოგიურად შემუშავების მხრით შეედრებოდეს უშინსკის „Родное Слово-ს“. ასეთი წიგნის შედგენა მხოლოდ უშინსკის შეეძლოო“. განსვენებული გოგებაშვილი ბევრში ახორციელებდა უშინსკის აზრებსა, და

გეგმას ქართული სკოლების მოთხოვნების მიხედვით; იგი თანდათან აუმჯობესებდა თავის სახელმძღვანელო წიგნებს და თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ღრმა მოაზრებით და პედაგოგიურად შემუშავებით სახელმძღვანელო წიგნების შედგენაში რუსის პედაგოგებსაც წინ გაუსწრო. აკი ჩენშიაც არა ერთმა სცადა სახელმძღვანელოს შედგენა, რაც არც ისე ადვილი საქმეა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიაო, მაგრამ ეს სახელმძღვანელოები დაბლა დგას გოგებაშვილისაზე და ახალი გოგებაშვილიც ჯერ-ჯერობით არა სჩანს, როგორც ახალი უშინსკი რუსეთში. არც მითქვამს და არც ვამბობ, ვითომც განსვენებულის სახელმძღვანელოები უნაკლულო იყვეს, მაგრამ ამ ნაკლის შესახებ ვისმესთან კამათი და იმავ დროს გაზეთებში წერა საჭიროდ არ მიმაჩნია.

არც მე გახლავარ „კერპის თაყვანის მკემელი“ და არც ბ-ნი პ. ჯაფარიძე მიმაჩნია მართლ-მორწმუნედ, ხოლო სიმართლის თქმა ყველასთვის სავალდებულოა. თუ „დედანაში“ ერთი მესამედი მასალა საღვთო სჯულის მასალად აღიარა ბ-მა ჯაფარიძემ და შემდეგ-კი გამოტყდა, რაშიაც დავიჭირეთ, იმედია შემდეგშიაც, როცა ჩვენს საბუთებს მოისმენს, ქურდ კატასავით კუდამოძუებული გაიპარება.

ახირებული შენიშვნა ბ-ნის ჯაფარიძისა, თუ რატომ არაფერი ვსთქვი „დედანის“ შესახებ, რატომ არაფერს ვამბობ „სამოსწავლო (?)“ (ესეც შენი ქართული!) მასალაზე“ და სხვა. ამაზე მაშინ მოვახსენებ ბ-ნს ჯაფარიძეს, როცა იგი თავის დანაპირებს ასრულებს; „მე შევეცდები ჩემს წერილებში გავაცნო მკითხველს უმ-



ფრო (?) (არა მგონია კორექტურული შეცდომა იყოს!) ვრცლად ყველა ის ნაკლი, რომელზედაც ვლაპარაკობდით და დავასაბუთო ჩემი აზრები“ (, „მადრევანი“ № 3). თუმცა, ჯერჯერობით საბუთები სრულიად არა სჩანს ბ-ნ ჯაფარიძის ნაწერებში, მაგრამ შეიძლება შემდეგში მოიყვანოს, ვინაიდან სწორედ იქ, სადაც საბუთია საჭირო, კალამს ძირსა სდებს და ამბობს: „ადვილი ნებას არ გვაძლევს, ან „ამ კითხვას კიდევ დაუბრუნდებიო“.

ამ ჟამად შევეხებით იმ ყალბ მოსაზრებას, რომელიც მოჰყავს ბ-ნს ჯაფარიძეს „რუსკ. სლოგოს“ ორივე ნაწილის შესახებ. ბ-ნი ჯაფარიძე არჩევს უკანასკნელს ე. ი. შესწორებულს გამოცემებს და ბრძანებს: „თითქმის ყველა ის, რაც ორგინალურია, ან ქართულიდან არის ნათარგმნი, ან გადმოკეთებული რუსულიდან, — **საერთოდ მოუხეშავი რუსული ენით არის დაწერილიო**“. (ხაზი ჩემია). ამაზედ უფრო გაბედულად და რიხიანად აზრის გამოთქმა შეუძლებელია. ასეთი უსაბუთო დასკვნაც-კი, გარწმუნებთ, ხელსაყრელია ჩვენი ხალხის განათლების მტერთათვის. მაგრამ კბილი ვაფუსინჯოთ ბ-ნი ჯაფარიძის საბუთებს, იგი ბრძანებს: შეადარეთ „ДѢТСКІЯ ОЧКИ“ რუს. სლ. გვ. 76 და ვახტეროვის „Русская букварь“ გვ. 30. კეთილი. აი რას გვიჩვენებს ეს შედარება; „რუსკოე სლოგოში“ მარტივად და უფრო გასაგებად არის მოყვანილი ეს პატარა მოთხრობა, ვიდრე ვახტეროვის წინგში. რაც შეეხება ენას იგი უნაკლულაა, ასეთივე რედაქცია აქვს ამ მოთხრობას კორხანიდის „Живое слово“ 1903 წლის გამოცემაში; ვახტეროვი სათვალეს უკეთებს, დიდდას და ბავშვს ალაპარაკებს: *Купи мнѣ, бабуся, очки*“ გოგებაშვილი, უშინსკი, კორხანიდი და სხვებიც-მამას. ვახტერო-

ვის რედაქციით ეს მოთხრობა დაწერილი დაწორებული იქნება ჩვენს ცხოვრებას; ამასთან ბ-ნმა ჯაფარიძემ ისიც უნდა იცოდეს, „ბაბუსიას“ ვის ეძახიან იმერეთში და თუ ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, „რუსკოე სლოგოს“ რედაქცია უნაკლულად უნდა ჩავთვალოთ. „Въ семьѣ“ რუსკ. სლოგო გვ. 6 II ნაწ. და ვახტეროვის გვ. 30. აქაც შემცდარი ბრძანდება ბ-ნი ჯაფარიძე; თუ სახეში აქვს ენის „მოუხეშაობა“. ეს მოთხრობა „Въ семьѣ“ პირდაპირ გადმოწერილია სიტყვა-სიტყვით, უცვლელად გორბუნოვ-პოსადოვის I წიგნიდან გვ. 4, გამოც. 10—1909. შინარსითაც გორბუნოვ-პოსადოვის რედაქცია, გოგებაშვილის წინგში მიღებული, უფრო მარტივია და ადვილი გასაგები, ვახტეროვისა-კი უფრო ძნელია, რადგან სხვა და სხვა შინაარსის წიგნების ჩამოთვლა მაგ. „Сказки про богатырей“, და სხვა უმნიშვნელოდ ჩაივლის ბავშვებისთვის და მხოლოდ მათი მეხსიერების დატვირთვა იქნება. „Бабушка и внучка“ რუს. ს. II ნაწ. გვ. 18, ვახტეროვი გვ. 32. „ბ-ნ ჯაფარიძეს აქაც არ მოსწონს „რუსკ. სლოგოს“ რედაქცია ამ მოთხრობისა, რომელიც გადმოწერილია ტოლსტოის ანბანიდან (გვერდი 19) იმ განსხვავებით, რომ სიტყვის, „бабка“-ს მაგიერ, რომელიც კოქსაც ნიშნავს, ნახმარია „бабушка“ და ხახლხური „пекля хлѣбы“-ს მაგიერ ლიტერატურული გამოთქმა — *пекля хлѣбъ* არის ნახმარი. ტოლსტოის რედაქცია უხეიროდ გადაუკეთებია ვახტეროვს, გამოუტოვებია ერთი სიტყვა-*прежде*, ურომლისობაც მოთხრობის შინაარსს ბუნდოვანად ჰხდის. თუ ტოლსტოიმ-კი იცოდა რუსული ენა, არც, „რუსკოე სლოგოს“ ამ მოთხრობის რედაქ-

ცია დასაწუნებელი. „Левъ мышъ“ „რ. ს.“ II ნაწ. გვ. 36, ვახტეროვი გვ. 34. „აი რას გვაძლევს ამ არაკის ორი რედაქციის შედარება: ვახტეროვის ამ არაკის რედაქცია და სურათი ერთმანეთს არ უდგება. იქ არის ნათქვამი: Левъ запутался въ сѣти“, სურათზე თოკია გახლართული; сѣти—ბადეა, სხვა ავტორებს მაგ. სოკოლოვსა და პანოვს „Охота пуще неволи,“ რომელიც ძლიერ შეეყვარებიათ ტფილისის ქალაქის სკოლის ქალ მასწავლებლებს, (II წ. გვ. 39), ნახარბი აქვს „Сѣти-ს მაგიერ „Тенета“, რედაქცია ორივესი შეუფერებულია არა რუსთა ბავშვებისათვის, რადგანაც ბევრი სიტყვა მაგ. „Забавница“ და აგრეთვე გამოთქმანიც ჩვენის ბავშვებისათვის საძნელოა. გოგებაშვილის „რუსკ. სლოვოში“-კი დაკულია მარტივი გამოთქმა ბუბლიკოვ-გოლდენბერგის წიგნის „Русская шк. რედაქციისა (იხ. გვ. 65), სადაც პირდაპირ ნათქვამია 2. Потомъ охотники поймали льва и привязали веревкой къ дереву“ (გვ. 66). ამის შემდეგ ბ-ნი ჯაფარიძე გვიკითხნებს თითქოს აქ თხაზე, ან ძაღლზე იყოს ლაპარაკი. თვითონ კი გვიჩვენებს ისეთს რედაქციას, სადაც ნათქვამია ლომი ბადეში გახლართაო. განა ბადეში არ იფიქრებს, რა ბადე უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ უძლეველ ლომს გაუძღვებდაო. ყველა ადგლად მიხვდება ბ-ნი ჯაფარიძის გარდა, რომ თხასა და ძაღლს ისეთის თოკით არ მიაბმენ, როგორც სურათზეა დახატული და მომენტიც „რუსკ. სლო-ში. საუკეთესოა აღებული როცა, თავი თოკსა ღრნის და არა ისე, როგორც ვახტეროვს აქვს, თითქოს თავი ლომთან სადარბაზოდ მისულაო. „ეს სურათი „შემწორებელს“ ყდაზედაც გადაუტანი

აო“, გვისაყვედურებს ბ-ნი ჯაფარიძე. ერთი რომ ეს ტყუილია, შემწორებლებს ხელი არ უხლია წიგნის გარეგან მხარეზე, სურათი იგივე დარჩა, რაც წინად იყო. თუ რად აირჩია განსვენებულმა გოგებაშვილმა ეს სურათი, გონების თვალთ რომ დაუკვირდეს ადამიანი, არ გაუჭირდება მისი გამოცნობა. „Лгунъ“ „რ. ს.“ გვ. 69—Одинъ разъ солгаль—въ другой разъ не повѣрятъ“ ვახტეროვი გვ. 41. ვახტეროვს ეს არაკი ძლიერ შემოკლებული აქვს. შინაარსი ამ არაკისა „დედენაში“ უფრო ვრცლად იციან ქართველმა ბავშვებმა. მაშასადამე საჭიროა ისეთი რედაქცია ამ არაკისა, რომელიც უფრო ახლოა ქართული სახელმძღვანელოს ამევე მასალას შინაარსთან. სწორედ ასეთია რედაქცია „რუსკ. სლოვოსი,“ რომელიც ბ-ნს ჯაფარიძეს ქართულიდან ნათარგმნი ჰგონია და რაკი ნათარგმნია „მოუხეშავი“ რუსულით იქნებაო, მაგრამ ბ-ნი კრიტიკოსი აქაც ენის ქავილს ან პედაგოგიურს სიბეცეს იჩენს. ეს არაკი „რუსკოე სლოვოში“ მოყვანილია სრულად იმ რედაქციით, რომელიც აქვს გრიგორიევს „Русское слово“ II ნაწ. გვ. 31 გამ. 1912 წ. რუსი პედაგოგის მიერ რუსულ სახელმძღვანელოში მოყვანილი რედაქცია ამა თუ იმ მასალისა არ შეიძლება „მოუხეშავი“ რუსულით იყოს დაბჭდილი, ამას არც სამინისტრო, და არც რუსული სკოლა მოიწონებდა. „Жадная собака“ „რუს. სლ.“ II ნაწ. გვ. 15, ვახტეროვი გვ. 45. ვახტეროვის რედაქცია ამ მოთხრობისა არ ვარგა, იმიტომ რომ გაუგებარია, ნათქვამია: „Бросилась она въ воду да свое мясо то и упустила“. საქმე ის არის, რომ ძაღლმა დაიყეფა და მაშინ-კი უსათუოდ პირიდან ხორცი უნდა გავარდნოდა. ეს ამბავი



პირდაპირ სრულიად უცვლელად არის გადმოღებული გრიგორევის Русское слово-ს მე II ნაწ. გვ. 7. სურათი ც-კი იქიდან არის აღებული. მაშასადამე არც ეს შეიძლება, „მოუხეშავი რუსული ენით იყოს დაწერილი“, როგორც ამას წარბ-შეუხრელად და სრულიად უსაბუთოდ გაიძახის ბ-ნი ჯაფარიძე.

ბ-ნს ჯაფარიძეს არ მოსწონს საგნებისა და სურათების აღწერა. საბუთი: „ერთგვარი“ შაბლონია მიღებული, ერთგვარი წყობილება წინადადების, ერთი და იგივე სიტყვები და ფრაზებია ნახმარიო“ („შადრევანი“, № 4). საგნების აღწერაში, თუ საგნები ერთსა და იმავე ჯგუფს ეკუთვნის, შეიძლება ერთგვარი კითხვები მიესცეს ბავშვებს; ყოველს მეთოდულად იზოვირებთან დაწერის გეგმას, რა მხარეს საგნისას უნდა მიექცეს ბავშვის ყურადღება და როგორ გამოიწვიოს ბავშვში დაკვირვების ნიჭი; ეს აჩვენებს ბავშვს ბოლოს თავისთავად ასწეროს ესა თუ ის საგანი. ყოველი პედაგოგიური ჭეშმარიტება მოითხოვს უცნობს მასალაში ცნობილიც იყვეს, თუ ბავშვი რომელსამე აწერილობაში ახალთან ცნობილს ფრაზებსაც ჰხვდება, ეს მით უკეთესია უცხო ენის მკვიდრად შეთვისებისთვის. წინადადებათა ერთგვარი წყობილებაც ხელს უწყობს მოწაფეს უცხო ენის შესწავლას უფრო პირველ საფეხურზე მაინც. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომელსაც იცავს ყველა, ვისაც კი უცხო ენის სახელმძღვანელო წიგნი შეუდგენია და ადგენს. გადასინჯეთ რიგაანად შედგენილი უცხო ენის სახელმძღვანელოები და ნათლად წარმოგიდგებათ ეს პედაგოგიური აუცილებელი ჭეშმარიტება.

ბ-ნს ჯაფარიძეს არ მოსწონს „რუსკ-სლოვოში“ Уроки на основѣ ри-

суночной наглядности“; მაგრამ საბუთი აქაც სრულიად არ მოჰყავს და ასეთის სიტყვებით სპობს მისს ღირსებას: „ყველაზე უფრო შეუწყნარებელია სურათების აღწერა“ („შადრევანი“ № 4), ბ-ნს ჯაფარიძეს რომ ეთქვა, საჭიროა სურათების გადიდება, საკლასოდ გამოცემა დიდ სურათებისაო, სამართლიანი იქნებოდა მისი შენიშვნა, მაგრამ იგი ნაკლს იქ ხედავს, სადაც ღირსებაა. ამ განყოფილებაშია აწერილობანი, მოთხრობები, ლექსები და ენის სავარჯიშოები და ეს სხვა და სხვა მასალები შინაარსის მხრით ისე უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ იდეურად მთლიანობას იცავენ. რა არის ცუდი იმაში, რომ მასწავლებელი კითხვების საშუალებით, ცხოველის სიტყვით ააწერინებს ბავშვებს დაწვრილებით ამა თუ იმ სურათს, შემდეგ კითხვების დაუხმარებლადც მოაყოლებს, აჩვენებს ბავშვს დაკვირვებას, უცხო ენას უვითარებს, ლექსიკონს უმდიდრებს თანდათან და შემდეგ იმავე აწერილობას დალაგებულს წიგნში წააკითხებს, რომ მასალა კარგის გამოთქმით მკვიდრად შეითვისონ ბავშვებმა. კითხვაც ხომ ერთი საშუალებაა იმის მტკიცედ შეთვისებისათვის, რაც ყურით მოუსმენიათ. ეს ჭეშმარიტებაა უცხო ენის შესწავლისათვის, მაგრამ ბ-ნ ჯაფარიძეს ვერ გაუოჩხევია ის საკითხი, რომ დედაენის სწავლების დროს ხშირად სხვა ზომები და სისტემა იხმარება და უცხო ენის შესწავლის დროს კი სხვა და ამიტომ მეთოდულ სხვა და სხვანაირია.

ბ-ნს ჯაფარიძეს არ მოსწონს შემწეობითი ზმნის (БЫТЬ) ხმარება რუსულში. ამ ზმნას რუსულს ენაში არ ხმარობენო, ამ ზმნას ხმარობდა სლავიანური (თუ სლავური) ენაო, ეს ფორმა ისეა ნახმარი „რუსკ. სლოვოში“, როგორც ქართულ-

„ში იხმარება“ და სხვ. შემცდარი აზრია, თითქოს შემწეობით ზმნას რუსულ ენაში არ ხმარობდნენ, ავიღოთ მაგალითად ფრაზები: „Есть лѣсъ, есть и тѣнь“, Ротъ есть, да нечего ѣсть. Много птичекъ есть тамъ, мотыльчки есть тамъ და სხვ. საქმე ის არის, რომ ამ ზმნას ხშირად სტოვებენ, მაგრამ გულისხმობენ-კი. და როცა სტოვებენ, მის ადგილზე ყოველთვის ხაზს გაუსმენ ხოლმე მაგალ. Сова—хищная птица. Олень—травоядное животное. Свинья—домашнее животное და სხ. (იხ. გრიგორიევის ანბანი გვ. 55). „რუსკოე სლოგოში“ კი ზოგან, მომეტებულად თავდაპირველად, პირდაპირ არის ეს ზმნა ნახმარი, ზოგან გამოტოვებულია, მაგალ. „Молотокъ—орудіе, Оса—наѣдомое, шило—желѣзное орудіе, Ива—простое дерево და სხ. („რუს. ს.“ I ნაწ. გვ. 52—53) ამ ზმნის ისე ხმარებით, როგორც „რუსკ. სლოგოშია“ რუსულ ენას არა დააკლდება. თავდაპირველად მისს ხმარებას წმინდა პედაგოგიური მოსაზრება მოითხოვს, რომ ბავშვის აზროვნება სრული იყოს და ფსიხიკა უცხო ენის გავლენით არ გადაგვარდეს, არ დამახინჯდეს, ამიტომ საჭიროა, რომ თავდაპირველად ბავშვმა უცხო ენის ისეთი ფორმები გაიცნოს, რომელსაც მსგავსება აქვს დედენასთან. ამას მოითხოვს სალი აღზრდა და პედაგოგიური მოსაზრება და სწორედ ეს მოსაზრება უდევს სარჩულად განსვენებული გოგებაშვილის „რუსკოე სლოგოს“, რომელიც გადაგვარებისა და გადაშენების მოტრფიალე პედაგოგებს, რასაკვირველია, დანაშაულობად მიაჩნიათ. არც ერთს რუსის ნამდვილ პედაგოგს, ჟურნალ-გაზეთებში, არც რუსულს საპედაგოგიო პრესაში, სადაც-კი გან-

სვენებულის გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოები გაურჩევიათ, არც რუსულის კარგ მკოდნე რეცენზეტს, ბ-ნს კრებინიკოვს, რომელსაც დავალებული ჰქონდა სასწავლო მთავრობის მიერ ხსენებული წიგნების გარჩევა, არც მასწავლებელთა კომისიის ხონის საოსტატო სემინარიაში, სადაც გოგებაშვილის წიგნები იქმნა გარჩეული და 1912 წლის ცირკულიარის თებერვლის ნომერში დაბეჭდილი, არსად რუსული ენის უსწორ-მასწორობაზე კრინტი არავის დაუძრავს, მხოლოდ ახლად მოვლენილი კრიტიკოსი ბ-ნი ჯაფარიძე, თამამად და ლალად გაიძახის „შადრევნის“ ფურცლებზე მტრისა და მოყვრის გასაგონებლად „რუსკოე სლოგოს“ ენა „მოუხეშავიაო“. მას, როგორც სჩანს, ვახტეროვის ანბანის მეტი სხვა წიგნი ხელში არ აუღია, თორემ არც ამდენს უაზრობასა და წინდაუხედაობას გამოიჩენდა. აი ამ ხელთათფელათი უნდა გაიმარჯვოს მოწინაღმდეგეზე, მაგრამ იცის-კი ბ-ნმა ჯაფარიძემ, თუ რა ყუმბარები მოჰყვება ქვემოთ.

ბ-ნი პ. ჯაფარიძე გვიწუნებს ერთს პატარა ამბავში „Конь“ (იხ. „რუს. სლ.“ II გვ. 5) ზმნის „стать“-ის ხმარებას, ზოგან „საეჭვოდ“ მიაჩნია იგი, ზოგანაც „შეუწყნარებლად“. ეს პატარა ამბავი იქნება ქართულიდან ნათარგმნი ჰგონია ბ-ნს ჯაფარიძეს! გადაფურცლეთ ტოლსტოის ანბანი 37 გვ. და ტულოპოვის ანბანი „азбука въ картинахъ“ გვ. 28 და თუ სიტყვა-სიტყვით, სრულიად უცვლელად ეს პატარა ამბავი ისე არ იყოს მოყვანილი, როგორც „რუსკოე სლოგოშია“, რაც გნებავდეთ, ის მიყავით. მაშ ვის უსწორებს რუსულს ენას



ბ-ნი ჯაფარიძე? ტოლსტოის, თუ ტულუ-  
პოვს?—მახლას!

ბევრგან მოთხრობებში ბ-ნს ჯაფარიძეს ამოუწერია თითო წინადადება, ხაზი გაუსვამს და ამბობს, ეს რუსული არ არისო. მიყვებთ თვითოეულს მათგანს. „Старшая сестра Лизы, Нина, дала Лизѣ картинку“. ეს წინადადება ამოღებულია პაწია მოთხრობიდან, რომელსაც სათაურად აქვს „Лиза“ („რ. ს.“ I გვ. 47) და რომელიც გადმობეჭდილია Б. И. М. Темкины-ის სახელმძღვანელო წიგნიდან „Русский учитель“ გვ. 34 მხოლოდ სახელების შეცვლით—Вѣра და Анна „რუსკოე სლოვოში“ შეცვლილია ღიზა და ნინოთი. ეს სადაო ფრაზა ასეა მოყვანილი ტემკინის წიგნში. Старшая сестра Вѣры, Анна, дала Вѣрѣ картинку“ (იხ. გვ. 34).

შემდეგ მოჰყავს წინადადება Хороши выросли бобы у Васи“. ეს წინადადება, რომელიც ეკუთვნის მოთხრობას „Свой огородъ“ (რუს. სლ. I გვ. 56), თავისი სურათით პირწმინდათ ამოღებულია წიგნიდან „Новый русскій букварь“ В. Флерова (გვ. 52), არავითარი ცვლილება შიგ არ შეგვიტანია და თუ დავუჯერებთ ფლეროვს, მისი რუსული ყოველთვის უფრო წმინდა რუსულია, ვიდრე პ. ჯაფარიძის ქართული, არამც თუ რუსული. „Спала кошка на крышѣ, поджала лапы“ (რუს. სლ. I გვ. 50). ამ წინადადებით იწყება პაწია მოთხრობა „Кошка“, რომელიც სრულიად უცვლელად და სურათიანადაც ამოღებულია გრიგორიევის ანბანიდან „რუსკოე სლოვო“ (გვ. 77) მაშასადამე გრიგორიევი „მოუხეშავის“ რუსულით არ დასწერდა ამ მოთხრობას. „Мама переколола себѣ пальцы“. ამ ფრაზაში ბ-ნს ჯაფარიძეს არ

მოსწონებია ალბად переколола და უცვლელბელი ხაზი გაუსვია. რომ მართლა შესაძლებელია ეს წინადადება ისე ვიხმაროთ, როგორც „რუსკოე-სლოვოშია“, საჭიროა შევამოწმოთ რუსულ სახელმძღვანელოში—„Букварь новой народной школы“ под редакцией Борисова, Лаврова и Сольдина გვ. 39, სადაც სწერია: „Груня переколола себѣ пальцы, но куклу сшила“. ამ წიგნიდანვეა ეს მოთხრობა სურათით აღებული და მხოლოდ სახელის შეცვლით „რუსკოე სლოვოში“ გადაბეჭდილი.

ბ-ნს ჯაფარიძეს „სიმართლეს მოკლებულად“ მიაჩნია ასეთი წინადადება: учитель не слушаетъ, а объясняетъ“ „учитель не отвѣчаетъ, а спрашиваетъ“. რასაკვირველია არის შემთხვევა, როცა მასწავლებელი ყურსაც უგდებს და კიდევ უპასუხებს ვისმე, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ფრაზა ვიწრო მნიშვნელობით შეიძლება იხმაროს ლექსიურს განყოფილებაში; როცა მასწავლებელი გაკვეთილს უხსნის მოწაფეებს, ყურს უგდებენ მოწაფეები. ამ შემთხვევაში მოლაპარაკე და ამხსნელი მასწავლებელია, მსმენელი-კი მოწაფეები, მასწავლებელი სიტყვით იზიდავს მოწაფეთა ყურადღებას, ერთის მხრით ახსნაა უმთავრესი, მეორეს მხრით ყურისგდება და ეს არც ცოდვაა და არც რუსულის ენის საწინააღმდეგო ფრაზა. მაგრამ, ბატონი ჯაფარიძის სამწუხაროდ წინადადება учитель не слушаетъ, а объясняетъ არამცთუ დასახელებულს გვერდზე გასწორებულ „რ. სლ.“ მთელს წინგშიაც არსად მოიპოვება.

„რუსკოე სლოვოს“ ლექსიურს განყოფილებაში მეათე გაკვეთილზე მოწაფეები სწავლობენ ტანისამოსის და ფეხსა-





ცმლის სახელებს რუსულად თვალსაჩინოდ. ვაკვეთილში, სხვათა შორის, შედის ორი სხვა საგანი ცხვირსახოცი და პირსახოცი და ცნება „**надѣвается**“. როცა ამ საგნების სახელებს ასწავლიან რუსულად, შემდეგ გააცნობენ ცნებას „**надѣвается**“. მასწავლებელი ეკითხება მოწაფეებს რას იცვამენო და მოწაფეებიც რუსულადვე უპასუხებენ ახლად ნასწავლი საგნების სახელებს, როცა ჯერი მიდგება იმ ორ საგანზე ცხვირსახოცზე და პირსახოცზე, იტყვიან „**это не надѣвается**“. ამ ვაკვეთილის აზრი და დანიშნულება ბ-ნს ჯაფარიძეს სრულიად არ ესმის, რადგანაც ისეთს განმარტებას, როგორსაც იგი იძლევა, არც ერთი გონიერი მასწავლებელი არ მისცემს და არც ისე გაიგებს ამას, როგორც ჯაფარიძეს ესმის. „**Пришла домой, сняла кувшинъ, а воды нѣтъ**“ („შადრევანი“ № 5). ეს წინადადება რუსული არ არისო, ტოლსტოიკი სწორედ ასე ხმარობს, მხოლოდ მას ნახმარი აქვს ხალხური გამოთქმა „**нѣту**“ „**რუსკოე სლოვოში**“ შეცვლილია ლიტერატურულის ენით „**нѣтъ**“ და „**ведро**“ — „**кувшинъ**“—ათ, რომელიც ყველა ქართველ ბავშვის მიერ ცნობილია. მაგრამ იქვე, ენის სავარჯიშოებია, სადაც ტოლსტოის „**ведро**“—ც იხსენება. მაშასადამე განსხვავება ტოლსტოისა და „**რუსკოე სლოვოს**“ რედაქციის შორის ამ მოთხრობაში ენის მხრით მაინც არაფერია. „**Мышка ночью грызла полъ и сдѣлала щель**“ და სხ. („**რუს. სლ.**“ გვ. 16, ტოლსტოის ანბანი გვ. 31), შეადარეთ, ბატონებო, მთელი ეს მოთხრობა „**რუსკოე სლოვოში**“ და ტოლსტოის ანბანში და თუ ერთ ნამცეცს განსხვავებას იპოვით, თავი მომჭერთ. ამასვე მოგახსენებთ არამც თუ წინადადების **А мужикъ**

**съ возомъ сказаль:** (ხაზი ჯაფარიძისა) „**не великъ сверчокъ, а слышно кричитъ**“, არამედ მთელი მოთხრობის შესახებ (იხ. „**რუსკ. სლ.**“ გვ. 26—27 და ტოლსტოის ანბანი გვ. 61). ამასვე მოგახსენებთ არამც თუ ერთი წინადადების — „**на дорогѣ лежитъ мѣшокъ денегъ**“—ის შესახებ, არამედ მთელი მოთხრობის შესახებაც (იხ. მოთხრობა „**Находка**“ „**რუსკ. სლ.**“ II ნაწ. გვ. 87 და ტოლსტოის ანბანი გვ. 49). ამასვე მოგახსენებთ არამც თუ ერთი წინადადების „**Соплились разъ зайцы и стали плакаться**—ს შესახებ. (კურსივი ჯაფარიძისა), არამედ მთელი მოთხრობის შესახებაც, რომელსაც სათაურად აქვს „**Зайцы и лягушки**“ („**რუსკ. სლოვო**“ გვ. 54). შეადარეთ ამავე მოთხრობას, დაბეჭდილს ტულუზოვისა და შესტაკოვის წიგნი „**Новая школа**“ (часть I, გვ. 4) და დარწმუნდებით, რომ რუსის პედაგოგები კანონიერად სცნობენ ამ არაკის ენასაც.


ყველა წყალ-წყალა შენიშვნებზე პასუხის მიცემა ბ-ნი ჯაფარიძისათვის წყლის ნაყვა იქნება ჩემის აზრით, მაგრამ არ შეგვიძლია უპასუხოდ დავსტოვოთ ზოგიერთები კიდევ. ბ-ნს ჯაფარიძეს მოჰყავს სანიმუშოთ („**შადრევანი**“ № 5) ორი ანდაზა, ვითომდა ქართულიდან ნათარგმნი. „**საჭიროა მოვიხსენიო კიდევ ნათარგმნი ამოცანებიო**“ (თუ გამოცანები?), ამბობს ბ-ნი ჯაფარიძე, რომელიც ანდაზასა და გამოცანას ერთმანეთში ვერ არჩევს და გვეუბნება: „**Какъ ни дуйся лягушка, а до вола ей далеко**“. „**Будь лишь мѣдъ, а мухъ много налетитъ**“ ეს ამოცანები(?) „**მოუხეშავი**“ რუსული ენით არის ქართულიდან ნათარგმნიო“ კადნიერება და უვიცობა შეიძლება, მაგრამ ასეთი არ ეპატიება არც



ერთს მწერალს, ვისაც-კი ბექდური სიტყვის მნიშვნელობა ესმის. ერთი რომ „რუსკოე სლოვოში“ თითქმის არც ერთი, არც გამოცანა და არც ანდაზა ისეთი არ არის, რომელიც პირდაპირს თარგმანს წარმოადგენდეს ქართულისას, შეიძლება იყვეს ისეთი ანდაზა, რომელიც ამ ჟამად ყველა კულტურული ერის საზოგადო საკუთრებას შეადგენდეს. დასახელებულ ორი ანდაზის შესახებ, მოვახსენებ ბ-ნს ჯაფარიძეს, რომ მისდა სავალალოდ, ორივე რუსულია და თუ ნებავს შეუძლია წაიკათხოს პირველი დალის ლექსიკონის მეორე ნაწილის 741 გვერდზე და მეორე იმავე წიგნის 816 გვერდზე. აი სანამდის მივა ადამიანი, რომელიც კრიტიკოსობას ცდილობს და ისეთს საქმეს ეპოტინება, რომლის ავან-ჩავანისა არა გაეგება რა. „ამით ვათავებ მაგალითების მოყვანას, თუმცა მასალა ჩემის აზრის დასამტკიცებლათ გაცილებით უფრო მეტიაო“ რიხიანად ბრძანებს ბ-ნი ჯაფარიძე. არა, ბატონებო, როგორც ნაჩვენები მაგალითები იოტის ოდენადაც ვერ ამტკიცებენ ბ-ნი ჯაფარიძის ახირებულს აზრს, ვერც დანარჩენი მასალა უშველის წყალ წაღებულს კრიტიკოსს.

„როდესაც კაცი ადარებს ახალ გამოცემებს ძველ გამოცემებთან-უმფრო (კიდევ უმფრო?) პირველ ნაწილს ეტყობა შესწორება-მეორეს-თითქმის სულ არ ეტყობა. არის შესწორებული ორიოდ „ამბავი და დაბმული ლომის სურათი ყდაზე გადატანილი“ („შადრევანი“ № 5). ნუ თუ კაცს რომ ღმერთი გაუწყობა, ჰკუასთან თვალის ჩინსაც წაართმევს! დაბმული ლომის შესახებ ზემოთ მოვახსენეთ. რაც შეეხება „რუსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილს, ყველა დაგვეთანხმება, რომ იგი, პირველად შესწორებული სექციის მიერ,

დაიბეჭდა გოგებაშვილის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ ე. ი. 1913 წელს და 1914 წელს მეორედ თითქმის უცვლელადვე დაიბეჭდა. მაშასადამე შეადარეთ 1912 წლის გამოცემა დანარჩენებს და აი რას ნახავთ, მარტო სავარჯიშოების პირველ რიგში არის შეიდი ახალი მასალა შეტანილი, მთელს წინგში ასეთი მასალა უდრის არა თუ „ორიოდეს“, 50-ზე მეტიც არის, გარდა ყველა სხვა მასალის შესწორებისა, ზოგი განყოფილება შევსებულია ახლის მასალებით, ზოგი მაგალითად-ОТДѢЛЪ ДУХОВНО-ПРАКТИЧЕСКИЙ სრულიად გადაკეთებულია, საიდანაც 25 სხვა და სხვა მასალა იქმნა ამოღებული და ახალი მასალებით შევსებული, ტექსტი დარჩენილ მასალებისა, რომელშიაც მრავალი კორექტურული შეცდომა იყო, ყველგან შესწორებულია საუკეთესო რუსულ სახელმძღვანელოებისა და არა მარტო ვახტეროვის წიგნის მიხედვით, მრავალი ახალი სურათიც დაერთო შესწორებულს გამოცემას, რომელსაც წინანდელთან შედარებით ერთი ფორმა, 16 გვერდი კიდევ მოემატა და წიგნის ფორმატიც გადიდებული იქმნა. შესწორებული და ახლის მასალის მიხედვით შევსებული იქმნა წიგნის ლექსისიკონიც. ყველა ეს ცხადია და ბ-ნი ჯაფარიძე მაინც გაიძახის „მეორე ნაწილს შესწორება თითქმის სულ არ ეტყობაო“, ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო რომ იტყვიან, სწორედ ასეა ბ-ნი ჯაფარიძის საქმე. მე არც მითქვამს და ვერც ვეტყობი ბ-ნს ჯაფარიძეს „მეორე ნაწილის შესწორება ჯერ ვერ მოვასწარიო“ და რა დადასტურა სექციის ერთმა წევრმა, არ ვიცი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ უეჭველია ბ-ნი სექციის წევრი და თვი-



თონ ჯაფარიძეც წ. კ. საზოგადოების წლიური ანგარიშში მაინც ამოიკითხავდენ ყოველ გვარს ცნობებს როგორც „რუსკოე სლოვოს“ ისე სხვა სხეელმძღვანელოს შესახებ. ანგარიშში პირდაპირ ნათქვამია, რომ სექციამ საანგარიშო წელს ე. ი 1913 წ. მოასწრო მხოლოდ „რუსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილის გასწორებაო. მაშ აქედან განა არ მტკიცდება ზერელეობა და დაუფიქრებელი მსჯელობა ბ-ნის ჯაფარიძისა, რომელმაც ვერც ერთი რაიმე ღირსებულობის შენიშვნა ვერ გვიჩვენა და მისი სიტყვები „რუსკოე სლოვო“ „კრიტიკასაც ვერ უძლებსო“, ყოვლად უშინაარსო, უაზრო და ბავშვური ტრაბახობა გამოდგა, მეტი არაფერი.

ამ ჟამად „რ. ს.“ ნაკლს მე ვხედავ სურათებში, სასურელია, რომ წიგნი უკეთ იქმნას დასურათებული, სურათიც, სადაც შესაძლებელია ეროვნული უნდა იქმნეს და ამ მხრით ზრუნვას უკვე ეწევა სექცია და გამოცემას თანდათან აღმჯობესებს ტექნიკის მხრით, ტექსტის შეუცვლელად.


„საჭირო იყო აქვე შევხებოდი „რ. ს.“ ორივე ნაწილის სამოსწავლო (?) მასალას, მაგრამ იძულებული ვარ ჯერ ჯერობით ამას თავი დავანებოო“, ამბობს ბ-ნი ჯაფარიძე და გვპირდება, ამას მაშინ გავარჩევ, როცა „დედა ენის“ სამოსწავლო (?) მასალას შევხებოი („შადრევანი“ № 5), არ ვიცი თუ ვერც ვიტყვით, თუ რა ჭეშმარიტების შარავანდელს მოჰქვინს „შადრევანის“ ფურცელზე ბ-ნი ჯაფარიძე, მაგრამ ვნახოთ რას იტყვის თვითონ რედაქცია ამ გაზეთისა, რომელიც ბ-ნი ჯაფარიძის წერილის შესახებ პასუხის მგებლობას გაუბრძის.

არ არის მართალი ბ-ნი ჯაფარიძე იმა-

შიაც, თითქოს რუსის მწერლობის ნაწარმოები მცირე იყვეს „რ. ს.“ წილში. არამც თუ მცირე, თუ სასაუბროებს არ მივიღებთ მხედველობაში, თითქმის მთელი წიგნის <sup>9</sup>/<sub>10</sub> რუსის მწერლების ნაწარმოებია, მათის ენისა და მართლ წერის კანონების დაცვით. აქაც მუშტრით თვალთ უნდა გასინჯვა და არა ზერელე და უნიადაგო მსჯელობა. დიად, ბ-ნმა ჯაფარიძემ ზორბად შესტოპა სიცრუის მორევში და ეღირსება იქიდან მშრალად გამოსვლა თუ არა, ამის გამოცნობა მკითხველებისთვის მიგვიწვია.

თუ ბ-ნმა ჯაფარიძემ გაათავა, რაც უნდოდა ეთქვა „რუსკოე სლოვოს“ შესახებ, ჩვენც მოვრჩით. ვგონებ არ დავიტოვებია არც ერთი მისი შენიშვნა უბასუხოდ. დეე, მკითხველებმა გასინჯოს რა კეთილი სურვილები ამოძრავებდა ბ-ნს პ. ჯაფარიძეს, როდესაც სიცრუით სავსე და სრულს სიმართლეს მოკლებული წერილები უძღვნა განსვენებულის გოგებაშვილის რუსულს სახელმძღვანელო წიგნებს, რომელსაც მრავალი დაუძინებელი მტერი ჰყავს შინაურებში და გარეშეებში. დეე, მკითხველმა გასინჯოს რამდენად მრავალ მხრივი და სერიოზული კრიტიკოსია ბ-ნი ჯაფარიძე, რომელიც ცდილობს მხოლოდ ცუდი რამ იპოვოს და კარგს-კი ჩრდილავს, გვერდს უხვევს, ღირსებას თითქოს განძრახს გაუბრძისო. მაგრამ რა ღირსებას იპოვის ისეთი ადამიანი, რომელსაც ისეთი აზრი შეუდგენია, რომ „რუსკოე სლოვოს“ რუსული ენა საზოგადოდ „მოუხეშავიაო“.

მაგრამ ჩემის აზრით ბ-ნი ჯაფარიძე მაინც მადლობის ღირსია. მან, მართალია, უსაბუთო და ულოლიკო მსჯელობით დაჰგმო გოგებაშვილის „რუსკოე



სლოვო“, მან ჩვეულებრივად ზერელე ერთი კალმის მოსმით, დაუკვირებლად მოინდომა მისი განქიქება, მაგრამ ხმა მაინც ამოიღო და ასე თუ ისე დააკმაყოფილა იმ 80 სახალხო მასწავლებლის ცნობის მოყვარობა, რომლებიც პრესის საშუალებით მოითხოვდნენ ყველა ქართველ მასწავლებლისაგან „რუსკოე სლოვოს“ შემოღებას სკოლებში და ვინც არ შემოიღებდა, პრესის საშუალებითვე თხოულობდნენ მიზეზის ახსნას. გვჯერა, რომ ბ-ნი ჯათარძის კრიტიკა ვერც ერთს რიგიანს ამ წიგნებთან დახლოვებულს მასწავლებელს ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ სამაგიეროდ საკითხს ასე თუ

ისე გამოარკვევს და ბევრს გადაბირებულს მასწავლებელს პირს წაღმა აქნევინებს, ასე თუ ისე დააფიქრებს, თუ რა დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს იგი სკოლაში, როგორის გზით უნდა იაროს, რომ არ უღალატოს საღ პედაგოგიურს მოთხოვნილებას. ვიმედოვნებთ, ქართველი შეგნებული მასწავლებლები სამართლიანად ასწონ-დასწონიან და პრესის საშუალებითვე ჯეროვანს პასუხს გასცემენ ბ-ნ ჯათარძეს, რადგანაც თვითონ გაზეთ „მადრეფანის“ რედაქციასაც ხსენებული საგნის შესახებ კამათი საჭიროდ მიაჩნია.

ლ. ბოცვაძე.


# რ ა ნ ი ვ ა რ თ

(პასუხად ბ. გ. ა-ნს.)

„Не бойся ѣдкихъ осуждений, но упоительныхъ похвалъ“.

შენსაღ „განათლების“ გიორგობისთვის ნომერში დაიბეჭდება ბ-ნ გ. ა-ნის „მცირე შენიშვნა“. ნახეგარზე მეტი ამ წერილისა შეიტაცვს კრიტიკას, რომელიც მიმართულია ჩემი წერილის (იხ. 1914 წლის 3 ნომერის გაზ. „თემი“ № 192, „წერილი მეგობრისადმი იყო მიწერილი, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი: სულის სიმშვიდე, ბედნიერება ვერსადა ვზოვე; გარდაუვალი, სამარადისო არა არის-რა მეტეი, და ჩემ ნაფიქრ-ნაკრძნობს, ჩემი სულის ყოფა-განცდას, ჩემი „გულის კენესას“ ვუზიარებდი მეგობარს, როგორც მასწავლებელს, როგორც ჩემ ტვივილთა თანამოზიარეს. ადვინიშნავდი საერთოდ კაცთა არაარაობას და გაკურით, სულმოკლედ, შეგებე სოფლის მდვდლისა და მასწავლებლის უარყოფით მხარეს. ეს არ მისწონებია ბ-

ბ. ა-ნს და გაწიწმეტე უღმა ადარ იცის რა ჭქნას. რადა ჯავრობთ, ბ-ნო ჩემო? რამ ავიწვათ ზირი? საერთოდ კარგი არ არის ადეღვება, აჩქარება, და, მით უმეტეს, წერის დროს ხომ უეჭველად საჭიროა დაიცვათ ჩვეულებრივი სიღინჯე და დარბაისლობა, და გარდა ამისა ღაზარაკი მარტო იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ სხვებზე უფრო მტკნილი ენა გქონდესთ, არამედ საჭიროა რთდესაც ღაზარაკობთ, სწერთ, ეს თქვენი ნათქვამ-ნაწერი აწონილი და დასბუთებული იყოს. შეგნებუ-ლი უნდა გქონდესთ, ბ. ა-ნსა, რომ სხვისი ზიროვნების უსაფუძვლოდ შელახვა არ არის კარგი. თქვენ ამბობთ: „საკვირველებას, დემეტმანი! დიდი თუ ზატარა, საქმიანი თუ უსაქ-



მური-დღეს უგულა უკიუინებს სხალ-  
 ხო მასწავლებელს: შენ ეროვნულად გარ-  
 კვეული ფიზიონომია აღარ გაქვს, ისიც  
 დაკარგე, რაც გქონდა, ზოლიტიკურად  
 დასწეულბული, დასწეულდი ზნეობრივად  
 და გონებრივადაც, ღალატობ ხალხს და  
 მოვალეობას. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ,  
 რომ ასეთს ბრალდებას სხალხო მასწავ-  
 ლებლის მიმართ წამოისწერის მხოლოდ ის,  
 ვინც თვითონ არაფერს აკეთებს, ვინც  
 სრულიად არ იცნობს სხალხო მასწავლე-  
 ბლის მდგომარეობას, შრომას, აზრს და  
 სულის კეთებას, ვინც უოველ საქმე  
 მხოლოდ დასწავლებულ ფანტაზიით ჭყარში  
 აშენებს და ბ-ნ ტიტოლსავით უაზროდ გაი-  
 ძახის: „უმიედობამ და ცნაგრების უაზრო-  
 ბამ (!) დასკრა ჩემი გული“.

მეც თამამად უნდა მოვახსენო, ბ-ნს გ.  
 ა-ნს, რომ ასე „თამამად“ წერა, ცოტა  
 არ იყო, ვერ არის კარგი: თუ ზირადად  
 მიცნობთ, უსაქმობას (ძალიან უხერხულია  
 თავის თავზე წერა, მაგრამ რა გაეწეობა),  
 უმოქმედობას და „დასწავლებულ ფანტაზიით  
 ჭყარში ცურაობას“ ვერ მიკიუინებთ და, თუ  
 ზირადად არ მიცნობთ,—მით უმეტესს.

ჩემი ნათქვამი „უბრალედ წამოხროლილი  
 ბრალდება“ კი არ არის, როგორც თქვენა  
 ბრძანებთ, არამედ მოფიქრებული და აწონილ  
 დაწონილი შეხედულებაა. ჩემი ნაწერი სარკეა  
 ჩემი დიდი ხნის განცდა-დაკვირვებისა, იგი  
 ჭრმინიულად ექსპოზება ჩემი სულის მიმოხ-  
 ვრას. მე არ ვამბობ, რომ სხალხო მასწავ-  
 ლებელთა მოღვაწეობა სრულიად უმნიშვნელო  
 და უხელოა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ  
 ისინი თავის დიად დანიშნულების ზირნათ-  
 ლად ვერ ასრულებენ. რასაკვირველია, შიგა  
 და შიგ მოიხვედებიან ნამდვილი მუშაკინიც,  
 რომელნიც გმირულად, ამაყად მიაფრიალებენ  
 თავის ღირსების დროშას. თავგანწირვით  
 მიაქვთ მსხვერპლი სწავლა განათლების სამ-

სხვერპლად ხალხის საკეთილდღეობთ. დიად,  
 არ უარვეფი! არიან ამ გვარი გმირებიც,  
 მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა,—თით-  
 ქმის თითებზე ჩამოითვლების. 100 კაცში,  
 რომ ერთი „კაპანაძე“, ან „ბზვანელი“ გა-  
 მოერიოს, განა ეს იმის საბუთს გვაძლევს  
 ვთქვათ, რომ საერთოდ ჩვენი სხალხო მას-  
 წავლებელი უხალა და „თავისი წმინდა  
 დროშა ჯერ ძირს არ დაუშვია“? ეს ხომ  
 თავის მოტუეება იქნება.

სხალხო მასწავლებელთა უმეტეს ნაწილს  
 არამც თუ დიად დროშის ფრიალში, არამედ  
 ისეთ უბრალე საქმეშიდაც კი, სადაც დიდი  
 გმირობა, დიდი თავგანწირვა არა უოფილა  
 საჭიროა, არ გამოუჩენიათ თავის ძალ-ღონე,  
 ენერჯია, მხნეობა, შნა და ჭუნარი. ტუეილად  
 აღამაზებთ მას, ტუეილად აღარებთ თბოლ  
 მარგალიტს.

რასან ღაზარაკი ჩამოვარდა, შეგაწუხებთ,  
 შეგაწუხებ აგრეთვე მკითხველს და ცოტა რას-  
 მე კიდევ ვიტუვი ჩვენს სხალხო მასწავლე-  
 ბელზე. შეიძლება, ბ-ნო გ. ა-ნო, ამ ჩემმა  
 ნათქვამმა ვერ გასიამოვნოთ, გაგაბრახოთ,  
 მაგრამ რაქნა, რა ვქნა, რომ მწარე და მ-  
 ხინჯი სინამდვილე გულს მიკლავს, და არ  
 შემიძლიან ეს მახინჯი სინამდვილე თქვენსა-  
 ვით ფერ-უმარულით შევალამაზო.

თქვენ მე უტოდინარობის, უვიცობას მიკი-  
 უინებთ, გგონიათ, რომ „სრულიად არ ვიც-  
 ნობ სხალხო მასწავლებლის შრომა-მოღვა-  
 წეობას“. შეიძლება. შეიძლება თქვენსავით  
 დასწავლებული არ ვიყო ამ საქმესთან, შეი-  
 ძლება თქვენსავით ზედმიწევნით არ ვიცნობ-  
 დე ჩვენს მასწავლებელს. ამაზე არ ავიხი-  
 რებთ, მაგრამ იმას კი გეტუვით,  
 რომ ეს 4—5 წელიწადია შეძლების დაკვა-  
 ლად მუდამ თვალ-უურს ვადევნებ მის მოქმე-  
 დება-მოღვაწეობას და, ასე თუ ისე, ვიცნობ  
 სხალხო მასწავლებლის ზნეობრივ-გონებრივ  
 ავლადიდებას. მომისმინეთ: როდესაც მასწავ-



დებულთა ავ-კარგინობასზე ვლანაკობთ, ერთის მხრით უეჭველად საჭიროა ვინცდღოთ, თუ რა ელემენტისაგან შესდგება მათი უმეტესობა.

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი რაღაც შემთხვევითი ელემენტია. ბევრი მათგანი მასწავლებლობს არა იმიტომ, რომ ამ დარგში მუშაობა კეთილ წმინდა და სასარგებლო საქმედ მიიჩნია, არამედ იმიტომ, რომ თავისი პირადი ცხოვრება სხვაგან უკეთესად ვერ მოაწყო, და, დამერწმუნეთ, თუ კი რაიმე შემთხვევა საშუალებას მისცემს, იგი უეჭველად მიანებებს თავს მასწავლებლობას. ჩემი ნათქვამის დასასბუთებლად მოვიყვან რამდენსამე ადგილს იმ წერილებიდან, რომელიც მე ხელთა მაქვს. წერილები, რასაკვირველია, კერძო ხასიათისაა, მაგრამ ფრთხილ დამახსიათებელი ჩვენ განმანათლებელთა, და ამიტომ ვებრძვ მათით სარგებლობას. (წერილების ავტორებთან წინასწარ ბოდიშს ვიხდი).

აი რასა სწერს ერთი ახალგაზრდა უმაწვილი თავის ნაცნობ მასწავლებელს:

„მე უზრავაში\*) ადარა ვარ. დამითხოვეს за растрату денегъ. ეხლა ისევ მასწავლებლად უნდა ვემზადო სხვა გზა არა მაქვს (ხაზი ჩემია ტ. კ.) ძალიან გეხვეწები ეტ უზრავაჲ უსათუოდ გამომიგზავნე როგორც იუვას“.

წარმოიდგინეთ, ბ-ნო გ. ა—ნო, ადამიანო, რომელმაც უბრალო მოხელის ადგილზედაც კი ვერ იხეირა, ჩაიდინა რაღაც ბოროტ მოქმედება და ამისთვის პანდურით დაჯილდოვებული გამოისტუმრეს, მიდის სოფლად ხალხის განსასწავლად.

მეორე ახალ გაზრდა იწერება:

„სოფლის მასწავლებლად არ მინდა დავდგე ჯერ სანამდის შენსავით ცხვირზე

\*) მართლწერა ყველგან წერილების ავტორებისა იქნება ტ. კ.

არ მომადგება საღდათობა. რისი მოწიფე მუავს და „იმათაც თავი მომბეზრეს“ — ო.

და შემდეგ, როდესაც ამ ემაწვილს „საღდათობა ცხვირზე მიადგა“ გავიდა სოფლად სამოღვაწეოდ.

ზოგი მასწავლებელი-ქალი თავის მოვალეობას უუერებს, როგორც გასართობს: ერთ მათგანი იწერება:

„Меня ужасно страшитъ бездѣлье, а то я бы съ удовольствьемъ оставила это мѣсто“.

ახლა მოუსმინეთ ერთ გადაგვარებულ ქალთველ ქალს, რომელიც უკვე ცხრა წელიწადია მასწავლებლობს.<sup>1)</sup> იგი, როდესაც რამდენისამე თვის წინად გადაიყვანეს ახალ ადგილზე, სწერს მახლობელ სოფლის მასწავლებელს:

Скажите мнѣ<sup>2)</sup> у васъ какіе учебники по русскому языку? Не нравится мнѣ Гогобашвили, да такъ мало въ немъ матеріала для увеличенія лексикона въ рускомъ языкѣ.

Мнѣ очень нравится „Давись родной миръ“ (ხაზი ჩემია. მართლწერა წერილის ავტორისაა. ტ. კ.) და დედალათ ნეჩოგაჲ придется зубрить по Гогобашвили только потому что въ 6 человѣкъ есть уже эта книга и не могу какъ-то заставить купить другія книги“.

1) ამის უტყუარ საბუთს და აგრეთვე ყველ წერილებს, რომლებითაც მევსარგებლობ, ჩემი ნათქვამის დასამტკიცებლად ვურდგენ „განათლების“ რედაქტორს ბ. ბოცვაძეს.

2) ქართველ მასწავლებელთა შორის რუსულად ლაპარაკი და მიწერ-მოწერა, რა ვინდ აქვს ეხერხებოდეთ, ძალიან ხშირია, ესეც მათს გამოცრობას ამტკიცებს, არა, ბ-ნო. ტ. კ.



ბ-ნო გ. ა-ნო, ეს უტყუარი ფაქტი მშვენიერად ახსიათებს ჩვენს „გამოცდილ“ სახალხო მასწავლებელს, რომელიც ცხრა წელიწადი „პირნათლად“ ემსახურება დიად საქმეს სწავლა-განათლებისას და ჯერ „თავისი დროში ძირს არ დაუშვია“, და რომელი ერთი ვთქვას.

მოიგონეთ თუნდა ის, რომ ამ 2-3 წლის წინად ორი ქართველი მასწავლებელი სთხოვდა ინსპექტორს, გაგვანთავისუფლეთ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისაგან. ეს ხომ თითქმის მუხჯურ მეთოდის გაღმერთებაა, ეს ხომ სადი ჰედაგოგის სულის აღმოფხვრაა. მაგრამ ეს, შეიძლება, კერძო შემთხვევაება ესეთი, და ამაზედ ღაზანაკიც არა დიხს, მაშ გავისხენოთ, გადავავლოთ სადი თვალი ახლო წარსულს;

1914 წ. 28 თებერვლის თარიღით № 1109, თანახმად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ბრძანებისა, სახალხო სკოლებს შერეო რაიონის ინსპექტორმა განკარგულება მოახდინა, რომლის ძალითაც გაკვეთილების ნუსხის შედგენის დროს მასწავლებელთ უკუკვლად უნდა დაეცვათ 22 ნოემბერს 1908 წ. სასწავლო ოქლის უფროსის საბჭოს მიერ შედგენილი ნუსხისა. ამ ნუსხაში რუსულ ენას დათმობილი აქვს 12 გაკვეთილი ქართულს კომოლოდ ექვსი.

და როგორ შესვდნენ ჩვენი მასწავლებლები ამ განკარგულებას? რამდენადაც ვიცით, არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია არც სადმე საზოგადოებაში, არც პრესაში და, მით უმეტეს, ინსპექტორ-დირექტორთან ხომ არა რას გაბედავდნენ. ამით, წასაკვირველია, იმის თქმა არ მინდა, რომ, ხმა რომ ამოუდოთ, უკუკვლად იხსნიდნენ სახალხო სკოლას ამ გვარ ანტიპეტაგოგიურ მოთხოვნებებთან, მაგრამ ის კი მწამს, რომ მათი პრე-

ტესტი იქნებოდა პრინციპიალურად მნიშვნელოვანი წინ წადგომი ნაბიჯი.

მოიგონეთ აგრეთვე წარსულ საფხულს ბ. ლ. ბზვანელის მეთაურობით განზრახული მასწავლებელთა ექსკურსია, რომელსაც, თუ არა ვცდები, თქვენვე აუშალეთ თავი, ბ-ნო გ. ა-ნო. მეტია ამ გვარ ექსკურსიების საგებლობა-მნიშვნელობაზე ღაზანაკი: უკვლად ცოტათ თუ ბევრად მომზადებულ ადამიანისთვის აშკარა უნდა იყოს. მერე? რითი გათავდა საქმე?

ჩვეულებრივად: ექსკურსიაში მონაწილეობის მიღების მსურველი მხოლოდ ორი კაცი აღმოჩნდა. ექსკურსია, თავის თავად ცხადია არ შესდგა. ამას თქვენც დამიმწმებთ და, თუ ვინცდაა თქვენ თვითონაც არა ბძანებულხართ და არ იცით, შესდგა თუ არა ექსკურსია, იმ შემთხვევაში ღადა არ დაიზარებს ჩემი ნათქვამის დამწმებას.

და, ვინ იცის, რამდენია ასეთი მაგალითი, რომელიც ჩვენი მასწავლებლის უილაჯობას ამტკიცებს... ვისაც დაკვირვებით უდევნება თვალ-ყური ჩვენი ბედკრული სახალხო სკოლების მდგომარეობისათვის, ის უკუკვლად დამეთანხმება, რომ ჩვენი მასწავლებელი თავის მოვალეობას, მოვალეობას მასწავლებლისას, ამ სიტყვის უფელმხროვ მნიშვნელობით, ვერ ასრულებს, არ ასრულებს:

მას არა აქვს მომზადება, არა აქვს სულ უბრალო, ელემენტარული პედაგოგიური ცოდნაც კი; არა აქვს სწავლის საქმეში გარკვეული მეთოდი, სისტემა, გეგმა. სამშობლო ენა, ეს ეროვნულ სიმდიდრე სიძლიერის გამომხატველი იარაღი, ეს ფუძე ადამიანის ყოველ მხრივ განვითარებისა, ქვეკუთხედი „ეროვნულ თვითშეგნება-შენარჩუნებისა, ჩირად მიზანიათ.

არ არის მათში სურვილი ერთმანეთთან დაახლოვებისა, სოლიდარობისა, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაგებისა, შეერთება-შეკავშირებისა.



იგი არ არის პედაგოგიური მიზნით გამსჭვალული და რაიმე იდეური აზრის მიმდევარი; იგი ლატაკია გონებრივად და ზნეობრივად...

მე მრწამს, რომ ჩვენს მომავალ ცნობრებას განსხივოსნებს, გასხეუტა-გაფაქიებს მხლად სწავლა-განათლება, ხალხის, მომავალი თაობის ზნეობრივად აღზრდა. ერთადერთი ჩემი იმედი ამაშია. გასმდიდრეთ ხალხი ეკონომიურად, თუ მისი გონება — ზნეობა დღევანდელს საფეხურზე დაჩეხა, იგი მაინც ვერ იცნობრებს ადამიანურად... „ფარვა სიავისა ქვეყანას ავნებს“.

და უველა შეგნებული ადამიანის ვაღია

დაჭემოს, გაჭკიცხოს, სმარცხუნობა... გააკრას ასეთი მასწავლებელი, აუკრას ბარკა და იქით უხვენოს გზა, საიდანაც მობრძანებულა, რათა სკოლის საქმე თანდათანობით შესაფერს დონეზე დადგეს.

თქვენ კი გამოადიხართ, ბ.ნ. გ. ა.ნ. მასწავლებლის ვითომდა დამტველის როლს კისრულობთ, ქება-ხატბას ასხავთ, ცობდ მარკალიტს ადარებთ, „თავის წმინდა დროსა ვერ ძიხს არ დაუშვია“ო. მერწმუნეთ, ამ გვარი საქციელით ბევრს ვერაფერს შექმნით ისედაც დაჩინებულ ხახალხო სკოლის პირიქით — ავნებთ კიდევ.

ტიტო კრიხელი.

† სახალხო მასწავლებელი ნადეჟდა ტეეშელაშვილის ასული. (ნეკროლოგი)

შვირას, 11 იანვარს, ქუთაისში ცივ სმარკეს მიაბარეს 30 წლის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალის ნადეჟდა ტეეშელაშვილის ასულის ცხედარი, რომლის დასაფლავებას დაესწრო აუარებელი სზოგადობა. განსვენებულმა ქუთაისის წმ. ნინოს საქალბო სასწავლებელში მეცხრე სპედაგოგიო კლასის დამთავრების შემდეგ ხელი მოჭკიდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას, რომელსაც ის მეტად ზატონხად და სინიდისიერად ასრულებდა 9—10 წლის განმავლობაში, რამდენადაც ცოდნა და გამოცდილება ხელს უწყობდა. პირველად ის წავიდა მასწავლებლად ოზურგეთის ქალთა სასწავლებელში, შემდეგ დაარსა საკუთარი პირველადწეებითი სასწავლებელი ქუთაისში, თავის უბანში, მესხეთის ქუჩაზე, სადაც ორი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი, როგორც საზოგადოდ კერძო, ნიფთიერად ვერ აჯილდოებდა განსვენებულის

შრომის, ის მაინც ენერგიულად და მედგრად ეწეოდა თავისი დანიშნულების მძიმე უღელს და მხნედ მუშაობდა სახალხო განათლების ასპარეზზე. რადგანაც მას მიზნად ჰქონდა დასახული სოფლად მოღვაწეობა, სადაც სამკალი ბევრია და მუშაკი კი ნაკლები, ამიტომ მან არჩია ისევე სოფლებში სამსახური და წავიდა მასწავლებლად ქვედა მადლაკის პირველდაწეებით სასწავლებელში, საიდანაც შემდეგ გადაიფანეს ზუგდიდის მაზრის სოფ. დარჩელის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში. სადაც ორი წლის განმავლობაში დიდი თანგზრძობა და ზატოვისცემა დამისახუნა იქაურ საზოგადობაში; განსვენებული მასწავლებელი აგრეთვე ზატარა ქალიშვილებს საზროფე სიონლურო საგნებსაც, რის გამოც მოსწავლე ქალებს მეტად უფუარდათ თავისი კეთილი მასწავლებელი.

როგორც ადამიანი ის იყო მშვიდი, ზატონი და უბრალო; ის არ გავდა ზოგიერთ დღევანდელ ჩვენებურ ქალიშვილებს, რომელს



ბიძე მოდებით და სხვა და სხვა თვალთმაქცურ-  
ნი საქციელთ სტდილობენ თავის გამჩინას  
საზოგადოებაში, სამეგრელოს ნოტიო ჭყარმა  
იქონია გუფენა იმისი ნაზსა და სუსტ ორ-  
განიზმზე, დააკადმოფოფდა, ჩამოვიდა სამსახურ-  
რიდან ქუთაისში, 24 დეკემბერს ჩავარდა  
ფოგინად და ოთხ იანვარს სამუდამოდ დასუ-

ჭა თვალები თავისი მშობლები  
იმისი დაკარგვით სახალხო განათლების  
ყანას მთავლად ერთი გულწრფელი და ერთ-  
გული მუშაკატანია. საუკუნოდ იყოს სსენება  
შენი ზატიოსანო მუშაკო და კეთილო ქარ-  
თველო ქალო!

ლალო ბზვანელი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გასხლებ რა ამასთანავე შეწირულ ფულს 4  
მან. 15 კაპ. ქართული თეატრის ფონდის  
გასაძლიერებლად, უმორჩილესად გთხოვ გა-  
დასცეთ დანიშნულებისამებრ.

სია შემომწირველთა:

თითო მანეთი შემოსწირეს ზინგერის ატენ-  
ტმა ვასო ჩიკვაძემ და შრამის სკოლის მას-  
წავლებლებმა იოსებ ჩხატარაიშვილმა და ელე-  
ნე ასმეტელაშვილმა.

შრამის სკოლის მოწაფეებმა შემოსწირეს  
ორ-ორი შაური: თამარ ძანაშვილმა და ნინო  
კიკილაშვილმა.

თითო შაური: ლომიკ აკაკი, გრიგოლა-


შვილი მიხაილ, ბურჯანაძე შალვა, გელაშვილი  
ივანე, შუბითიძე ვარლამ, გოშაძე თეოფილე,  
გოშაძე ევა, ყანჩაშვილი იოსებ, გრიგოლა-  
შვილი ვლადიმერ, გრიგოლაშვილი მიხაილ,  
შუბითიძე დომენტი, ბლიაძე ვასილ, კაკალა-  
შვილი მიხაილ, ილაშვილი ანა, შაშიაშვილი  
ფორე, კახანაძე ნინო, ღვინაშვილი ნინო,  
ოთარაშვილი მარია, კვანჭილაშვილი ვასილ.

შრამის სკოლის გამგე

იოსებ ჩხატარაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.




ქუთაისში ორ კვირაში ერთხელ გამოდის სამეც., სალიტ. და საპ. ჟურნალი

„განთიქი“

ჟურნალი უპარტოოა თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან ყველა ჩვენში არსე-  
ბული დემოკრატიული მიმართულების ნიჭიერი და გულწრფელი; აგრეთვე  
ჩვენი პროფესორებიც, რომელნიც ამ ჟამად რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტე-  
ტებში მოღვაწეობენ.

ქუთათურებისათვის წლიურად ჟურნალი ღირს 4 მან., ნახევარი წლით—2  
მან., სამი თვით—1 მან., თვიურად—40 კაპ., თითო ნუმერი—აბაზად. ქუ-  
თაისის გარეშეთათვის წლიურათ—4 მ. 60 კაპ., ნახევარი წლით—2 მ. 30  
კაპ., სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ—50 კაპ., საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.  
წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ:  
ხელის მოწერის ღირს 2 მან. 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. დი პირველ  
ივნის—1 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману  
Спирид. Панцхава.

უოველ-დღიური სანაღიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



# „სახლი აზრი“

(წელიწადი მეორე)

გაზეთი სამხედრო ტენზურის ნებათვით გამოდის და ამიტომ უზრუნველყოფილია შეჩერება-დახურვისაგან.

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარი წლით—4 მან. სამი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად თბილისში—4 აბაზი. თბილისს გარედ—90 კ. საზღვარ გარედ 14 მან.

## თითო ნომერი ერთი შაური

განცხადების ფასი ჩვეულებრივია

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა 60 კ., მოსწავლე ახალგაზღვრებს კი 50 კაპეკათ.

რედაქცია იმყოფება: ორბელიანის ქუჩა № 36.

ფულის გამოსაცემი მისამართი: Тифлисъ, Орбелианская ул. № 36.

Георгію Григорьевичу Бездіашвили.

უოველ-დღიური სანაღიტიკო და სალიტერატურო

# „სახალხო შურიცელი“

(წელიწადი პირველი)

უოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისათ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეკი. აღრესის გამოსაცემელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо Пурцели“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1915 годъ на газету

## „Закавказская Рѣчь“

Годъ изданія седьмой.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ: Въ Тифлисъ	Въ провинц.
за годъ . . . . . 6 руб.—коп. 8 руб.—коп.	
„ полгода . . . . . 3 руб. 50 коп. 4 р. 50 к.	
„ 3 мѣсяца . . . . . 2 руб. — коп. 2 р. 25 к.	
„ 1 мѣсяць . . . . . — 70 коп. — 75 к.	

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція изд. „Закавказская Рѣчь“ Дворцовая ул., домъ Д. 3. Сараджсва.

Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“

Редакторъ кн. К. П. Тумановъ.

სანაღიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# — თ ე მ ი —

(წელ. მეოთხე)

წლიურათ 2 მან. 50 კაპ. ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის აღრესი:

Олгинская ул. № 4.

რედაქტორ-გამომცემელი

# სნობაბი

## ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგადოების მოქმედების.

### ო ქ მ ი

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების  
16 ნოემბერს 1914 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ნ. ყაზბეგმა დილის 11 სა-  
ათსა და 20 წუთზე. დაესწრო 121 წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანმა წაიკითხა 9 ნოემბრის საზოგადო კრე-  
ბის ოქმი. ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას „ვისაც  
სურს ოქმში შესწორების შეტანა, ვთხოვ თვითონ დასწეროს თუ რა დამატების,  
ან შესწორების შეტანა უნდა და წარმოადგინოს“.

ზეტრე გელეიშვილის აზრით ოქმი ძლიერ ვრცლად დაწერილი, რის დაბეჭე-  
დაც, ეჭვი არ უნდა, ზედმეტ ხარჯს მოითხოვს გამგეობისაგან და ამ ზედმეტი  
ხარჯის თავიდან ასაცილებლად უმჯობესი იქნება ოქმი იწერებოდეს, რაც შეიძ-  
ლება, მოკლედ ორატორთა სიტყვების დედა-აზრის აღნიშვნით. ზეტრე მიიჩნე-  
ნა ემხრობა ბ-ნი გელეიშვილის აზრს და დასძენს, რომ საკმარისია ოქმში მხო-  
ლოდ კრების მიერ გამოტანილი რეზოლიუციები იქმნას აღნიშნული.

კრება ოქმს ამტკიცებს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საზოგადო ბაასი გამგეობის მოქმედებისა და  
1913 წლის ანგარიშის შესახებ წინანდელ კრებაზე გათავდა და დღევანდელი კრე-  
ბა უნდა შეუდგეს ანგარიშის მუხლობრივ განხილვას, პირველი მუხლი ეხება გან-  
ყოფილებებს, გთხოვთ ამ საკითხის შესახებ გამოსთქვათ თქვენი აზრი. ეს მუხლი  
კამათს არ იწვევს და, ამნაირად, ანგარიშს განყოფილებათა შესახებ, კრება ერთხმად  
ამტკიცებს. შემდეგი მუხლი სკოლების შესახებ ხანგრძლივ კამათს იწვევს.



პრ. ჯაფარიძის აზრით, დღევანდელი საზოგადოების სკოლები უნუგეშო მდგომარეობას განიცდიან: მოწაფეთა რიცხვი კი არ მატულობს, საგრძნობლად კლებულობს. მასწავლებლები საკმარისად მომზადებულნი არ არიან, რათა პირნათლად და ჯეროვანად შეასრულონ მოვალეობა ნამდვილი სახალხო მასწავლებლისა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მართო ანა-ბანას სწავლება საკმარისი არაა: სკოლა და ცხოვრება მტკიცედ უნდა იყვნენ შეკავშირებულნი. სკოლა უნდა უზასუხებდეს გლეხის ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებებს, მასწავლებელი უნდა იყოს ყოველგვარი კულტურული საქმის ხელმძღვანელ-მეთაური, გლეხის დამრიგებელი და გზის მაჩვენებელი. ჩვენი სკოლები ისე უნდა მოეწყოს, რომ იქ კურს დამთავრებულთ ადვილად შეეძლოს საშუალო სკოლებში გადასვლა. ორატორი ემხრობა ბ-ნი კიკვაძის მიერ წინანდელ კრებაზე გამოთქმულ აზრს, რომ უმჯობესია სკოლები გვექონდეს ცოტა და კარგად მოწყობილი, ვიდრე ბევრი და ცუდი. დასასრულ ბ. ჯაფარიძე იძლევა შემდეგს კონკრეტულ წინადადებას: 1) ჩვენი სკოლების მასწავლებელთ სპეციალურის გარდა საზოგადო განათლებაც უნდა ჰქონდეს; 2) სასკოლო სექციამ გამგეობასთან ერთად უნდა შეიმუშაოს ტიპი ჩვენთვის საჭირო სკოლებისა; 3) ჩვენი სკოლა აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული საშუალო სასწავლებლებთან იმ მხრით, რომ ჩვენს სკოლაში კურს დამთავრებულთ უნდა შეეძლოს ხსენებულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება“.

დავ. ხაჩთიშვილი ეთანხმება ჯაფარიძეს იმაში, რომ სკოლა მართლა ცხოვრებასთან უნდა იყვეს დაკავშირებული და უზასუხებდეს ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებებს, მაგრამ იგი შეუძლებლად სთვლის წ.-კ. გ. საზ. სკოლის მთავრობის სასწავლებელში გადამსვლელ საფეხურად აღიარებას. საზოგადოების სკოლების სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად ორატორს შემოაქვს შემდეგი წინადადება: 1) ჩვენს სკოლებში საგნების რუსულ-ქართულად სწავლების ასაცილებლად, საჭიროა საზოგადოებამ გახსნას ისეთი სკოლა, სადაც დღევანდელი ჩვენი სკოლებიდან მოსწავლენი პირდაპირ გადადიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო ამისთვის გამგეობამ უნდა იქონიოს იმდენი პირველ-დაწყებითი სკოლები, რამდენის შენახვის საშუალებაც საზოგადოებას ექნება; 2) საზოგადოებამ იქონიოს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, რამდენმა მოსწავლემ დაასრულა ჩვენი სკოლები, სად წავიდნენ და ირიცხებიან თუ არა ჩვენი საზოგადოების წევრებად; 3) მასწავლებელთა მდგომარეობის რამდენადმე გასაუმჯობესებლად მათ ჯამაგირად შემოღებულ იქნას 40 მ. და ყოველ 5 წელიწადს ემატებოდეთ თითო თუმანი, ვიდრე 70 მანეთამდე ავიდოდეს“.

ლ. ბოცვაძე. (გამგეობის წევრი) განმარტავს, რომ საზოგადოების სკოლები მართო ანა-ბანას კი არ ასწავლიან, არამედ იძლევიან საკმაო ცოდნას, სანიმუშო პროგრამით განვლილი მასალა ოთხის წლის განმავლობაში იმდენად ათვისებულად ბავშვს, რომ იგი კურსის გათავების შემდეგ თავის თავად ეწაფება თვით-განვითარებას; საზ. სკოლების შეფარდება მთავრობის სასწავლებლებთან ისე, რომ ამ სკოლებიდან მოწაფენი პირდაპირ გადადიოდნენ საშუალო სასწავლებლებში ორატორს შეუწყნარებლად მიაჩნია, ორგანიული კავშირის დამყარება სკოლის



საფეხურთა შორის დღევანდელ პირობებში—ოცნებად, ჩვენი სკოლების მიზანია ქართული წერა-კითხვის გავრცელება და დედა-ენაზე განვითარების მიცემა. ხალხი დიდის თანაგრძნობით უცქერის ჩვენს სკოლებს, მოწაფეთა რიცხვი კი-არ კლებულობს, მატულობს...

იგაა რუხაძეს იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად უყურადღებოთაა სკოლები მიტოვებული, მაგალითისთვის მოჰყავს საგურამოს სკოლა, სადაც მას თვითონ უმსახურნია მასწავლებლად 1909 წლიდან 1911 წლამდე. ამ სკოლაში მემამულისა და სკოლის ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდნენ და სკოლა ყოველთვის დაჩაგრული გამოდიოდა, მამულის მოიჯარადრენი ავიწროებდნენ სკოლას; მასწავლებელს ხშირად ზამთარში შეშა არ ჰქონდა, არც საჭირო სასწავლო ნივთებს ღებულობდა თავის დროზე. გარდა ამისა ბავშვებს ძლიერ შორიდან უხდებოდათ სკოლაში სიარული. სკოლის ასეთი მდგომარეობის შესახებ მას არა ერთხელ უცნობებია გამგეობის წევრთათვის.

შ. მესხიშვილს—შეკითხვა შემოაქვს, ჰქონდა თუ არა ადგილი იმ ფაქტებს, რომელიც აღნიშნა თავის სიტყვაში ბ-მა რუხაძემ.

ჯ. ბოცვაძე—უპასუხებს, რომ ყველა ის დაბრკოლებანი, რომელიც აქამდე მართლა წინ ელობებოდა სკოლას, გამგეობას გათვალისწინებული ჰქონდა და კიდევაც მიიღო ზომები: ამ ჟამად სკოლა უკვე გადატანილია სოფელში და, ეჭვი არ უნდა, ამიერიდან სკოლის საქმე წარმატების გზაზე დადგება.

სილვაჯან გაბუნიას აზრით გამგეობისადმი მიმართული ბრალდებანი უსაფუძლოა, ჩვენ სკოლებში საჭიროა საგნების რუსულ-ქართულად სწავლება, რადგან ამას მოითხოვს სკოლის შემდეგი საფეხურის პროგრამა და თვით მშობლების ინტერესი.

შ. ქაჩუშიძეს შეუძლებლად მიაჩნია სკოლების არსებულ მდგომარეობაში დატოვება. მისი აზრით საჭიროა ჯერ არსებული სკოლების გაუმჯობესობაზე ზრუნვა და შემდეგ ახალი სკოლების გახსნა.

თ. კიკვაძეს არსებულ სკოლების გასაუმჯობესებლად და მომავალი სკოლების სასურველ დონეზე დასაყენებლად შემოაქვს შემდეგი წინადადება: 1) მასწავლებლების მოწვევის დროს გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს, გარდა მათ სპეციალურ მომზადებისა, მათ საზოგადო განვითარებასა და ხალხში სამოღვაწეოდ გამოსადგეგრობას, 2) მათი ჯამაგირი საზოგადოების საშუალებათა მიხედვით ავიდეს მაქსიმალურ დონემდე, 3) ჯამაგირის სამწლიურ მომეტების დროს ჩაეთვალოს მათ სხვაგან ნამსახური დროც, 4) გამგეობა ეცადოს, რომ სამკითხველო-ბიბლიოთეკები დაარსოს და მით შეძლება მისცეს ჩვენს სკოლებში სწავლა დამთავრებულთ, არ გასწყვიტონ კავშირი სკოლასთან და შემდეგაც განვითარდნენ, 5) გამგეობა ეცადოს, მასწავლებლებს საშუალება მისცეს, რომ მათ ხშირად გამართონ სკოლებში სახალხო კითხვები და საუბრები, რათა მით ხალხი მჭიდროდ დაუკავშირდეს სკოლას და შეიგნოს მისი მნიშვნელობა, 6) გამგეობის უმთავრესი ყურადღება მიექცეს ამ სკოლების გაუმჯობესებას და, როდესაც არსებული სკოლები სასურველ დონეზე დადგება, მხოლოდ შემდეგ



გახსნას ახალი სკოლები, 7) სასკოლო სექციამ შეიმუშაოს გარკვეული ტიპის ჩვენს ნის სასწავლებლისა და 8) სასკოლო სექციის მიეცეს უფლება და საშუალება, რაც შეიძლება ხშირად მოაწყოს მასწავლებელთათვის პედაგოგიური კურსები და კრებები.

იწ. წამაშვიდს შეუსაბამოდ და შეუძლებლად მიაჩნია წ.-კ. გამ. საზოგ. სკოლებს მოსამზადებელი სკოლების ხასიათი მიეცეს; მისი აზრით ჩვენს სკოლებში ყველა საგანი ქართულად უნდა ისწავლებოდეს. გარდა ამისა მასწავლებელი უნდა იყოს კარგად მომზადებული, რომ შეეძლოს სახალხო კითხვების, საუბრების გამართვა, საკვირაო სკოლის დაარსება და ხელმძღვანელობა-მეთაურობის გაწევა.


ამავე აზრის არიან სამსონ დადიანი და ილია ადღაძისა.

დ. ლუმბაძეს სკოლების მეთვალყურის მოწვევის შემდეგ, სრული იმედი აქვს, რომ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე ჯეროვან ნიადაგზე დადგება, მისივე აზრით, რადგან საზოგადოებას ამ წელს ნივთიერი საშუალებაც ხელს უწყობს, აუცილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს სოფლის სკოლათა მასწავლებლების ქონებრივი მდგომარეობა თვეში 50 მან. ჯამაგირის დანიშვნით, რაც, ეჭვი არ უნდა, ხელს შეუწყობს გამგებობას სასურველ მასწავლებლების შტატის მოწვევის საქმეში.

დ. ჯავახიშვილის აზრით, აუცილებლად საჭიროა, რამდენადაც საშუალება ნებას მოგვცემს, ახალი სკოლების დაარსება იქ, სადაც ამას ადგილობრივი პირობები და საქმე მოითხოვს. მისივე აზრით ერთ-ერთს სოფლის სკოლაში შეტანილ უნდა იქმნას რაიმე პრაქტიკული კურსი, სადაც სხვა სკოლებში კურს დამთავრებულნი სწავლას გააგრძელებენ.

დადო ცაგარელი საჭიროდ სოფლის ჩვენს სკოლებში, როცა ქართულ ენას განადგურება არ მოელოს, რუსული ენის სწავლებლასაც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რადგან ამას მოითხოვენ გლეხები უბრალო პრაქტიკული მოსაზრებით; საზოგადოდ, სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბ-ნ ცაგარელს შემოაქვს შემდეგი წინადადება: მასწავლებელთა გონივრულად გასავითარებლად და პრაქტიკულად განსაწაფებლად და გამოსაცდელად საჭიროა ქ. თბილისში დაარსდეს სანიმუშო პირველ დაწყებითი ტიპი სასწავლებლისა. ამ სასწავლებელში უნდა ვიყოლიოთ მუდამ სამი-ოთხი მასწავლებელი გამოსაცდელად და მასთან გასაცნობლად ავტორიტეტულ პედაგოგების ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით მოგვიმზადდებიან ისეთი მასწავლებლები აქ, რომელნიც საუკეთესო აგენტები და პიონერები იქნებიან სოფლად წამდვილი საღ სწავლის მოსაფენად.

საღსარი ამისთვის იქნება ჯერ თვითონ სასწავლებლის შემოსავალი, შემდეგ ქალაქის დახმარება, ეს ჩვენი სასწავლებელი ქალაქის რომელიმე ქართულ სკოლის მაგიერებას გასწევს და თვით წ.-კ. საზოგადოების დახმარებით. ამ ზედმეტ (სახეირო) ხარჯისთვის ვასახელებ ჩვენი მაღაზიის გაფართოვებას და შიგ ფართო სათანადო ვაჭრობის გაჩაღებას; ცხადია მაღაზია გადატანილი უნდა იქმნას შესაფერსად ადგილზე.



დ. ვაჩნაძე მომხრეა იმ ორატორთა აზრის, რომლებიც მოითხოვენ არსებული სკოლების სამაგალითოდ მოწყობას, მაგრამ ამასთან საჭიროდ აღიარებს უკუაღმართულება მიექცეს იმ მივარდნილ საქართველოს კუთხეებსაც, სადაც ელემენტალური ქართული წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს, ხოლო საზოგადო საქმეს რომ ნამდვილი საქმიანობის სახე მიექცეს და მოქმედების უნარი ჩაესახოს, საჭიროა გამგეობის შედგენილობის რიცხვი შემცირდეს, გამგეობის წევრთა რიცხვი განისაზღვროს 4 კაცით და ამ პირებს დაენიშნოს ჯამაგირი.

შაფვა ქარუმიძე ემხრობა დ. ღუმბაძისა და თ. კიკვაძის კონკრეტულ წინადადებებს და თავის მხრით უმატებს შემდეგს: 1) დაარსდეს საზოგადოებასთან ფონდი სახელმძღვანელოთა გამოსაცემად, 2) მიღებულ იქნას ღონის ძიებანი, რათა გამოიკვს ჩვენი ცხოვრების სურათები, როგორც აწმყო, ისე ისტორიულ შინაარსისა და დაურიგდეს ჩვენს მასწავლებლებს სახელმძღვანელოდ, 3) იმართებოდეს კრებები მასწავლებლებისა პროგრამის გადასასინჯად და შესამუშავებლად და 4) იმართებოდეს მკოდნე პირთაგან კურსები საჭირო ცოდნის მისაღებად.

გრ. ჯაფიძე დღევანდელ პირობებში შეუძლებლად სცნობს იდეალური ეროვნული ტიპის სკოლის შექმნას. არსებული სკოლების უნუგეშო მდგომარეობის მიზეზი ჩვენი დაკნინებული და დაჩიავებული ცხოვრებაა. გამგეობის რეორგანიზაცია მდგომარეობას ოდნავათაც ვერ შესცვლის; გამგეობის წევრთათვის ჯამაგირების დანიშვნა უფრო შეამცირებს საზოგადოების ბიუჯეტს და მაშინ ახალი სკოლების გახსნაზე ფიქრიც მეტი იქნება, გარდა ამისა ასეთი რეორგანიზაცია ავტორიტეტს დაუკარგავს ამ ერთად ერთს კულტურულ დაწესებულებას საზოგადოების თვალში და, ეჭვი არ უნდა, შემოწირულებათა რაოდენობაც იკლებს. ჯერ-ჯერობით კი მხოლოდ პრაქტიკული პედაგოგიური ხასიათის კურსების მოწყობით შეიძლება ცოტაოდნად მასწავლებელთა მომზადების საქმე გავაუმჯობესოთ.

გრ. ბურჭულაძემ განმარტა, რომ მოწაფეთა რიცხვი წ.-კ. სახ. სკოლებში კი არ კლებულობს, პირიქით საგრძნობლად მატულობს, მაგალითად ატენის სკოლაში 47-დან 78-დე ავიდა. სწავლა-აღზრდის საქმეც სამინისტრო სკოლებთან შედარებით გაცილებით უკეთ არის დაყენებული, მაგალითად, კავთის ხევის სამინისტრო სკოლა და ჩვენი წინარების სკოლა რომ შეადაროთ, დიდს განსხვავებას ნახავთ. ხელთუბნის სკოლა დაიხურა მოძრაობის დროს. შემდეგ დირექციამ წინადადება მისცა სოფელს დაეთმო მისთვის შენობა იმ პირობით, რომ ყველაფერ ხარჯს დირექცია იკისრებდა. აქ გამგეობის დაუდევრობა არაფერ შუაშია. ის, რაც ბ-ნმა რუხაძემ ბრძანა საგურამოს სკოლაზე, ეხება არა საანგარიშო 1913 წელს, არამედ 1910 და 1911 სამოსწავლო წელს. 1911 წლიდან ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილია განსაკუთრებული თანხა სკოლებისათვის სასწავლო ნივთების შესაძენად და მასწავლებელს თავის დროზე ეგზავნება ყველა საჭირო ნივთები პირველ-მოთხოვნილებისათანავე.

გაქვნიკე გოგიბერიძის აზრით საჭიროა: 1) მოეწყოს მასწავლებელთა კორპორაცია, 2) გაუმჯობესდეს მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა, 3) სკოლების გინები შეიძლების დავგარად იყოს კარგი და სკოლასთან მეურნეობისთვის იყოს



მიწა, არა ნაკლებ ნახევარი დესტინისა, 4) სკოლებში იმართებოდეს სახალხო კითხვები, საღამოს კურსები სურათებით და სხვა, 5) უკეთეს გამგეობა დაინახავს საჭიროდ ახალ სკოლის გახსნას რომელიმე კუთხეში, მოწვეულ იქმნას ხოლმე ასეთ საკითხის განსახილველად არაჩვეულებრივი საზოგადო კრება.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საკითხი სკოლების შესახებ გამოაკვეულია და იგი კენჭს უყრის სათითაოდ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

გ. ჯანსიშიაძე შეუძლებლად სთვლის კენჭი ეყაროს რეზოლიუციებს, ვიდრე წინადადებათა ავტორნი არ შეთანხმდებიან და ერთს ან ორს რეზოლიუციის საერთო პროექტს არ შეიმუშავებენ.

გ. გარდუზიანის აზრით გამგეობასაც უნდა წარმოედგინა თავისი წინადადება. საჭიროა რეზოლიუციის პროექტი შეიმუშაოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა კრებამ.

გ. დ. შურუჯი. კენჭის ყრა შეუძლებელია, სანამ კრება არ მოისმენს გამგეობის აზრს წარმოდგენილ რეზოლიუციის შესახებ. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეზოლიუციის ტექსტის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოების ფინანსიური მხარეც.

კრება ღებულობს უკანასკნელ ორატორთა წინადადებას და ადგენს: რეზოლიუციის პროექტი შემუშავდეს გამგეობისა და წინადადებათა ავტორების შეერთებულ კრებაზე.

კრება დაიხურა დღის 3 საათსა და 50 წუთზე. კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, 23 ნოემბერს, დღის 11 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში.

კრების თავმჯდომარე გ. ყაზბეგი.

მდივანი ვარლამ ბურჯანაძე.





# მ ქ მ ი

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების,  
23 ნოემბერს 1913 წ.

კრება გახსნა გამგეობის წევრმა დ. გ. კარიჭაშვილმა დილის 11 საათსა და 25 წუთზე. კრებას დაესწრო 115 ნამდვილი წევრი.

თავმჯდომარის წინადადებით მდივანმა წაიკითხა 16 ნოემბრის საზოგადო კრების ოქმი, რის შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა კრებას, სურს თუ არა ვისმეს ოქმში შესწორების შეტანა. კრებამ სიხუმით უპასუხა და, ამნაირად, წინანდელი კრების ოქმი შეუსწორებლად დამტკიცებულ იქმნა.

თავმჯდომარემ განუმრტა კრებას, რომ წინანდელ კრების დავალება სკოლების გაუმჯობესების შესახებ წარმოდგენილი რეზოლიუციების განხილვისა და საერთო ტექსტის შემუშავებისა გამგეობამ სისრულეში მოიყვანა და 18 ნოემბერს რეზოლიუციების ავტორთა თანადასწრებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1. გადიდებულ იქმნას მასწავლებელთა ჯამაგირები, რათა საშუალება მიეცეს გამგეობას, რაც შეიძლება საუკეთესო, კარგად მომზადებული და განვითარებული მასწავლებლები მოიწვიოს სკოლებში.

2. მიეცეს გამგეობას უფლება სხვა უწყების სკოლებიდან გადმოყვანილ მასწავლებელს ჯამაგირის დანიშვნის დროს სამსახურში ჩაუთვალოს სხვა უწყების სკოლაში ნამსახური დროც.

3. დაჩქარებულ იქმნას ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი სექციის დადგენილება არსებულ სკოლებთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოთა მოწყობის შესახებ.

4. ეცადოს გამგეობა საშუალება მისცეს მასწავლებლებს, რომ მათ გამართონ ხოლმე სახალხო კითხვები და საუბრები, რათა მით ხალხი მჭიდროთ დაუკავშირონ სკოლას და შეაგნებინონ სკოლის მნიშვნელობა.

5. ახალი სკოლები გაიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამას მოითხოვს აუცილებელი საჭიროება ადგილობრივ პირობების მიხედვით.

6. დაევალოს სასკოლო სექციას შეიმუშავოს გარკვეული ტიპი ჩვენი სასწავლებლებისა.

7. დაევალოს გამგეობას შეძლების დავარად გამართოს ხოლმე მასწავლებელთათვის პედაგოგიური და საზოგადო განათლების ხასიათის კურსები.

8. სასურველია წ.-კ. გ. საზოგადოებამ გახსნას ისეთი უმაღლესი ტიპის პირველ-დაწყებითი სკოლები, სადაც შესაძლებელი იქნება არსებულ პირველ-დაწყებით სკოლებში კურს დამთავრებულთა პირდაპირი გადასვლა.

9. საზოგადოებამ იქონიოს სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, რამდენმა შეგირდმა დაასრულა სწავლა ჩვენ სკოლებში, სად წავიდნენ ისინი კურსის გათავების შემდეგ და ითვლებიან თუ არა ისინი საზოგადოების წევრებად.



რეზოლიუციის წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა მის მუხლობრივ განხილვას. პირველი მუხლის შესახებ გრ. ბურჭულაძე საჭიროდ სთვლის აღნიშნოს, რომ სამართლიანი იქნება და საქმისთვის საუმჯობესო, რომ საკითხი უფრო კონკრეტულად იქნეს დასმული და რეზოლიუციის მოხსენებელი მუხლი შეიცვალოს მასწავლებელთათვის ძირითადი ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრით. ამასთან საჭიროდ სთვლის ისიც დასძინოს, რადგან სამინისტრო უწყების სკოლებში მსახურთ მეტი ჯამაგირი ეძლევათ, სასურველია კონკურენციის გასაწევად უფრო მეტი ჯამაგირი ექნეს დანიშნული ჩვენი სკოლების მასწავლებლებს. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო კარგი და გამოცდილი მასწავლებლები მოვიზიდოთ.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ჯამაგირის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საზოგადო კრებას მსჯელობა ექნება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს. კრება ეთანხმება თავმჯდომარეს და რეზოლიუციის პირველ მუხლს ამტკიცებს.

რეზოლიუციის მეორე მუხლის შესახებ თ. კიკვაძე აცხადებს—ყველა იმ მასწავლებელს, რომელსაც გამგეობა მოიწვევს თავის სკოლაში ჩაეთვალოს სხვა უწყების სკოლაში ნამსახური დრო. შეუძლებელია ერთს ჩაეთვალოს და მეორეს არ ჩაეთვალოს, განსხვავება არ უნდა არსებობდეს. მასწავლებლები ერთნაირ პირობებში უნდა იმყოფებოდნენ და ამისათვის, ორატორის აზრით, უმჯობესი იქნება ხსენებული მუხლი შეიცვალოს იმ სახით, რომ ვალდებული იქმნეს გამგეობა ყველა სხვა უწყების სკოლებიდან მოწვეულ მასწავლებლებს ჩაეთვალოს იქ ნამსახური დრო.

ზრ. ჯაფარიძე იმავე აზრისაა და შეუძლებლად სთვლის უფლებათა შეზღუდვას და მოწვეულ მასწავლებელთა კატეგორიებად დაყოფას.

დ. ხართიშვილი წინააღმდეგია მთავრობის სკოლებიდან მასწავლებლების მოწვევისა საზოგადოების სკოლებში.

რ. გაბაშვილი თავის გაკვირვებას აცხადებს გამგეობის მოქმედების შესახებ და აღნიშნავს, რომ გამგეობა „ინვალიდების“ მოწვევას სცდილობს თავიანთ სასწავლებლებში. მისი აზრით რეზოლიუციის მეორე მუხლი სრულიად ამოშლილი უნდა იქნეს. ჩვენს სკოლებში უნდა მოვიწვიოთ ჯანსაღი, მხნე ახალგაზრდა და, არა სამინისტრო სკოლებში ნამსახური, ჯან გამოღეული და ქანც-გაწყვეტილი მასწავლებლები. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ნამსახური დრო ჩაეთვალოს ასეთს „ინვალიდებს“.

კვ. ასათიანის წინააღმდეგი არ არის სხვა უწყების სკოლებიდან მასწავლებლების მოწვევისა, მაგრამ საჭიროდ სთვლის განსაზღვრულ იქმნას მასწავლებელთა ნამსახური დრო (სხვა უწყებაში) ათი ან ცხრა წლით. მისი აზრით 25 წლის ნამსახური მასწავლებლის მოწვევა საქმისთვის მავნებელი იქნება და არა სასარგებლო.

დ. ჯაფარიშვილის აზრით, უპირატესობის შესახებ ლაპარაკი არ უნდა იყოს. მოწვეული მასწავლებლები ერთ გვარ პირობებში უნდა იყვნენ ჩაყენებულნი და ამის უფლება უნდა მიეცეს გამგეობას: ვისაც საქმისთვის სასარგებლოდ სცნობს, მოიწვიოს.

თავმჯდომარე რეზიუმეს აკეთებს: 1. საჭიროა თუ არა სხვა უწყების სკოლიდან მასწავლებლის მოწვევა, 2. შეიძლება თუ არა სხვა უწყებიდან მასწავლებლის მოწვევა და თან განმარტავს, თუ საქმისთვის სასარგებლო და საჭირო იქნება, რატომ არ უნდა მივსცეთ გამგეობას უფლება ისარგებლოს შემთხვევით და, როცა სხვა უწყების სკოლაში სამსახურს თავს ანებებს ენერგიით სავსე და გამოცდილი მასწავლებელი, მოიწვიოს ასეთი მასწავლებელი თავის სკოლაში.

რ. გაბაშვილის აზრით შეუძლებელია უპირატესობა მიეცეს სხვა უწყების სკოლაში ნამსახურთ.

ილ. რუსხიძის აზრით, არამც თუ საჭიროა, აუცილებელიც არის სამინისტრო სკოლებიდან კარგი მასწავლებლების მოწვევა. სამინისტრო სკოლაშიაც მოიპოვებიან რიგიანი და საქმის მოყვარული მასწავლებლები. იგი პროტესტს აცხადებს ზოგიერთის ორატორების ნალაპარაკების წინააღმდეგ, ვითომც ჩვენ „ინვალიდები“ გვყავდეს, ჩვენ ინვალიდები კი არა, ძალიან კარგი მასწავლებლები გვყავს, საჭიროა მხოლოდ მათი რიგიან პირობებში ჩაყენება.

შ. ქაჩუაძის აზრით, რუსები რომ იტყვიან აქ სწორედ „Ломка происходит“ ჩვენ უნდა შევქმნათ კარგი პირობები და კარგს მასწავლებელს მივიზიდავთ. ეს კარგი მასწავლებლები და კარგი პირობები თვითონ შეიმუშავენ კარგს ტიპს სასწავლებლისას.

აბ. ჯაფარიშვილის აზრით, წ.-კ. გამ. საზოგადოება დამტკიცებული წესდების ფარგლებში მოქმედებს და ემსახურება ერთს მიზანს. ამ მიზნის გამტარებელი უნდა იყოს ცხოვრებაში საზოგადო კრების აღმასრულებელი ორგანო—გამგეობა, რომელსაც ირჩევს საზოგადო კრება; თუ კრება გამგეობას ენდობა, რატომ არ შეიძლება მიეცეს მას უფლება, თუ იგი საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახავს, სხვა უწყების სკოლიდანაც მოიწვიოს გამოცდილი მასწავლებელი.

თავმჯდომარემ კითხვა გამორკვეულად აღიარა და კრების გადასაწყვეტად სამი საკითხი დასვა: 1. შესაძლებელია თუ არა სხვა უწყების სკოლიდან მასწავლებლის მოწვევა, 2. თუ შესაძლებელია, ჩათვალოს მათ თუ არა ნამსახური წლები, 3. სავალდებულო იყოს გამგეობისათვის, მოწვეულ მასწავლებელთათვის ნამსახური წლების ჩათვლა, თუ გამგეობას ჰქონდეს ამის უფლება.

კრებამ დაადგინა: გარეშე უწყების სკოლიდან სასურველია მასწავლებლის მოწვევა და მისთვის ნამსახური წლების ჩათვლა, ხოლო გამგეობას უფლება ჰქონდეს თავის შეხედულებისამებრ მოიქცეს ამგვარ შემთხვევაში: ამნაირად, გამგეობის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუციის მეორე მუხლი სავსებით მიღებულ იქნა.

დ. ხატიშვილი თხოულობს შეტანილ იქმნას ოქმში, რომ იგი წინამდღევი გარეშე უწყების სკოლიდან მასწავლებელთა მოწვევისა.

რეზოლიუციის მე-3 და მე-4 მუხლს კრება უკამათოდ ღებულობს.

რეზოლიუციის მე-5 მუხლი იწვევს კამათს.

გერ. იმნაიშვილის აზრით, ახალი სკოლები უნდა დაარსდეს იქ, სადაც ქართულ ენას და ქართველ ერს გადაგვარება, განსაცდელი და განადგურება მოეწიოს, მაგალითად, მაჰმადიან ქართველებით დასახლებულ ადგილებში.



ჰაგ. იზაშვილის აზრით, დიდს სარგებლობას მოიტანს მოძრავი სკოლების და-  
არსება, რასაც წ.-კ. გ. საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

დ. ხაჩთაშვილი აცხადებს, რადგანაც ყველაზე მეტი საფრთხე ქართულ ენას  
დღეა ქალაქ ტფილისში მოელის და, რადგან დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია  
გადაგვარების გზაზე სდგას, საჭიროა დაარსდეს ტფილისში ქართული სამაგალი-  
თო სკოლა.

რ. გაბაშვილის აზრით, ახალი სკოლების გახსნა შეჩერებულ უნდა იქმნას სამი  
წლით; ხოლო სამი წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ნივთიერი საშუალება უნდა  
მოხმარდეს არსებული სკოლების გაუმჯობესებას.

თავმჯდომარე კითხვას გამოარკვეულად აღიარებს და ეკითხება კრებას, ამტკი-  
ცებს თუ არა იგი რეზოლიუციის მე-5 მუხლს.

კრება რეზოლიუციის მე-5 მუხლს უცვლელად ამტკიცებს. კრება ამტკიცებს  
აგრეთვე მე-6, 7, 8 და, მცირე კამათის შემდეგ მე-9 მუხლსაც. ამნაირად, კრე-  
ბამ გამგეობისა და წინადადებების ავტორთა მიერ შემუშავებული რეზოლიუცია  
სავსებით მიიღო.

შემდეგ ამისა კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიშები სკოლების მდგომარეო-  
ბის შესახებ და შეუდგა ბიბლიოთეკების შესახებ ანგარიშის განხილვას.


ჰ. სავჯარეჯიძის, შ. მესხიშვილის და რ. გაბაშვილის წინადადებით კრება საჭი-  
როდ სთვლის რეგლამენტის შემოღებას და ორატორთა სიტყვის 5 წუთით გან-  
საზღვრას.

დ. ხაჩთაშვილის აზრით, ბიბლიოთეკების შესახებ ანგარიში მკრთალ სურათს  
იძლევა. წინანდელ კრებაზე აღნიშნული იყო ფაქტი, რომ ერთი სამკითხველო  
ლუბხანად გადაუქცევიათ, რაც, ეჭვი არ უნდა, გამგეობის დაუდევრობას უნდა  
მიეწეროს. უნდა დაევალოს ბიბლიოთეკების მეთვალყურეს, რაც შეიძლება ხში-  
რად დაათვალიეროს ხოლმე ბიბლიოთეკები და თვალყური ადევნოს საქმის წარ-  
მოებას.

შ. მესხიშვილი კრების ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ  
ბიბლიოთეკებში, როგორც ანგარიშიდანა სჩანს, სჭარბობს რუსული წიგნების  
რიცხვი, რაც, მისი აზრით, არანორმალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ქართულ  
ბიბლიოთეკებში პირველი ადგილი უნდა ჰქონდეს ქართულ წიგნებს.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ თუ ზოგიერთს ბიბლიოთეკებში რუსული წიგ-  
ნების რიცხვი სჭარბობს, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ წიგნებს სწირავენ  
კერძო პირები და შეუძლებელია შემოწირულების უარყოფა, გამგეობა კი, რო-  
დესაც ამა თუ იმ სამკითხველოს დახმარებას აძლევს, ყოველთვის ქართულ წიგნებს  
უგზავნის.

შ. მესხიშვილს თავმჯდომარის განმარტება არ აკმაყოფილებს: გამგეობა რის  
გამგეობაა, თუ ის ნამდვილ ხელმძღვანელობას არ გაუწევს სოფლის ბიბლიოთე-  
კებს და არ მიაწოდებს საჭირო წიგნების სიას, რომლითაც უნდა იხელმძღვანე-  
ლოს ამა თუ იმ ბიბლიოთეკამ.



რ. გაბაშვილის აზრით, არაერთარი სისტემა არ არსებობს ბიბლიოთეკების განსის საქმეში. სწორედ ამით აიხსნება, რომ 66 ბიბლიოთეკიდან 15-ით არის რიგიანად მოწყობილი. ორიოდ დაინტერესებული პირი ითხოვს ბიბლიოთეკა გაგვიხსენითო, და გამგეობაც ხსნის, იმას კი არ კითხულობს, შესძლებენ თუ არა ეს პირები საქმის რიგიანად გაძლოას. შემოსწირავს ვიღაც უმნიშვნელო წიგნებს და ამით გათავდა. ბიბლიოთეკაში უნდა იყოს ხალხისათვის გასაგები წიგნები, რომ ხალხი მიიზიდოს. უნდა არსებობდეს სისტემა. ცუდად მოწყობილი ბიბლიოთეკები სახელს უტეხავენ საზოგადოებას. უმჯობესია ბიბლიოთეკათა რიცხვი მცირე იყოს, მაგრამ სამაგიეროდ კარგად მოწყობილი.

თავმჯდომარე. შეუძლებელია, ტფილისიდან, რაც უნდა ბეჯითი და საქმიანი იყოს გამგეობა, თვალყური ადევნოს სოფლის ბიბლიოთეკას, რომ იქ ისეთი შემთხვევა არ განმეორდეს, რომელსაც ადგილი ჰქონია კავთისხევის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში უნახავთ ლუდი, მერე რა მოხდა, ჩვენ ხომ „ყარაულს“ არ დავაყენებთ, რომ ბიბლიოთეკაში ლუდი და ღვინო არ შეიტანონ. სჩანს ბიბლიოთეკის გამგე იმ დროს იქ არ ყოფილა და შემთხვევით უსარგებლნიათ.

ა. ჯაფარიანი (გამგეობის წევრი) კავთისხევის ბიბლიოთეკა და წვრილი კრედიტის ამხანაგობა ერთს შენობაში არიან მოთავსებულნი. ადგილი შესაძლებელია, ერთხელ იყო შემთხვევა, რომ იქ მოსამსახურე პირებმა ლუდი მოატანიეს. მერე რა მოხდა, ნუ თუ ეს გამგეობის დაუდევრობას უნდა მივაწეროთ? ნუ თუ ერთი ასეთი შემთხვევა იძლევა საბუთს, რომ სამკითხველო ლუდხანის სახელით მოვნათლოთ. გატაცება კარგი არ არის. კერძო პირთა ინიციატივით ამა თუ იმ ადგილას დაარსებული ბიბლიოთეკების საქმე კარგად რომ მოწყვრიდდეს, საჭიროა მოეთხოვოს ხალხმე დამაარსებელთ გარანტია, თვით გამგეობა კი ეცადოს თავის სკოლებთან ერთად მოაწყოს კარგი ბიბლიოთეკები.

შ. დედაძინაშვილი (გამგეობის წევრი) განმარტავს, რომ გამგეობასთან არსებულმა ბიბლიოთეკების მომწყობმა სექციამ უკვე დაადგინა სამაგალითო ბიბლიოთეკები მოაწყოს იმ სოფლებში, სადაც ჩვენი სკოლები არსებობს. ბიბლიოთეკების გამგედ იქნებიან ჩვენი მასწავლებელნი, რომელნიც ეჭვი, არ უნდა საქმეს რიგიანად გაუძღვებიან, ზედმეტი შრომის ჯილდოც მიეცემათ, და ამნაირად სულ მოკლე ხნის განმავლობაში საზოგადოებას ექნება 16 კარგად მოწყობილი სამკითხველო... სექციამ უკვე გახსნა სამი ასეთი სამკითხველო: ნავთლულში, წინარებში და შრომაში.

ა. ჯამთათიძის აზრით, უმჯობესია ცოტა გვქონდეს ბიბლიოთეკები და კარგად მოწყობილი; საჭიროა რაც შეიძლება ხშირად ხდებოდეს რევიზია, რაც უნდა დაევალოს სკოლების მეთვალყურეს, რომელიც ამავე დროს ბიბლიოთეკების მეთვალყურედაც ითვლება.

შ. ქაჩუმიძის აზრით საჭიროა ბიბლიოთეკებთან შემოღებულ იქმნას სტატისტიკური ცნობების წიგნები, აგრეთვე ერთგვარი რეგულები—მკითხველის გემოვნებისა და მოთხოვნილებების გასაცნობად, თუ რა შინაარსის წიგნები მოეწონა, რომელი აზრი, ან მწერალი და სხვა.



დ. ჯავახიშვილის აზრით საჭიროა შემუშავდეს ბიბლიოთეკებისთვის საჭირო ქართული წიგნების სია. მოეწყოს ბიბლიოთეკებთან სისტემატიური ხასიათის სახალხო კითხვები ბუნდოვანი სურათების საშუალებით. დაევალოს მასწავლებლებს გაუძღვნენ ამ საქმეს და ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიონ.

გრ. ბურჭულაძე განმარტავს, რომ ზოგან ბიბლიოთეკები მართლა უნუგეშო მდგომარეობას განიცდიან, ზოგან კარგად არის საქმე დაყენებული. კარგად არის მოწყობილი ბიბლიოთეკების საქმე გურიაში, მაგალ. ქვიანის, შუხუთის და სხვა. ძლიერ ცუდს შთაბეჭდილებას ახდენენ სამაგიეროდ ქართლში არსებული ბიბლიოთეკები, მაგ. გომის, ქარელის, სადაც ბიბლიოთეკები მხოლოდ სახელს ატარებენ, მიზეზი ამისი ის არის, რომ ადგილობრივ ხალხი მომზადებული არ არის, და სადაც ხალხი თვითონ არ არის დაინტერესებული და საკმაო ინიციატივას არ იჩენს, იქ შეუძლებელია საქმე რიგიანად მოეწყოს.

ზ. სუფრაქიძე საჭიროდ სთვლის სოფლებში ბიბლიოთეკები გაიხსნას, ხოლო იმ პირობით, უკეთუ ინიციატორები მისცემენ გამგეობას გარანტიას, რამ საქმეს კარგად გაუძღვებიან და იკისრებენ ბიბლიოთეკის შენახვას.

ილია ნაკაშიძე არ ეთანხმება შ. დედაბრიშვილს და აღნიშნავს, რომ ბიბლიოთეკების გახსნა საჭიროა ყველგან, სადაც ამას საჭიროება და ადგილობრივ მკვიდრთა ინტერესები მოითხოვს და არა მარტო იმ სოფლებში, სადაც ჩვენი სკოლები არსებობენ.

გ. გორდეზიანის აზრით, უნდა დაიბეჭდოს ისეთი წიგნები, რომლებიც თავის შინაარსით უპასუხებენ ხალხის ნამდვილ მოთხოვნილებებს, გამგეობას უნდა ჰქონდეს ადგილობრივ ინიციატორთა სახელმძღვანელოდ ასეთი წიგნების სია; სასურველია, რომ ჩვენმა ბიბლიოთეკებმა მარტო გარეგნულად არ ატარონ სახელი, ახალი ბიბლიოთეკების დაარსების დროს, იმ პირობით, რომელნიც კისრულობენ ბიბლიოთეკის გახსნას, მოეთხოვოს ხოლმე გარანტია.

ზ. გაგუაშვილის აზრით, გამგეობის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ქართლში ბიბლიოთეკების მოწყობის საქმეს და კერძოთ კი დუშეთის მაზრაში, სადაც სრული შეუგნებლობა და უვიცობაა გამეფებული. უმჯობესია მოვაკლოთ გურიას, სადაც ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია და ხალხი თვითმოქმედებისა და ინიციატივის უნარით აღჭურვილი და ქართლს მივცეთ, მივხედოთ სიბნელით მოცულ საქართველოს მივიწყებულ ნაწილს.

თავმჯდომარე საკითხს გამორკვეულად აღიარებს და განმარტავს, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოების კრიტიკა სამართლიანია. ბევრგან ძლიერ ცუდათაა ბიბლიოთეკების საქმე დაყენებული, მაგრამ შეუძლებელია ყველა ბიბლიოთეკების სამაგალითოდ მოწყობა, რასაც საგრძნობელი თანხის გაღება უნდა. საზოგადოებას კი ამდენი საშუალება არ მოეპოვება. მისი აზრით, გამგეობა პირდაპირ ვალდებულია ხელი შეუწყოს კერძო ინიციატორებს და წახალისოს ისინი ბიბლიოთეკის მოწყობის საქმეში, დღეს თუ ცუდად არის საქმე დაყენებული, შემდგომში ასე არ იქნება, ხალხი თანდათანობით შეიგნებს სამკითხველოს მნიშვნელობას: ყველაფერი ვარჯიშობით კეთდება. გამგეობას უსაყვედურეს სტატისტიკური ცნობების უქონ-

ლობა. სტატისტიკას გამგეობა აწარმოებს და, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ საქმეს გააფართოვებს. რევიზიის საქმეც ამიერიდან სისტემატიურ კალაპოტში ჩაღდება, რადგან საზოგადოებას განსაკუთრებული მეთვალყურე ჰყავს მოწვეული.

თავმჯდომარის წინადადებით კონკრეტული წინადადებები წარმოადგინეს:

აზ. ჯაჯანაშვილმა. 1. სამაგალითოდ მოეწყოს ჩვენის საზოგადოების სკოლებთან სასკოლო ბიბლიოთეკები. 2. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ ბიბლიოთეკებს, რომლებსაც საზოგადოება ინახავს თავისი ხარჯით. 3. ადგილობრივი ინიციატივით გაიხსნას ბიბლიოთეკა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობას ექნება გარანტია ბინით და ფაქტიურის გამგისათვის ჯამაგირით.

ფევან დიასმიძემ: სამკითხველოს გასახსნელად უნდა გაიგზავნოს გამგეობისაგან ინსპექტორი, რომელიც გამოირკვევს ადგილობრივ იძლევა თუ არა გარანტიას ბიბლიოთეკის დამაარსებელი კერძო პირი ან განსაკუთრებით ამ მიზნისთვის შემდგარ წრე. 2. ჩვენი საზოგადოება აძლევს სამკითხველოს საჭირო ნივთიერ დახმარებას. 3. გამგეობა ადგენს წიგნების სიას იმისდა მიხედვით, თუ რა შინაარსის წიგნები ესაჭიროება ამა თუ იმ სამკითხველოს ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. 4. საჭიროა დაარსდეს კომისია, რომელიც ეცდება ბუნდოვანი სურათების საშუალებით გამართოს ხოლმე ლექციები, სახალხო კითხვები, საუბრები, უმეტეს ნაწილად სამეურნეო სკოლიდან.

დ. ხათამიძემ: 1. საზოგადოების გამგეობას ევალება ბიბლიოთეკების მოსაწესრიგებლად იქონიოს ორნაირი ბიბლიოთეკები: 1. საზოგადოების სკოლა განყოფილებებთან, რომლებიც წინდაწინვე გათვალისწინებით და შეგნებით იხსნებიან. ესენი უნდა აკმაყოფილებდნენ საზოგადოების მოთხოვნილებებს ადგილობრივ მოთხოვნილებებთან ერთად. 2. ადგილობრივი მოთხოვნილებებით გიმოწვეული, როგორც დღეს არის, რომელთა გახსნა-მოწყობაშიაც გამგეობა ვალდებულია დაეხმაროს ადგილობრივ მონაწილეთ შეძლების მიხედვით და გაუწიოს საჭირო ხელმძღვანელობა მის წარმართვაში, მხოლოდ ორიგენარ ბიბლიოთეკებში უთუოდ უნდა იქნეს ორ-ორი განყოფილება ე. ი. ინახებოდეს წიგნები მოზართათვის და საზოგადო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე გამგეობას ევალება სასტიკად აღეწოს თვალყური საჭირო სტატისტიკის წარმოებას ბიბლიოთეკებში.

შ. შესხიაშვილის წინადადებით წარმოდგენილ რეზოლიუციათა განხილვა და საერთო რეზოლიუციის ტექსტის შემუშავება კრებამ გამგეობას მიანდო, ხოლო ანგარიშები ბიბლიოთეკების შესახებ დაამტკიცა.

კრება დაიხურა 3 საათსა და 40 წუთზე. კრების გაგრძელება დაინიშნა კვირას, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ახილი კლუბის დარბაზში.

კრების თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი.

კრების მდივანი ვარ. ბურჯანაძე.



## ო ქ მ ი

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა  
30 ნოემბერს 1914 წ.

კრება გახსნა საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობის აღმასრულებელმა  
დ. გ. კარიჭაშვილმა დილის 11 საათსა და 40 წუთზე.

დაესწრო 100 ნამდვილი წევრი. კრების გახსნისთანავე სამსონ დადიანის  
წინადადებით კრებამ ერთხმად გადასწყვიტა უგულისმოს თანაგრძნობა გამოუ-  
ცხადოს საზოგადოების თავმჯდომარეს გ. ნ. ყაზბეგს იმ მწუხარებისა გამო, რო-  
მელიც ეწვია მას ბრძოლის ველიდან მოსული ამბით შვილის დაჭრის შესახებ და  
დაავალა თავმჯდომარეს აცნობოს ბ-ნს ყაზბეგს კრების მიერ გამოთქმული თა-  
ნაგრძნობა.

წინანდელის კრების ოქმის წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარის  
წინადადებით მდივანი კითხულობს გამგეობისა და 23 ნოემბრის საზოგადო კრე-  
ზაზე წარმოდგენილ წინადადებების ავტორთა შეერთებული კრების მიერ შემუშა-  
ვებულ რეზოლიუციის ტექსტს ბიბლიოთეკების საქმეთა გაუმჯობესების შესახებ:  
1. წ.-კ. გ. საზოგადოებას აქვს ორნაირი ბიბლიოთეკა: გამგეობის თაოსნობით  
და საშუალებით დაარსებული და 2. კერძო თაოსნობით, ხოლო გამგეობის და-  
ხმარებით გახსნილი.

2. გაძევებამ უნდა შეიმუშავოს და დაბეჭდოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო-  
სათვის საჭირო წიგნების სია.
3. ადგილობრივი ინიციატივით ამა თუ იმ ადგილას დაარსებულ ბიბლიო-  
თეკა-სამკითხველოს გამგეობამ უნდა შეძლებისამებრ გაუწიოს ყოველ-  
გვარი დახმარება, როგორც ნებართვის აღებით, ავთენტურ სახელის მი-  
ნიჭებით, ხელმძღვანელობით და ნივთიერი საშუალების აღმოჩენით.
4. გამგეობას ევალება, რაც შეიძლება გააფართოვოს სტატისტიკური ცნო-  
ბების წარმოების საქმე ბიბლიოთეკა-სამკითხველოების შესახებ.

ხსენებულ რეზოლიუციას კრება უცვლელად ღებულობს.

შემდეგ ამისა კრებას მოხსენდა ანგარიში წიგნთ-საცავ-მღზეუმის შესახებ.

თავმჯდომარემ აღნიშნა კრების საყურადღებოდ, რომ საანგარიშო წელს წიგნთ-  
საცავს მრავალი შემოწირულება მოუვიდა, მაგრამ ყველა შემოწირულებათაგან  
განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონსტ. დიმ. ყიფიანის შემოწირუ-  
ლებას, რომელიც შეიცავს განსვენებული დიმიტრი ყიფიანის ქალღლების 10 შე-  
კვრას, რაც წარმოადგენს უდიდეს განძს მე-XIX საუკ. შესასწავლად.

ყველა შემომწირველთ და განსაკუთრებით კონსტ. დიმიტრის ძე ყიფიანსა  
კრება მადლობა უცხადებს.



ბ. გეგეიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ხუთი-ოთხი წლის წინად იგი სარკვევით და აღ. ორბელიანის ნაწერებით ნ. ბარათაშვილის და დ. ჭონქაძის შესახებ. იგი უფრო დაინტერესებული იყო პორნოგრაფიულის ნაწერებით დას როცა შარშან განაახლა ამავე საგანზე მუშაობა, საუბედუროდ რამდენიმე ფურცელი ხელთაწერებში ვეღარ იპოვა, ორატორი დარწმუნებულია, რომ ეს ფურცლები უეჭველად დაკარგულია და, რომ ასეთი არა სასიამოვნო მოვლენა არ განმეორდეს, ისტორიული განძი ხელიდან არ გამოგვეცალოს, მისი აზრით, საჭიროა გადაიდოს განსაზღვრული თანხა ზოგიერთი ხელთაწერების დასაბეჭდად და გამოსაცემად.

თავმჯდომარე აცხადებს, მომ მას არასოდეს არ შეუნიშნავს, რომ ასეთს მაგალითს ადგილი ჰქონდეს. თუმცა, მისი აზრით, შესაძლებელი კია, თუ მკითხველი იკადრებს, ქურდულად ამოხიოს ერთი-ორი ფურცელი და ჯიბეში ჩაიღოს.

ი. შერკველასძე აღნიშნავს, რომ მას არა ერთხელ უნახავს ბაზარზე გამოტანილი სხვა და სხვა ხელთაწერები, თუმცა დაბეჯითებით არ შეუძლიან იმის თქმა, თუ ვის საკუთრებას შეადგენდა ეს ნაწერები.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ იგი 22 წელიწადზე მეტი იქნება, რაც წ.-კ. გამ. საზოგადოებაში მსახურობს და ამ ხნის განმავლობაში 5 ხელთაწერიც არ აღმოჩენილა დაკარგული.

რ. გაბაშვილის აზრით, რომ იმ ამალეღვებელ ფაქტებს, რომელიც აღნიშნა ბ-ნმა გელეიშვილმა, ამიერიდან ადგილი აღარ ჰქონდეს ჩვენს სიძველეთა სალაროში, საჭიროა ეს ორი დაწესებულება მუზეუმი და წ.-კ. გ. საზოგადოება განცალკევებულ იქმნენ: მუზეუმი გადაეცეს ქართულ საისტორიო და საეტიმოგრაფიო საზოგადოებას, წ.-კ. გ. საზოგადოებამ კი ასრულოს პირდაპირი თავისი დანიშნულება ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა მდებო ხალხში.

პრ. ჯაფარიძის აზრით, რადგან ხელთაწერების დაბეჭდვას და გამოცემას საგრძნობელი თანხა სჭირდება, საკმარისია ჯერ-ჯერობით ხელთაწერები დაიკაზმოს, დაინუმროს და, როცა ვისმეს მიაქვს, დაბრუნებისას გადასინჯულ იქმნას.

თავმჯდომარეს შეუძლებლად და პრაქტიკულად მოუხერხებლად მიაჩნია ხელთაწერების ყოველთვის გადაფურცვლა და გადასინჯვა.

ი. რამიშვილის შეკითხვაზე, რამდენი მოუნდება დაახლოვებით ხელთაწერების დაბეჭდვას, თავმჯდომარე უპასუხებს არა ნაკლებ 50,000 მან.

ი. რამიშვილის აზრით, თუკი საზოგადოებას შეუძლია 3,000 მანეთების გაღება უბრალო გამოუსადეგარის ნივთების შესაძენად, რატომ არ შეუძლიან ამ ძვირფასი განძის გამოსაცემად ყოველ წლიურად ნაწილ-ნაწილად გადასდოს საჭირო თანხა და თან და თანობით გამოსცეს.

თავმჯდომარე კიდევ განმარტავს, რომ ამალეღვებელი აქ არაფერია, მუზეუმში 2000 მეტი ხელთაწერია; რაც უნდა გააძლიეროთ კონტროლი, თუკი მკითხველი იკადრებს, მალულად ყოველთვის შეუძლია ფურცელი ამოხიოს და ჯიბეში ჩაიღოს. ნუ თუ იმის ბრალია ყველა ეს, რომ ივანე ან პეტრე ზის სათავეში, თქვენ ბრძანეთ რა ზომების მიღება საჭიროა, რომ ასეთი ამბავი არ ხდებოდეს.



დ. ხაჩიძე აღნიშნავს, რომ ნუ თუ ამაღლებელი არაა ის შემთხვევა, რომ შარშან 1 ოქროს საბურნუთე და 8 ოქროს ფული დაიკარგა და გამგეობამ კი შესაფერი ზომები არ მიიღო. ქურდის აღმოსაჩენად; მარტო ის კი არაა დამნაშავე, ვისაც ნივთი აბარია, არამედ ისინიც, ვინც ვალდებულნი არიან კანტროლი გაუწიონ და ჯეროვანი თვალ-ყური ადევნონ იმ პირის მოქმედებას, რომელსაც ესა თუ ის საქმე აქვს ჩაბარებული. ორატორის აზრით რომ წიგნთ-საცავი და მუზეუმი შესაფერს მდგომარეობაში ჩადგეს, საზოგადო კრებამ უნდა გამოიტანოს შემდეგი დადგენილება: კრებას საჭიროდ მიაჩნია შესდგეს ამის შესაფერი პროგრამა და განსაზღვრული გეგმით ხორციელდებოდეს; ხოლო ამაზე გაწეულ შრომამ რომ მეტი ნაყოფი გამოიღოს, საქმის განხორციელებას გამგეობა იწყებს ჩვენი აწმყოს შესწავლით, ხოლო რომ უკვე შეძენილი ნივთები უზრუნველყოფილი იქნას დაკარგვისაგან, ამისათვის საზოგადო კრებას საჭიროდ მიაჩნია მათი დაწვრილებითი ცნობაში მოყვანა თვისებათა აღნიშვნით, მოხდეს რაც შეიძლება დაჩქარებით.

ზოგიერთი წევრები თხოულობენ კამათის შეწყვეტას.

რ. გაბაშვილი იმეორებს წინად გამოთქმულ აზრს მუზეუმის საისტორიო საცენტოგრაფიო საზოგადოების ხელში გადაცემის შესახებ და დასძენს, რომ თუ ოქროს ფულების დაკარგვას ადგილი ჰქონდა, ამის უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გამგეობას საკმაო მოცალეობა არა აქვს ნამდვილი პატრონობა გაუწიოს მუზეუმს და დაიცვას იგი გაქურდვისაგან.

ა. რუხაძე ეკითხება გამგეობას, მუზეუმისათვის შენობის ასაგებად მიღებულია თუ არა რაიმე რეალური ზომები.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ სამუზეუმო შენობის ასაგებად ფული ნაწილ-ნაწილად შემოდის, საკმაო თანხა ჯერ არ არის შედგენილი, ადგილი კი შეძენილია, და, როცა თანხა შესდგება, გამგეობაც საქმეს რეალურ მსვლელობას მისცემს.

გ. გარდჯიანი აზრით, იმის გამოსაკვლევად თუ რამდენად მოსახერხებელი, ხელსაყრელი და საქმისთვის საუმჯობესო და შესაძლებელია მუზეუმის სხვის ხელში გადაცემა, და აგრეთვე რა გვარი ზომები უნდა მივიღოთ მუზეუმში უფრო მეტი წესრიგის შემოსაღებად, საჭიროა განსაკუთრებული კომისიის არჩევა.

თავმჯდომარე კითხვას გამორკვეულად სთვლის და ეკითხება კრებას, ამტკიცებს თუ არა ანგარიშს წიგნთ-საცავ მუზეუმის შესახებ. კრება ანგარიშს ამტკიცებს.

კ. ბაქრაძეს წინადადება შემოაქვს გაიხსნას კამათი მუზეუმის საისტორიო-ენტნოგრაფიული საზოგადოების ხელში გადაცემის შესახებ.

(დასასრული იქნება)



Открыта подписка на 1915 годъ  
**ШКОЛА и ЖИЗНЬ**

(5-й г. изданія)



ЕДИНСТВЕННАЯ ЕЖЕНЕДЕЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКАЯ  
ГАЗЕТА СЪ ЕЖЕМЪСЯЧНЫМИ ПРИЛОЖЕНІЯМИ.

Подъ общей редакціей Г. А. ФАЛЬБОРКА.

*Пятый годъ изданія* застаеъ насъ въ тяжелый моментъ небывалой въ исторіи войны. Педагогическая печать, не можетъ не откликаться на вопросы, волнующіе сейчасъ всякаго. Но у нея остаются и свои особыя задачи: война, глубоко затрагивающая жизнь школы, не должна заслонить собой интересовъ народнаго образованія, народной культуры. Война въ корни потрясаетъ весь жизненный укладъ, но наша святая обязанность уберечь школу отъ грозящей ей опасности. Въ этомъ газета видитъ свою очередную задачу.

Имѣя возможность въ *приложеніяхъ* дополнять матеріалъ, помѣщаемый въ газетѣ, Редакція ставитъ себѣ цѣлью выяснитъ ту глубокую связь, какая должна существовать между педагогической наукой и правильно понимаемыми идеями національности и государства. Обращаясь къ Платону и Аристотелю, впервые выразившимъ эти идеи, „Школа и Жизнь“ даетъ переводы обоихъ этихъ классиковъ. Редакцію перевода и статьи о *Платонѣ и Аристотелѣ* взялъ на себя профессоръ петроградскаго университета *Ө. Ф. Зѣлинскій*. Другому важному вопросу о началѣ воспитанія, о вѣдѣйствіи на ребенка въ тотъ періодъ, когда закладывается личность человѣка, отводится книга *Вилліама Стерна „Психологія ранняго дѣтства“* съ добавленіями *Л. Г. Оршанскаго*—настолярная книжка для матерей и воспитателей.

Въ числѣ другихъ приложеній газета удѣляетъ особое вниманіе вопросу о профессиональномъ объединеніи учителей. Для воспитанія здоровыхъ поколѣній нужны учителя, оплоченные сознаніемъ своей отвѣтственности, умѣющие отстаивать свои права. Въ сборникѣ, посвященномъ учительскимъ профессиональнымъ организаціямъ на Западѣ и въ Россіи, будетъ помѣшены статьи: *Дюнео, В. А. Золотарева, П. Мижусева, Г. А. Фальборка, И. И. Шрейдера* и др. Кромѣ того будетъ даны въ числѣ приложеній: книга итальянской писательницы *Паулы Ломброзо „Жизнь ребенка“* и др. Всего по примѣру прошлыхъ лѣтъ будетъ дано не менѣе 80 печатныхъ листовъ.

Въ составѣ сотрудниковъ газета, по прежнему, насчитываетъ многихъ преподавателей, низшей, средней и высшей школы, членовъ родительскихъ комитетовъ, дѣятелей земскихъ и городскихъ самоуправленій членовъ Г. Думы и Гос. Совѣта.

Дѣятельности *земствъ и городовъ* въ области нар. образованія, жизни школы въсѣхъ типовъ и ступеней отводится, помимо статей, мѣсто въ хроникѣ и въ многочисленныхъ *сообщеніяхъ съ мѣстъ*

Въ отдѣлѣ *библиографіи* специалистами по отдѣльнымъ вопросамъ даются два раза въ мѣсяцъ рецензіи педагогическихъ, учебныхъ и дѣтскихъ книгъ.

Ведется систематически отдѣлъ *законод. постановленій, официальныхъ распоряженій и сен. разъясненій*. Ежемѣсячно дается полный списокъ вновь утвержденныхъ посвѣт. обществъ и организацій.

*Подписная цѣна (съ прилож.):* на годъ на 6 м. на 3 м.  
Съ доставкой и пересылкой . . . . . 6 р. 3 р. 2 р.

Для учащихъ при головной подпискѣ допускается разсрочка: при подпискѣ—2 р., къ 1 февраля, 1 марта и 1 апрѣля и къ 1 мая по 1 рублю.

Подписка, кромѣ Главной Конторы принимается во всѣхъ почт.-тел. конт. и солидн. книжныхъ магазиннахъ. Лицамъ, желающимъ познакомиться съ газетой, *пробныя №№* высылаются *бесплатно*.

Адресъ Главной Конторы: Петроградъ Лиговская ул. д № 87.

# „განათლება“



მიიღება ხელის მოწერა 1915 წლისათვის.

(წელიწადი შერევი)

1915 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭ-დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვითური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მან.). მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობთ წლიურად **სამ მანეთად**, საზღვარ გარეთ 6 მან. 1915 წლის წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: „**მრავალქამიერ**“ მუ-სიკა ანდრია ყარაშვილისა, მამაკაცთა და ქალვაჟთა გუნდისათვის. **პესტალოცის**, **შერბერტ სპენსერის**, **რუსსოს და კომენსკის სურათებს**, რომელთა მაგიერ 1914 წლის ხელის მომწერლებმა მიიღეს ალბომი ი. გედევანიშვილის პიესის „**სინათლისა**“ და „**პატარა მურია**“ სიტყვები აკაკისა, ნოტებზე დალაგებული ანდრია ყარაშვი-ლის მიერ.

ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველ-გვარის ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის განვითარებისათვის და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** ქართულ გიმნაზიაში, „**ნაკადულის**“ რე-დაქციაში, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და წიგნის მაღაზია „**Новая рѣчь**“ **კიკნაძესთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიციანიძესთან, **ბათუმში** ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზია „**განთიღში**“, **სამტრედიის** წ.კ. საზოგადოების კოლსკში **მ. კობალეიშვილთან**, ამ სამ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კ. სხვა ადგილებში უნდა მიმართონ პირდაპირ აგენტს.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას სმარობს ჟურნალის თანდათან განსუქობისკენ.

მისამართი: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Бוצвадзе**.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.